კვირის პალიტრა

ფეხი

N8(141) 20/II.-26/II.2003. ფასი 60 თ.

1168
2003

ქმარიც და საყვარელიც ერთ ოჯახში

მარიონეტი მამაკაცები — რა შეუძლია ქალს

ნუ ეხუმრებით გრიპს! — როგორ დავიცვათ თავი

რა პრეტენზიებს უყენებენ იმედა კახიანს მისი ქალები



ქეთი წიკლაური ახალი ოჯახის შესაქმნელად მზადაა

ყოფილი გენპროკურორი გახმაურებულ პროცესებზე ალაპარაკდა



თემურ ჯორჯაძე:

„... სამხატვრო აკადემიაში ნატურმორტს — დანგარზე მოთავსებულ ვაშლს, მსხალს და ყურძენს, ნავთს ასხამენ. რომ მშიერმა ბავშვებმა არ შეჭამონ...“

გვ. 21

№8 (141)
20 — 26 თებერვალი 2003
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
იარონ იარაღითაც და „იარაღითაც“... 3
ერთი კითხვა 4
თემა
მარიონეტი მამაკაცები — რა შეუძლია ქალს 6
გვიმოვნება
იმედა კახიანი, ანტიკვარული ნივთები და შვილიშვილის სამოსის მიუღებელი დეტალი 8
შემოქმედი
სულსწრაფ და მოუხერხებელ ლილიკო ნემსაძეს საქმის ბოლომდე მიყვანა არ ეხერხება 11
კრიმინალი
პოლიციელის მკვლელობაში ორი არასრულწლოვანი მონაწილეობდა 13
ოჯახი
თემურ წიკლაური: „ყველა ადამიანს სურს რაღაცის შეცვლა“ 16
ტრაგედია
სიყვარულისთვის განწირული სიცოცხლე და საიდუმლოებით მოცული წერილი 18
სახე
რას უკვეთენ სამშობლოში მივიწყებულ ქართველ არქიტექტორს ამერიკელები 21
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 24
მგზავრული
ძეობად ქცეული ქორწილი 24
კოლორიტი
პაემანი საკუთარ თავთან 26
შოუბიზნესი
- წარმატება ნიუ-იორკში 29
- ბორის წიფურიამ „ფორტუნა“ დატოვა 29

მოგონება
მე-20 საუკუნის გახმაურებული და გაუხმაურებელი სასამართლო პროცესები 30
საოჯახო ფსიქოლოგია
მაინც რატომ არიან მამაკაცები ასეთი უნებისყოფოები? 32

აითვისეთ ახალი ტიპის გიმნასტიკა

ბოლო დროს, დიდი პოპულარობა მოიპოვა სავარჯიშო სისტემამ — კალანეტიკამ, რომელსაც ჯადოსნურ გიმნასტიკასაც კი უწოდებენ, მისი მიმდევრების მტკიცებით, ვარჯიშების ამ კომპლექსის მეშვეობით შესაძლებელია, ძალზედ მოკლე ხანში დაიყენოთ თითქმის უნაკლო ფიგურა.

60

იმედა კახიანი, ანტიკვარული ნივთები და შვილიშვილის სამოსის მიუღებელი დეტალი



კახიანების ოჯახში დიზაინერის ფუნქციები ქალბატონ ფლორას აკისრია. ქალბატონ ფლორას განსაკუთრებით, საჩუქრების მიძღვნა უყვარს. ის თურმე რამდენიმე ჩუსტს იყიდის, მოიტანს და მერე თავის მეუღლეს უხსნის, რომელს რომელ ახლობელს აჩუქებს.

8

პოლიციელის მკვლელობაში ორი არასრულწლოვანი მონაწილეობდა

იმავე საღამოს, ყველა ერთად, ნუგზარ მურვანიძის გარდაცვლილი ბიძის ორმოცზე წავიდნენ. დალიეს, ცოტა ხანში იქიდან წავიდნენ და შინ დასაბრუნებლად, „თბილისი-ბათუმის“ მატარებელს დაელოდნენ. ბიჭები მე-9 და მე-8 ვაგონებს შორის გაჩერდნენ, გოგონები კი, კუპეში შევიდნენ.

13

წარმატება ნიუ-იორკში



ნუცა შანშიაშვილის კონცერტებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ტრიუმფით ჩაიარა. ორსაათიანი პროგრამის განმავლობაში, ინგლისურ და რუსულ სიმღერებთან ერთად, რუსა მორჩილაძის სამი სიმღერა და, რა თქმა უნდა, რევაზ ლაღიძის „თბილისოც“ აჟღერდა.

29

ტაძარი

სად ვეძებოთ ცოდვებისგან განწმენდის გზა? 34

ჭრელი სამყარო 35

არატრადიციული ფავორიტები

დიდი სპორტი „ცისფერ-ვარდისფერ“ ფერებში 36

ვარსკვლავი

რიგ უიგერსპუნი – ჰოლივუდის ყველაზე პოპულარული ქერათმიანი ქალბატონი 40

რომანი

რუსუდან ბერიძე. ქალური ინტუიცია ანუ ჭიამაიას ფრთები (გაგრძელება) 42

სცენის ვიღა

ტინა ტერნერის წარმატების საიდუმლო 46

გადასაღებ მოედნებზე 47

ავტო 49

ანომალია

მკვლელობა თუ თვითმკვლელობა, რომელმაც ევროპა შეძრა 50

ტესტი

ერთგული მკითხველი 51

სპორტული ზოზაიკა 53

ბომონდი 54

ჯანმრთელობა

- ნუ ეხუმრებით გრიპს 56
- უძილობა 57
- წნევიანზე ნუ დაქორწინდებით! 58
- კითხვა-პასუხი 59

ივარჯიშეთ

აითვისეთ ახალი ტიპის გიმნასტიკა 60

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (24 თებერვალი – 2 მარტი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

ხართ თუ არა დარწმუნებული საკუთარ თავში? 63

კალეიდოსკოპი 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ბორის წიფურიამ „ფორტუნა“ დატოვა

ბორის წიფურია 5 წლის განმავლობაში ულოცავდა წყვილებს გაბედნიერებას და თამარ მეფის ბეჭდის ასლით ასაჩუქრებდა. ერთი შეხედვით ძვირად ღირებული ამ ბეჭდის ფასი, სულ 5 ლარია და იმდენად დაბალი ხარისხის ლითონისგანაა დამზადებული, რომ...

29

ტინა ტერნერის წარმატების საიდუმლო

აიკი მომღერალს შინ და საბაზანო ოთახში სიმღერასაც კი უკრძალავდა, მთელ მის საკონცერტო შემოსავლებსაც ის აკონტროლებდა. ამასთან ქმარი სისტემატურად სცემდა ცოლს, რომელიც კონცერტებზე გამოსვლის წინ, მაკიაჟს საგულდაგულოდ იკეთებდა, რათა სილურჯეები დაეფარა.

46

მმ-20 საუკუნის გახმაურებული და გაუხმაურებელი სასამართლო პროცესები

– მერწმუნეთ, სოლიკო ხაბეიშვილი მექრთამე იყო. მაგრამ როცა შევარდნაძე ჩამოვიდა, ფაქტობრივად, აიძულა უზენაესი სასამართლო, საქმე შეეწყვიტა. თუმცა ვფიქრობ, რომ რაღაცები ბუმერანგივით დაუბრუნდა უკან...

30

ქალური იდეალი ანუ ჯიბეში ფრთები

– რა მოხდა, მარი?

– ნიტა სად არის-მეთქი, ნიტა?! – ისევ უკივლა მარიმ.

– წეღან იქ იყო... აგერ, ჩემ წინ თამაშობდა... – წამოიძახა ნათელამ და სასოწარკვეთილი მზერა მიაპყრო მარის: „მარი, შვილო, ხომ არ დავიღუპეთ?!.“

42

ისევ ისევლითაც და „ისევლითაც"...

საქართველო ოდითგანვე ითვლებოდა რეკორდების ქვეყნად, რადგან ქართველი კაცის უკიდეგანო ფანტაზია არასოდეს კმაყოფილდებოდა უკვე მიღწეულით და ცდილობდა, სხვაზე მეტი კიდეც ეთქვა და კიდეც გაეკეთებინა. სწორედ ამ თქმასა და კეთებაში, საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა რეკორდსმენის სული, მაგრამ XX-XXI საუკუნეების გზაგასაყარზე რეკორდების რაოდენობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და შეიძლება ითქვას, რომ ქართული პოლიტიკური არენა რეკორდების პოლიგონად იქცა ისეთ ორიგინალურ სახეობებში, როგორიცაა: სქესობრივი აქტის ათწლიანი ხანგრძლივობა, დაპირებების არასრულება, წყლის ნაყვა, ყურებზე ხახვის დაჭრა, ფეხების (და არა მარტო) მოჭმა, ასევე ფეხებზე (და არა მარტო) დაკიდება და სხვა.

საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო კი, დევიზით — „სიტყვა საქმედ ვაქციოთ!" — მაქსიმალურად ცდილობს, რეკორდები მოხსნას იმ სიტყვების საქმედ ქცევაში, გინება რომ ჰქვია და ასე ხშირად რომ გაისმის სხდომათა დარბაზში.

მოგეხსენებათ, გინება სექსის თეორიული ფორმაა და იგი შეიძლება გამოთქვა ბგერათა წყობით, ანუ სიტყვიერად. ან კიდევ დაწერო ასოებით. მაგრამ წერა-კითხვისა და ქაღალდზე მეოცნებეთა დრო წავიდა, ახლა საქმეა საჭირო! თანაც, თუ გინების დაწერისთვის ბევრი ასოა საჭირო, ასრულებას მხოლოდ ერთი ჰყოფნის. თუმცა, იმასაც გააჩნია, შეგინების ადრესატი ერთი კაცია, ადამიანთა ჯგუფი თუ მთელი პოლიტიკური ძალა (ფრაქცია, პარტია, ქარტია და ა.შ.).

მოდის ახალმა ტალღამ რემიქსების ხანა მოიტანა, რაც ძველის, ანუ უკვე არსებულის გადაკეთებასა და გათანამედროვეობას ნიშნავს. ამ ტენდენციამ ცივილიზებულად დაიკავა ადგილი ქართული ლანძღვა-გინების ლექსიკონში და წამოვიდა ისეთი ფორმები, რომელშიც გინების მიმართულება 180 გრადუსითაა შემობრუნებული და „შენი დედას" ნაცვლად, „ჩემი დედაა" „ცვეტში", ხოლო თუ კაცი თავისი სიმართლის დასამტკიცებლად საკუთარი დედის ცოლობაზეც თანახმაა, მაშინ ნოტარიუსის ბეჭედიც აღარაა საჭირო და ა.შ. მაგრამ პოლიტიკის ჭეშმარიტ შემოქმედთათვის „რემიქსი" ნაკლებად მისაღები აღმოჩნდა. ამიტომ პოლიტიკურ „ოქტაგონზე" ნაკლებად თუ გაიგონებთ „ჩემი დედას". სამაგიეროდ, ისეთ ფრთოსან ფრაზებს მოისმენთ ხშირად, რომელშიც „ტ" და „ყ" ასოებით შეერთება სხვადასხვა კუთხურ დიალექტზე სხვადასხვა პათოსითა და ტემპერამენტით ჟღერს. ასე რომ, თუ ბათუმური და სოხუმური ბლოკების მუდმივ ლანძღვა-გინებას დიქტოფონზე ჩაიწერთ, ამას თუ დაურთავთ სხადასხვა ქალაქ-რაიონისა და კუთხე-კუნჭულის მაჟორიტარი დეპუტატების კვნესა-გმინვას, მეგრული „ლ"-ს სარბილესა და კახური „ყ"-ს სიმაგრესაც გაითვალისწინებთ და მერე ჩანაწერს აჩქარებულად მოისმენთ, თავად მიხვდებით, რომ ეს секс по телефону უფროა, ვიდრე პლენარული სხდომა.

მაგრამ სატელეფონო სექსით მიღებული კმაყოფილება ახლოსაც ვერ მივა რეალურ სიამოვნებასთან და ნუ გაგიკვირდებათ, თუ მხოლოდ გინებით ჩვენი დეპუტატებიც ვერ კმაყოფილდებიან. თუმცა, ნიჭიერ კაცს მტერი არ დაელევაო, — ესეც ქართველებზე ყოფილა ნათქვამი და ამ საინტერესო წამოწყებასაც გამოუჩნდა მოწინააღმდეგე და ენთუზიაზმის ჩამხშობი, პარლამენტის თავმჯდომარის სახით, რომელმაც აქამდეც ბევრჯერ ჩააგდო მანდილი მოჩხუბარ პარლამენტარებს შორის და არაერთი „სიამოვნება" დაგვაკარგვინა. ამჯერადაც დროზე გაიხსენა ქართული ფილმი — „რეკორდი", მიხვდა, რომ დურუ ხუნჭუას მაგიური სიტყვები — „შემაგინოს და ვესვრი" — მალე დარბაზშიც გაიჟღერებდა და შეგინებას სროლაც მოჰყვებოდა. არადა, ჩხუბი და თავ-პირის მტვრევა კიდევ ჰო, მაგრამ სროლის ხმა ვერაფერი სასიამოვნო მოსასმენია ასეთი აკუსტიკის დარბაზში. მით უმეტეს, თუ ამ დროს, ტრიბუნასთან შინაგან საქმეთა ან უშიშროების მინისტრი დგას, ხომ გაჭირდება საინტერესო მოხსენების მოსმენა ტყვიების წუილში! ისიც ხომ შეიძლება, ბრმა ტყვია ასცდეს მიზანს, ანუ იმ დეპუტატს, რომელსაც ესროლეს ან ძვირად ღირებული მიკროფონი დააზიანოს, ან ის ძვირფასი ჭაღები, ჩურჩხელებივით რომ კიდია ყველა კუთხე-კუნჭულში. ამას მოჰყვებოდა რუსეთის ცილისმწამებლური განცხადებებიც — ქართველებს მეორე პანკისი აქვთ პარლამენტშიო — და თავიც მოგვეჭრებოდა.

ამიტომ გამოიყენა პარლამენტის თავმჯდომარის უფლებები და სასწრაფოდ აკრძალა იარაღიანი დეპუტატების შეშვება შენობაში. ატყდა, მგარამ რა ატყდა! იყვირეს, მაგრამ რა იყვირეს: ჩვენს იარაღს ვერ განდობთო; იქნებ, ვინმე მოკლათ და მე დამბრალოთო; მაგრამ არაფერმა გაჭრა და ისეთი „შმონი" ატყდა, რომ იარაღს კი არა, საახალწლო „ბომბაჩკასაც" ვერ შეიტანდა კაცი.

აქვე გაჩნდა მეორე მოსაზრებაც, რომელიც არანაკლებ ყურადსაღებია: იქნებ, იმ განიარაღების მოთხოვნაში სულაც არ იგულისხმებოდა „ბერეტა" და „ბრაუნინგი" და უფრო იმ „იარაღზე" იყო საუბარი, რომელიც პარლამენტში ფართოდ აპრობირებული გინების საქმედ გადაქცევისთვისაა საჭირო?!.

ოოო!.. ახლა კი მართლა სერიოზულადაა საქმე! ეს ჯერ კოლოსალურ სამედიცინო ხარჯებთანაა დაკავშირებული, რადგან კასტრირების ქირურგიას უფასოდ არავინ ჩაატარებს. თანაც არავის აქვს უფლება, „იარაღის" ტარება შენობის გარეთაც აუკრძალოს პარლამენტარებს — ვინ იცის, რაში სჭირდებათ!.. ესეც რომ არ იყოს, მგონი, სტრატეგიულადაც გაუმართლებელი ნაბიჯი იქნება, პოლიტიკურად უკვე კასტრირებული მთავრობის ბიოლოგიურადაც კასტრირება, თორემ სულ გაზარმაცდებიან. ამიტომ სჯობია, ის სიტყვა მაინც აქციონ საქმედ, გინება რომ ჰქვია, იქვე აგინონ და იქვე აასრულონ კიდეც და იქნებ, ამასობაში ისე მიეჩვიონ ნათქვამის შესრულებას, რომ ხანდახან ჩვენც აგვისრულონ ის დაპირებები, უხვად რომ დაგვაყარეს საარჩევნო კამპანიის დროს.

ამიტომ ნუ დავუშლით! იარონ იარაღითაც და „იარაღითაც" შემართულებმა; თუ დასჭირდებათ, ჩვენსასაც ვათხოვებთ, ოღონდაც, რომ იტყვიან, აასრულონ კიდეც.

P.S. ამჯერად, ჩვეული ანეკდოტის ნაცვლად, შაირის ხალხურ-რემიქსული ვარიანტით დაგემშვიდობებით:

„ბევრჯერ ვყოფილვართ ამ დღეში,
ერთხელ არ დაგვიკვნესია,
ვეღარ გავიგეთ, სხდომაა,
თუ „გრუპავი სექსია"...

პროვოკატორი

„ჩემსა და მანანა არჩვაძე-გამსახურდიას შორის, არანაირი გაუგებრობა არ ყოფილა“

— გავრცელებული ინფორმაციით, თქვენსა და მანანა არჩვაძე-გამსახურდიას შორის, შავმა კატამ მას შემდეგ გაირბინა, რაც გაცხადდა, რომ ასლან აბაშიძე კოლხური კოშკის აღსადგენად საჭირო თანხას ქალბატონ მანანას კი არ გადასცემს, არამედ თქვენს ანგარიშზე გადმორიცხავს?

გურამ შარაძე, კოლხური კოშკის აღდგენის ფონდის თავმჯდომარე:

— მე ვარ ამ ფონდის თავმჯდომარე, მაგრამ მას შემდეგ, რაც დავრწმუნდი, რომ ვერ შევძელი კოლხური კოშკის აღდგენისათვის საჭირო ფინანსების მოზიდვა და ამ საქმეში არც ხელისუფლებამ და არც ბიზნესმენებმა დახმარება არ აღმომჩინეს, ფონდის თავმჯდომარეობიდან გადადგომის შესახებ განცხადება გავაკეთე. ჩემსა და მანანა არჩვაძე-გამსახურდიას შორის, ამ საკითხთან დაკავშირებით არანაირი გაუგებრობა არ ყოფილა. ფინანსურ ოპერაციებზე, რომელიც ფონდის შევსებას უკავშირდება, ყველგან ქალბატონი მანანა აწერს ხელს. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, ბატონი ასლანი თუ გაიღებს ქველმოქმედებას. მე ამ შემთხვევაშიც, ხელმოწერის რწმუნება ქალბატონ მანანას გავუზიარე. მას თავისუფლად შეუძლია მიიღოს ბატონი ასლანისგან ეს თანხა. კოლხური კოშკი მაინც კერძო საკუთრებაა და არა სახელმწიფო. ჩვენ თანაბარი უფლება გვაქვს გავაკონტროლოთ ანგარიშზე არსებული თანხა.

■

„არავის მივცემთ სატახტო და საპატრიარქო ქალაქის ხელყოფის უფლებას!“

— რა არის გათვალისწინებული მცხეთის ახალი სტატუსის კანონპროექტით და რას ფიქრობთ პატარკაციშვილისა და ბუბუტეიშვილის ინიციატივაზე?

მამა ზენონი, სვეტიცხოვლის ტაძრის არქიმანდრიტი:

— კანონპროექტის თანახმად, მცხეთას, როგორც საქართველოს ეკლესიის სასულიერო-ადმინისტრაციულ ცენტრს, „წმინდა ქალაქი მცხეთა“ დაერქმევა. დარწმუნებული ვარ, რომ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, ქალაქი აბსოლუტურად დაცული იქნება და მოსახლეობას შეშფოთებისათვის არანაირი საფუძველი არ ექნება. ამ სიტყვებში ვგულისხმობ იმას, რომ მცხეთაში, მისი

სტატუსისთვის შეუფერებელი, არც ერთი ნაგებობა არ აშენდება. კანონის ამოქმედების შემდეგ, ჩვენ იმ უხამს შენობებსაც ავიღებთ, რომელიც იქ ადრე აშენდა. რაც შეეხება სასტუმროს — მისთვისაც ადგილი განსაკუთრებული სიფრთხილით შეირჩევა. ქალაქის დიდი ნაწილი კერძო საკუთრებაშია გადაცემული. ეს ჩვენი ხელისუფლების ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რადგან მცხეთაში ადგილების გასხვისება მისი ნებართვით მოხდა. ეს ქალაქი არის საყოველთაო საკუთრება და მისი დაპატრონების უფლება არავის აქვს. ჩვენ მივესალმებით ნებისმიერ პიროვნებას, განურჩევლად რასისა და წოდებისა, ვინც სახელმწიფოებრივი და საეკლესიო აზროვნებიდან გამომდინარე, წვლილს შეიტანს ეროვნულ საქმეში. მაგრამ მათი ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც მცხეთის არქიტექტურულ განაშენიანებას, ქალაქის იერსახის შენარჩუნებას ან არქეოლოგიური ძეგლების დაცვას შეეხება, აუცილებლად უნდა შეათანხმონ საქართველოს ეკლესიასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, არავის მივცემთ სატახტო და საპატრიარქო ქალაქის ხელყოფის უფლებას!

მიხეილ სააკაშვილი, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი:

— ბევრი და მათ შორის, „ნაციონალური მოძრაობის“ ზოგიერთი წევრიც გამოხატავს შეშფოთებას იმის გამო, რომ ბიზნესმენი ელგუჯა ბუბუტეიშვილი მცხეთის დაზარალებას, ბადრი პატარკაციშვილი კი, მთელი ქალაქის ყიდვას აპირებს. ამ საკითხზე ზვიად ძიძიგურმა და კობა დავითაშვილმაც გამოთქვეს აზრი. მე მათ ვესაუბრე და განვუმარტე, რომ მათ მოსაზრებას ბუბუტეიშვილის გეგმასთან დაკავშირებით არ ვეთანხმები. მე ვფიქრობ, რომ ეს კარგი გეგმაა. რა თქმა უნდა, გეგმის ავტორები საპატრიარქოს უნდა დაეკითხონ. მაგრამ ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ინვესტიციების გარეშე, მცხეთის აღორძინება ვერ მოხერხდება. მივესალმები, თუ პატარკაციშვილიც ჩადებს აქ ფულს. უცხოურ კაპიტალსაც მივესალმები. რაც უფრო მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნება — მით უკეთესი. პოლიტიკურ მოკავშირეებს მოვუწოდებ, ასეთ ინიციატივებს მეტი გულისყურით მოეკიდონ.

■

სადილი ყველას

3 მარტს, დედის დღეს, 12-დან 17 საათამდე, „კათარზისი“ კვლავ უმასპინძლებს ყველას, ვისაც სურვილი აქვს, ადგილზე გემრიელად დაპურდეს.

ამჯერად თქვენი მასპინძელი იქნება „დემოკრატიული აღორძინების კავშირი“, თბილისის ორგანიზაცია.

დარეკეთ 11-დან 17 სთ-მდე: 95-16-46. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №121.

„შევარდნაძის გარშემო მყარი დაჯგუფება არ არსებობს“

— ბოლო დროს განვითარებული მოვლენები მიმართული იყო იქითკენ, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე კიდევ ერთხელ დაეჭვებულიყო თავისი გარემოცვის ერთგულებაში. ახლა, როცა ვნებათაღელვა ოდნავ ჩაცხრა, რა კომენტარს გააკეთებთ ყოველივე ამაზე?

***გია ნოდია**, პოლიტოლოგი:*

— ხელისუფლების კულუარებში ვნებათაღელვა და შფოთვა ჯერ კიდევ არ ჩაწყნარებულა. ხელისუფლებაში, მაღალი თანამდებობის პირებს შორის არსებობს სერიოზული დაპირისპირება და ერთმანეთის მიმართ გაჩენილი ეჭვი, რაც „წყალქვეშა დინებებისა“ და ინტრიგების საფუძველია. შევარდნაძე მიდის და ახლა ის დროა, როცა ყველა, თავისთვის ანგარიშობს, რა ადგილი უნდა ჰქონდეს მას პოლიტიკაში პრეზიდენტის წასვლის შემდეგ. მე, როგორც ექსპერტს, მიმაჩნია, რომ შევარდნაძის გარშემო მყარი დაჯგუფება არ არსებობს. ასევე არ არსებობს პიროვნება, რომელიც პრეზიდენტის აბსოლუტური ნდობის მანდატით იქნებოდა აღჭურვილი. შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიდან კახა თარგამაძის წასვლის შემდეგ დარჩენილი ვაკუუმი ჯერაც არ არის შევსებული. თუმცა, არიან პოლიტიკოსები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მათ არ გაწირავენ. მათ შორის არის ავთანდილ ჯორბენაძეც. ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჯორბენაძე ამ ეტაპზე, პრეზიდენტს აუჯანყდეს. ჩემი აზრით, ხმები მისი ანტიშევარდნაძისტული კამპანიის შესახებ, რეალობას არ შეესაბამება. შევარდნაძის „შვილობილები“ ერთმანეთს ღიად უპირისპირდებიან და ცდილობენ, პრეზიდენტი კონკურენტის არასანდოობაში დაარწმუნონ. შევარდნაძემ ძალიან კარგად იცის, რომ პოლიტიკაში ერთგულებაზე მსჯელობა პირობითია. მონარქიაში შვილები მამებს წირავენ და რა მოხდება, რომ პოლიტიკურმა შვილებმა პოლიტიკური მამები გაწირონ?! ამდენად, ვერც მე გამოვრიცხავ, რომ პრეზიდენტის „შვილობილებს“ მართლა ჰქონდეთ პოლიტიკური მამის გაწირვის გეგმა. ამ ეტაპზე, ის, რაც მოხდა, წინასწარი პროგნოზისთვის არ არის საკმარისი. დღეს ძნელი სათქმელია, ბოლოს, ვინ ვისი ერთგული აღმოჩნდება. შეიძლება, ყველას შევარდნაძემ დაასწროს და იმაზე ადრე მოიცილოს გვერდიდან „უძღები შვილები“, სანამ ისინი უშუალოდ მის წინააღმდეგ დახლართავენ ინტრიგების ქსელს. თუ „მსხვერპლშეწირვა“ იქნება აუცილებელი, შევარდნაძე ამას გააკეთებს ისევე ტექნიკურად, როგორც ეს მრავალგზის გაუკეთებია... შევარდნაძის გარემოცვაში არც არჩევნებისადმი არიან ოპტიმისტურად განწყობილნი. აშკარაა დესტაბილიზაციის საფრთხე, რომლის თავიდან აცილების იმედი შევარდნაძეს არა აქვს. ყოველივე აქედან გამომდინარე, მაქვს საფუძველი გითხრათ, რომ მომავალი არჩევნები არ იქნება არც სამართლიანი და არც მშვიდობიანი. ხელისუფლებისათვის ბრძოლა მწვავე ფაზაში შედის. ■

„მე საკაშვილი 17 მილიონის მითვისების ხელშეწყობაში ვამხილე“

— მიხეილ სააკაშვილსა და ლევან მამალაძეს შორის მთავრობის სხდომაზე დაწყებული ურთიერთდაპირისპირება ახალ ფაზაში შედის. მამალაძე სააკაშვილს ამჯერად, მერიაში „ჰაუპტვახტის“ გახსნაში ადანაშაულებს და სხვა კომპრომატების გამოქვეყნებითაც ემუქრება. რა კომპრომატზეა საუბარი?

***ლევან მამალაძე**, ქვემო ქართლის გუბერნატორი:*

— მე საკაშვილი უკვე ვამხილე 17 მილიონი დოლარის მითვისების ხელშეწყობაში, რომელიც „არსოტრანსმა“ „აზოტის“ მართვის დროს მიითვისა და ეს თანხა დღესაც ვალად ადევს „აზოტს“. სწორედ საკაშვილი მფარველობდა ამ ფირმას, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ეხმარებოდა სასამართლოებზე და „არსოტრანსმა“ მისი უშუალო მფარველობით მიაღწია გამარჯვებას. ახალი კომპრომატი გნებავთ? კი, ბატონო: მისმა ძმამ მილიონი ევრო მიიღო სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით. ის მოსამართლეებს 200 დოლარს ახდევინებდა ე.წ. „გადამზადებაში,“ რომელიც უფასო იყო. საკაშვილმა მაშინ, როდესაც ის იუსტიციის საბჭოს რეფორმას ხელმძღვანელობდა, ძმა დანიშნა მოსამართლეთა გადამზადების უფროსად და გრანტიც გაუკეთა. იმასაც გეტყვით, ახლა რას აკეთებს: 250.000 ლარი გაიღო ოფისის ხარჯებისათვის. მარტო 200-ლარიანი ჭაღი აქვს კაბინეტში დაკიდებული. 3 მილიონი ლარით გაზარდა თავისი აპარატის ხარჯები. მარტო ვიცე-პრემიერის დანიშვნაში 100 ათასი დოლარი აქვს აღებული. მე არ მეშინია იმის, რასაც ვამბობ. აღძრან სისხლის სამართლის საქმე და გამოიძიონ. ახალ, უკვე საქვეყნოდ მინდა განვაცხადო: მას და მის ჯგუფს გაზაფხულზე, სახელმწიფო გადატრიალება აქვთ დაგეგმილი. მე ამის დამტკიცება შემიძლია ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ დარბაზში, ეთერში. ვისთანაც უნდათ, იმასთან ერთად დავსხდეთ და ამ ყველაფერზე საბუთებით ვისაუბროთ. მე მზად ვარ, მაგრამ საკაშვილი ჩემთან შეხვედრას გაურბის, იმიტომ, რომ მშიშარაა. ქვემო ქართლში უნდათ არეულობის დაწყება და იქ თუ მოახერხეს, მერე გაზაფხულისთვის დაგეგმილ გადატრიალებასაც მიხედავენ. ისინი არ არიან ქართული ფუძიდან აღმოცენებული დაჯგუფებები და მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ არაეროვნულ დაჯგუფებებს არ ჩაუვარდეთ ქვეყანა ხელში. ამ ყველაფერს სოროდან მართავს ჟვანია და დღეს ჩემი ამოცანაა, ისიც გამოვიყვანო ამ სოროდან. ■

საპირისპირო სქესის ზეგავლენით, ადამიანი შეიძლება გახდეს მარიონეტი. განსაკუთრებით თვალში საცემია, თუ მარიონეტი, მამაკაცია. ასეთი მამაკაცები საზოგადოების გაკიცხვას იწვევენ... ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლო წლების მანძილზე განიხილავდა აბულაძეების საქმეს. ყოველი პროცესი საშინელი წივილ-კივილითა და ლანძღვა-გინებით იწყებოდა და მთავრდებოდა. 46 წლის ქალს ბრალად ედებოდა ის, რომ მან თვითმკვლელობისკენ უბიძგა თავის საყვარელს, 32 წლის ვახტანგ სამსონიძეს.

მარიონეტი მამაკაცები — რა შეუძლია ქალს

„ადამიანი დამოკიდებულია მრავალ ბუნებრივ გარემოებაზე, მაგრამ გარეგანი აუცილებლობის ტვირთთან შედარებით, გაცილებით მკაცრი და არაბუნებრივია სხვისი ნებისადმი მორჩილება. თუ წინათ თავისუფალი ვიყავი, არაფერი ისე არ დამაღონებს, როგორც იმის მწარე შეგრძნება, რომ ამიერიდან, ჩემი მდგომარეობა დამოკიდებული იქნება არა ჩემს ნებაზე, არამედ სხვის ახირებაზე. დღეს საშინლად ცივა. შემიძლია გარეთ გავიდე ან შინ დავრჩე — როგორც მომეპრანება. სხვა ადამიანის ნება კი დამიწესებს იმას, რაც მას სჭირდება და არა იმას, თუ ამ შემთხვევაში, ყველაზე მეტად რა მესიამოვნება. მე ძილი მინდა, ის კი მალვიძებს... სხვაზე დამოკიდებული ადამიანი აღარ არის ადამიანი, იგი ადამიანის საკუთრებაა და მეტი არაფერი. მონობა ყველაზე დიდი ბოროტებაა ადამიანისთვის. მაგრამ ძალმომრეობით გამოწვეულ მონობაზე უფრო საშიშია მონობა, რომელსაც მიზეზად სიბეცე უდევს. ეს უკანასკნელი ნიშნავს, რომ ვე მონებით ან ნივთებს (კომფორტს, ფუფუნებას), ან იდეებს... ვე მონებით საპირისპირო სქესს“.

იმანუილ კანტი, „დაკვირვებანი მშვენიერისა და დიადის გრძნობაზე“

ლელა ჭანკოტაძე

ადვოკატი **ეკა გიორგაძე**:

— ჩემთან მოვიდნენ დალუპულის მშობლები და საშინელი ამბავი გადმომცეს. ვახტანგ სამსონიძე, მათი ერთადერთი შვილი, ბორჯომიდან თბილისში ჩამოვიდა და პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. მან „იტალიურ“ ეზოში ერთი პატარა ოთახი იქირავა. იქვე ცხოვრობდა ცოლქმარი — ელისო და გურამ აბულაძეები. მათ ორი არასრულწლოვანი შვილი ჰყავდათ. როგორც გარდაცვლილის დედა აცხადებდა, ელისო ვახტანგს სადილს უმზადებდა, ტანსაცმელს ურეცხავდა... ვახტანგს მშობლებისთვის რამდენჯერმე უთქვამს: ეს ქალი მიყვარს და მის გარდა, ცოლად არავის შევირთავო. რა თქმა უნდა, მშობლები და სანათესავო ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ ეს არ მომხდარიყო, მაგრამ წყვილს შორის უთანხმოება ვერ ჩამოაგდეს. ორი წლის შემდეგ, ელისომ ვახტანგი თავის სახლში გადაიყვანა საცხოვრებლად. ქმარი ამ ამბავს ჩვეულებრივად შეხვდა. ექვსი წლის მანძილზე, ერთად ცხოვრობდნენ ქალი, მისი ქმარი და მისი საყვარელი. ქმარი ან ვერ ხვდებოდა, ან არ უნდოდა ოჯახის დანგრევა და ითმენდა. არადა, საკმაოდ მოჩხუბარი და ყალთაბანდი კაცი იყო. ვახტანგის ახლობლები მისგან მალულად მოქმედებდნენ. ეშინოდათ — მეუღლეს სიმართლე რომ შეეტყო, ვახტანგს მოკლავდა... დრო გადიოდა, ვახტანგი ბორჯომში აღარ ჩადიოდა. მშობლები ხვდებოდნენ, რომ შვილს კარგავდნენ. დედამისმა მითხრა: ერთხელ, ქუჩაში შემხვდა და გვერდი ამიარა; ჩვენი დანახვაც აღარ უნდოდა; მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა — როგორმე ის წყეული ქალი ცოლად შეერთოო. მეზობლები მეუბნებოდნენ, რომ ვახტანგი დილით ბაზარში გარბოდა, მერე ელისოს შვილები სკოლიდან მოჰყავდა, გვიან ღამემდე კი, ქუჩაში ბენზინს ყიდდა; აბულაძეების ოჯახს მატერიალურად სწორედ მისი დახმარების წყალობით არ უჭირდაო...

— თავად ელისოს როგორ ახასიათებდნენ?

— მხოლოდ კარგს ამბობდნენ მასზე. რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, სასამართლოზეც მეზობლები მას იცავდნენ, უდანაშაულოაო, — ამტკიცებდნენ. ასევე იცავდა ქმარიც. ჩემი ცოლი ყველაზე ლამაზია და ამიტომ აბრალებენ ასეთ სიბინძურესო, — ამბობდა... დარწმუნებულები ვიყავით, რომ ელისომ ვახტანგს თვითმკვლელობისკენ უბიძგა, მაგრამ ფაქტების უქონლობის გამო სასამართლომ ის უდანაშაულოდ ცნო.

— თვითმკვლელობა რა ვითარებაში მოხდა?

— ჩვეულებრივი, ბანალური ამბავი. ელისომ იეჭვიანა: ვახტანგი ვიღაც გოგონასთან ერთად დაუნახავს რამდენჯერმე. უმადური ხარო, — უთქვამს და სახლიდან გამოუგდია. საბრალო ბიჭი თორმეტწლიანი თანაცხოვრების შემდეგ, ცხადია, იმ ქალს იოლად ვერ დაივიწყებდა. თავის ოთახში ბარგის ჩასაწყობად შევიდა, ყველანი შინ იყვნენ თურმე. რომ დააგვიანა ოთახიდან გამოსვლა, გურამს შეუხედავს. საწყალი, უკვე მკვდარი იყო — რკინის „კარნიზზე“ თოკი ჩამოუბამს და თავი ჩამოუხრჩვია. იქვე იყო რაფა, კედელი, კარადა, თავისუფლად შეეძლო, განზრახვაზე ხელი აეღო მას შემდეგ, რაც თავი ყულფში შეყო, მაგრამ ეს არ გააკეთა. უნდოდა მომკვდარიყო... ვახტანგის მშობლები საშინლად ნანობდნენ, რომ გურამს არ უთხრეს სიმართლე, თუმცა, არც იმაში იყვნენ დარწმუნებულები, რომ გურამი ამ ურთიერთობას წინ აღუდგებოდა...

ფსიქოლოგები მარიონეტი მამაკაცების შესახებ თავისუფლად საუბრობენ, რადგან ეს მოვლენა თურმე იშვიათობას არ წარმოადგენს, პირიქით — დღევანდელი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მარიონეტების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა... ამ თემასთან დაკავშირებით, ქართველი ფსიქოლოგებში პოპულარული

ეკა გიორგაძე

გახდა ერთი ანეკდოტი: ფრანგ მამაკაცს ცოლიც ჰყავს და საყვარელიც, მაგრამ მას საყვარელი უფრო უყვარს, რადგან საფრანგეთში საყვარლის ყოლა ერთგვარ ტრადიციადაა დამკვიდრებული; ინგლისელ კაცს ცოლიც ჰყავს და საყვარელიც, მაგრამ უფრო მეტად ცოლი უყვარს, რადგან ინგლისში ოჯახის კულტია; ქართველ კაცს ცოლიც ჰყავს და საყვარელიც, მაგრამ ყველას, დედა ურჩევნია...

ლია ჟილაშვილი, *ფსიქოლოგი:*

— ეს ანეკდოტი შესანიშნავად გამოხატავს ქართველი კაცის ბუნებას: სამწუხაროდ, ჩვენი ქალები უმეტეს შემთხვევაში, შვილების ცხოვრებით ცხოვრობენ, ქართველი კაცები კი, დიდხანს რჩებიან მშობლებზე მიჯაჭვულნი.

— როგორ დაახასიათებდით მარიონეტ მამაკაცს?

— მარიონეტის ორი ტიპი არსებობს: ერთნი ძალაუფლების მოყვარულები არიან, მეორენი კი — უპასუხისმგებლო ადამიანები, რომლებიც ყოველგვარ მოვალეობას გაურბიან. ძალაუფლების მოყვარული მამაკაცები მხოლოდ საკუთარ თავზე ლაპარაკობენ, ყველა საქმეს სხვას აკეთებინებენ, მაგრამ ირწმუნებიან, რომ თვითონ გააკეთეს — სამაგიეროდ, როცა გაუჭირდებათ, დანაშაულს სხვას აბრალებენ... ასეთი კაცები ცუდი ადამიანები როდი არიან. სიტყვა „მარიონეტიც“ ხომ, თოჯინას ნიშნავს — თოჯინა კი, ყოველთვის საყვარელია... მარიონეტი ხდება, რომ მარიონეტია, მაგრამ სხვის თვალში ის მამაკაცური ღირსებების მქონეა, რადგან აგრესია ყოველთვის იმ ადამიანებზე გადადის, ვინც სხვებს აქცევს მარიონეტებად...

— უფრო ხშირად, ასეთი მამაკაცები ასაკოვან ქალებს ემონებიან, არა?

— ასაკს დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, არის თუ არა ქალი ძალაუფლებისმოყვარე. იყო შემთხვევა, როცა 16 წლის ბიჭი 38 წლის ქალის მარიონეტი გახდა. ეს ურთიერთობა ტრაგიკულად დამთავრდა. ვფიქრობ, ის ყმაწვილი არ იყო გამოსული ბავშვობის ასაკიდან, დიდ ბავშვად დარჩა... მყავს ახლობელი მამაკაცი, რომელიც 40 წლისაა და დღემდე, დედა თრგუნავს — დედიკოს ბიჭია. ის ცხოვრობს ერთადერთი სურვილით — დედა გაახაროს. ცოლიც ძალაუფლებისმოყვარე ჰყავს და ისიც მართავს. ასე რომ, ორი ქალის მარიონეტია...

— „დედის კომპლექსი“ ხელს უწყობს კაცს, რომ იქცეს მარიონეტად?

— ნებისმიერი მამაკაცისთვის, ცხოვრებაში პირველი ქალი, დედაა. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი მამაკაცი ქვეშეცნეულად ეძებს დედის მსგავს ქალს. თუ დედა ძალაუფლებისმოყვარე ქალია, შვილი ცოლადაც ასეთ ქალს შეირთავს. ასეთი ბიჭების დამორჩილება ძალიან იოლია. სხვათა შორის, მათ მოსწონთ კიდეც, როცა ცოლები მკაცრად ეპყრობიან... ასეთი კაცები, სამწუხაროდ, სულ ბავშვები არიან; სანამ დედა ცოცხალი ჰყავთ, ვერ კაცდებიან... განსაკუთრებით მკვეთრად შეინიშნება დარღვევები ისეთ მამაკაცებში, რომლებიც ბავშვობაში დედამ მიატოვა. მათ შეიძლება, ქალებისადმი აგრესიაც კი ჩამოუყალიბდეთ.

— რამდენად ხშირად ინგრევა ისეთი ოჯახები, რომელშიც კაცი მარიონეტია?

— საკმაოდ რთული საკითხია. მარიონეტი მამაკაცი ცოლს ვერ შორდება, რადგან მას ცოლი სჭირდება. მარიონეტ მამაკაცს ისეთი ცოლი ჰყავს, რომელმაც მისი მფარველობა იკისრა. ასეთ შემთხვევაში, უფრო ხშირად, ქალი ინახავს ოჯახს. როცა პირიქით ხდება, უფრო ხშირია კონფლიქტი. თუმცა ბოლოს, ასეთი წყვილები ერთმანეთს ეთვისებიან და ნაკლებად ჩხუბობენ. სხვათა შორის, ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ჩვენი ქალები, როგორც წესი, მარიონეტები არიან. ეს მოსაზრება მცდარია. ქალები იოლად ხდებიან, ვის გვერდით ცხოვრობენ, მაგრამ ოჯახის დანგრევა არ სურთ, ცხოვრების თავიდან დაწყების ეშინიათ.

— როგორი ბავშვი იზრდება ოჯახში, რომელშიც მამაკაცი მარიონეტია?

— რა თქმა უნდა, ბავშვი ითრგუნება, როცა ცოლ-ქმარი ხშირად ჩხუბობს. შეიძლება, ჩხუბი ხშირი მოვლენა არ იყოს და გარეგნულად, ჯანსაღი ატმოსფერო სუფევდეს, მაგრამ თუ მამაკაცი თავის სიმაღლეზე არ დგას, ასეთ ოჯახში გაზრდილი ბავშვი მაინც ვერ აღიზრდება სრულფასოვან ადამიანად, ვაჟი კი, უმეტეს შემთხვევაში, თავადაც მარიონეტი ხდება.

მარიონეტი მამაკაცის თემასთან ხშირი შეხება აქვთ ნათელმხილველებს — ადამიანებს, რომლებმაც სხვათა ინტიმური ცხოვრების ბევრი საიდუმლო იციან.

ნატაშა სკოროსო�ova, *ნათელმხილველი:*

— დაახლოებით თხუთმეტი წლის წინ, ახალგაზრდა სამტრედიელი კაცი მოვიდა ჩემთან. ერთი შეხედვითაც ჩანდა, რომ სერიოზული პრობლემის წინაში იდგა. თავისი გასაჭირი დაწვრილებით მიამბო. ექიმი იყო. კარგი ცოლი ჰყავდა. ბედნიერებით ტკბებოდნენ. სამტრედიაში განაწილებით მუშაობდა, სამი წელი უნდა გაეტარებინა იქ. ერთ დღეს დაინახა — პალატის კართან ვიღაც შავგვრემანი ქალი იდგა და ანთებული თვალებით მისჩერებოდა. მერე გაირკვა, რომ ის ქალი ახალი თანამშრომელი იყო. კოტე ექიმის სიმშვიდეს იმ დღეს მოეღო ბოლო: იმ ქალის თვალები თითქმის ყოველი კუთხიდან უმზერდა... საკუთარ გრძნობებს ვერაფერი მოუხერხა. არაერთხელ, მტკიცედ გადაუწყვეტია, მასზე აღარ ეფიქრა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ორი-სამი კვირის შემდეგ, კაბინეტში შესულმა უცნაური რამ შეამჩნია: მისი ხალათი მთლიანად აჭრელებული იყო რაღაც ლაქებით, რომელსაც ალაგ-ალაგ სიშავე დაჰკრავდა. უნდოდა ეკითხა — ხალათი ვინ დამისვარაო? — მაგრამ ამ დროს, მძიმე ავადმყოფი მოიყვანეს და იძულებული გახდა, მისთვის მიეხედა. საღამო ხანს, საშინელი სისუსტე იგრძნო და შინ წასვლა ვეღარ შეძლო. ცხოვრებაში პირველად, თავის კაბინეტში დაიძინა... მეორე დღეს, კი ცოლს უთხრა: სხვა ქალი მიყვარს, შენი დანახვაც კი აღარ მინდაო... ასე დაინგრა ბედნიერი ოჯახი. მერე ყველაფერი თავდაყირა დადგა: კოტე ექიმს უკვე ოპერაციის გაკეთებაც აღარ შეეძლო — სისხლის ეშინოდა. გახდა, თვალის უპეები ჩაუშავდა, უძილობა დასჩემდა. სამი წლის შემდეგ კი, იმ ქალმა მიატოვა. მანამდე ლიმონივით გამოწურა: უამრავი ვალი ააღებინა, ბინა აყიდვინა, თავისი შვილი უმაღლესში მოაწყობინა. საწყალი კაცი საშინელ დღეში ჩააგდო... გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, საკუთარ ოჯახში დამებრუნებინა. მის ცოლს დავუკავშირდი, ვთხოვე — გაჭირვებაში ჩავარდნილი კაცისთვის დანაშაული ეპატიებინა. მიპასუხა: დაბრუნდეს, ჩვენ მას ყოველთვის მივიღებთო. მაგრამ კოტე ექიმი არ დაბრუნდა, თავისი ოჯახი სძულდა... ახლა ჯანმრთელად არის, თბილისში ცხოვრობს. ექიმობას თავი დაანება. ჯერ აფთიაქი გახსნა, მერე წიგნებით ვაჭრობდა; ახლა, დეზერტირების ბაზარში ბოსტნეულს ყიდის. ცოლი აღარ მოუყვანია, მარტოა. შვილებმა მისი გულის მოგება სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მას ისევ ცეცხლოვანი თვალების მქონე შავთმიანი ექთანი ენატრება...

P.S. მოქმედი პირების გვარ-სახელები ეთიკური მოსაზრების გამო შეცვლილია.

■



იმედა კახიანის ოჯახი ფანასკერტელის ქუჩაზე (ე.წ. ზემო ბახტრიონზე), ოთხოთახიან ბინაში ცხოვრობს. ბინა ნათელია, დიდი ოთახებითა და ძველებური ავეჯით გაწყობილი. კედლებს ფოტოსურათები ამშვენებს, უმეტეს მათგანზე გოგიტაა გამოსახული — იმედა კახიანის პირველი კინოგმირი. განსაკუთრებული ადგილი აქვს მიჩენილი კახიანების მოუშუშებელ იარას — ქალბატონი ფლორასა და ბატონი იმედას გარდაცვლილ ვაჟს — და ბატონი იმედას მშობლებისა და მამიდის ფოტოპორტრეტებს... უზარმაზარი მწვანე ყვავილები, პალმები და გვიმრები სახლში ოაზისის შთაბეჭდილებას ქმნის. ნატვრის ხე, რომელიც ფერადი ქვებითაა მოჭედილი და წითელი ძაფებით გაფორმებული, კახიანების სახლის ყველაზე ორიგინალური ნივთია და საოცარ ემოციებს აღძრავს. შავ როიალს, რომელიც ეკას პირადი საკუთრებაა, იმედა კახიანი თითქმის არ ეკარება, რადგან დაკვრა არ იცის და მხოლოდ კარგი მსმენელია. მას რევაზ ლაღიძისა და ბიძინა კვერნაძის სიმღერები მოსწონს, მაგრამ არც ქალიშვილისა და შვილიშვილის სიმღერები აღიზიანებს.

იმედა კახიანი, ინტიმურიც ნიკზეები და შვილიშვილის სამოსის მიყიდვაც ოცნება

ლელა ჭანკოტაძე

კახიანების ოჯახში დიზაინერის ფუნქციები ქალბატონ ფლორას აკისრია. ის მკაცრია და თუკი ვინმე რომელიმე ნივთს ადგილს შეუცვლის, აუცილებლად ძველ ადგილზე დააბრუნებს. ქალბატონ ფლორას განსაკუთრებით, საჩუქრების მიძღვნა უყვარს. ის თურმე რამდენიმე ჩუსტს იყიდის, მოიტანს და მერე თავის მეუღლეს უხსნის, რომელს რომელ ახლობელს აჩუქებს. აი, ასეთია იმედა კახიანის უღლის გამწევი, ის, ვინც კახიანების ბინაში სრული რეორგანიზაცია მოახდინა და ჯადოსნური სამყარო შექმნა.

იმედა კახიანი:

— ამ ბინაში 22 წელია, რაც ვცხოვრობთ. თავიდან პლეხანოვზე ვცხოვრობდი. მამაჩემი რომ გააციმბირეს, პატარა ვიყავი. გადასახლებიდან რომ დაბრუნდა, ქალაქში კი არა, ქალაქის ტიპის დასახლებაშიც არ ჰქონდა ცხოვრების უფლება. წავიდა სოფელში — სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერში. დედამ იქ სკოლაში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. მე ორი უმცროსი ძმა მყავს. ისინიც სოფელში წავიდნენ. მე თბილისში დავრჩი მამიდასთან ერთად. მამიდა გაუთხოვარი ქალი იყო. ის მზრდიდა, მაგრამ თორმეტი წლის რომ გავხდი, გარდაიცვალა. სულ მარტო დავრჩი. ახლა მიკვირს როგორ დავიწყე მარტოდმარტო ცხოვრება 12 წლის ბავშვმა.

— თქვენი მაშინდელი სახლი გახსოვთ?

— სხვათა შორის, ის სახლი თავიდან დადიანებს ეკუთვნოდათ, მაგრამ მათთვის ჩამოურთმევიათ. პლეხანოვის №34-ში, ძველი თბილისური სახლი იყო. დადიანებს ორი ოთახი მისცეს, დანარჩენებში სომხები, ქართველები და ერთი ებრაელი ოჯახი შესახლდნენ. ჩვენ ერთი ოთახი გვეკუთვნოდა, რომელიც თექვსმეტი კვადრატული მეტრი იყო. საერთო ტუალეტი გვქონდა რამდენიმე ოჯახს და საერთო სამზარეულო. ჩვენს ოთახში დიდი სტალინის სურათი ეკიდა. ძალიან ლამაზი სურათი იყო, მაგრამ ჩემმა ცოლმა გადააგდო. გული მწყდება, რომ არ შევინახეთ. მამიდის გარდაცვალების შემდეგ, მახსოვს, მამამ ჩამომაკითხა. ძალიან ციოდა. ტანსაცმელი არ მქონდა. ძველებური ხის კარადა წავიღეთ ჩვენი ოთახიდან საბურთალოს ბაზარში და გავყიდეთ. მამამ „ტელოგრეიკა“ მიყიდა. ასეთი მაშინ მუშებს ეცვათ. სიხარულით ჩავიცვი. ახლა ისეთ „ტელოგრეიკას“ ვინ იკადრებს?..

— თქვენი ახალი სახლი ცოტა მოშორებულია ცენტრიდან. ალბათ არეულობის წლებში, როცა თბილისში ტრანსპორტი არ იყო, აქ ამოსვლა გიძნელდებოდათ.

— დიახ. ქალები ამის გამო ხშირად გამოთქვამდნენ ხოლმე უკმაყოფილებას. მაგრამ ახლა ტრანსპორტი კარგად მოძრაობს. ფეხით ხშირად ჩავსულვარ მეტრომდე. ამ ზამთარშიც, ლამაზად და ხვავრიელად რომ თოვდა, ფეხით ამოვედი ორჯერ, ღამით. ნასვამი ვიყავი. თოვლიანი თბილისი დიდი ხნის მანძილზე არ მქონდა ნანახი. ღამის სამ საათზე, პეკინის ქუჩიდან ფეხით ამოვედი. საოცარი ჰაერი იყო. მხოლოდ იმის მეშინოდა, ვინმე არ მომპარვოდა და უკნიდან თავში რაიმე არ ჩაერტყა...

— თუ გახსოვთ, როგორი კაბა ეცვა თქვენს მეუღლეს, როცა პირველად ნახეთ?

— ეს ცოტა რთული შეკითხვაა, რადგან სანამ ჩემი მეუღლე გახდებოდა, ხშირად ვხედავდი. პლეხანოვზე ვცხოვრობდით, მე — №34 ნომერში, ის — №80-ში. ერთ-ერთ ლამაზ გოგოდ ითვლებოდა. როცა გოგიტას როლზე დამამტკიცეს, დაიწყო თებროლეს როლის შემსრულებლის ძებნა. კინოსტუდიაში სინჯებზე მოვიდა ფლორაც. იქ გავიცანი. საღამოს კი, ვითომ შემთხვევით, ქუჩაში შევხვდი.

— როგორი გოგონები მოგწონდათ მაშინ, როცა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბიჭი იყავით?

— გემოვნება, ჩემი აზრით, ნიჭიერებასავით არის — ღმერთისგან ბოძებული

განსაკუთრებული ადგილი აქვს მიჩენილი კახიანების მოუშუშებელ იარას — გარდაცვლილ ვაჟს

რამაა, რომელიც ასაკის მატებასთან ერთად, შეიძლება განვითარდეს, დაიხვეწოს და ა.შ. მაგრამ თუ ადამიანს გემოვნება არა აქვს, დრო ვერაფერს მისცემს. ქალის პირველი აღქმა გარეგნობიდან იწყება, მაგრამ უმთავრესია ქალის ხასიათი, განათლება, ნიჭიერება.

— თუ გახსენდებათ, თქვენი შვილების ბავშვობიდან რომელიმე წუთი, იმის მიხედვით, თუ რა ეცვათ?

— ეკას ჩაცმულობა მახსოვს. ის პატარაობიდანვე მღეროდა. სამი წლისა და ექვსი თვის იყო, როცა ოპერის თეატრში იმღერა. იმდენად პატარა გახლდათ, რომ სკამზე დააყენეს. ბალერინას კაბის მსგავსი, თეთრი კაბა ეცვა და დიდი ბაფთა ეკეთა, რის გამოც სულ ჩხუბობდა...

— დედის სახე თუ წამოტივტივდება ხოლმე თქვეს მეხსიერებაში, იმ კაბით, რომელიც მას ხშირად ეცვა?

— დედაჩემი მიქელაძის ქალი იყო, მაგრამ თავის თავადიშვილობას მალავდა. ლამაზი ქალი გახლდათ, გამხდარი, მაღალი და ძალიან მოკრძალებული. ოთხი კლასი სოფელში დავამთავრე. მახსოვს, შავი ჟაკეტი ეცვა ხოლმე, ზემოდან შალი ჰქონდა მოხვეული და სკოლაში მივყავდი. სკოლა ხის პატარა შენობაში იყო. მერხები და სკამები არ გვქონდა. ფეხზე დამდგრები ვმეცადინეობდით... ასეთი დამამახსოვრდა დედა — სწრაფად მოსიარულე, შილიფად ჩაცმული და მუდამ გათოშილი ხელებით... მერე, წლების შემდეგ, თბილისში რომ დავმკვიდრდით მე და ჩემი ძმები, დედაც წამოვიყვანეთ. სულ წუხდა — როგორ გამოვკეტე სახლის კარი და სასაფლაოც მივატოვეო. ეს მისთვის ტრაგედია იყო.

— ბავშვობის მოსაგონებლად, სათამაშოები თუ გაქვთ შენახული?

— დედას ჰქონდა შენახული ჩემი ტანსაცმელი: მოკლე, თეთრი შარვალი, ფეხსაცმელი და ჩემი პირველად მოჭრილი თმა.

— თქვენ თუ შეინახეთ თქვენი შვილების ნივთები?

— ჩემი ვაჟი ცოცხალი აღარ არის. მისი ნიშნების ფურცელი, პირველი ნაწერი და სხვა მრავალი ნივთი შენახული მაქვს. ასევე — ჩემი შვილიშვილების პირველი ნახატები.

— ეკა რომ გაიზარდა, ალბათ ამ სახლში თავისი გემოვნების შესაბამისად ცვლილებების შეტანა დაიწყო.

— ამ სახლში რაც არის, გემოვნებიანია თუ უგემოვნო, ყველაფერი ჩემი მეუღლის გაკეთებულია. ბინის მოწყობის ფუნქცია მთლიანად ფლორას აქვს აღებული. მაგრამ რჩევებს ეკასაც ხშირად ეკითხება. ეს ორი ქალი წყვეტს — რა შეიძინონ, როგორი ფარდა ჩამოკიდონ და ა.შ. მცენარეები, რომლებიც სახლს ამშვენებს, მთლიანად ჩემს მეუღლეს ეკუთვნის. მე მას ვენდობი. ვგრძნობ, რომ ჩემზე კარგი გემოვნება აქვს.

— ნატვრის ხის მოტანა რას უკავშირდება? ვისი იდეა იყო?

— ნატვრის ხე თამარ ფოცხიშვილს ეკუთვნის. ეკამ იცოდა ამ ნატვრის ხის არსებობის შესახებ და მისი ინიციატივა იყო, ჩვენთან რომ დაიდო ბინა. ბავშვებმა მორთეს და სურვილებს ხშირად ჩაუთქვამენ ხოლმე.

— თქვენს სახლში უამრავი სუვენირია. ყველა მათგანის შეძენის ისტორია იცით?

— ჩემი მეუღლე სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტია. ხელფასი აქვს, რომელიც ადრე ჰყოფნიდა. შეეძლო, შესულიყო საკომისიო მაღაზიაში და რაიმე ნივთი ეყიდა. ახლა ხელფასი მხოლოდ გზის ფულად ჰყოფნის. ერთხელ, ეკას გიტარა წაიღო შესაკეთებლად. ხელოსანთან უნახავს ვიოლინო, რომელიც გატეხილი იყო და რესტავრაციას საჭიროებდა. მოვიდა და მითხრა: დამეხმარე და შევიძენო. ეს მშვენიერი ვიოლინო ახლა ამ ოთახს ამშვენებს.

— თარიც თქვენი მეუღლის შეძენილია?

— საათის გასაკეთებლად შესულა. მესაათესთან სხვა ხელოსანიც მჯდარა, რომელიც თურმე თარს აკეთებდა. ცნობილია, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე თარზე საუკეთესო დამკვრელად ითვლებოდა. ჩვენ არ ვუკრავთ, მაგრამ გვიყვარს და მისი ფასი ვიცით.

— სურათები ვისი შეძენილია?

— ეს სურათები უნგრეთში ვიყიდე. მუზეუმში იყიდება ცნობილი ტილოების რეპროდუქციები. ჩარჩოები ფლორამ აქ შეიძინა. როცა მინდოდა, მეუღლისთვის მესიამოვნებინა, ოჯახისთვის რაიმე ნივთი უნდა შემეძინა. ხშირად უთქვამს: სადმე რომ ხარ წასული, ხელცარიელი არ ჩამოხვიდე; კენჭიც რომ იყოს, რომელიც კი არ იყიდე — უბრალოდ, ქუჩაში იპოვე, მაგრამ მოგეწონა — აიღე და ჩამომიტანეო.

ეკა:

— ბავშვობიდან, მთელი მსოფლიო მაქვს შემოვლილი. დედაჩემი სულ მეუბნება: ოჯახისთვის რაიმე ნივთი ჩამოიტანე, თუნდაც სულ პატარა — მთავარია, ამ ნივთმა ის ქვეყანა გაგახსენოს, რომელშიც იმოგზაურეო. მაგრამ ჩაცმა ისე მიყვარს, რომ თავიდან, ყოველთვის ტანსაცმელს ვყიდულობ ხოლმე. ფული რომ შემომელევა, მაშინ გამახსენდება ხოლმე დედის დანაბარები.

— თუ გახსოვთ საჩუქარი, რომელიც თქვენი ოჯახის წევრებს უსახსოვრეთ და ის თქვენც ძალიან მოგეწონათ?

იმედა:

— მახსოვს, ჩეხოსლოვაკიაში ყელსაბამი, სამაჯური და საყურე ვუყიდე ფლორას. მეც მომწონდა და ფლორაც ძალიან კმაყოფილი დარჩა.

ეკა:

— ძალიან რთულია, ისეთი რამ იყიდო, რომ დედას ასიამოვნო. ამიტომ ვეუბნები ხოლმე: რაც მინდა, შენი გემოვნებით აარჩიე-მეთქი, — და ფულს ვაძლევ.

— თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა რაიმე ნივთი მაინც გიყიდიათ, მიუხედავად იმისა, ოჯახის მთავარ დიასახლისს მოსწონდა თუ არა?

იმედა:

— მე და ჩემი მეუღლე ვილნიუსში ვიყავით. მაღაზიაში აღმოვაჩინე ეს საათი. XVIII საუკუნის ფრანგული საათია. ფლორას არ მოეწონა: რად გვინდა? — მაინც არ იმუშავებსო. მაგრამ მე არ დავიშალე; ხელში მეჭირა მთელი გზა, ისე ჩამოვიტანე. ერთხელ, სტამბოლში ვიყავით. იმდენი ფული გადაგვიხურდავეს, ერთი სადილის გარდა, არაფერში რომ არ გვეყოფოდა. ფლორამ არც სადილი მაჭამა და არც ჩაი დამალევინა — შევიდა მაღაზიაში და ძალიან პატარა ჭიქა იყიდა, რომელიც ახლა ძალიან მიყვარს... მამაჩემს არაფერი დაუტოვებია ჩემთვის,

ძალიან რთულია, ისეთი რამ იყიდო, რომ დედას ასიამოვნო

რადგან თავადაც არ ჰქონდა. სულ ასე, სათითაოდ შევაგროვეთ ეს ნივთები. თითოეული, ჩემი ცხოვრების ნაწილია.

— ბავშვებს თუ ეთამაშებით ხოლმე? ამ სათამაშოებთან თუ გაქვთ შეხება?

— თამაშს არა უშავს, მაგრამ ანასტასია იყო უცნაური ბავშვი: შემიჩნდებოდა ხოლმე — მანიკიური უნდა წაგისვაო. — არ შეიძლება-მეთქი, — ვეტყოდი, მაგრამ ატეხდა კივილს. ერთხელ, სოფელში ვიყავით. შემომიჩნდა — მანიკიური უნდა გაგიკეთოო. რომ ვერ გავაჩერე, ვუთხარი: კარგი, მაშინ ფეხებზე წამისვი-მეთქი. წამისვა წითელი ფერის მანიკიური. გავიდა დრო. გამოვედი ეზოში ფლოსტებით; დავდექი მეზობლებთან და შევამჩნიე, რომ ქალები ჩემზე იცინიან. დავიხედე ფეხებზე და დავინახე ხასხასა, წითელი მანიკიური.

— თუ გახსოვთ ისეთი შემთხვევა, როცა შვილიშვილებმა გემოვნება დაგიწუნეს?

— ასეთი რამ ხშირად ხდება. მსაყვედურობენ ხოლმე: რა არის, ბაბუა, რა გაცვია? ზამთარში მიყიდეს ფეხსაცმელი და მომიტანეს. მითხრეს: ეს უნდა ჩაიცვაო. მე სხვანაირები მინდოდა, მაგრამ მეტი რა გზა მქონდა? — კი, ბატონო-მეთქი, ვუთხარი.

— ეკა, ეს სახლი თქვენს გემოვნებას თუ აკმაყოფილებს?

— მე ჩემი ოთახი მაქვს და იმის სრული უფლებაც, იქ, რაც მინდა, ის გავაკეთო. ნივთებს თუ დააკვირდებით, ყველაფერი ძველებურია, ანტიკვარულია. გაზაფხულზე ჩემს ბინაში გადავალ, სადაც თანამედროვე დიზაინია. იქ დისკომფორტს არაფერი მიქმნის. მომწყინდა ანტიკვარიატის ყურება, მათ სიძველის სუნი ასდით.

— ეს როიალი ალბათ თქვენია; რომ წახვალთ, წაიღებთ?

— მამამ მიყიდა, მუსიკალურ ათწლედში რომ ვსწავლობდი. მაგრამ წაღებას არ ვაპირებ: ნინის აქ ვტოვებ, როიალსაც მას დავუტოვებ.

— ნინი უკვე ისეთ ასაკშია, როცა შეიძლება, მალე ოჯახს თავისი საქმრო წარუდგინოს. სიძედ როგორ მამაკაცს ვერ აიტანდით?

იმედა:

— უზრდელს ვერ ავიტან. როცა ეკა თხოვდებოდა, მითხრა: ერთი კაცი მომწონს და გათხოვებას ვაპირებო. — კარგი საქმეა, მაგრამ როგორი კაცია? — ვკითხე, — ბიჭებში, მეგობრებში თუ მოსწონთ-მეთქი? — კიო, — მიპასუხა. — თამადობა თუ იცის-მეთქი? — დიახო, — მიპასუხა. — მაშინ კარგი ყოფილა-მეთქი, — ვუთხარი. მერე მისაყვედურეს — ეგრე არ უნდა გეთქვაო... მე ვფიქრობ, რომ სწორად მოვიქეცი. ეკა არ იყო პატარა: 20-21 წლის ქალმა უნდა გაარჩიოს ცუდი და კარგი.

ეკა:

— მინდა, ნინის ისეთი ადამიანი შეხვდეს, რომელიც არც სიმღერას აუკრძალავს და არც მსახიობობას. ძალიან დიდ პატივს ვცემ ნიჭს. ნიჭიერ ადამიანს შეიძლება, ბევრი რამ ვაპატიო. ძალიან გამიხარდება, თუ ნინის მეუღლე განსაკუთრებული ნიჭით იქნება დაჯილდოებული. რაც შეეხება გარეგნულ მხარეს — ალბათ ნინის არ მოეწონება ისეთი ადამიანი, რომელიც თავისი გარეგნობით შოკში ჩამაგდებს. ძალიან გამიჭირდება უშნო ტიპაჟთან შეგუება, რადგან მიჩვეული ვარ, გარშემო სულ ლამაზი ადამიანები მყავდნენ. ჩემი ოჯახის წევრებიც ლამაზები არიან და მეგობრებიც. ხშირად მესმოდა, რომ პლეხანოველ გოგონებს შორის დედა ულამაზესი იყო, მამა კი — მთელ თბილისში ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ბიჭად ითვლებოდა. ასე რომ, უშნო სიძეს ვერ შევეგუები.

— ახლა სერიალზეც — „ძილის წინ“ — მითხარით ორიოდე სიტყვა: თქვენს გემოვნებას თუ აკმაყოფილებს?

იმედა:

— ახალი პავილიონი კეთდება, გადაღებები „აუდიენციაში“ იქნება. ასე რომ, ის დრო, როცა იატაკზე ტაშტები ეწყო, რადგან ჭერიდან წყალი ჩამოდიოდა, დამთავრდა... ვფიქრობ, რომ სცენარი უნდა დაიწეროს და ყველაფერი მსახიობების ხარჯზე არ უნდა კეთდებოდეს. თავი არ უნდა მოაბრუნო, არ უნდა გაინძრე, რადგან ტექნიკა ძველია და ადვილად ზიანდება. ეს სერიალი შეიძლება, კარგად გაკეთდეს. მით უმეტეს, რომ კარგი თემაა: ერთ ოჯახში სამი თაობა ცხოვრობს; ცხადია, იქ პრობლემაც ბევრია. შესანიშნავი მსახიობები თამაშობენ — სერიალს ძირითადად, ეს ალამაზებს.

ეკა:

— რა თქმა უნდა, ჩემს გემოვნებას ვერ დააკმაყოფილებს, რადგან ის გასართობი შოუპროგრამაა. მაგრამ ამ სერიალმა ძალიან დიდი პოპულარობა მომიტანა. მიხეილ თუმანიშვილის თეატრში ვმუშაობ. ჩემი სასცენო როლები ხალხის ძალიან მცირე ნაწილმა იცის, ლელა დეკანოსიძეს კი, ყველა იცნობს... თუმცა სურვილი მაქვს, რაღაც ახალი და საინტერესო გავაკეთო.

— ნინი უკვე დიდია. თქვენ განსხვავებული გემოვნება გაქვთ?

— უფრო ხშირად, ჩვენი გემოვნება ემთხვევა. თუმცა რჩევებს ერთმანეთს მაინც ვეკითხებით. ზოგჯერ ერთურთის ტანსაცმელსაც ვიცვამთ, რადგან ერთნაირი ზომები გვქვს. მაგრამ ტინეიჯერულ რაღაცებს მე არ ვიცვამ, ნინი კი — პიჯაკებს... ერთნაირი მუსიკალური გემოვნება გვაქვს. ჩემზე უკეთ არავინ იცის, რა უნდა იმღეროს ნინიმ. ამიტომ, როცა ჩაწერა აქვს, ყოველთვის მივყვები ხოლმე. ისიც ყოველთვის დამყვება.

— თქვენი ოჯახის ქალებს თუ აქვთ ისეთი ტანსაცმელი, რომელიც თქვენ გაღიზიანებთ?

იმედა:

— გამომწვევად და ვულგარულად არ იცვამენ, მაგრამ არ მომწონს, ჭიპი რომ უჩანთ. ნინის ვეუბნები ხოლმე: ბაბუ, გაცივდები, კაბის შიგნიდან მაიკა ჩაიცვიმეთქი... ყოველთვის ვამჩნევ, როცა მაკიაჟს იკეთებენ, ან თმას იღებავენ. ცოტა აზიატობა ალბათ ჩემშიც არის. ახლა ჩემი ცოლი შარვალს იცვამს და ეს არ მომწონს. თუმცა ვიცი, რომ ზამთარში მოსახერხებელია. შარვლის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ჩემთვის არ არსებობს ქალი, რომელსაც შარვალი უფრო უხდებოდეს, ვიდრე — კაბა.

— თქვენი შვილისა და შვილიშვილის სიმღერები თუ მოგწონთ?

— მე დაკვრა არ ვიცი. ინსტრუმენტებს ახლოსაც არ ვეკარები. მაგრამ მიყვარს, როცა ნინი და ეკა უკრავენ. თუმცა დაკვრით თავს დიდად არ იწუხებენ. რომ გითხრათ, მოხიბლული ვარ თანამედროვე სიმღერებით-მეთქი, არ იქნება მართალი. მაგრამ ეკას და ნინის ჯერ ისეთი არაფერი უმღერიათ, რომ ძალიან გამაღიზიანოს. ■



იმედა კახიანი ქალიშვილთან და შვილიშვილებთან ერთად

სულსწრაფ და მოუხერხებელ ლილიკო ნემსაძეს საქმის ბოლომდე მიყვანა არ შეხერხებია...

ლილიკო ნემსაძე ბევრი ლამაზი სიმღერის ავტორია, „ფიქრებში მეორდები“, „შენამდე მოვედი“, „სიმღერას ვბედავდი“, „იდუმალი ღამე“ ბევრი ადამიანისთვის საყვარელ და დაუვიწყარ სიმღერებად იქცა. პროდუქტიული, ნიჭიერი და თავმდაბალი კომპოზიტორი რუსიკო ბახტაძის რძალია (ძმის ცოლი), მათ ოჯახში გაუთავებლად ისმის ფორტეპიანოს ხმა.

ლიანა ჭანკოტაძე

— როდის დაიწყო შენი კავშირი მუსიკასთან?

— მუსიკალურ ოჯახში გავიზარდე, სადაც ყველანი მღეროდნენ. დედა ბავშვებს გამუდმებით ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლიდა. მამა ფიზიკოსია, თან პროფესიონალი მუსიკოსი. ის ყოველთვის მასწავლიდა ნეაპოლიტანურ და ქართულ-ხალხურ სიმღერებს. ნეაპოლიტანურ სიმღერებში კარგი მელოდიაა, ხალხურ სიმღერებში კი, ჩვენი ეროვნული ფესვები დევს. ასე რომ, მე ვფიქრობ ბავშვობიდან, სწორი მუსიკალური განათლება მივიღე.

— ალბათ მუსიკალურ სასწავლებელშიც სწავლობდი?

— რა თქმა უნდა. მაგრამ ჰუმანიტარული საგნები მიყვარდა, კარგადაც ვსწავლობდი. ნოტების კითხვა არ ვიცოდი, ამიტომ ნაწარმოებს ზეპირად ვაწყობდი. ჯერ დედას დავაკვრევინებდი, შემდეგ სმენით იმავე მელოდიას ავაწყობდი. მაგრამ მუსიკამ თავისი მაგიური გავლენა მოახდინა ჩემზე. უცბად შევიცვალე გადაწყვეტილება და კონსერვატორიაში სწავლის გაგრძელება მოვინდომე. მაშინ ცხრა გამოცდა ბარდებოდა. საკუთარ თავს ვუთხარი: თუ დავძლევ საგამოცდო პროგრამას, ხომ კარგი, თუ არა და, კონსერვატორია ჩემი ბედი არ ყოფილა-მეთქი. გამოცდები წარმატებთ ჩავაბარე. საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე ჩავირიცხე.

— პირველი სიმღერა როდის დაწერე?

— პირველი სიმღერა არ მიყვარს. ჩემთვის ის განსაკუთრებული არ არის. უბრალოდ, ამ სიმღერით დავიწყე საოჯახო კვარტეტისთვის სიმღერების წერა. ბავშვობიდან მე და ჩემი და ვმღეროდით. შემდეგ ჩემი ბიძაშვილებიც შემოგვიერთდნენ. ძირითადად, ჩემს სიმღერებს ვასრულებდით. მერე ისე გავთამამდით, რომ საკუთარ სიმღერებს უკვე კონსერვატორიის მეგობრებთან ერთად ვმღეროდი. სიმღერები დამიგროვდა. მე ბუნებით თამამი არ ვარ, ამიტომ ჩემმა ახლობლებმა იაქტიურეს. მათ მირჩიეს, რომელი სიმღერა რომელ მომღერალს მოუხდებოდა.

— პირველი ვინ იყო, ვინც შენი სიმღერა შეასრულა?

— პირველი სიმღერა გოგი დოლიძეს მივეცი. აფხაზეთის ომში ჩემი მეგობარი დაიღუპა. ის 22 წლის იყო. გამწარებულ გულზე დავურეკე ეკა ბაქრაძეს, ვთხოვე: ლექსი დამიწერე-მეთქი. ნახევარ დღეში დავწერე მუსიკაც. ეს სიმღერა გოგიმ არაჩვეულებრივად შეასრულა.

— პოპულარობა რომელმა სიმღერამ ან მომღერალმა მოგიტანა?

— არ ყოფილა შემთხვევა, რომ მომღერალს ჩემი სიმღერა ერთხელ შეესრულებინოს და მერე ეს სიმღერა დაკარგულიყოს. თუმცა, იყო შემთხვევა, როცა საბოლოო სახე, რომელიც ჩემმა სიმღერამ მიიღო, არ მომეწონა...

— ყველაზე მეტი სიამოვნება რომელმა სიმღერამ მოგიტანა?

— განსაკუთრებით დამამახსოვრდა— „შენ წახვედი“, რომელიც დათო თამაზაშვილმა შეასრულა. როცა დაბალანსებული სიმღერა მოვისმინე, განსხვავებული შეგრძნება დამეუფლა. რას წარმოიდგენდი, რომ ეს სიმღერა შოუდან „იმღერე რამე“ გამომაგდებდა? არადა, მახსოვდა ამ სიმღერის შექმნის ყოველი წუთი — დაწყებული ჩაწერის წუთიდან, დამთავრებული მომღერლის განცდებით. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ მგონია, რომ სიმღერის მელოდია სხვანაირად, სხვა ინტერპრეტაციით იყო დაკრული და ამიტომ ვერ ვიცანი. ტელევიზიიდან რომ გამოვედი, გაცეცხლებული ვიყავი...

— ერთ-ერთ ყველაზე პროდუქტიულ კომპოზიტორად ითვლები. თუ ხდება ისე, რომ ფული გჭირდება და ამიტომ წერ სიმღერას?

— არის შემთხვევები, თუმცა კომპოზიტორი ამაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. ყველაფერი ფულამდე არ უნდა დავიდეს და ამით არ უნდა განისაზღვროს, მით უმეტეს ხელოვნებაში.

— ვინმესთვის სიმღერა უსასყიდლოდ მიგიცია?

— რა თქმა უნდა. ბევრი მომღერლისთვის მიჩუქნია სიმღერა. ამას მთელი გულითა და სულით ვაკეთებ. თუ ვიცი, რომ მას სიმღერის ყიდვა არ შეუ-

რეჟისორ ზაზა ორაშვილთან ერთად

ძლია, რა თქმა უნდა, უსასყიდლოდ მივცემ. ეს დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

— კრიტიკას როგორ ხვდები?

— დიდი მადლობა ქალბატონ მარიკა კვალიაშვილს იმ სიტყვებისა და სითბოსთვის, რაც მისგან მიგრძნია და რაც მას ჩემ შესახებ სხვებისთვის უთქვამს. მაგრამ ძველი თაობის კომპოზიტორთა უმეტესობა, ჩვენზე — ახალგაზრდა კომპოზიტორებზე ცუდს ლაპარაკობს. კრიტიკაზე იოლი არაფერია. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ყველაფერი დაიწუნოს, თუკი დასაბუთებას არ მოსთხოვენ — თუ რატომ დაიწუნა. ასე არ შეიძლება. ისინი წინა თაობის კომპოზიტორები არიან. მათ თავიანთი მსმენელი ჰყავდათ და ისეთივე გულისტკენა ექნებოდათ თავის დროზე, როგორიც ჩვენ გვაქვს. დრო გადაწყვეტს, ვისი სიმღერები დარჩება და ვისი — არა. არ მიყვარს კონფლიქტი. კონფლიქტურ სიტუაციას გავურბივარ, ვინმეს ამოვეფარები, ვიმალები... გამორიცხულია, რომ ვინმეს ჩემგან რაიმე ეწყინოს. ამიტომ სხვისგანაც მტკივნეულად აღვიქვამ დაუმსახურებელ კრიტიკას.

— თვითკრიტიკული თუ ხარ?

— მე ქება და კარგის გაგონება კი არ მინდა, პირიქით: მირჩევნია, ვიღაცამ გამაკრიტიკოს და რაღაც შემისწოროს, ოღონდ — დამსახურებული შენიშვნა მომცეს. ხელოვანს არ უნდა მოსწონდეს თავისი ნამუშევარი. უნდა იფიქროს: მეორეს რომ გავაკეთებ, იქნებ ის უკეთესი იყოსო. მირჩევნია, საკუთარ ნაწარმოებში შეცდომა თავადვე ვიპოვო და ჩემი სიმღერების ნაკლიც დავინახო.

— რუსიკო თუ არის ხოლმე კრიტიკული შენი შემოქმედების მიმართ?

— არც რუსიკოს უყვარს შექება. ისიც ჩემნაირი ადამიანია. ჩვენ იმდენი ხნის მეგობრები ვართ, რომ ერთმანეთს უსიტყვოდ ვუგებთ. ბავშვობიდანვე, მშობლების ქებით განებივრებული არ ვიყავი. არც მაშინ, როცა „ხუთიანს“ მივიღებდი, არ მეუბნებოდნენ: რა კარგი გოგო ხარო და არც ახლა მეუბნებიან: რა კარგი სიმღერა დაგიწერიაო. იგივე შემიძლია ვთქვა რუსიკოზეც.

— ძველი თაობის კომპოზიტორებს შორის, შენ თუ გყავს საყვარელი კომპოზიტორი?

— დიდი სიამოვნებით ვისმენ მარიკა კვალიაშვილის რომანსებს. ის არაჩვეულებრივი ქალბატონია. რა თქმა უნდა, მიყვარს სოსო კეჭაყმაძე, ბიძინა კვერნაძე, გია ყანჩელი, ნოდარ მამისაშვილი, რევაზ ლაღიძე. ლაღიძის სიმღერებს საოცარი ემოცია მოაქვს. ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებს „ცისფერი ტრიო“. ზოგიერთი თანამედროვე, უგემოვნო სიმღერისგან ყური რომ დაიღლება, ძველი სიმღერები, განსაკუთრებით მაშინ არის სასიამოვნო...

— შენი მეუღლეც მუსიკოსია?

— არა, ინჟინერია. მაგრამ ახლა, რატომღაც მუსიკით დაინტერესდა. იყო დრო, როცა საერთოდ არ უსმენდა და არ უყურებდა მუსიკალურ გადაცემებს. ახლა თვალყურს ადევნებს და რჩევებსაც მაძლევს. სხვათა შორის, გამორჩეული, კარგი გემოვნება აქვს.

— თქვენს შვილებს თუ აქვთ მუსიკალური ნიჭი?

— ანი ხუთი წლის არის, რუსუდანი — წლინახევრის. ეტყობათ, რომ მუსიკალური ბავშვები არიან. გასაკვირი არცაა. ჩვენს ოჯახში დილიდან ღამემდე ფორტეპიანო არ ჩერდება. ხშირად მეუბნებინ, რომ ანას ძალიან კარგი სმენა აქვს, კარგადაც მღერისო. საახალწლოდ, „ბასტი-ბუბუდან“ დამირეკეს, მთხოვეს, ანასთვის სიმღერა დამეწერა. ერთ დღეში დავუწერე. მეორე დღეს ფონოგრამა მზად იყო, მესამე დღეს ჩავწერეთ. ტექსტს გზაში ვასწავლიდი, რადგან 15 წუთზე მეტი ვერ გამოვნახე, რომ მისთვის სიმღერა მესწავლებინა. მაინც კარგად ჩაწერა.

— როგორი ხარ ბუნებით? შენი ხასიათის რამდენიმე თვისება გამიმხილე?

— უნებისყოფო ვარ. საქმეს რომ დავიწყებ, ბოლომდე ვერ მიმყავს. გუშინ მოვინდომე, რომ ხილის ასორტი გამეკეთებინა. ჩემმა მეგობარმა იცის, რომ ძალიან მიყვარს და როცა მივდივარ, მახვედრებს ხოლმე. ხილს საოცრად სიმეტრიულად ჭრის. გადავწყვიტე, მეც ისევე დამეჭრა. ჯერ, სანამ გავთალე, შემომეჭამა. ვერც წვრილად დაჭრა მოვახერხე... ასეთი ვარ. როცა კომბოსტოს ვჭრი, ხომ ვიცი — წვრილად და თანაბრად უნდა დავჭრა, მაგრამ ვერ ვახერხებ. ბოლოს, ვგლეჯ ხოლმე... ძალიან სულსწრაფი ვარ და მინდა, ყველაფერი სწრაფად გავაკეთო. ბავშვებთან თამაშს თუ დავიწყებ, ერთ საათზე მეტხანს ვერ ვახერხებ. თან ბოლოს, თამაში იმით მთავრდება ხოლმე, რომ ყველაფერი ძირს ყრია. ერთხელ, ჩემს დისშვილს ვაძინებდი. მთხოვა, — ზღაპარი მომიყევიო. რა თქმა უნდა, ვერ მოვუყევი, რადგან არ ვიცი. რამდენიმე წუთის შემდეგ, ბავშვი ადგა, ოთახიდან გავიდა და ჩემს დას უთხრა: დედა, დედა, ლილიკო დავაძინეო.... ■

ხშირად მეუბნებინ, რომ ანას ძალიან კარგი სმენა აქვს, კარგადაც მღერისო

პოლიციელის მკვლელობაში ორი არასრულწოვანი მონაწილეობდა

განსასჯელები ამ ბრალდებას უარყოფენ, დაზარალებულები კი, ერთ-ერთი მათგანის დის დასჯასაც მოითხოვენ

მეგი ცანავა

1979 წელს დაბადებულ გოჩა გოგიჩაიშვილსა და მის ორ მეგობარს — ვახტანგ ჭანტურიასა და იმედა ჟორდანიას პოლიციელის მკვლელობაში თანამონაწილეობისთვის ასამართლებენ. მოკლული, 33 წლის ალიკა (ალექსანდრე) მამარდაშვილი გახლავთ. პროკურატურის ინფორმაციით, ის 2002 წლის 9 აპრილს „თბილისი-ბათუმის“ რეისის მატარებელში მგზავრების დასაყაჩაღებლად შესულმა ახალგაზრდებმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. განსასჯელები ბრალდებას უარყოფენ და თავს დამნაშავეებად არ ცნობენ, მაგრამ პროკურატურა კატეგორიულად აცხადებს, რომ ბოროტმოქმედები სწორედ ისინი არიან. სამართალდამცავთა თქმით, ბრალდებულებთან ერთად დანაშაულის ჩადენისას, მათი თანატოლი — ნუგზარ მურვანიძეც იყო. ალიკა მამარდაშვილის დამამძიმებელ გარემოებებში — განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობა სწორედ მას ედება ბრალად. სამართალდამცავები ამბობენ, რომ ნუგზარ მურვანიძე დაკავებისას მათ არ დაემორჩილა, წინააღმდეგობის გაწევისას მან ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენა, რის გამოც პოლიციელებმა მისი ადგილზე ლიკვიდირება მოახდინეს.

მურვანიძე ადრე, ქურდობისა და ყაჩაღობისთვის იყო ნასამართლევი. პატიმრობაში მყოფი, კოლონიის ღობეს გადაახტა და გაიქცა. მაშინ, როცა „თბილისი-ბათუმის“ მატარებელში დანაშაული მოხდა, ის ძებნილი იყო, თუმცა, როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, ლანჩხუთის რაიონში, თავის საცხოვრებელ სახლში ჩვეულებრივად ცხოვრობდა. რაც შეეხება ვახტანგ ჭანტურიასა და იმედა ჟორდანიას – მამარდაშვილის მკვლელობის დროს, ისინი არასრულწლოვნები იყვნენ. ჭანტურია და ჟორდანია, ისევე, როგორც გოგიჩაიშვილი, ადრე ნასამართლევნი არ ყოფილან. პროკურატურა მათ, მკვლელობის თანამონაწილეობის გარდა, ყაჩაღური თავდასხმის მომზადებაში, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენაში, შენახვასა და ტარებაში და პოლიციელის მიმართ წინააღმდეგობის გაწევაშიც ადანაშაულებს.

განსასჯელები ლანჩუხთის რაიონის მცხოვრებნი არიან. გამოძიების მასალების თანახმად, დანაშაული ლანჩხუთიდან სუფსისკენ მიმავალ გზაზე მოხდა. იმ დღეს, ზემოთ ხსენებულ ახალგაზრდებთან ერთად, ორი გოგონაც – მურვანიძის და, ეკა და მურვანიძის საცოლე, ლალი ღლონტი ყოფილან. ბრალდების მიხედვით, მურვანიძე, ჭანტურია, ჟორდანია და გოგიჩაიშვილი მანამდე, ერთმანეთს დაუკავშირდნენ და მატარებლის გამცილებლის დაყაჩაღება და ამით ფულის შოვნა გადაწყვიტეს. ცეცხლსასროლი იარაღი – გადაჭრილი თოფები და ასევე, ხელყუმბარაც წინასწარ, მურვანიძის საცხოვრებელ სახლში ყოფნისას მოამზადეს, შავ ჩანთაში ჩააწყვეს და მატარებლის დასახვედრად წავიდნენ.

აღსანიშნავია, რომ იმავე საღამოს, ყველა ერთად, ნუგზარ მურვანიძის გარდაცვლილი ბიძის ორმოცზე წავიდნენ. თუმცა, როცა დანიშნულების ადგილას მივიდნენ, უკვე ღამის 11 საათი იყო და ორმოცის სუფრაც, თავისთავად, დასრულებული დახვდათ. მიუხედავად ამისა, მაინც დალიეს, ცოტა ხანში იქიდან წავიდნენ და შინ დასაბრუნებლად, „თბილისი-ბათუმის“ მატარებელს დაელოდნენ. ბიჭები მე-9 და მე-8 ვაგონებს შორის გასასვლელში გაჩერდნენ, გოგონები კი, მე-8 ვაგონის კუპეში შევიდნენ.

ვაგონების შესამოწმებლად გამოსულმა, პოლიციის თანამშრომლებმა ახალგაზრდებს იარაღი და ვაზნები უპოვეს. მურვანიძემ და მისმა მეგობრებმაც, სამართალდამცავთაგან თავის დასახსნელად, თოფებიდან სროლა დაიწყეს. მურვანიძემ ერთ-ერთი პოლიციელი – მამარდაშვილი მუცელში დაჭრა, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი, საავადმყოფოში გარდაიცვალა.

განსასჯელები საბრალდებო სკამზე

არჩილ ძიძიგური, პოლიციის თანამშრომელი:

„2002 წლის 9 აპრილს, მე და ჩემი თანამშრომლები ჩვეულებრივად, სამსახურებრივ მოვალეობას ვასრულებდით. „თბილისი-ბათუმის“ მატარებელს უნდა გავყოლოდით; ვაგონები, მგზავრები და საერთოდ, სიტუაცია უნდა გაგვეკონტროლებინა. ჯგუფში შევდიოდით – მე, ალიკა მამარდაშვილი, დავით კალანდია და ერთიც ჯგუფის უფროსი. ლანჩხუთის სადგურიდან მატარებლის გასვლის შემდეგ, ვაგონების შემოწმება უნდა გაგვეგრძელებინა. მეათე ვაგონიდან წინ – მეცხრესკენ წავედით. ვაგონის კარი რატომღაც დაკეტილი დაგვხვდა. გამცილებელს გასაღები გამოვართვით და გავაღეთ. ვაგონი შევამოწმეთ და ტამბურში რომ გავედით, იქ ოთხი ახალგაზრდა დაგვხვდა. აქ ვიჭერებთ, ფეხზე

დავდგებით, მალე ჩავდივართო, — გვითხრეს. ბილეთები არ ჰქონდათ. ჩვენც არაფერი გვითქვამს: ახალგაზრდები არიან, მოკლე მანძილზე მგზავრობენ-თქო, — ვიფიქრეთ და თავი დავანებეთ. მე-8 ვაგონისკენ წავიწიეთ, მაგრამ კარი იქაც დაკეტილი დაგვხვდა. მაშინ დავეჭვდით. ვინ არიან ეს ახალგაზრდები, ერთი შევამოწმოთ-თქო, — ერთმანეთს ვუთხარით და საბუთები მოვთხოვეთ. საბუთი არც ერთს არ ჰქონდა. ერთმა გვითხრა: ფსიქიკურად დაავადებული ვარ, აქვე, სოფელ ლესაში ჩავდივარ და შეგვეშვითო... რა თქმა უნდა, არ მოვეშვი და იქვე, ოთხივე დასაკითხად კუპეში შევიყვანე, რათა მათი ვინაობა დაგვედგინა.

ფანჯარასთან, როგორც შემდგომში დადგინდა — ნუგზარ მურვანიძე დაჯდა, ვახტანგ ჭანტურია კი, ფეხზე იდგა. მისი ჯიბე რაღაც უცნაურად გამობერილი მომეჩვენა, თურმე ქუდი ედო. ქუდი გამოვუწიე და ჯიბიდან მაშინვე, სანადირო თოფის ლულა გამოჩნდა. მაშინვე ვტაცე ხელი ჭანტურიას, რა დროსაც მისი ტანსაცმლიდან გადაჭრილი სანადირო თოფი გადმოვარდა. სწორედ ამ მომენტში, მურვანიძემ თავში რაღაც მძიმე საგანი ჩამარტყა. თვალთ დამიბნელდა, არც არაფერი მესმოდა; რამდენიმე წამით გონება დავკარგე. როცა გონს მოვედი და თვალებიც გავახილე, უკვე ტამბურში ვიდექით. მე ჩაკეცილი ვიყავი, თავზე კი, ჭანტურია და ჟორდანია მადგნენ. იმ მომენტში, გოგიჩაიშვილმა — მობილური და იარაღი მომეცი, — მითხრა. ამის შემდეგ, მხოლოდ ის მახსოვს, რომ ჟორდანია და ჭანტურია მცემდნენ. ერთი „ლიმონკას“ მირტყამდა თავში, მეორე კი, ხან ხელით, ხანაც წიხლებით მცემდა. ისევ გონება დავკარგე და როცა თვალი გავახილე, ჩემი თანამშრომელი, დათო კალანდია მადგა თავს, მეუბნებოდა: რა გჭირს, ბიჭო, რა დაგემართა? ჩქარა წამოდი, ადექი — ალიკაა დაჭრილიო... მაშინ ვნახე, რომ დასისხლიანებული ვიყავი.

ქობულეთის სადგურში ალიკა ჩავიყვანეთ. იქ „სასწრაფო დახმარება“ დაგვხვდა და დაჭრილი მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანეს. საცოდავი, ჯერ პალატაში, შემდეგ კი პირდაპირ საოპერაციოში შეიყვანეს. მაინც ვერ უშველეს. სულ რამდენიმე საათი იცოცხლა...

ყველაფერი მაქსიმუმ 10 წუთში მოხდა. ისე სწრაფად, რომ როგორც ჩანს, ბოროტმოქმედები ძალიან კარგად იყვნენ მომზადებულები“.

არჩილ ძიძიგური აღნიშნავს, რომ მატარებელში შემთხვევის დროს, სულ ორი გასროლის ხმა გაიგონა. ერთი ტყვია ვაგონის ჭერს მოხვდა, მეორე — მამარდაშვილს. ძიძიგურის თქმით, მან კარგად დაინახა, რომ „ლიმონკა“ ხელში ჟორდანიას ეჭირა. „ლიმონკას“ თავში მირტყამდა და თან გაიძახოდა: გავხსნა ახლა, ბიჭო, ავაფეთქო ეს ვაგონი? უჰ, შენიო! — და მერე წიხლი ჩამარტყა“, — დასძენს ძიძიგური.

დაზარალებულის — მოკლულის ძმის, თენგიზ მამარდაშვილის თქმით, ბოროტმოქმედები მატარებლის გამცილებლის კი არა, სავარაუდოდ, ვაგონის დასაყაჩაღებლად იყვნენ მომზადებულები. „გამცილებელს იმდენი ფული სად ექნებოდა, რომ დაყაჩაღების შემდეგ, ის ოთხ კაცს გაენაწილებინა ერთმანეთში?! სულ 10 თუ 12 ლარი მედო ჯიბეში და ამისთვის თოფები და „ლიმონკები“ რად უნდოდათ?“ — აღნიშნა მე-9 ვაგონის გამცილებელმა, გიორგი სადაღაშვილმა.

თენგიზ მამარდაშვილი:

„2002 წლის 9 აპრილს დამირეკეს და მითხრეს: ალიკა მგონი, დანით დაჭრეს, საავადმყოფოში წევს და დედაშენს ჯერ ნუ შეატყობინებო. ქობულეთში 10 აპრილს, დილით ჩავედი. ოპერაცია უკვე გაკეთებული იყო. ალიკა რეანიმაციაში იწვა, მაგრამ ლაპარაკი მაინც შეეძლო. რომ შევედი, მაშინვე მიცნო. რატომ წამოხვედი, დედისთვის რამე ხომ არ გითქვამსო? — მკითხა, — ვიღაცებს გადავეყარე და სასიკვდილოდ გამიმეტეს, მაგრამ გადავრჩებიო, — მითხრა. დეტალებზე არ გვისაუბრია, მაშინ მთავარი ალიკას ჯანმრთელობა იყო. მხოლოდ იმის თქმა მოასწრო — ორი მაკავებდა და მესამემ მესროლაო“.

დაზარალებულის მხარე იმასაც აღნიშნავს, რომ დღეს სასამართლოს წინაშე წარმდგარ განსასჯელთა გვერდით, ნუგზარ მურვანიძის და — ეკა მურვანიძეც უნდა იჯდეს. „იარაღი ხომ ჩანთით მატარებელში მან შეიტანა; რასაც აპირებდნენ მისი ძმა და მეგობრები, კარგად იცოდა, ამიტომაც დანაშაულში თანამონაწილეობისთვის, ისიც უნდა დაეპატიმრებინათ“, — დასძენენ დაზარალებულები და სასამართლოსგან ამ საკითხის განხილვას მოითხოვენ.

გოგიჩაიშვილი, ჭანტურია და ჟორდანია დღეს ყველაფერში აწ გარდაცვლილ ნუგზარ მურვანიძეს ადანაშაულებენ. მათი თქმით, ცეცხლსასროლი იარაღი იმ დღეს, მხოლოდ მას ჰქონდა. ჩვენება სასამართლოს მხოლოდ გოჩა გოგიჩაიშვილმა მისცა, ჭანტურიამ და ჟორდანიამ კი ამ ეტაპზე დუმილის უფლება გამოიყენეს.

გოჩა გოგიჩაიშვილი:

„2002 წლის 9 აპრილს, ნუგზარ მურვანიძემ თავისი გარდაცვლილი ბიძის ორმოცზე დაგვპატიჟა. იმ დღეს, ლალი ღლონტი გაგვაცნო, ჩემი საცოლეაო, — გვითხრა. მურვანიძეს შავი ჩანთით რაღაც მოჰქონდა, შიგ რა იდო, მე არ ვიცოდი. ჩვენ არანაირ დაყაჩაღებაზე არ მოგვილაპარაკია, მურვანიძე ერთი თვის გაცნობილი მყავდა და არც ის ვიცოდი, ადრე დაპატიმრებული და კოლონიიდან გაქცეული თუ იყო.

მურვანიძის გარდაცვლილი ბიძის ოჯახში გვიან მივედით. იქ სუფრა გაგვიშალეს, დავლიეთ და შემდეგ, ლანჩხუთის სადგურში წავედით. მატარებელი რომ მოვიდა, ავედით. გასასვლელში გავჩერდით და ცოტა ხანში, ჩვენთან ორი პირი მოვიდა და საბუთები მოგვთხოვა. უხეშად მოგვმართეს: საბუთები რატომ არ გაქვთო? — და ლანძღვა დაგვიწყეს. შეკითხვებს გვისვამდნენ, შემდეგ კი გაგვჩხრიკეს. არაფერი აღმოგვაჩნდა. მაშინ გვითხრეს — გამოგყევითო. შემოწმების დროს, ერთ-ერთმა პოლიციელმა მურვანიძის სხეულზე სვირინგები ნახა. სწორედ მაშინ დავინახე, რომ მან იმ პოლიციელს თავში თოფის კონდახი ჩაარტყა და კუპედან გარეთ გაათრია. მურვანიძემ გადაჭრილი თოფი გამომიწოდა — დაიჭირეო, — მითხრა და პოლიციელებს წინააღმდეგობას უწევდა. ისინი ჩვენს დაკავებას ცდილობდნენ. მაშინ

მე თოფიდან ერთხელ, ჭერის მიმართულებით გავისროლე. ამ დროს, მურვანიძემ დაიძახა: გავიქცეთ, ვესროლეო, — და მატარებლიდან გადავხტით“.

გოგიჩაიშვილს წინასწარი გამოძიებისათვის აღიარებითი ჩვენება აქვს მიცემული. იქ მას იმის შესახებაც უწერია, რომ მურვანიძესთან ერთად, ბიჭებმა მატარებლის გამცილებლის დაყაჩაღების თაობაზე მოილაპარაკეს. ჩვენებაში ის იარაღის ტარების შესახებაც მიუთითებს. სასამართლო სხდომაზე გოგიჩაიშვილმა აღნიშნული ჩვენება კატეგორიულად უარყო და დასძინა, რომ მისი ჩვენება გამომძიებლის მხრიდან ფიზიკური და მორალური ზეწოლის ქვეშაა დაწერილი. „პროკურატურამ გოგიჩაიშვილს, ისევე, როგორც ჟორდანიას და ჭანტურიას, არასწორი მუხლი შეუფარდა. მათ რომ დანაშაულის ჩადენა არ სურდათ, ფაქტია და ეს სასამართლო პროცესზე გამოჩნდება“, — აღნიშნავს განსასჯელის ინტერესების დამცველი ადვოკატი.

აწ გარდაცვლილი ნუგზარ მურვანიძის და — ეკა მურვანიძე, სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა. პროცესის მონაწილენი ეჭვობენ, რომ ის თავისი ნებით არც გამოცხადდება და ამისთვის პოლიციის დახმარება გახდება საჭირო.

■

გიორგი სანაიას მკვლელობის სასამართლო განხილვაში დაზარალებულიც ჩაერთო

გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში გიორგი სანაიას მკვლელობის სასამართლო პროცესი 2003 წლის 11 მარტს გაგრძელდება. მოსამართლე ნანა გუგუნაშვილმა სხდომა 11 მარტისთვის კვლავ იმის გამო გადადო, რომ პროცესის პირდაპირი ტელეტრანსლაცია არ მოეწყო. მოსამართლის მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლო სხდომა პირდაპირი ეთერით არც ერთი ტელეარხის საშუალებით არ იქნა გადაცემული. გუგუნაშვილი აცხადებს, რომ პრესით, ისევე, როგორც ტელევიზიით, საქმის სასამართლო განხილვასთან დაკავშირებით, არაერთგვაროვანი ინფორმაცია ვრცელდება. ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის დასადასტურებლად, მოსამართლე პროცესის პირდაპირ ტრანსლაციას მოითხოვს.

თუმცა, სასამართლო სხდომის გადადებას მეორე მიზეზიც ჰქონდა. გაირკვა, რომ დაზარალებულმა, გიორგი სანაიას ქვრივმა — ხათუნა ჩხაიძემ სასამართლო პროცესში მონაწილეობა გადაწყვიტა და სხდომაზე თავისი წარმომადგენელი, ადვოკატი ვლადიმერ გაბრიჩიძე გამოგზავნა. გაბრიჩიძესთან ერთად, ხათუნა ჩხაიძის ინტერესებს ადვოკატი ზვიად კორძაძეც დაიცავს. ვლადიმერ გაბრიჩიძის თქმით, დაზარალებულმა პროცესში ჩართვა ახლა გადაწყვიტა, რადგან ამის გაკეთება საჭიროდ ამ ეტაპზე მიიჩნია. „მას ამის სრული უფლება აქვს“, — განაცხადა ადვოკატმა გაბრიჩიძემ და საქმის მასალების გასაცნობად, 11 მარტამდე დრო მოითხოვა.

რაც შეეხება განსასჯელის — გრიგოლ ხურცილავას ინტერესების დამცველ ადვოკატს, დავით დადიანს, მისი თქმით, დაზარალებულის მხრიდან ადვოკატების ჩართვის შემდეგ, სასამართლო პროცესი უფრო დაიძაბება და რთული მოსასმენი გახდება. „მე მომხრე ვარ იმისა, რომ სიმართლე დადგინდეს. დასამალი არაფერი გვაქვს“, — განაცხადა მან.

■

მანქანის გამტაცებლებს აფხაზ კრიმინალებთან ჰქონდათ კავშირი

სამართალდამცავთა ინფორმაციით, 22 წლის დავით შედანიასა და 19 წლის ირაკლი ჩიქოვანს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ძვირად ღირებული ავტომანქანების გატაცებაში იყვნენ ეჭვმიტანილები, აფხაზ კრიმინალებთანაც ჰქონიათ კავშირი. შედანია და ჩიქოვანი უკვე დააკავეს. შედანია ადრე ნასამართლევი გახლდათ.

წინასწარი ინფორმაციით, მათ გატაცებული ავტომანქანები აფხაზეთში გადაჰყავდათ და იქ აფხაზ კრიმინალებთან ერთად, მანქანებით ვაჭრობის უკანონო ბიზნესში იყვნენ ჩაბმულნი. როგორც გაირკვა, ავტომანქანების გალში გადაყვანა ბოროტმოქმედებს სულაც არ უჭირდათ. სამართალდამცავთა თქმით, აღნიშნულ ბიზნესში მონაწილე პირების დასადგენად პროკურატურა მუშაობს. შედანიასა და ჩიქოვანის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურატურა იძიებს.

■

შვილიშვილმა ბებია მაგიდის ფეხით მოკლა

17 თებერვალს, ქალაქ რუსთავში საშინელი მკვლელობა მოხდა: 17 წლის ზურაბ კერესელიძემ საკუთარი ბებია მაგიდის ფეხით მოკლა. წინასწარი მონაცემებით, ზურაბმა ბებიას ოქროს სამკაულები, მათ შორის — ოქროს კულონი მოჰპარა და დაუკითხავად გაყიდა. ბებიამ ამის შესახებ შეიტყო, რის გამოც მასა და შვილიშვილს შორის შელაპარაკება მოხდა. სიტყვიერი შეხლა-შემოხლის დროს, ზურაბმა ბებიას მაგიდის ფეხი ჩაარტყა, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი ადგილზე გარდაიცვალა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას რუსთავის პროკურატურა აწარმოებს.

■

პოლიციამ არაერთ ქურდობაში ეჭვმიტანილი ქალი დააკავა

რამდენიმე დღის წინ, ხაშურის პოლიციის თანამშრომლებმა არაერთ ქურდობაში ეჭვმიტანილი, 22 წლის დარეჯან გაბისონია დაიკავეს. როგორც შევიტყვეთ, გაბისონია გალელი, დევნილი გახლავთ. იძულებით გადაადგილების შემდეგ, ის სურამში ცხოვრობდა და ბინების ძარცვასაც სურამისა და ხაშურის ტერიტორიაზე, ღამის საათებში ახდენდა. სამართალდამცავები ვარაუდობენ, რომ დარეჯან გაბისონია მარტო მოქმედებდა, მოპარულ ნივთებს კი შემდეგ ყიდდა.

მოამზადა მეგი ცანავამ

ქართული ესტრადის ცნობილ წყვილს — ბატონ თემურ წიკლაურსა და მის მეუღლეს, ქალბატონ ლილი ზღვაურს ინტერვიუსთვის შინ ვესტუმრე. ბატონი თემური თვალის ტკივილისგან ძალიან შეწუხებული დამხვდა და თითქმის თვალდახუჭული მელაპარაკებოდა. მოგვიანებით, მათი ქალიშვილი ქეთი და 5 წლის შვილიშვილი, ანდრიაც შემოგვიერთდნენ. პატარა ანდრიამ შეკითხვაზე — ყველაზე მეტად ვისთან მეგობრობ-მეთქი? — ჩაიცინა და უსმოდ ბაბუაზე მიმითითა, რომელსაც 22 იანვარს 57 წელი შეუსრულდა.

თემურ წიკლაური: ყველა ადამიანს სურს რაღაცის შეცვლა

დედიკო აკობია

— ბატონო თემურ, ერთხელ გკითხეთ: რომ მღერით — „გააჩერეთ დედამიწა, ჩავდივარ“, — რომელ სადგურზე ისურვებდით ჩამოსვლას-მეთქი? — მიპასუხეთ: ცირკთან, მთელი დედამიწა ხომ ცირკიაო... ახლაც იმავე აზრისა ხართ თუ ახალი სადგური აღმოაჩინეთ?

— აზრი არ შემიცვლია. ცირკში მარტო ცხოველები კი არ გამოჰყავთ — კლოუნებიც არიან, ამიტომაც, ცირკი წარმოადგენს პატარა დედამიწას, თანაც მრგვალია...

ლილი:

— ცხოვრება სავსეა დადებითი და უარყოფითი ემოციებით, თუ რომელი გადაგვძლევს — იმისდა მიხედვით გვაქვს როლები დაკისრებულ-განაწილებული ანუ იძულებულნი ვართ, ვითამაშოთ, როგორც თეატრში. ვიზიარებ შექსპირის აზრს: „დედამიწა თეატრია, ჩვენ კი მსახიობები“...

— თქვენი ოჯახი დიდი ხანია, სცენაზეა, ხალხს ძალიან უყვარხართ. როგორ ფიქრობთ — მშვენიერი სიმღერების გარდა, კიდევ რა არის ამის მიზეზი?

თემური:

— აბა, რა გითხრათ? ჩვენ თვითონ ხალხი უზომოდ გვიყვარს და ალბათ ხალხსაც ამიტომ ვუყვარვართ. რასაც გასცემ, იმას მიიღებ.

ლილი:

— მომღერლისთვის, საერთოდ ხელოვნისთვის ყველაზე დიდი ჯილდო ხალხის სიყვარულია.

— სცენაზე ერთად გამოსვლა უფრო ადვილია თუ ძნელი და რატომ?

თემური:

— რა თქმა უნდა, მეტი პასუხისმგებლობაა, როცა ორნი გამოვდივართ, იმიტომ, რომ შენ გვერდით მდგომზე თუ არ იფიქრე, მაშინ, არც ხალხი გცემს პატივს. ეს ჩანს სცენაზე და სირთულესაც სძენს შენს ამოცანას.

ლილი:

— ჩემთვის პირიქით ხდება: როცა მეუღლესთან ერთად გამოვდივარ, პასუხისმგებლობა განაწილებულია, ამიტომ, რა თქმა უნდა, მეუღლესთან ერთად მიადვილდება სცენაზე გამოსვლა.

— რა განსაკუთრებულ თვისებას აფასებთ მეუღლეში?

თემური:

— სიჩუმეს...

ლილი:

— მის უდიდეს მოთმინებას ჩემ მიმართ...

— თუ გქონიათ ისეთი მომენტი, როცა რაღაცის რადიკალურად შეცვლა გსურდათ?

თემური:

— ყველა ადამიანს სურს რაღაცის შეცვლა. მაგალითად, ჩემი სიმღერისთვის მრავალი წლის შემდეგ რომ მომისმენია, დიდი სურვილი გამჩენია, რომ სხვანაირად მემღერა.

ლილი:

— ნებისმიერ ადამიანს უჩნდება ხოლმე

ასეთი მომენტები, რადგან ერთფეროვნება დამღლელია.

— ოჯახური ბედნიერების შენარჩუნების აუცილებელ პირობად რა მიგაჩნიათ?

თემური:

— ტრადიციები, რომელიც ყოველთვის საკმაოდ ფესვგადგმული იყო საქართველოში, ახლა კი რა მოგახსენოთ... სინდისნამუსი, მართლმადიდებლური მორალი, რომელმაც აქამდე მოიყვანა საქართველო...

ლილი:

— ყველაფერი დამოკიდებულია თვით ადამიანზე, იმაზე, თუ როგორ აღიქვამს და რა განწყობაშია ოჯახის ფენომენთან. მე მგონია, რომ უპირველესი მაინც მოთმინებაა, რომლის გარეშე ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია...

— იანვარში ვენაში იმყოფებოდით, რა იყო თქვენი წასვლის მიზანი?

თემური:

— ებრაელმა მეგობრებმა მიმიწვიეს ავსტრიაში. ჩავედი, ვიმღერე და მეორე დღესვე უკან წამოვედი.

— ჩანს, ამ მოგზაურობით კმაყოფილი დარჩით, არა?

— კი, საკმაოდ. კარგი ხალხი დამხვდა, არაჩვეულებრივად თბილი და სტუმართმოყვარე. წლები გავიდა, რაც აქედან წავიდნენ და ამდენი ხნის მერე, ისევ მისტირიან საქართველოს...

— ლარები სახის ნაკვთებზე ვისთვის — დროის კვალია, ცხოვრებისეული ჯილდო, ვისთვის — მტკივნეული შეხსენება იმისა, რომ ცხოვრება — თვალის დახამხამებაა... თქვენ რა აზრისა ხართ?

თემური:

— ეგ ჭკუის სასწავლებელია. მორწმუნე თუა კაცი, უნდა დაინახოს ღვთის გამოცდა: „გსჯი, რამეთუ მიყვარხარ“ — ასეთია უფლის ნება...

ლილი:

— მტკივნეულად არ განვიცდი, პირიქით — ძალიან მშვიდად ვუყურებ...

— ქეთი, როგორია სიყვარულის თქვენეული აღქმა?

ქეთი:

— სიყვარულის თემაზე ლაპარაკი მიჭირს. მე მგონი, გამომიცდია და ბედნიერი ვარ ამით.

— ამჟამად თუ ხართ შეყვარებული?

— შემიძლია გაგიმხილოთ, რომ ამჟამად ვარ შეყვარებული. თუმცა, კონკრეტულად ამაზე არ ვილაპარაკებ...

ქეთი წიკლაური სცენაზე და პატარა ანდრიასთან ერთდად

— ახალი ოჯახის შესაქმნელად თუ ხართ მზად?

— ამისთვის ყველა თავისუფალი ქალი მზად არის, თუ სათანადო სიტუაცია იქმნება... ყველაფერი უფლის ნებაა, კაცმა არ იცის, რა როგორ იქნება...

— რა დამოკიდებულება გაქვთ ყოფილ მეუღლესთან?

— ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ვმეგობრობთ.

— აუხდენელი ოცნება თუ გაქვთ?

— კოსმონავტობაზე ვოცნებობდი ბავშვობაში, მაგრამ ვერ ავიხდინე.

— სამაგიეროდ, თურმე მანქანას დააქროლებთ, არა?

— *(იცინის)* ჩვეულებრივად ვიარე მართვის კურსებზე და მოწმობა ავიღე. როცა ახალბედა ვიყავი, დაძაბულს საჭესთან რომ მნახავდნენ, ხვდებოდნენ, რომ დამწყები ვიყავი და ხშირად მაჩერებდნენ ინსპექტორები. ყოფილა შემთხვევები, რომ მართვის მოწმობაც წაურთმევიათ... მერე და მერე, როგორც კი გამაჩერებდნენ, ყელგამოწვდილი ვეხვეწებოდი: საჭესთან მჯდომი მანდილოსანი გეხვეწებით, გამიშვით-მეთქი, — და იცით, ჭრიდა ეს მეთოდი... ■

ჯეონეთი
GEONET
www.geonet.ge

მარი ჯაფარიძე

სიყვარულისთვის განწირული სიცოცხლე

და საიდუმლოებით მოცული წერილი

გაყვითლებულ, შემოდგომის ტყეში ჩადგმული, მონადირეთა თავშესაფარი ქოხი. კუთხეში მიდგმული, გაურანდავი ფიცრებით შეკრულ ტახტზე ახალგაზრდა, 23 წლის მამაკაცის უსულო სხეული ასვენია. იქვე ერთგული ძაღლი ჩაყუნცულა და ყმუის. მაგიდაზე — სანთლის ნაღვენთი, უამრავი სიგარეტის ნამწვი, მიმოფანტული სურათებია, საიდანაც ბედნიერად მოღიმარი სიძე-პატარძალი შემოგვცქერის; წერილი, რომელიც სიყვარულს შეწირულმა ბიჭმა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში დაწერა და წერილზე საგანგებოდ დადებული ორი სურათი. ორივე მათგანზე გამოსახულ ერთ-ერთ პიროვნებას თვალები საწერი კალმით აქვს „ამოთხრილი“...

ეს იყო დასასრული... დასასრული ირაკლი ჩიტორელიძის ხანმოკლე სიცოცხლისა, მაგრამ როგორი იყო დასაწყისი?

გულისტკივილს და უზომო მწუხარებას ირაკლის დედა, ***ქალბატონი ლია*** *გვიზიარებს:*

— ირაკლი თბილი, მოსიყვარულე ბიჭი იყო. უზომო სიყვარული რომ შეეძლო, ამას მისი თვითმკვლელობის მიზეზიც მოწმობს...

— ვინაიდან მან სიცოცხლე უპასუხო სიყვარულის გამო დათმო, იქნებ ამ სიყვარულის ამბავი გაგვიზიაროთ.

— ირაკლი სიკვდილის წინ დაწერილ წერილში თავად გვიამბობს ამის შესახებ. წერილს კუთხეში მინაწერი აქვს: „რა ვქნა, სხვანაირად არ შემიძლია — მე მიყვარს, მას — არა...“

აი, რას წერს თავად ირაკლი: „ზაფხულის ცხელი დღე იყო. მე და ჩემი მეგობრები მდინარეზე წავედით საბანაოდ. იქ გოგონა დავინახე, გოგო კი არა, ანგელოზი... იმ წუთიდან ვგრძნობდი, რომ მის გარეშე არ შემეძლო. გავიცანი, დავმეგობრდით... მე გიჟს ვგავდი... მიყვარდა და უმისოდ ვეღარ ვძლებდი. ზაფხული იწურებოდა, როდესაც ჩემთვის გზაზე მოვდიოდი და ვიღაცამ დამიძახა... ის იყო... ჩემი ოცნების ქალი... გავშტერდი, თვალებს არ ვუჯერებდი... გათიშული გადავეხვიე და გადავკოცნე... ბარში დავპატიჟე, ჯიბეში კი ორი ლარი და ხურდა მქონდა... შემდეგ სახლში გავაცილე და მეორე დღეს პაემანი დავუნიშნე. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... ძმაკაცს ვუთხარი, ან ეს გახდება ჩემი ცოლი, ან არავინ-მეთქი. გოგოს ოჯახს არ ვუნდოდი. ჩუმად ვხვდებოდით ერთმანეთს და ერთ მშვენიერ დღეს ცოლად მოვიყვანე...“

ქ-ნი ლია:

— 2000 წლის 20 ნოემბერი იყო, როდესაც ირაკლიმ თიკო ცოლად მოიყვანა. ჩემი შვილი უბედნიერეს ადამიანად თვლიდა თავს. შეხაროდა თავის თიკოს... მეც მათი ბედნიერებით ვტკბებოდი... 25 ნოემბერს დიდი ქორწილიც გადავიხადეთ და ცხოვრება თავისი გზით გაგრძელდა...

ნაწყვეტი ირაკლის წერილიდან: „თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს დაიწყო, რაც არ უნდა დაწყებულიყო... ჩვენი პირველი ჩხუბი... მართალია, მე ვიყავი დამნაშავე, მაგრამ დედამისმა წარმოშვა აზრი ჩვენი დაშორების შესახებ... ჩვენ შევრიგდით... ხშირად მიდიოდა კინკლაობა და ყოველ ასეთ წუთში წარმოიშობოდა აზრი ჩვენი დაშორების შესახებ... ერთხელ დედამისმა ისიც კი უთხრა, რომ თუ დამშორდებოდა, თიკოს თბილისში გაათხოვებდა... ამაზე სერიოზულად ვიჩხუბეთ და დავემდურე კიდეც... სულ გაიძახოდნენ, გაშორდითო...“

— ქალბატონო ლია, რატომ იწუნებდა თიკოს ოჯახი სასიძოს და რატომ ჰქონდათ დაჩემებული რომ განქორწინებულიყვნენ?

— არ ვიცი, შვილო, მე ვერაფერს გეტყვით... ანგელოზივით შვილი მყავდა, სურათებიდანაც ჩანს, რომ ფიზიკურად მშვენიერი ბიჭი იყო, წესიერი, ზრდილი ახალგაზრდის სახელი ჰქონდა... ტელეკომპანია „რიონში“ მუშაობდა ოპერატორად, ქურდი არ იყო და ნარკომანი. ერთ ამბავს მოგიყვებით: თიკოს მოყვანამდე 2-3 წლით ადრე, ნასვამს ერთი გოგო გაუცნია, მოსწონებია და იმავე საღამოს შინ მოგვიყვანა. როდესაც გამოფხიზლდა, ძალიან ინერვიულა — ეს რატომ ჩავიდინეო?! ის გოგო ორი თვე ჩვენთან გვყავდა მე და ჩემს მეუღლეს. ირაკლი ცოლად არ თვლიდა, ვერც სახლიდან უშვებდა. ასე სტუმარივით იყო ცოტა ხანს, შემდეგ შინ წავიდა და აღარ დაბრუნებულა. როგორც ჩანს, ეს ჰქონდათ მიზეზად, ჩემი ირაკლი სასიძოდ რომ არ მოსწონდათ. სხვა მიზეზს ვერ ვხედავ, თუმცა ამ საკითხზე ხმამაღლა არასდროს ულაპარაკიათ.

— როგორი ურთიერთობა ჰქონდათ თიკოს და ირაკლის?

— ჩვეულებრივი. საგანგაშო არაფერი შემიტყვია. მე ვმუშაობდი. დილით გავდიოდი და გვიან საღამოს ვბრუნდებოდი შინ. ჩემი თანდასწრებით არასდროს უჩხუბიათ, თუმცა თიკო საკმაოდ ხშირად მიდიოდა მშობლებთან და დიდხანს რჩებოდა ხოლმე, მაშინ ვგრძნობდი, რომ რაღაც მიზეზი უნდა ყოფილიყო, რის გამოც ასე იქცეოდა, მაგრამ არასდროს

მიკითხავს მათთვის, რა ხდებოდა. ვფიქრობდი: ახალგაზრდები არიან და თავიანთი საქმის თვითონ იციან-მეთქი. თანაც, არ მინდოდა, ცოლ-ქმრის ურთიერთობაში ჩავრეულიყავი...

ნაწყვეტი ირაკლის წერილიდან: „ჩემი ტანჯვა და ვარამი ერთი კვირის წინ დაიწყო, რისი გულისთვისაც თავის მოკვლა გადავწყვიტე. ორშაბათი დღე იყო. მამაჩემთან ვმუშაობდი. ჩემს ბიძაშვილს შვილი შეეძინა და ცოტა დავლიე. ნასვამი სოფელში წავედი. იქ დავრჩი. დილით შევიტყვე, რომ მეზობელი გარდაიცვალა და ამის გამო ერთი დღე კიდევ დავრჩი. 20 ნოემბერს ერთი წლისთავი იყო ჩვენი შეუღლების და ამიტომ ზუსტად ოც რიცხვში ჩამოვედი. ამაზე ატყდა ერთი ამბავი. ჩემი მეუღლე მშობლების სახლში იყო და როდესაც მივედი, მითხრა: დღევანდელ დღეს შევუღლდით და დღესვე გავშორდებითო. გაოგნებული გარეთ გამოვედი და თავი ამოვყავი იმ ბარში, იმ მაგიდასთან, სადაც ვუთხარი, მიყვარხარ-მეთქი. მარტომ დავლიე ერთი ბოთლი არაყი და სახლში წავედი. მთვრალმა ყველაფერი დავამტვრიე. ჩემებმა ხელი მომკიდეს და მიმიყვანეს ჩემს ცოლთან. შევრიგდით, მაგრამ ეტყობოდა, რომ დედამისს კარგად დაერიგებინა. დილით თიკოს ვკითხე: გიყვარვარ? – მიყვარხარ, მაგრამ ყველა ღონეს ვიხმარ, რომ გადაგიყვაროო... თან მითხრა: წადი და აღარასოდეს მოხვიდეო. იმედდაკარგული წამოვედი. გავყიდე, რაც გამაჩნდა, ვიყიდე ჰილზები, წამოვედი სოფელში, ავიღე თოფი და წავედი ჭალაში ჯერ ამის დასაწერად, შემდეგ კი თავის მოსაკლავად... ჩემი სიკვდილის შემდეგ გთხოვთ: ჩემი თოფი გადაეცით ლევანს (ძმას. – ავტ.) ჩანთა სავსეა ჰილზებით. გთხოვთ ჩემს გასვენებაზე დაწვათ და კიდევ ერთი თხოვნა: ჩემი სიდედრი არ მოუშვათ ახლოს, რადგან ვერ ვიტან. მისი სიტყვებით დამენგრა ოჯახი... დედა, მამა, ლევან, თიკო – ყველა მიყვარხართ, გემშვიდობებით. 21.11.2001. 7.00. ირაკლი“.

— ქალბატონო ლია, მოგვიყევით, რა მოხდა იმ ავადსახსენებელ 20 ნოემბერს...

– ირაკლი ღამით, გვიან მოვიდა შინ. ლევანს ლოჯიაში ეძინა. გააღვიძა და თავისი მობილური აჩუქა. შემდეგ, არაფერი დაუბარებია, ისე გავიდა სახლიდან. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ თიკოსთვის წერილი დაუწერია და შინიდან გასვლამდე, კარადაში, უხმარი უთოს ყუთში ჩაუდვია. ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ცოლთან წავიდა – ის მშობლებთან იყო სტუმრად. იქამდე მისასვლელად საკმარისი დრო რომ გავიდა, დავრეკეთ და ვიკითხეთ, ირაკლი მისული იყო თუ არა. თიკომ მითხრა, არ მოსულაო. მოგვიანებით ისევ დავრეკეთ. ისევ არ იყო მისული. დილით ძებნა დავუწყეთ. ვერსად მივაგენით. საღამო ხანს, თიკოს კვლავ დავურეკეთ: ხომ არ გიჩხუბიათ? სად წავიდა, რატომ არაფერი დაგვიბარა-მეთქი? მითხრა: ცოტა ვიკამათეთ, შემდეგ დარეკა და მითხრა, კარადაში სიურპრიზი დაგიტოვეო; დღეს, თქვენ რომ შინ არ იყავით, მოვედი და ვნახე – წერილი დაუტოვებია და სოფელში მოძებნეთო... ჩვენ ქუთაისში ვცხოვრობთ, სოფელი ვანის რაიონში გვაქვს. ირაკლი იქიდან წინა დღის ჩამოსული იყო და არ მეგონა, ისევ თუ გაბრუნდებოდა.

ჩემი შვილი უბედნიერეს ადამიანად თვლიდა თავს. შეხაროდა თავის თიკოს...

— გული ცუდს არ გიგრძნობდათ?

– არა, არც მიფიქრია, რომ თავს აუგს აუტეხდა. ჩემი მეუღლე მაინც წავიდა სოფელში. დედამისს (*ირაკლის ბებიას. – ავტ.*) უთქვამს: აქ იყო მოსული, ტანისამოსი გამოიცვალა, თოფი და საგზალი წაიღო, ძაღლი წაიყვანა და სანადიროდ წავიდაო. ირაკლი წინათაც ხშირად დადიოდა სანადიროდ და კარგი მონადირის სახელიც ჰქონდა. ჩემს მეუღლეს უფიქრია – წავალ, ტყეში მოვძებნიო, – მაგრამ ამ დროს ვიღაც კაცი მისულა და უთქვამს: ირაკლი მონადირეების თავშესაფარში ვნახეთ, სისხლში ცურავსო... აღმოჩნდა, რომ ირაკლის ეს დანგრეული ქოხი წესრიგში მოუყვანია, წერილი დაუწერია. წერილზე ზემოდან ორი სურათი იდო, ორივეზე მისი სიდედრი იყო გამოსახული, რომლისთვისაც საწერი კალმით თვალები დაუთხრია. ქორწილის სურათები მაგიდაზე გაუშლია, თავად ტახტზე დაწოლილა, ხელები გულზე დაუწყვია, თოფის ჩახმახისთვის ფეხი გამოუკრავს და ასე დაუტოვებია ეს წუთისოფელი... ძაღლი გვერდიდან არ მოშორებია. როდესაც მონადირეების ხმა გაუგონია, ფანჯრიდან გადმომხტარა და ამ მონადირეებსა და ქოხს შორის სირბილი დაუწყია, თან საწყალობლად წამუტუნებდა, თითქოს შველას ითხოვდა. მონადირეებს უცნიათ: ეს ირაკლის ძაღლია და ეტყობა, რაღაც ხდებაო. ქოხში ფანჯრიდან შეუხედავთ და მთლად გასისხლიანებული ირაკლი დაუნახავთ. კარი შიგნიდან ყოფილა ჩარაზული, აღარ შეუმტვრევიათ და სასწრაფოდ, ვანში მიმავალი სამარშრუტო ავტობუსის მძღოლისთვის პოლიციაში მისვლა და ამ ამბის შეტყობინება დაუვალებიათ. ერთ-ერთი მათგანი კი ჩვენთან წამოსულა და ჩემი მეუღლისთვის ეს ამბავი შეუტყობინებია.

— თუ თავის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, საგზალი რაღად უნდოდა?

– არ ვიცი, შვილო. თანაც იმდენი საგზალი ჰქონდა, რომ ათ კაცს თავისუფლად ეყოფოდა: უამრავი კონსერვი, ათი პური, სამი წველა ყველი, დაახლოებით ასი კოლოფი სიგარეტი... პოლიციას ეჭვი ჰქონდა – იქნებ, ვინმემ მოკლაო. ის წერილიც და ყველაფერი, რაც ქოხში იყო, განყოფილებაში წაიღეს. სურსათი და ირაკლის სისხლიანი ტანისამოსი მალევე დაგვიბრუნეს. წერილის არსებობის შესახებ კი, მხოლოდ თებერვალში გავიგე, როდესაც გადმომცეს... იმავე საღამოს ირაკლი შინ მოვასვენეთ. მეუღლე და სიდედრ-სიმამრიც მაშინვე მოვიდნენ. პანაშვიდის დღეს კი, სიდედრი სადღაც გაქრა და არც დაკრძალვაზე გამოჩენილა. აღმოჩნდა, რომ პოლიციიდან მისულან და ირაკლის, მის წერ-

ილში დაწერილი ყველა თხოვნა შეუსრულეს... ცოლი და სიმამრი ჩვეულებრივად, ყველა ცერემონიას დაესწრნენ. თიკოს მამა ქუთაისში საპენსიო განყოფილების უფროსად მუშაობდა და საკმაოდ კარგი ადამიანის სახელით სარგებლობდა. თიკოს ვთხოვე: ირაკლიმ რომ წერილი დაგიტოვა, წამაკითხე-მეთქი. არაფერი მიპასუხა. მე ჩემი სადარდებელი მქონდა, ყურადღება არ გამიმახვილებია ამაზე. გასვენებიდან მესამე დღეს, მამამისმა ქუთაისში წაიყვანა. ვეხვეწებოდი: დარჩი, ასე არ შეიძლება, ხალხი რას იტყვის-მეთქი?! ისედაც ყველა იმას ამბობდა, მის თვალზე ცრემლი არ დაგვინახავსო. არ მინდოდა, ვინმეს ცუდად ეფიქრა მასზე, მაგრამ არ დამიჯერა და მამამისს გაჰყვა. მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდა. რამდენიმე დღეში ჩემი უმცროსი შვილი, სოფლის ახალგაზრდებთან ერთად, იმ ქოხის შეკეთებაში მონაწილეობდა, სადაც ირაკლიმ თავი მოიკლა: სოფელმა გადაწყვიტა, რომ ეს ქოხი ირაკლი ჩიტორელიძის სახელობის, მონადირეთა და მეთევზეთა სახლად გადაეკეთებინა. იქ მიუტანიათ იმ წერილის ასლი, რომელიც ირაკლის ქოხში დაუტოვებია და მანამდე პოლიციაში ინახებოდა. ლევანს წაუკითხავს და სახლში გაგიჟებული მოვარდა. ამ დროს, მე ოთახში, საწოლზე ვიყავი წამოწოლილი. თიკო და მისი დაც იქვე, ჩემ გვერდით იწვნენ და ვსაუბრობდით. ლევანი ირაკლის ოთახში ბღავილით შევარდა და ხმამაღლა მოსთქვამდა. არ გამკვირვებია, რადგან ყველა ასე, ხმამაღლა დასტიროდა მის სურათს. შემდეგ ჩემთან შემოვიდა ოთახში, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა სახეზე — დედა, გაიგე, ვინ მოგვიკლა ირაკლიო? შემდეგ თიკოს დაეტაკა: შენ დედაჩემის გვერდზე დაწოლას როგორ ბედავ? — შენი გულისთვის გამოესალმა სიცოცხლეს ჩემი ძმაო. ის თუ არ გიყვარდა, მაშ ვინ გიყვარდაო?.. — ხელი სტაცა და ლოგინიდან ძირს აგდებდა. მე ფეხებში ჩავუვარდი — ნუ იზამ-მეთქი... იმ ღამეს, თიკოს ჩვენი ნათესავების ოჯახში ეძინა. მეორე დღეს კი, მამას ელოდებოდა — მის წასაყვანად უნდა ჩამოსულიყო. იმ დღის მერე, აღარ მინახავს, ჩემს ოჯახში ფეხიც აღარ შემოუდგამს...

ცოტა ხანში ორმოცისთვის დავიწყეთ მზადება. თიკოს ოჯახსაც შევუთვალეთ. მანამდე კი, მამამისმა დანაპირები შეასრულა და ირაკლის საფლავისთვის მარმარილოს ქვა მოიტანა, სასაფლაოზე ისე დატოვა, რომ ჩვენ არც კი ვიცოდით ამის შესახებ. მეზობლის ბავშვმა შეგვატყობინა... ორმოცზე არ მოვიდნენ. შუადღისას საფლავზე მისულებს ყვავილები და ნამცხვარი დაგვხვდა. ჩემი მეუღლე გადაირია, რატომ მოიქცნენ ასე? — ჩემი შვილი თიკოს გულისთვის გიჟდებოდა და ისინი ორმოცზეც არ მოვიდნენო. ის ყვავილები და ნამცხვარი იქვე გადაყარა, საფლავზე დამაგრებული ქვაც მოხსნა და მაშინვე მობილურზე დაურეკა მძახალს: თქვენ თუ არ მოხვედით, თქვენი გაკეთებულიც არაფერი მჭირდება და ეს ქვა შეგიძლია, უკანვე წაიღოო...

ირაკლი ძმასთან, ლევანთან და მეგობრებთან ერთად

— თიკოსთვის მიწერილი ბარათის შინაარსი თქვენთვის დღემდე უცნობია?

— ეჰ, შვილო, ის წერილი ბევრ საიდუმლოს ახდიდა ფარდას. თიკოს თავისი ბიძის პირით შევუთვალეთ, რომ ჩვენთვის წაეკითხებინა, მაგრამ ამაოდ. მამამისმა საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა და შემოგვითვალა: წერილი მე დამეკარგაო. ეს კი უფრო ამძაფრებს ეჭვს, რომ ჩემი შვილის თვითმკვლელობაში რაღაც, თუნდაც მცირე წვლილი მართლაც მიუძღვის საყვარელი ქალის გულგრილობას. ჩემს ვარაუდს გეტყვით: ვფიქრობ, იმ წერილში თიკოს სწერდა, რომ მასთან მონადირის ქოხში მისულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავს მოიკლავდა. ამდენი სურსათ-სანოვაგეც ალბათ ამიტომ მოიმარაგა ჩემმა შვილმა — იმედი ჰქონდა, რომ მეუღლე მასთან მივიდოდა. როგორც ჩანს, დათქმულ ვადას რომ გადასცდა, მაშინ აასრულა დანაპირები. ვიმეორებ — ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია, ამის მტკიცება არ შემიძლია, — ამ საიდუმლოს გასაღები კი იმ წერილშია, რომელიც „დაკარგეს“. შესაძლებელია, სულაც ვცდები, მაგრამ წერილი რატომ დამიმალეს?

— თქვენ არ გიცდიათ თიკოსთან დაკონტაქტება?

— რა აზრი აქვს? ძალიან კარგი გოგონაა. ისე მივეჩვიე, მენატრება კიდეც. ტელეფონის ნომერი გამოცვალეს, მაგრამ მაინც გავიგე და ხანდახან ვურეკავდი. თიკოს ხმას რომ გავიგებდი, გულში თითქოს რაღაც სითბო მეღვრებოდა, ეს ხომ ჩემი შვილისთვის უსაყვარლესი ადამიანის ხმა იყო... შემდეგ ყურმილს ისე ვკიდებდი, რომ არაფერს ვეუბნებოდი. გული მწყდება, რომ თავისი ქმრის საფლავზე ერთხელაც არ მისულა. ვფიქრობ, იქნებ, ჩვენ გვერიდება-მეთქი, მაგრამ ხომ შეიძლება ჩუმად მივიდეს, ისე, რომ ჩვენ ვერ გავიგოთ!.. თავისი ტანისამოსიც ისევ ჩვენთან აქვს დატოვებული. ჯიუტი გოგონაა და ალბათ ამ თვისების ბრალიცაა, ასე რომ იქცევა. მე მენატრება რძალი და როგორ დავიჯერო, მას ქმარი არ ენატრება?!. ეჰ, შვილო, ჩემი ირაკლის დამკარგავი, ცოცხალი როგორ ვარ, მაგრამ ერთადერთი, რაც მაიძულებს ვიარსებო, ის არის, რომ თვითმკვლელის სულს მხოლოდ დედის ლოცვა იხსნის სამუდამო ტანჯვისგან. მეც მეტი რა დამრჩენია? ვლოცულობ და ღმერთს შევთხოვ, აპატიოს ჩემს შვილს ეს უგუნური ნაბიჯი...

■

რას უკვეთავენ საშობლოში მივიწყებულ ქართველ არქიტექტორს ამერიკელები

ნანა ქიბიშაური

თემურ ჯორჯაძეს პროფესიონალი მოგზაურივით შეუძლია ილაპარაკოს ცათამბჯენებზე, პირამიდებზე, ეგზოტიკურ ქვეყნებსა თუ თავს გადახდენილ ამბებზე. მას თითქმის მთელი მსოფლიო აქვს შემოვლილი. პროფესიით არქიტექტორია, ბუნებით — მოგზაური, მოწოდებით — პლეხანოველი. პოპულარობით არა მხოლოდ დას — კინორეჟისორ ნანა ჯორჯაძეს, არამედ საკუთარ ავტომანქანასაც ჩამორჩება: თბილისში მხოლოდ ერთი ჯიპი დადის 13 მგლის გამოსახულებით... თემურ ჯორჯაძე არქიტექტურაში ნოვატორული მიმართულების წარმომადგენელია. ეს მიმართულება თანამედროვე ხუროთმოძღვრებაში ხელოვნური განათებითა და ფერით მოდელირებას ითვალისწინებს. მისი თაოსნობით, ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ახალი იდეის ხორცშესხმისათვის აუცილებელი, სპეციალური ლაბორატორიაც შეიქმნა. გერმანიაში გამოიცა 15 წიგნი, სადაც განათებითა და ფერით მოდელირების მეთოდიკა და სასწავლო პროგრამაა მოცემული. სამწუხაროდ, თემურ ჯორჯაძე არქიტექტურულ პროექტებს უმეტესწილად საზღვარგარეთ ახორციელებს. ის ახლაც, გამგზავრების სამზადისშია: ამერიკელებმა საცხოვრებელი სახლების კომპლექსის დასაპროექტებლად და საეკლესიო კომპლექსის მხატვრულად გასაფორმებლად მიიწვიეს.

— ბატონო თემურ, ბევრს მოგზაურობთ და ნოსტალგიაც არ იქნება თქვენთვის უცხო ხილი..

— მართლაც, უამრავი ლამაზი ქალაქი არსებობს, თავისი ისტორიით, არქიტექტურით, ხასიათით... მაგრამ უმრავლესობა მათ შორის მხოლოდ ერთხელ უნდა ნახო, რადგან არასოდეს შეგაწუხებს მისი მეორედ ნახვის სურვილი... ახლახან ვიყავი კაიროში. გავყევი ნილოსს ზემოთ და სუდანის საზღვრამდე მივედი. სხვათა შორის, იქ ერთი საინტერესო ამბავიც მოხდა. ლუქსორის ტაძრის სანახავად „ახალი რუსების“ ჯგუფი იყო ჩამოსული. როგორც სხვა ტურისტები, ისინიც ავტობუსით მიიყვანეს რამზეს მეექვსის სამფლობელოში. ეს ადგილი მეც მაინტერესებდა. გიდმა რუსულად უნდა ისაუბროს და რუსების ჯგუფთან მანქანით მიგიყვანთო, — შემომთავაზეს მასპინძლებმა. მანქანიდან რომ გადმოვედი, შევატყვე, რუსები მაშინვე დაინტერესდნენ ჩემი ვინაობით. რამზეს მეექვსეს 38 ცოლი და 130-ზე მეტი შვილი ჰყავდა. ამის გამო, მას გიდი ქალი, ზოგჯერ რამსესადაც მოიხსენიებდა ხოლმე. გიდს თვალსაჩინოებისათვის დასჭირდა დამთვალიერებლების მოშველიება და უცებ ერთ ახალგაზრდას მიუბრუნდა: წარმოიდგინეთ, რომ თქვენ რამზეს მეექვსის შვილი ხართ, თქვენ კი, — ყველაზე სიმპათიურ ქალბატონს დაადგა თვალი, — რამზეს მეექვსის ცოლი; თქვენ, დიახ, დიახ, თქვენ, — ახლა მე მომიბრუნდა, — თქვენ რამზეს მეექვსე ხართო. — არა, არა, ქალბატონო, ამ ქალის ქმარი მე ვარო, — წამოიქოჩრა ერთი ტურისტი. — კი, გასაგებია, ქმარი თქვენ ხართ, მაგრამ მე რამზეს მეექვსე შევარჩიეო, — უპასუხა გიდმა და თხრობა განაგრძო... ჩემ გვერდით ორი რუსი დგას და მესმის მათი გამწარებული ჩურჩული: А надо же – и здесь, в нувийской пустыне, в луксорском храме опять грузины. რატომ გამახსენდა ეს? ვთქვათ, ქვეყნებს რაც შეეხება — იტალია, ესპანეთი და გერმანია, ის სამი ქვეყანაა, სადაც ყოველთვის სიამოვნებით წავალ. მაგრამ ჩემთვის ყველაზე გამორჩეული და საინტერესო ხალხი მაინც ირლანდიელები არიან. დააკვირდით — ინგლისელ და ამერიკელ მწერლებს, ისინი არ მოსწონთ. და იცით რატომ? შედარებისათვის: ყოფილ საბჭოთა კავშირში 50 კაცში ერთი ქართველი მაინც თუ გაერეოდა, მის გარშემო იწყებდა ყველაფერი ტრიალს — მოკლედ, „სტოსი“ მას მიჰყავდა. ასევე არიან ირლანდიელები... ძალიან ბევრს ხომ არ ვლაპარაკობ უცხოელებზე? სადაც არ უნდა ვიყო და როგორც არ უნდა ვიყო, თბილისი არის ქალაქი, რომელიც ყოველთვის მენატრება. პლეხანოვზე დავიბადე და გავიზარდე. ჩემი უბანი მენატრება. თუმცა, ახლა ყველაფერი ისეა შეცვლილი, რომ ზოგჯერ, ქუჩის მოძებნაც მიჭირს ხოლმე. ინგლისელი სტუმრები ჩამომივიდნენ. შეხვედრა „ვარანცოვზე“, ახალგახსნილ რესტორანში დავთქვით. დათქმულ დროს კი მივედი, მაგრამ რესტორანი ვერ ვიპოვე. საბჭოს ქუჩის კუთხეში ერთი ძველი, მაგრამ ძალიან ლამაზი სახლი იდგა. რას ვიფიქრებდი, თუ დაანგრევდნენ და იმ ადგილას რესტორანს ააშენებდნენ? ვხედავ — ქუჩის კუთხეში 10-15 კაცს მოუყრია თავი. „შლოპანცებში“, „მაიკებსა“ და ტრუსებში არიან გამოწყობილნი, მზესუმზირას ისვრიან პირისკენ და იფურთხებიან. მაშინვე მივხვდი, ვინც იქნებოდნენ. ნაღდი თბილისელი ასე არასოდეს გამოვა ქუჩაში. მივედი, ვეკითხები: ძმებო, აქ „ვარანცოვზე“ სადღაც ახალი რესტორანი გაუხსნიათ, ხომ არ იცით, სად არის-მეთქი? — მერე ბიჭო, აქ „ვარანცოვს“ რა უნდაო? — ძველბიჭურად მიპასუხეს. მანქანიდან გადმოვედი და... იცით,

ეს მიმართულება თანამედროვე ხუროთმოძღვრებაში ხელოვნური განათებითა და ფერით მოდელირებას ითვალისწინებს

ვინ მომცა „პადერეკა“? ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მდგარმა ქურთის ქალმა, მთელი ცხოვრება იმ ქუჩას რომ გვიდა ცოცხით: ეე, ჯიგარო, გააჭუჭყიანეს და წაბილწეს ჩვენი ქალაქი ამ ახვრებმაო, – ისე გემრიელად თქვა სიტყვა, გაკვირვებისაგან გაბრაზება სიცილში გადამივიდა. ის ბიჭებიც ჯერ გაოცდნენ, მერე კი აყაყანდნენ. „ეე, სიკვდილი და ზურნა! რა ამბავია, კაცო, ეს რა დღეში ვართ, გაგონილა?“ – ახლა სომეხი ქალი გამოგვეხმაურა ღია ფანჯრიდან. უცებ ვიგრძენი, რომ ის ქურთიც და ის სომეხიც „კარენო“ პლეხანოველები იყვნენ და ჩემთვის უფრო ახლობლები, ვიდრე 15 უზრდელი ქართველი...

— ბევრის აზრით, თბილისი კარგავს თავის კოლორიტს და ერთ დიდ ბაზარს ემსგავსება. თქვენ როგორ ფიქრობთ — ის, რაც დღეს შენდება, რამდენად თავსდება ქალაქის საერთო არქიტექტურულ იერში?

– იცით, ყველაზე მეტად რაზე მწყდება გული? იმ პარკებსა და ბაღებზე, რომელიც გვქონდა და დღეს, გავერანებულია. გორკის ბაღში ისეთი ტყე იყო, დღე და ღამე ფოთლების შრიალი ისმოდა. „ტარზანი“ რომ გამოვიდა პირველად ეკრანზე, იმ ტყეში მივდიოდით და ხან ერთი ხიდან ისმოდა ტარზანისებური ღრიალი, ხან მეორიდან. იქ ერთი ჩემი მეზობელი ბიჭიც დაიღუპა – ხიდან თოკით გამოექანა და... კედლიდან ძლივს „ჩამოვფხიკეთ“ საწყალი. კიროვის პარკში შეყვარებულები დასეირნობდნენ. მშვენიერი იყო ბოტანიკური ბაღიც... დღეს რაც შენდება, არ შეიძლება კარგი იყოს, იმიტომ, რომ დროა ცუდი. არქიტექტურა კი დროის სარკეა. ხუთი კაცი რომ გააჩეროთ, მათგან ორი არქიტექტორი იქნება, რომელიც ან ტელევიზიაში მუშაობს, ან კლიპს იღებს – მოკლედ, სხვა სპეციალობით მუშაობს. იმიტომ, რომ დღეს საქართველოში არქიტექტორები არ სჭირდებათ. ღარიბთა კვარტალების მეტი რა მინახავს, მაგრამ რაც დღეს თბილისში ხდება, ასეთი რამ არსად შემხვედრია. დამიჯერეთ, – მეექვსე სართულზე მიშენებულ ლოჯიას და სამზარეულოს, თბილისის გარდა, ვერსად ნახავთ. შეხედეთ, რას ჰგავს სასტუმრო „ივერია“... უარესს გეტყვით: რესპუბლიკურ საავადმყოფოში რეანიმაციასა და საოპერაციოს შორის ლტოლვილები ცხოვრობენ; მარჯვნივ ოპერაციას აკეთებენ, მარცხნივ კაცი კვნესის, შუაში კი ლტოლვილები მწვადს წვავენ და არაყს სვამენ. ისე არავინ გამიგოს, თითქოს ლტოლვილების ბედი ქალაქის იერსახეზე ნაკლებად მაწუხებს, ან მათ მიმართ აგრესია მაქვს. მათ რა – უნდათ ასეთ პირობებში ყოფნა? უბრალოდ, იმას ვამბობ, რაც არ შეიძლება, რასაც „ბესპრედელი“ ჰქვია და რასაც მთავრობამ უნდა მიხედოს. მთელი ქალაქი გალიების მსგავსი ავტოფარეხებით გაივსო. არც ეს მინახავს სადმე. ესეც ერთგვარი არქიტექტურაა, რომელიც ქალაქში გაბატონებულ კრიმინოგენულ მდგომარეობაზე მეტყველებს. მოკლედ, არქიტექტურული თვალსაზრისით, თბილისი ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც დღეს უნდა იყოს. არქიტექტურა ერთადერთია, რაც ვერ ცრუობს და ზუსტ ინფორმაციას გვაძლევს იმ კულტურაზე, პირობებსა და მდგომარეობაზე, რომელშიც ვცხოვრობთ.

ნანა ჯორჯაძის ფილმის – „რობინზონიადის“ გადაღებისას , ნინელი ჭანკვეტაძესთან ერთად

— სამხატვრო აკადემიაშიც კითხულობთ ლექციებს. ალბათ თქვენი სტუდენტები მომავალი არქიტექტორები შესთავაზებენ ჩვენს საზოგადოებას თანადროულ პროექტებსა და ახლებურ ურბანისტულ დიზაინს...

– გინდათ, სიმართლე გითხრათ? მეცოდებიან ის სტუდენტები, რომლებიც დღეს აკადემიაში სწავლობენ – იმ აკადემიაში, სადაც 12 სართულია, ლიფტი არ არის და ერთი საერთო ტუალეტით სარგებლობენ სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. თანაც ეს დაწყევლილი ტუალეტი ეზოშია. ყოველი ლექციის დასრულებისას, უნდა ნახოთ, სართულიდან სართულზე როგორ კისრისტეხით ჩამორბის ხალხი, რიგში რომ ჩადგეს... სიმართლეა ისიც, რომ ჩვენი ახალგაზრდობა უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში უწიგნურობაში, ვაკუუმში მოექცა. არის კიდევ ისეთი პრობლემები, ფსიქოლოგიურად რომ გთრგუნავს კაცს და სახელს რომ ვერ დაარქმევ. სამხატვრო აკედემიაში ნატურმორტს – ლანგარზე მოთავსებულ ვაშლს, მსხალს და ყურძენს, ნავთს ასხამენ, რომ მშიერმა ბავშვებმა არ შეჭამონ... რაგბის მატჩზე საქართველოს ჰიმნი დაუკრეს და ახალგაზრდები ფეხზე არ ადგნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ სახელმწიფოს პატივს არ სცემენ, რომელშიც ცხოვრობენ. რაც შეეხება არქიტექტურაში ახალ მიმართულებას – შეიცვლება თუ არა უკეთესობისკენ დრო და სიტუაცია, ეს პირველ რიგში, არქიტექტურაზე აისახება და აქაც შესაძლებელი გახდება ისეთი პროექტების განხორციელება, როგორისკენაც ევროპასა და ამერიკას აქვს ორიენტაცია აღებული. ეს არის არქიტექტურა, რომელსაც სინათლისა და ფერის შეთამაშებით სივრცის ვიზუალური შეცვლა შეუძლია. ასეთი პროექტით აშენებულ ნაგებობათა კომპლექსი „ლაპარაკს“ შებინდებისას იწყებს და განსაკუთრებით ლამაზია ღამით. მხატვრუ-

ლი განათების ელემენტები გათვალისწინებულია თბილისის ორი ნაგებობის პროექტში – ეს არის უზენაესი სასამართლოს შენობა და მშენებარე სასტუმრო „მერიოტი“ თავისუფლების მოედანზე.

— საუბრისას რაგბი ახსენეთ. როგორც ვიცი, ვეტერან მორაგბეთა პირველი თაობის წარმომადგენელი ხართ, ყოფილი მოფარიკავე, მთამსვლელი, მოცურავე, კარატეში კი — მეექვსე დანის მფლობელი...

– თანდაყოლილი ტრავმის გამო, 10 წლამდე სიარული არ შემეძლო. სიარულზე ადრე, ცურვა ვისწავლე. მოგვიანებით, სპორტის სხვა სახეობებშიც დავიწყე ვარჯიში. რაგბი – სპორტის, კარატე კი, საბრძოლო ხელოვნების ის სახეობა იყო, რომელსაც საბჭოთა რეჟიმის დროს უშიშროება კრძალავდა და დევნიდა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ჩვენი დროის „კაი ბიჭები“, პროტესტისა და დაუმორჩილებლობის ნიშნად, სწორედ ამ სახეობებით იყვნენ გატაცებულნი. კარატეში მოგვიანებით დავიწყე ვარჯიში. ამჟამად ვარ კახეთში აღმოსავლეთ ევროპის „ვადო ინტერნაციონალის“ კარატე-დოს მთავარი ინსტრუქტორი, საქართველოს ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

— რას ნიშნავს 6 დანი? რამდენი კაცის ცემა შეგიძლიათ?

– კაცს გააჩნია... მე არც ჩხუბი მიყვარს და არც თავის ქება. ამიტომ, თუ გინდათ, იმას მოგიყვებით, მე რამდენმა კაცმა მცემა. ასპირანტურაში მოსკოვში ვსწავლობდი. შებინდებისას, გოგონა გავაცილე შინ. ფილის პარკში მივდიოდით. გზად შეზარხოშებული „სტროიბატი“ (*ჯარის სამშენებლო ბატალიონი. – ავტ.*) 5 მწკრივად და 20 რიგად მოდიოდა, წინ კი მედროშე მიუძღოდა. გაგვისწორდნენ თუ არა, ერთმა მოულოდნელად სახეში დამარტყა და ძირს დამცა. იმას მეც გვარიანად ვუთავაზე, მაგრამ მერე, ჩემკენ მთელი ბატალიონი რომ წამოვიდა, მივხვდი, რომ ჩემი საქმე ცუდად იყო. 5 წუთი ვჩხუბობდი, მერე მარტო ხმები მესმოდა, მერე – ხმებიც შეწყდა... მოკლედ, ნიჩბებით თოვლი გათხარეს, შიგ „ჩამტკეპნეს“ და ზემოდან ისე გადაასწორეს, რომ გოგონას და მოხუც კაცს, რომელიც მან ჩემს ამოსათხრელად მოიყვანა, ძალიან გაუჭირდათ იმ ადგილის პოვნა, სადაც ვიყავი... ეს ამბავი მეგობრებს რომ მოვუყევი, ბევრი იცინეს: ვისთან ჩხუბობდი, თემურ, გენაცვალე? – მაგათ ცოტა ხნის წინ, ბერლინი აიღეს და ის დროშა, ხელში რომ ეჭირათ, რაიხსტაგიდან ჩამოხსნესო... რუს სამხედროებთან ეს არც პირველი და არც ბოლო შეხვედრა ყოფილა ჩემთვის. იყო სამაჩაბლო, იყო აფხაზეთი, იყო 9 აპრილი. დღეს რატომღაც არავინ ახსენებს იმ ხალხს, ვინც დერეფანი გააკეთა რუსთაველზე და ხალხი გამოიყვანა სამშვიდობოს. – ყოფილი მორაგბეები და კარატისტები იყვნენ. რომ არა ისინი, გაცილებით მეტი მსხვერპლი იქნებოდა. თუნდაც იმიტომ ღირდა ჩვენი დაბადება, ვარჯიში, ტრავმები და პრობლემები, რომ შეგვძლებოდა 9 აპრილს ხალხის გადარჩენა.

— ისევ იმ ამბავს დავუბრუნდები, გოგონას რომ აცილებდით. ასეთ შემთხვევაში, ხშირად, გოგოს ის ბიჭი უყვარდება, ვინც უთანასწორო ბრძოლაში მარცხდება — მაგალითად, თოვლში იმარხება...

– მართალი ხართ, მე მგონი, იმ გოგონას, სწორედ ამ ამბის შემდეგ შევუყვარდი. ეტყობა, ძალიან ვაჟკაცურად „ჩავიმარხე“.

— მას, ვისაც ბევრი უმოგზაურია, ყოველთვის ეკითხებიან ხოლმე რაღაცას ქალებზე...

– რა გითხრათ? ერთი კარგი ქართველი გოგო, 100 უცხოელს (აი, ისეთს, ჩვენში რომ იტყვიან – ზღაპარივით ქალიაო), ყოველთვის სჯობს. მიმაჩნია, რომ ქალებზე კაცმა საერთოდ არ უნდა ილაპარაკოს, მაგრამ თუ მაინც გადაწყვეტს ალაპარაკდეს, ისე უნდა თქვას სათქმელი, როგორც ეს იური გაგარინმა მოახერხა. კოსმოსშია კაცი, მთელი პოლიტბიურო უცდის, როდის ჩააბარებს პატაკს მთავრობას და ამის ნაცვლად, იცით, რა თქვა? – Привет всем и Анне Маньяни... მანიანი ევასებოდა თურმე გაგარინს – ხომ მაგარია? ეს რომ გავიგე, მერე უფრო დავაფასე ეს კაცი.

— ნანას არასოდეს დასჭირვებია თქვენი დაცვა? ორივენი არაორდინარული ადამიანები ხართ. როგორ უგებდით ერთმანეთს?

– ნანაზე სამი წლით ვარ უფროსი, მაგრამ მასზე გაცილებით გულუბრყვილო ბავშვი ვიყავი, იმიტომ, რომ სიარული არ შემეძლო და არ ვიცოდი, რა ხდებოდა ირგვლივ. ძალიან დიდხანს მჯეროდა, რომ საღდგომოდ წითელი კვერცხები კურდღელს მოჰქონდა. ერთხელ, მომიტანეს ეს წითელი კვერცხები კალათით და მითხრეს, – კურდღელი გაიქცაო. გავეკიდე, ძლივს მივრბივარ ამ ჩემი ფეხებით (დაბადებიდან არა მაქვს კოჭები), ფოსტის შენობამდე მივაღწიე, უკან ნანა მომყვება. არხეინად მოაბიჯებს, ხან უსტვენს... აქოშინებულმა ვთხოვე დარაჯს: შემიშვი, რა, შიგნით, კურდღელს მივდევ-მეთქი. – შემოდი, თემურიკო, შემოდიო, – მითხრა, თან ნანას ანიშნა, რა ხდებაო? – ჰმ, წითელკვერცხებიან კურდღელს მისდევსო... ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ ეშმაკურად ჩაიცინა ნანამ. მოკლე კაბა ეცვა, „ტრუსიკი“ უჩანდა, ცალ ფეხს ათამაშებდა – ძალიან საყვარელი და სასაცილო გოგო იყო. ჩემი გულუბრყვილობა სასაცილოდ არ ჰყოფნიდა. ჩვენ მთელი ბავშვობა მხოლოდ ერბო-კვერცხის გაყოფაზე ვჩხუბობდით ხოლმე, დღემდე სხვა არაფერი გვაქვს გასაყოფი. თუ მარტონი ვიყავით, ვჩხუბობდით. მაგრამ საკმარისი იყო ვინმე მესამე გამოჩენილიყო, მაშინვე შევეკვრებოდით ხოლმე ერთმანეთს... დღეს ქმარიც ჰყავს, შვილიც, შვილიშვილიც, მაგრამ მაინც ვფიქრობ – ისე არავინ დაიცავს ქალს, როგორც ძმა.

— ამჟამად სად არის და რას საქმიანობს?

– მალე ჩამოვა თბილისში. შემიძლია მასთან შეხვედრა „ჩაგიწყოთ“ და ის თვითონ ისაუბრებს თავის გეგმებზე.

— მოდით, ოპტიმისტურ ნოტზე დავასრულოთ ჩვენი საუბარი.

– ოპტიმისტურ ნოტზე? – სიამოვნებით! მე მართლაც ოპტიმისტი ვარ და მჯერა, რომ ჩვენს ქალაქში ბოლოს, ყველაფერი ისეთ სახეს მიიღებს, როგორიც თბილისს ეკადრება. ■

ნანა ჯორჯაძესთან ერთად

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. ღორის ხორცის ჩიხირთმას ყადა ჰქვია.
2. ყაზახი თურქული სიტყვაა და გლეხს ნიშნავს.
3. „ულირსთა შორის არ მსურს დიდება“, — წერდა ბაირონი.
4. ლომი ოცდაათ წელიწადს ცოცხლობს, მარტორქა — სამოცდაათს.
5. „საკუთარი შრომის შედეგებს უნდა ენდო“, — ამბობს მიკლ ვორდანი.
6. ყოველ წელიწადს, ეიფელის კოშკს სამი მილიონი ტურისტი ნახულობს.
7. კლოდ მონე დილის ოთხ-ხუთ საათზე დგებოდა და უმალვე ხატვას იწყებდა.
8. ქალაქ მანჩესტერს ინგელსმა მსოფლიოს პირველი საფაბრიკო ქალაქი უწოდა.

9. ოთხი წლის წინ ჩილეში ყოფნისას, თამაზ კვაჭანტირაძე ავტოკატასტროფაში მოხვდა.
10. იტალიელი მოქანდაკე ვკაკომო მანცუ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი იყო.
11. უნგრელმა კომპოზიტორმა ფერენც ლისტმა პირველი კონცერტი 9 წლის ასაკში გამართა.
12. „ყვავილოვანი კომბოსტო“ — ასე ჰქვია მედუზას ერთ-ერთ სახეობას. ეს მედუზა კანიბალია.
13. არზამასი 16, კრასნოიარსკი 26, ტულა 7. ეს გასაიდუმლოებულ ქალაქთა ჩამონათვალია.
14. ოვიდიუსი ამბობდა, რომ ქალთა უმრავლესობა თეატრალურ სანახაობებზე მხოლოდ იმიტომ დადის, რომ თავად გახდეს სანახაობა.
15. გარკვეული ჯიშის ყურძენს ფრანკონიაში შუაგულ ზამთარში, ღამის ხუთ საათზე კრეფენ, როცა ყინვა ყველაზე ძლიერია. ასე მზადდება რესლინგის მარკის განსაკუთრებული ღვინო.
16. პუშკინის ძარღვებში ნაწილობრივ ეთიოპიელის სისხლი ჩქეფდა, დოსტოევსკის ძარღვებში — პოლონელის, ლერმონტოვის ძარღვებში — შოტლანდიელის.
17. ერთმა გამომგონებელმა ამერიკის ხელისუფლებას შესთავაზა, გამოეშვათ ოდნავ მოღუნული ხურდა ფული. მისი თქმით, ეს საშუალებას მისცემდა მოსახლეობას, ადვილად აეკრიფა მონეტები სწორი ზედაპირიდან.
18. წავს სხეულში ქონის შრე არ გააჩნია და ცივი წყლისგან თავს ხშირი ბეწვითა და ნივთიერებათა სწრაფი ცვლით იცავს. ეს ცხოველი ყოველდღე თავისი წონის ერთ მეოთხედ საკვებს მირთმევს.
19. ერთ-ერთ ვარჯიშს, რომელსაც საბჭოთა ჯარისკაცები ძელზე ჩამოკიდებულნი ასრულებდნენ, „მახ ნა სოლნცე“ ერქვა. სირთულის გამო,

ავთო მარგველაშვილი

ძეობილ ქცეული ქორწილი

იმ ქორწილს ჩაშლა რომ ეწერა, იმთავითვე ეტყობოდა, მაგრამ კარის მეზობლის შვილის ქორწინებას მომასწრო ღმერთმა და როგორ არ წავიდოდი?!. 50 ლარი კონვერტში ხელის კანკალით ჩავდე, სიმწრის ცრემლით დავაწერე: „გილოცავთ ბედნერებას!“ და სხვა მეზობლებთან ერთად, ნაქირავები მიკროავტობუსით მასპინძლის სოფლისაკენ გავემგზავრეთ.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 16 წლის ღლაპმა 14 წლის გოგო მოიტაცა, რომელიც მშობლების ერთადერთი ქალიშვილი იყო და ისეთ ფერებაში ზრდიდნენ, რომ მის საყვარელ ფენოვან ხაჭაპურსაც, ბავშვისთვის ღრძილები რომ არ ეტკინა, ხორცის საკეპ მანქანაში უტარებდნენ... ანკი რა მოტაცება უნდოდა? — 36 კილოს იწონიდა კაი ნაჭამზე და 1 მ და 40 სმ იყო სიმაღლით, ნახტომში... ორი მოტაცება კრახით დამთავრდა და დაჭერას გადარჩენილ სასიძოს ხელწერილიც კი დააწერინეს, რომ აღარ შეაწუხებდა, მაგრამ ძმაკაცებისაგან შეგულიანებულმა, მაინც გაბედა და მესამე მცდელობამ გაამართლა კიდეც. მოტაცებულმა გოგომ ისეთი ამბავი ატეხა მანქანაში, რომ ქორივით დაკაწრა საქმრო, მერე კი სიჩქარეების გადამრთველი ბერკეტი, ე.წ. „რიჩაგი“ მოტეხა და მანქანა სულ „ზადნი ხოდით“ ავიდა კოვეორში. საჭესაც ბევრჯერ სტაცა ხელი და მანქანის გზიდან გადაგდებასაც ეცადა, მაგრამ ბოლოს, „იავნანა“ ჩაურთეს მაგნიტოფონში და დაღლილს ღრმად ჩაეძინა. რომ გაეღვიძა, უკვე ფეხმძიმედ იყო...

მშობლებსაც რაღა უნდა ექნათ? ბედს შეეგუვნენ, ცხვირმოუხოცავი სიძე შვილივით შეიყვარეს და ქალიშვილის ფეხმძიმობის მე-9 თვეზე ქორწილიც დანიშნეს...

დედოფლის მაყრებმა იმდენ ხანს დაიგვიანეს, რომ სამჯერ დათრობა და ორჯერ გამოძინებაც მოვასწარით და როგორც იქნა, სიგნალების ხმაც გაისმა. გადმოლაგდნენ მანქანებიდან, მარა რა გადმოლაგდნენ: 28-ზე ნაკლები არც ერთ მანქანაში არ ოჯდა. სულ ბავშვები, ზოგს ბუშტი ეკავა ხელში და ზოგს — რეზინის სათამაშო. მაყარში ყველაზე უფროსი, 15 წლისა იქნებოდა.

ბედნიერ წყვილს შეუღლება მივულოცე და ბიჭს კონვერტი ჯიბეში ჩავუდე. დედოფალმა „მადლობა“ ისე ამოიკნავლა, ვიფიქრე, ჭინთვები დაეწყო-მეთქი. სიძემ კი კონვერტი იქვე გახსნა და ფული რომ დაინახა, ისე გაუხარდა, რომ იმწამსვე „ციგნებში“ გავარდა და „ჟვაჩკები“ იყიდა.

როგორც იქნა, სუფრასაც მივუსხედით და თამადაც ავირჩიეთ, რომელმაც მშვიდობის სადღეგრძელო ისეთი პათოსით წარმოთქვა და ისე გულის ამაჩუყებლად მოუწოდა მსოფლიო საზოგადოებრიობას განიარაღებისაკენ, რომ ახალგაზრდა მაყრებმა ჯიბეები ამოიბრუნეს და პისტოლეტებისა და დანების გროვა დააყენეს ცეკვისათვის განკუთვნილ ადგილზე. „მშვიდობას“ ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო მოჰყვა, თამადამ ყანწი დაცალა და ალავერდს მოადგილესთან გადავიდა, რომელიც სიძის თანაკლასელი იყო და სამჯერ ჩავარდა ყანწში, მაგრამ სამჯერვე ამოიყვანეს და ფენით გაამშრალეს. სანამ სამასი კაცი სადღეგრძელოს იმეორებდა, ფეხმძიმე პატარძალი ფეხზე დგომით დაიღალა და ცოტა წაუძინა, სიძემ კი „ბაბოლის“ ღეჭვას მოუხშირა და ბოლოს იმოდენა ბუშტი გამობერა, რომ გასკდა. დედოფალს გააცივა, ცხვირი დააცემინა და გაეღვიძა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, სიძე-პატარძლისა და მაყრიონისთვის რომ თვალი გადაგევლოთ, „ჩხიკვთა ქორწილი“ გეგონებოდათ — სუფრა რომ აირია, თავკაცი ბუზის საკლავით დასდევდა სტუმრებს.

სიძემ მუსიკოსებს ქართული „საცეკვაოს“ ნაცვლად, თანამედროვე ვარიანტი — „ზეცაზედა ვარსკვლავები“ შეუკვეთა და საცეკვაოდ გადმოხტა. გახარებულმა დედოფალმაც ისკუპა და ისეთ ხტუნვას მოჰყვა, რომ „რიმტირი-რიმტირი-რირაო“-ზე

კინაღამ იმშობიარა. რა თქმა უნდა, დარბაზიდან გაიყვანეს და ფეხებით დაკიდეს, რომ ბავშვი შებრუნებულიყო და გზა არეოდა... ამასობაში სტუმრებს შორის გინეკოლოგიც აღმოჩნდა, რომელმაც დედოფალს მკაცრი წოლითი რეჟიმი დაუნიშნა, მაგრამ უდედოფლოდ არც ქორწილი ივარგებდა, ამიტომ სიძის სავარძლის გვერდით ჰამაკი დაკიდეს და პატარძალი გვერდით მიუწვინეს.

— ასეთი არაფერი მინახავს — გადაიხარხარა ჩემმა „ხადავშჩიკმა“ მეზობელმა და უკვე მერამდენე ნაჭერ კარაქიან პურს ტაოტივით გადაუსვა შავი ხიზილალა.

— რა დროს ამათი ქორწილია?! 50 წლისა ვარ და ჯერ ჩემი ბედი არ გადაუწყვეტია სიყვარულის ღმერთს! — განაცხადა ერთ-ერთმა სტუმარმა.

— შენს ბედს აწი მიქელ-გაბრიელი თუ გადაწყვეტს! — მწარედ იხუმრა „ხადავშჩიკმა“ და ბუტერბროდზე ხიზილალის ფენის სისქე ორმაგად გაზარდა.

— შენ თევზებზე გაბრაზებული ხომ არ ხარ, რას ერჩი ამ ხიზილალას? სხვა რამე შეჭამე! — ხუმრობა იწყინა ქრონიკულმა უცოლომ. — საჩემო ვარიანტს რომ ვეძებ, მიტომ შემოვრჩი აქამდე, თორემ შენისთანა გემოვნება რომ მქონდეს ერთს კი არა, ცხრას ვითხოვდი.

— მაინც როგორი ცოლი გინდა?

— ცხოვრებაში გამოცდილი. დიდი სილამაზე არაა აუცილებელი. მთავარია, ენა უვარგოდეს და ცოტა ფულსაც შოულობდეს.

— ზუსტად მასეთები: არც მთლად შეუხედავი, გამოცდილი, ფულის შემომტანი ქალები ვაგზალზე დგანან და 20 ლარად სამს მოგიყვან, თუ გინდა! ენა კიდევ, მაგათ რომ უვარგათ, ისეთი უნდა!

— 7-ლარიანი ქალები შენს ბიჭებს უთხოვე! — ისე იუკადრისა დაბალი ფასი უცოლო მეზობელმა, რომ კინაღამ 100-დოლარიანი „საცოლეები“ შევთავაზე...

თამადას უკვე აღარავინ უსმენდა. იგი უფრო და უფრო ჩაჰყვიროდა მიკროფონს და ეს უკანასკნელიც მაქსიმალურად ცდილობდა, სიტყვასიტყვით გაეხმაურებინა მისი ნათქვამი, მაგრამ ამაოდ. მუსიკოსებთან ტინეიჯერების რიგი დამდგარიყო და ერთმანეთის ჰალსტუხებს ხელებზე იხვევდნენ — ჩემი „ზაკაზის“ რიგიაო: ამ დროს, დარბაზში „ვაგონი მიქრის“ გაისმა და ახალგაზრდებმაც გაიხარეს. ჩემ გვერდით მჯდომმა, 30 წლამდე ასაკის კაცმა გადმომილაპარაკა: მე ვიცი, როგორ უნდა მოვისვენოთ ამათგანო, — და საცეკვაოდ გადახტა.

— აბა, ჩამებით! — დაიყვირა და ყველა მოცეკვავემ ვაგონის როლი იკისრა. „მემანქანემ“ გეზი გასასვლელი კარისაკენ აიღო და „მატარებელიც“ გაჰყვა. მალე უკანვე მობრუნდა და ღიმილით მითხრა: ასე ივლიან დარბაზის გარშემო, სანამ მუსიკა არ დამთავრდებაო, — და ჩვენც 15 წუთით დავასვენეთ ყურები მათი ყვირილისაგან. მხოლოდ დედოფალიღა კიოდა ჰამაკიდან — მეც წამიყვანეთო!..

თამადამ შემთხვევით ისარგებლა და სიძეს ხელის შემწყობი ძმაკაცები დაულოცა. მანაც თავი მოიწონა და მიკროფონით ხელში, ხუმრობით გვიამბო პირველი ორი უშედეგო მცდელობის ამბავი, რომ თურმე, მოტაცებული ქალი კაბით გამოსდებია ჭიშკრის „პრუჟინას“ და უკან იმიტომ ბრუნდებოდა. მესამედ კი, თხელი სარაფანი სცმია, რომელიც ადვილად შემოეხა ტანზე და საქმროსაც ხელში შიშველი ქალი შერჩა. გამიხარდა კიდეც რადგან გახდის პრობლემა უკვე მოგვარებული იყოო, — დააყოლა ყურებამდე გაღიმებულმა სიძემ და არც შემდეგი „წვრილმანების“ მოყოლა დაიზარა. სირცხვილისაგან გაწითლებულმა თამადამ ყურებში დაკუჭული „სალფეთქის“ ქაღალდები შეიტენა.

სიმამრმა იმდენი მირტყა, რომ ორი კვირა „კლიზმით“ ვჭამდი საჭმელსო, — ამ შთამბეჭდავი ამბით დაასრულა სიძემ „კაზანოვას“ მონოლოგი, მეულლის ძმობლების პატივსაცემად, „ჩემი სიდედრი შენსას სჯობია“ დაუკვეთა და თვითონვე შეასრულა. სიმღერის დაწყებას ყველა ტაშით შეხვდა, მაგრამ მტკვარში დახრჩობის სურვილი რომ გამოთქვა, 15 წლის ცოლისძმა წამოუხტა და მიკროფონის მსხვილი თავი გლანდებამდე ჩასტენა პირში.

დინამიკებში მისი ხროტინი ისე საცოდავად გაისმა, მეჯვარემ ვეღარ მოითმინა და „ბარაბნის ჩაშკები“ შემოჰკრა ცოლისძმას ყურებში და კარგა ხნით დააყრუა. თამადამ მუსიკოსებს ათლარიანი მისცა, „ჭიდაობას რა უნდა“ „დაუზაკაზა“ და ისეთი ძალით დასტვინა, რომ ღიპზე აწყვეტილი ღილით გიტარისტს თვალი დაუვსო. თამადას 40-მდე მაყარი დაერია, მაყარს სიძის მეგობრები დაესივნენ და ისეთი ორომტრიალი ატყდა, რომ არავის გაუგონია ჰამაკში დაწოლილი დედოფლის „მიშველეთ!..“ მხოლოდ გინეკოლოგის გულმა იგრძნო პაციენტის გასაჭირი და ყველაფერი მხოლოდ მაშინ დასრულდა, როცა ექიმმა სიძეს მიკროფონი ამოთხარა პირიდან, მთელი ხმით იყვირა — ბიჭია, ბიჭიო!.. და დედოფლის ფატაში გახვეული ჩვილი ყველას დასანახავად მაღლა ასწია...

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

ამ ვარჯიშს ჯარისკაცებმა სახელი შეუცვალეს და ხუმრობით „ბუხ ნა ზემლიუ“ უწოდეს.

20. „დედაჩემმა პოეზია დამიწუნა და ჩემმა ცოლმა — პროზა. მათ იხსნეს ქართული საზოგადოება კიდევ ერთი პოეტისა და მწერლისგან, თორემ ახლა 401-ე წევრად ვიქნებოდი წივწივაძის „კამანდაში“, — ღიმილით ჰყვებოდა ლევან ბერძენიშვილი.

21. 1950 წლის შემოდგომაზე, საბჭოთა კავშირის ყველა დიდი თანამდებობის პირი გვიანობამდე ივჯდა სამსახურში. მაშინ სტალინს უძილობა აწუხებდა. ბელადი ქვეყნის მაღალჩინოსნებს სათითაოდ ურეკავდა და თავისთან იძახებდა.

22. ჯორი ცხენს სილამაზეში, ჭკუასა და ძალაში ჩამორჩება. ჯორის ერთადერთი უპირატესობა ცხენთან შედარებით, მისი ამტანობაა. მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილოეთის მეურნეობებში ცხენებს იყენებდნენ, სამხრეთში კი, სადაც უფრო რბილი კლიმატი იყო, მათ ჯორებით ცვლიდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ სამხრეთში, სადაც მონათმფლობელური წყობილება იყო, ცხენები ზანგი მონების სასტიკ მოპყრობას ვერ უძლებდნენ.

23. ჭყვებიან, რომ თეატრში მომუშავე მხატვარი ალექსანდრე ტიშლერი სპექტაკლისათვის საჭირო დეკორაციებისთვის ესკიზის შექმნისას, ნახატის კუთხეში პატარა, მწვანე ძაღლის გამოსახულებას ბეჭდავდა. სამხატვრო საბჭოს, ძაღლი თვალში არ მოსდიოდა და მხატვარს მისი წაშლა უხდებოდა. მაგრამ ძაღლის ეს გამოსახულება თავის ფუნქციას მაინც ასრულებდა: ამ გამოსახულების კრიტიკით არაქართგამოლეული სამხატვრო საბჭოს წევრები მხატვარს სხვა შენიშვნებს ფაქტობრივად, აღარ ამლევდნენ.

24. მწერალ გილიაროვსკისთან საუბარში, კარგი ქეიფის და დროს ტარების მოყვარული ერთი ვაჭარი ამბობდა, რომ აღმერთებდა ფრანგულ შამპანურს სახელწოდებით „მუმ“. მიზეზი კი ის იყო, რომ უგონოდ მთვრალი ვაჭარი ოფიციანტის კითხვაზე — „კიდევ ხომ არ ინებებთ რაიმეს?“ — პასუხად ზმეილის გარდა, ვეღარაფერს ამერხებდა, რის შემდეგაც ოფიციანტს ზემოთ ხსენებული შამპანურის მორიგი ბოთლი მოჰქონდა.

25. მკვლელობის დღეს, ილია ჭავჭავაძე ნაგანის სისტემის რევოლვერით იყო შეიარაღებული. P.S. ნეტავ, გამოყენებინა...

■

პაემანი საკუთარ თავთან

ომარ შარიძაძე უკვე ოცდახუთი წელია, რაც სუფრის რიგითი წევრი არ ყოფილა. ის უცვლელი თამადაა. ბატონი ომარი ფილოსოფოსია, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი. ყველა ადამიანი ფილოსოფოსია, ცხოვრება კი ფილოსოფიაა, — ამბობს. ბატონი ომარის ფილოსოფიური სამყარო — სიყვარული, ერთგულება და ვაჟკაცობაა. თბილისის კოლორიტს ყველგან სიხარული და ბედნიერება მოაქვს. სადაც ბატონი ომარია, იქ ბევრი ღიმილი და ნათელი იუმორი იფრქვევა.

ლელა ჭანკოტაძე

— ბატონო ომარ, როგორია ქეიფის თქვენეული ფილოსოფია?

— ქეიფი არ ნიშნავს ღვინის დიდი რაოდენობით დალევას. ქეიფს მე ვეძახი პაემანს საკუთარ თავთან. როცა ღვინო, ეს არაჩვეულებრივი სითხე, თავის მაგიურ გავლენას ახდენს, დარდი, პრობლემები და ათასგვარი საფიქრალი კაცს თანდათან ავიწყდება და ის თავისუფალი ხდება.

— დაქირავებული თამადის როლში თუ ყოფილხართ?

— შეგნებულად არ დავასახელებ იმ ადამიანებს, რომლებსაც ეგონათ, რომ მე ამა თუ იმ წარჩინებული პიროვნების ქორწილში გასამრჯელო გადამიხადეს... ეს ეჭვი გასაგებია, რადგან თამადამ ოჯახი უნდა წარმოაჩინოს, საქართველოში კი ნებისმიერის სურვილია, კარგად წარმოჩინდეს, მაგრამ ჩემთვის არავის არ შემოუთავაზებია საზღაური თამადობისთვის. ასეთი შემოთავაზება რომ ყოფილიყო, პირად შეურაცხყოფად მივიღებდი.

ჩემზე იმიტომ ამბობენ — კარგი თამადაა, — რომ პოეზია მიყვარს

— რა თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს კარგი თამადა?

— ყველა ქართველი ბუნებით თამადაა. ქართული სუფრა საოცარია. იყო პერიოდი, როცა ვფიქრობდი, ქართული სადღეგრძელოები გამომეკვლია და ისიც, თუ როგორ წარმოჩნდება ქართული სული სუფრასთან. თამადამ სუფრა უნდა გახადოს დაუვიწყარი. მქონია შემთხვევები, როცა სტუმრებს ვერ გაუგიათ, როგორ დაღამდა, როგორ ინათა... არაფერია იმაზე კარგი, როცა ადამიანს პრობლემებს დაავიწყებ და გვერდით დაუდგები, მის სულს დაეხმარები, რადგან ჩვენში სწორედ სულიერი შიმშილია.

— თქვენს შინაგან განწყობაზე რამდენად არის დამოკიდებული, როგორ გაუძღვებით სუფრას?

— მე საკუთარ თავზე არასდროს ვფიქრობ. ერთადერთი ჩემი მიზანი ის არის, რომ სუფრასთან ხალხი უფრო რომანტიკული გავხადო, თავის სულში ჩავახედო და ბედნიერება განვაცდევინო. ხშირად ყოფილა — კუჭი მტკივებია, ავმდგარვარ, მალულად სოდიანი წყალი დამილევია და ისევ გამიგრძელებია თამადობა...

— ქართული სუფრა სიმღერით იწყება თუ სადღეგრძელოთი?

— ქართული სუფრა „მრავალჟამიერით“ იწყება, ეს აუცილებელია. ამასთან, ქართულ სუფრას ამშვენებს ლექსი და იუმორი. ჩემზე იმიტომ ამბობენ — კარგი თამადაა, — რომ პოეზია მიყვარს. პოეზია ჩემი ცხოვრების საზრისია. მუხრან მაჭავარიანს ნათქვამი ლექსების რაოდენობაშიც შევჯიბრებივარ. პრეტენზია მაქვს, რომ ყველაზე მეტი ლექსი ვიცი. ამასთან, თბილისში ერთ-ერთი მათგანი ვარ, ვინც ყველაზე მეტი ანეკდოტი იცის. არასდროს წამიყვანია ორი სუფრა ერთნაირად. ბოდიშს მოვითხოვ ხოლმე და უცბად, სული რაღაცას რომ მომთხოვს, შეიძლება ალოგიკურიც იყოს, მაგრამ მაინც იმას ვიტყვი... ერთ პოეტს აქვს კარგად ნათქვამი: „ეს უეცარი მოწყურება სიყვარულისა, რად არის ხოლმე სიყვარულზე უფრო ნეტარი?!“ როცა სულს რაღაც მოენატრება და ამას შენს ოცნებაში „გააჭენებ“, ლაგამს რომ მიუშვებ და შენს რომანტიკულ სამყაროში გადაეშვები — თამადობა აპოგეას აღწევს.

— ყველაზე ფილოსოფიური სადღეგრძელო, რომელსაც წამოთქვამთ ხოლმე, რას ეხება?

— მიყვარს სანთლის სადღეგრძელო. სანთელს სამი განსაკუთრებული თვისება აქვს: თავისი წმინდა ალით უფალთან გაახლოებს, სიბნელეში სინათლე შემოაქვს და ლამაზად, უხმაუროდ იღვენთება... მე ვამბობ ხოლმე: ისეთ ადამიანს გაუმარჯოს, რომელიც გონებით და ინტელექტით

სიბნელეს გაანათებს, თავისი ზნეობრიობით ღმერთთან მისასვლელ გზაზეა დამდგარი, უფალი მასშია და ის – უფლის სამსახურში და ამ ყველაფერს უხმოდ, უპრეტენზიოდ აკეთებს... ძალიან მიყვარს ახალშექმნილი ოჯახის დალოცვა. ასეთ დროს ვამბობ: გაუმარჯოს ხარის ქედს, გაუმარჯოს ცის ნამს, მიწის მადლს, კაცის მარჯვენას და ქალის პატიოსნებას!..

— იუმორს, სადღეგრძელოს როგორ უხამებთ?

– თუ ბავშვის სადღეგრძელოა, კახელის ანეკდოტს ვიტყვი ხოლმე: მიხო უთენია აღვიძებს ბავშვს: ადე, სკოლაში წადიო. მეზობელმა დაუძახა: რა დროს სკოლააო?! – ადრე წავა და ადრე მოვაო, – უპასუხა მიხომ... თუ ვინმე ჩქარობს და სუფრიდან ადრე უნდა წასვლა, სვანის ანეკდოტს მოვიშველიებ: სვანმა „8-07“-ის რეკლამას შეხედა და თქვა: ცხრა დაწყებულაო... სუფრა და ქეიფი ყველგან გადასარევია, მაგრამ კახეთი მაინც საოცარია. კახელი სუფრიდან ადგომას რომ დააპირებს, იტყვის: წავალ, გავნიავდები და შემოვალო. სუფრის ყველა წევრის ხასიათი არ ვიცი, ამიტომ ჯერ საკუთარ თავზე გავიხუმრებ ხოლმე, შემდეგ კი მივაყოლებ გურულის ანეკდოტს – კლასიკური ანეკდოტის ნიმუშს: გერმანიასთან ომია. ორი გურული ცუდ დღეში ჩავარდა – გერმანელები ძაღლებით მისდევენ. ერთმა ბუჩქებში დამალვა მოასწრო, მეორე კი ხეზე აძვრა. გერმანელებმა ბუჩქებიდან გამოათრიეს გურული. მეორე ხეზე თუ იყო, არც იცოდნენ. მოჰყავთ ტყვე და უცბად, გაჩერდა, ხეს ახედა და დაიძახა: ვარლამია, ჩამოდი, ძამა, დაგვიჭირეს...

— ბატონო ომარ, კურიოზი ბევრი შეგმთხვევიათ?

– ჩემი ცხოვრება სულ კურიოზებით არის სავსე. ბატონ ვენორ ქვაჩახიასთან *(უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის გამგე. – ავტ.)* ვმუშაობდი, რომელსაც ძალიან უყვარდა ქეიფი. თან ტკბილი კაცი იყო და ვერ იტანდა, ვინმეს თუ თავი სტკიოდა. ერთხანს, ხშირად დავდიოდით მივლინებაში. ბატონი ვენორი გვთხოვდა, რომ მივლინებიდან დაბრუნებულებს აუცილებლად ჩაგვეტანა იმ კუთხეში გადაღებული ფოტოსურათები. ერთხელ ლეჩხუმში მივდიოდით. ეს ჩემთვის პირველი მივლინება გახლდათ. სამნი უნდა წავსულიყავით: მე, ნოდარ გორგაძე, რომელსაც „კომედიას“ ვეძახდით და ცხონებული ლაშა კიკალეიშვილი. „კომედიას“ ბატონი ვენორი „კისინჯერას“ ეძახდა. მაშინ კისინჯერი ამერიკის სახელმწიფო მდივანი იყო და გორგაძესაც, როგორც კათედრაზე საორგანიზაციო საქმეების მომწესრიგებელს, ბატონმა ვენორმა ეს მეტსახელი შეარქვა... კისინჯერა და ლაშა უცოლშვილები იყვნენ. მათ ვუთხარი: წადით თქვენ, მე კი ერთ კვირაში ჩამოვალ-მეთქი: პატარა ბავშვი მყავდა და მასთან ყოფნა მერჩივნა ყველაფერს. ერთი კვირის შემდეგ, ცაგერში რომ ჩავედი, სურათი ვეღარ გადამიღეს – ფირი გასთავებოდათ. მივლინებიდან რომ დავბრუნდით, ნოდარმა (კისინჯერა) შეუტანა სურათები. უყურა ბატონმა ვენორმა სურათებს და იკითხა: კი, მაგრამ, ომარიც ხომ იყო მივლინებაშიო? კისინჯერას არ უნდოდა ეთქვა, ერთი კვირით გვიან რომ ჩავედი და გამწარებულმა ესლა მოიფიქრა: აი, აქ იდგა, მაგრამ თეთრი რომ არის, ამიტომ არ გამოჩნდა სურათშიო... ამის შემდეგ ერთი წელი გავიდა. ბატონ ვენორს წესად ჰქონდა – ფეხბურთის მატჩი რომ იმართებოდა, დამთავრებისთანავე უნდა მივსულიყავით კათედრაზე და ფეხბურთზე გვესაუბრა. მე ამ საქმეში კომპეტენტურ კაცად მივაჩნდი. ერთხელ კიევის „დინამოს“ ეთამაშებოდნენ ჩვენი ფეხბურთელები. როგორც კი მეორე ტაიმი დამთავრდა და მსაჯის სასტვენის ხმა გაისმა, უნივერსიტეტში წავედი. ცხრა საათი იყო დაწყებული. უნივერსიტეტის წინ ბატონი ვენორი მოუსვენრად დადიოდა. კოკისპირულად წვიმდა, ამიტომაც სულ მთლად სველი იყო. მივუახლოვდი თუ არა, მკითხა: პირადობის მოწმობა და პასპორტი გაქვსო? – კი, მაგრამ სახლში მაქვს-მეთქი, – ვუპასუხე. – ახლავე მოიტანეო, – მითხრა. ხვალ მოვიტან-მეთქი, – ვთხოვე. – არავითარი ხვალ, ახლავე მოიტანეო! – იყვირა. წამოვედი, მოვაძებნინე ცოლს და წავუღე. გამომართვა ბატონმა ვენორმა და თავის ოთახში შევარდა. ორ წამში იქიდან ყვირილი მოისმა: კისინჯერა მომიყვანეთო. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა.

ბევრჯერ ყოფილა, რომ სუფრიდან ავმდგარვარ, ტაქსი გამიჩერებია, მთაწმინდაზე ავსულვარ და გალაკტიონის საფლავთან ლექსი წამიკითხავს

შევედი ოთახში: რა ხდება, ბატონო ვენორ-მეთქი? – ვკითხე. – ყრიხართ კათედრაზე და ლოთობის მეტს არაფერს აკეთებთ! კისინჯერამ მითხრა – ომარი სურათში არ გამოდის, – ეს სურათი არ არისო?! – მკითხა. სიმწრის ოფლმა დამასხა. მაინც არ დავიბენი და კითხვა შევუბრუნე: თქვენ რომ ატელიეში შედიხართ სურათის გადასაღებად, რას აკეთებენ-მეთქი? – რას და პროჟექტორს მომანათებენ და გადამიღებენო, – თქვა. – მე რომ შევდივარ, ყველაფერს ჩააბნელებენ, აბსოლუტურ სიბნელეში მიღებენ სურათს, ამიტომ იძულებული ვარ, სურათი მხოლოდ ღამით გადავიღო-მეთქი, – თავი მოვისაწყლე. ბატონი ვენორი გაფითრდა. ამხელა ბუმბერაზ კაცს ცრემლი ჩამოუგორდა და მითხრა: არა უშავს, ომარ, ცხოვრება ღამითაც კიაო...

— სუფრასთან კონფლიქტი თუ მოგსვლიათ?

— ერთადერთი შემთხვევა იყო. ამ სამი-ოთხი წლის წინ, ქორწილში ქალაქელმა ბიჭებმა ყველას შეურაცხყოფა მიაყენეს. ყველაზე უზრდელს ისეთი მოვდე, სამი დღე გონზე ვერ მოვიდა... ერთი შემთხვევაც მინდა გავიხსენო. იმედია, ბიძაშვილები არ გამინაწყენდებიან. გორში ჩემი ბიძაშვილის, ბადრის და ცირას ქორწილში ვიყავი თამადა. ორივე ცოლქმარი ტანადია. ბადრიმ წინასწარ გამაფრთხილა — ამაზე არ იხუმრო, სიტყვაც არ დაგცდესო. ლხინის დასასრულს, მაინც ვთქვი: ლავუაზიეს კანონის მიხედვით, ცირა და ბადრი 2.000-3.000 კილოვატი სიმძლავრით დაიძვრებიან ერთმანეთისკენ — მათ რა საწოლი გაუძლებთ-მეთქი?! ბადრიმ თოფი აიღო, გადატენა და ჩემკენ გამოვარდა. გადავაგდე ჭიქაც, მიკროფონიც და გავიქეცი, თორემ მართლა მომკლავდა.

— ბატონო ომარ, რამდენ ლიტრ ღვინოს სვამთ?

— ჩემი მეგობარი 24 ლიტრს სვამს. მე ასეთი მსმელი არა ვარ. თუმცა, არ ყოფილა შემთხვევა, რომ სუფრა ადრე მიმეტოვებინოს. ღვინის სმას ნიჭი უნდა. განსაკუთრებით მიყვარს ღვინის დალოცვა. ყველაფერს ღვინით აღვნიშნავთ, ზოგჯერ კი გვავიწყდება, რომ ეს კეთილშობილური სითხეც უნდა დავლოცოთ. გრიგოლ რობაქიძე კარგად წერს: გლეხი რომ წიხლქვეშ მოიქცევს მტევანს, თითქოს მთელ ბოღმას დაანთხევს, ის კი არ იცის, რომ დაღვინდება, თავად ორღობის რომელიმე კუთხეში მიაგდებსო... ღვინო ღვთაებრივი სასმელია. გირჩევთ, ღვინით ღვინო ადღეგრძელოთ ხოლმე.

— ოჯახის წევრები თუ გიწყობენ ხელს? მათ თუ ესმით თქვენი იუმორი, თქვენი განცდები?

— ჩემი ცოლი ნანა რაჭველია, მაგრამ საოცარი იუმორი აქვს. ერთხელ მეჩხუბა: რა არის ამდენი სმა და ქეიფიო?! რვა მარტი იყო მოახლოებული, ნანას კაფია ვუთხარი: „ჩვენი სულის ტრაგედია, განა მართლა იმაშია, რომ ჩვენ გარშემო უამრავი ლამაზი და მშვენიერი ქალებია, რა ხანია ჭიქა-ჭიქას აღარ დაგვიჯახებია, ჩემო ნანა...“

ოჯახში ყოველთვის თამადა ვარ. ორი შვილი მყავს. მათ ქორწილებშიც თამადა ვიქნები. მე არ ვარ ოსივით, რომელმაც, რომ უთხრეს: მოდი, ბავშვი მოგვინათლეო, — უპასუხა: რა ვიცი, სენი წილიმე, მონათვლის? — ჩემიც სხვას მოვანათვლინეო...

— სტუდენტებთანაც თუ გითამადიათ?

— რა თქმა უნდა! რაც ვიცი, მათ ყველაფერი უნდა გადავცე. ერთხელ მთხოვეს: სურათი გადავიღოთო. მოვიყვანეთ ფოტოგრაფი. გადაგვიღო, მაგრამ ეტყობა, ჩემს მხარეს მზე ურტყამდა და სურათზე არ გამოვჩნდი. მეორე დღეს, სტუდენტებმა ეს სურათი სპეციალურად გაკეთებული წარწერით მომიტანეს. დიდი ასოებით აწერია: „გიჯობს სხვა გზით გაიარო, ფოტოგრაფთან არ იარო“.

— თქვენ თქვით, რომ უამრავი კურიოზი შეგმთხვევიათ, განსაკუთრებულად რომელი მათგანი გახსენდებათ?

— სამტრედიაში დიდმა თუ პატარამ — ყველამ იცის ჩემი გამოგონილი ლექსი. ამ ლექსს უცნაური ისტორია აქვს! გვყავს ერთი მეზობელი, არაჩვეულებრივი ადამიანი, რომელსაც გარდაეცვალა მამა — ბატონი მიშა. დავიქირავეთ ავტობუსი და სამტრედიაში დაკრძალვაზე წავედით. ერთ-ერთი ჩვენი მეზობელი, სომეხი ქალი ლუსია გვერდით მომიჯდა და მითხრა: ომარ-ჯან, ხომ იცი, ქართველები როგორ მიყვარხართ. როგორ მოვიქცე, ყველას რომ დავანახვო, გულწრფელად რომ მტკივა გული ბატონი მიშას გარდაცვალების გამოო? სერიოზული სახით მივუგე: ლუსია, სამტრედიაში ასეთი წესია — გვირგვინი უნდა შეიტანო, დადგა და მიცვალებულს ერთი კარგი ლექსი უთხრა-მეთქი. — სომხურ ლექსს ვეტყვიო, — თქვა. — არა, სომხურს ვინ გაიგებს-მეთქი? — ვიუარე. — აბა, ქართული ლექსი არ ვიციო, — შეწუხდა. — დაგიწერ და სანამ იქამდე მივალთ, დაიზეპირე-მეთქი, — შევთავაზე. მართლაც, დავუწერე ერთი სტროფი და მივეცი. წაიკითხა და უსიტყვოდ გამეცალა. ვიფიქრე — ეწყინა, ხუმრობა ვერ გაიგო-მეთქი, მაგრამ აღარ ჩავეძიე. სამტრედიაში ჩავედით. ლუსიამ ჩვენთან ერთად შემოუარა მიცვალებულს, დადგა გვირგვინი. მოულოდნელად კი ხელები გაშალა და წარმოთქვა:

"რიონი მოდიდებულა,
მოაქვს თევზი და ქვიშა,
წყალნი მგელი გამოვარდა,
გამარჯობა, მიშა!..„

მერე ლუსია ექვსი თვე აღარ გველაპარაკებოდა. სამტრედიაში კი ის დღე არასდროს დაავიწყდებათ.

— თქვენმა მეუღლემ გალაკტიონთან დაკავშირებული კურიოზი მიამბო. იქნებ, თქვენც გაიხსენოთ?

— ბევრჯერ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ სუფრიდან ავმდგარვარ, ბოდიში მომიხდია, ტაქსი გამიჩერებია, მთაწმინდაზე ავსულვარ და გალაკტიონის საფლავთან ლექსი წამიკითხავს. ერთხელ, ღამის სამ საათზე დიდი ყანწით ხელში გამოვვარდი ქორწილიდან, ტაქსის ხელი დავუქნიე და ჩქარა, მთაწმინდაზე-მეთქი! — ვუთხარი. მივედით თუ არა, გალაკტიონის სადღეგრძელო ვთქვი, დავლიე და „ლურჯა ცხენები“ მთელი გრძნობით წავიკითხე. მძღოლმა მიყურა, მიყურა და ძალიან შეეშინდა. საცოდავი კანკალებდა. მანქანაში რომ ჩავჯექი, ორი ათმანეთიანი მივაწოდე — სწრაფად ისევ ქორწილში მიმიყვანე-მეთქი. საცოდავად შემომხედა. ფულს მე მოგცემთ, ოღონდ ჩადითო, — მთხოვა...

■

წარმატება ნიუ-იორკში

და სექტემბრისთვის გადადებული თბილისური სპექტაკლი

რუსული ესტრადის ვარსკვლავის, ნუცა შანშიაშვილის კონცერტებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ: ბოსტონში, ვაშინგტონში, მაიამისა და ნიუ-იორკში ტრიუმფით ჩაიარა. ნიუ-იორკში დაგეგმილი ერთი კონცერტის ნაცვლად, მომღერლისადმი დიდი ინტერესის გათვალისწინებით, ნუცას სამჯერ მოუხდა გამოსვლა. „1500-კაციან, გადაჭედილ დარბაზში ნიუ-იორკის მერი აღფრთოვანებას ვერ ფარავდა მომღერლის მიერ მოგვრილი განცდის გამო“, – მითხრა ნუცას დედამ, ქალბატონმა მზია მაღლაკელიძემ. ერთ-ერთ აღფრთოვანებულ კინორეჟისორს კი, ნუცას სიმღერაზე – Одинокая свеча – კლიპიც გადაუღია, აბსოლუტურად უსასყიდლოდ.

საგანგებოდ ამ ტურნესთვის მომღერალმა თავისი 30 სიმღერის მიხედვით 30 ნახატი შექმნა, რომელიც დარბაზის ფოიეში იყო გამოფენილი. სცენა ნუცას ნახატებით, სამი მოლბერტითა და როიალით იყო გაფორმებული, მის სიღრმეში, შუაში დამონტაჟებულ ეკრანზე კი, მომღერლის გამოსვლებს შორის, მისი ნახატების რეპროდუქციები ჩნდებოდა.

ორსაათიანი პროგრამის განმავლობაში, ინგლისურ და რუსულ სიმღერებთან ერთად, რუსა მორჩილაძის სამი სიმღერა და, რა თქმა უნდა, რევაზ ლაღიძის „თბილისოც“ აჟღერდა.

ცოტა ხნის წინ, მომღერალი მოსკოვში დაბრუნდა, სადაც დაწყებულია გადაღებები ფილმისა „ამაპოლა“, რომლის სცენარიც სპეციალურად ნუცასთვის დაიწერა. ნუცას საქართველოში მაისში ჩამოსვლა ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ იმის გამო, რომ ნიუ-იორკში ამ დროს ახალი კონცერტი დაინიშნა, ალბათ ვეღარ მოახერხებს. ქართველი მაყურებელი ნუცა შანშიაშვილს სავარაუდოდ, სექტემბერში იხილავს სპექტაკლში „ეტიდ პიაფი“, რომელიც ოპერისა და ბალეტის თეატრში იქნება წარმოდგენილი. ■

ბორის ნიფურიას „ფორტუნა“ ღატაკია

„პირველი არხის“ ამ პოპულარული შოუს ეკრანიდან ბორის წიფურია 5 წლის განმავლობაში ულოცავდა წყვილებს გაბედნიერებას და ბევრს, პამპერსსაც გადასცემდა, ასევე – თამარ მეფის ბეჭდის ასლით ასაჩუქრებდა. ერთი შეხედვით ძვირად ღირებული ამ ბეჭდის ფასი, სულ 5 ლარია და იმდენად დაბალი ხარისხის ლითონისგანაა დამზადებული, რომ ორი დღის შემდეგ, თურმე ფერს იცვლის და სრულიად უვარგისი ხდება.

ინფორმაციამ შოუდან მსახიობის წასვლის შესახებ ტელევიზიიდან მაშინვე გაჟონა, როგორც კი ბატონმა ბორისმა ეს გადაწყვეტილემა მიიღო. ამ ინფორმაციის დასაზუსტებლად, ტელეფონით დავუკავშირდით.

— ბატონო ბორის, მართლა მიდიხართ „ფორტუნადან“?

– წამოვედი. მაგრამ ახლა, აღარ ვიცი, როგორ გადაწყვეტილებას მივიღებ, რადგან ზაზა შენგელიამ დამიბარა და მითხრა: „ფორტუნა“ შენი გადაცემაა, შენს გარეშე ხიბლი აღარ ექნება, მის არსებობას რაღა აზრი აქვსო?!. ასე რომ, შესაძლებელია, გადაწყვეტილება შევცვალო. თუმცა, ძალიან გულნატკენი ვარ და ამ წყენის დავიწყება ჩემთვის იოლი არ იქნება...

ბორის წიფურიამ არ გაგვიმხილა გულისტკივილის მიზეზი, თუმცა, როგორც სანდო წყაროსგან შევიტყვეთ, ერთ-ერთი სარეიტინგო გამოკითხვის – „პოპულარული და ცნობილი შოუმენები“ – თანახმად ის მეათე ადგილზეც ვერ მოხვდა, რამაც აღაშფოთა და შესაძლოა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისი უეცარი გადაწყვეტილების მიღებაში. ■

რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელი მუშაკები (80-იანი წლები).
მარცხნიდან მესამე – ვახტანგ რაზმაძე, მარჯვნიდან მეოთხე – პროკურორი ანზორ ბარაბაძე

მე-20 საუკუნის გახმაურებული და გაუხმაურებელი სასამართლო პროცესები

ექსგენპროკურორის ექსკლუზიური ინტერვიუ

ამბობენ — როგორც ალესილი დანა, ისე ჭრიდა ვახტანგ რაზმაძის სიტყვაო... დღეს ყოფილი გენერალური პროკურორი 73 წლისაა, ახლახან ჰქონდა დაბადების დღე. შინ, მოსიყვარულე ბებუისა და ღიმილიანი მასპინძლის ამპლუაში ვიხილეთ. მის თვალებში მთელი ეპოქაა აღბეჭდილი: ვახტანგ რაზმაძე წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე პროკურატურის სისტემაში, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პროკურორის მოადგილედ, დამოუკიდებელი საქართველოს გენერალურ პროკურორად. რა თქმა უნდა, გასახსენებელიც ბევრი აქვს.

მაია კახიძე

— ბატონო ვახტანგ, ვიცი, ცოტა ხნის წინ ავადმყოფობდით. რა გაწუხებთ?

— პოლიკისტოზი მაქვს და... თირკმლებმა მიღალატა. 90-იან წლებში, მოსკოვში, ვიშნევსკის სახელობის ინსტიტუტში, აკადემიკოსმა ფიოდოროვმა უნიკალური ოპერაცია გამიკეთა. ღვიძლზეც მქონდა კისტა და ისე ამომაჭრა, რომ ღვიძლს არ შეხებია...

— ლოყაზე დიდი ხალი რომ გქონდათ, ის სადღა გაქრა?

— წვერის პარსვის დროს, როგორც ჩანს, გამიღიზიანდა და სისხლდენა დამეწყო. შარშან, ონკოლოგიურ საავადმყოფოში პროფესორმა კოტე მარდალეიშვილმა გამიკეთა ოპერაცია და მას შემდეგ უხალოდ დავრჩი.

— ძალიან მშვიდი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებთ. რაჭველობის ბრალია?

— ისე, რაჭველი კაცების თვისებები მეც მახასიათებს. ამბროლაურის რაიონში, სოფელ ზედაშავრაში გახლავართ დაბადებული. დინჯი ნამდვილად ვარ, მაგრამ ჩემი უმთავრესი თვისება ის არის, რომ ადამიანები მიყვარს, არასოდეს მიცდია, ვინმესთვის გული მეტკინა და ყოველთვის ვცდილობდი, ობიექტური ვყოფილიყავი.

— თქვენზე ამბობენ, სამსახურში ძალიან მკაცრი და მომთხოვნი იყო, მივლინებაში რომ მიემგზავრებოდა, თანამშრომლებს იქიდანაც კი ამოწმებდა ხოლმეო. მართალია?

— მართალია. ყოველდღე, დილის ცხრა საათზე ვრეკავდი.

— ბატონო ვახტანგ, თქვენ საქართველოს გენერალური პროკურორი ბრძანდებოდით, ეი — მთავარი ბრალმდებელი. გულწრფელად მითხარით — არაფერს ნანობთ?

— მუდამ გულწრფელი ვიყავი და გეტყვით — არა, აბსოლუტურად არაფერს ვნანობ. თავიდან რომ დამაწყებინა ცხოვრება, ისევ ამ გზას ავირჩევდი. მე ხალხს ვემსახურებოდი და მთელი საქართველოს გასაგონად მინდა ვთქვა, რომ ბრმა შემსრულებელი არც კომუნისტების დროს ვყოფილვარ და არც — შემდეგ.

— მართალია, უკვე 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ, მაგრამ გთხოვთ, მე-20 საუკუნის მნიშვნელოვანი სასამართლო პროცესები გაიხსენოთ.

— თვითმფრინავის გატაცების პროცესი, პროფესორ გელბახიანის პროცესი, სოლიკო ხაბეიშვილის, სიღნაღის ღვინის ქარხნის მეღვინეების, ზურაბ ბაკაშვილის (ნუღლა), თბილისის იურიდიული ტექნიკუმის პედაგოგების...

— „თვითმფრინავის ბიჭების“ დახვრეტა აუცილებელი იყო?

— დამნაშავეები იყვნენ და სასჯელი უნდა მიეღოთ. განა მათ, თუნდაც ტურისტული საგზურით არ შეეძლოთ წასვლა?! მაგრამ ხმაური უნდოდათ გამოეწვიათ... თუმცა შეიძლებოდა, სასჯელის უმაღლესი ზომის ნაცვლად, 15 წელი მიეცათ...

— ფაქტია, რომ უმაღლესი ზომა გამოუტანეს და ვერავინ ვერაფერი შეძლო...

— კანონი იყო მკაცრი.

— პროფესორ კაცს, პეტრე გელბახიანს რატომღა მოექცნენ ასე? მის სასამართლო პროცესზე რას იტყვით?

— გელბახიანის მიმართ წაყენებული ბრალდებები შეთითხნილი იყო. დიახ, შეთითხნილი ბრალდებების საფუძველზე გაასამართლეს იმისთვის, რაც არ ჩაუდენია. მეტსაც გეტყვით — სასამართლოს მტკიცებულებები არ ჰქონდა.

— კი, მაგრამ ვინ შეუთითხნა ცნობილ მეცნიერს ბრალდებები?

— ასე უნდოდა მაშინდელ ხელისუფლებას და იმიტომაც მიუსაჯეს 15 წელი...

— სოლიკო ხაბეიშვილის საქმეც გაიხსენეთ, თუ შეიძლება.

— მერწმუნეთ, სოლიკო ხაბეიშვილი მექრთამე იყო. საქართველოში არ არსებობს ისეთი საქმე, სადაც ამდენი მტკიცებულება იქნებოდა, მაგრამ როცა შევარდნაძე ჩამოვიდა, ფაქტობრივად, აიძულა უზენაესი სასამართლო, საქმე შეეწყვიტა. თუმცა ვფიქრობ, რომ რაღაცები ბუმერანგივით დაუბრუნდა უკან...

— პირადად თქვენ მოახსენეთ შევარდნაძეს იმის შესახებ, რომ ხაბეიშვილმა ქრთამი აიღო? საერთოდ, როგორ გახდა ცნობილი ხაბეიშვილის მექრთამეობა?

— ბუჩუკური (სახელი არ მახსოვს) — სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი, რაიონში არსებული სხვადასხვა დარღვევის გამო, 1983 წლის დეკემბერში თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მაშინ, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე, რესპუბლიკის პროკურორმა, ანზორ ბარაბაძემ მოითხოვა, რომ მასალები პროკურატურისთვის გადაეცათ. ამაზე ბიურომ რეაგირება არ მოახდინა. 1984 წლის მარტში (იმ დროს რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილე ვიყავი), ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგემ — ნუგზარ საჯაიამ გამომიძახა და მითხრა: ცეკას პარტიული კომისია ბუჩუკურის საქმეს თქვენთან გადმოაგზავნის შესამოწმებლად, შემოწმება პირადად თქვენ უნდა ჩაატაროთ და შემდეგ, ცენტრალურ კომიტეტს მოახსენოთო... რესპუბლიკას პროკურორი ჰყავს, მე მოადგილე ვარ და მის გარეშე როგორ გავაკეთებ-მეთქი? — ვკითხე. როდესაც საჯაიას კაბინეტში ვიმყოფებოდი, შევარდნაძის ზარი გაისმა. ნუგზარ საჯაიამ მოახსენა — რაზმაძეა ჩემთანო. — ამოიყვანეო, — უთხრა შევარდნაძემ. მანაც ივივე გამიმეორა — შემოწმებას პირადად უხელმძღვანელებთ, რადგან გახმაურება საჭირო არ არის, მე მაინტერესებს — ვინ ეხმარებოდა დაწინაურებაში ცეკადან ბუჩუკურს, რომ ასე დაუსჯელად გრძნობდა თავსო...

სიღნაღში ამ დროს, ღვინის ფალსი-

ფიკაციის საქმის გამოძიება მიმდინარეობდა. ძიების პროცესში რაიონის ზოგიერთი მეღვინისაგან მივიღეთ ჩვენებები, რომ მათ გარკვეული თანხები მიჰქონდათ რაიკომის პირველ მდივანთან. როდესაც ბრალდებები ბუჩუკურს წარუდგინეს, თქვა: ასე რომ „მაწვებით", ნუთუ, არავინ მეხმარებაო?!. გამომძიებელმა უპასუხა: ახლა ვინ შეიწუხებს შენთვის თავსო?!. ჰოდა, სწორედ მაშინ უთხრა გამომძიებელს: ვინ და — ხაბეიშვილმა უნდა შეიწუხოს თავი, — და დაასახელა ფულის გადაცემის რამდენიმე ფაქტი. ბუჩუკურმა თქვა, რაიონში სოლიკო ხაბეიშვილი ჩამოვიდა და დამპირდა: ნუ გეშინია, დაგეხმარები და ვეცდები, ეს საკითხი ბიუროზე არ გავიდესო (სხვათა შორის, არც გასულა); ამაში 25 ათასი მანეთი მივეციო... შევამოწმეთ და დადგინდა, რომ ხაბეიშვილი ნამდვილად იყო ჩასული სიღნაღის რაიონში. თავიდან იგი უარობდა, მოგვიანებით კი, აღიარა. ეს ფაქტი შევარდნაძეს მოვახსენე. კიდევ შეამოწმეთო, — მითხრა. უხერხული ხომ არ არის, პროკურატურა რომ ამოწმებს? — ცეკას ავტორიტეტზე უარყოფითად იმოქმედებსმეთქი. ამაზე ცოტა გამიბრაზდა: მე, ლანჩხუთელი გლეხის შვილი, პარტიამ გამხადა ცეკას მდივანი, მე კიდევ — ესენი გავხადე ცეკას მდივნები, დავაწინაურე და ვინც მღალატობს — არ ვაპატიებო...

— მეღვინეების საქმე როგორ წარიმართა?

— ძალზედ საინტერესო პროცესი იყო. არ შერჩათ ჭარხლის წვენის წყალში ჩარევა... კახელ მეღვინეებს ისეთი დარღვევები ჰქონდათ!.. მოგვიანებით, ამერიკელი კოლეგები ჩამოვიდნენ და რომელიმე კოლონიის ნახვა მოისურვეს. სტუმრები რუსთავში წავიყვანე და იქ ვნახე სწორედ ნუღლა, სიღნაღის ღვინის ქარხნის ყოფილი დირექტორი. მოვიდა ჩემთან და მითხრა: გამიშვით, რისთვის ვარ აქ? — გარეთ საქმეს გავაკეთებო... იცით, რა მინდა გითხრათ? ახლანდელი „ღორები" რომ არიან, ასეთი კი არ იყო ნუღლა, ქველმოქმედი კაცი გახლდათ. ვიცი, რომ ახლა მოსკოვშია... სხვათა შორის, მისი ცოლიც დააპატიმრეს. მილიონ ოთხასი ათასი ჩაიტანა მოსკოვში. იქაური თანამდებობის პირები დახმარებას დაჰპირდნენ, მაგრამ „აჭამეს" — ფულიც წაართვეს და დააპატიმრეს კიდეც. არადა, ჭეშმარიტი ქართველია, უტეხი, ქმრისა და ოჯახის ერთგული. ვერაფრით დავაცდენინეთ, სად იყო ნუღლა... ის კი არა და, სხვა საოცარ ამბავს გეტყვით. თბილისის იურიდიული ტექნიკუმის მასწავლებლები დავიჭირეთ ქრთამზე. აღიარეს, რა თანხები ჰქონდათ აბიტურიენტებისაგან აღებული. ამ ქალბატონებთან ერთად მოხდა საკანში ნუღლას ცოლი და სამიოდე დღეში ისე გადაუბრუნა ჭკუა პედაგოგებს, რომ ყველაფერი უარყვეს. წარმოგიდგენიათ, რა ქალბატონთან გვქონდა საქმე! იმასაც გეტყვით, რომ მოსკოვში ნუღლას ცოლი რომ დაიჭირეს, სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი, ბუჩუკური ამ ფაქტმაც ძალიან შეაშინა...

— საჩხერის წვენების ქარხანაში რაღა მოხდა?

— არის ასეთი ქიმიური ნივთიერება — მჟაუნმჟავა, რომელსაც ტყავის დასამუშავებლად იყენებდნენ. 70-იან წლებში, ყველაფერში იჩინა თავი ფალსიფიცირებამ, განსაკუთრებით — წვენებში. საჩხერის ქარხნიდან წვენები სარეალიზაციოდ მოსკოვსა და სხვა ქალაქებში გაგზავნეს. ქალაქ პენზაში 11 ადამიანი დაიღუპა ქართული წვენით მოწამვლის შედეგად. ამის გამო დავიჭირეთ ქარხნის მაშინდელი ხელმძღვანელობა. მჟაუნმჟავას ურევდნენ, ხალხი დაღუპეს და პასუხიც აგეს ჩადენილი დანაშაულისთვის.

— მე-4 საქსოვი ფაბრიკის თანამშრომლები რატომ დააპატიმრეთ?

— შევარდნაძემ, შინაგან საქმეთა მინისტრი რომ გახდა, მაშინ დააპატიმრა. ნედლეულის ეკონომიას აკეთებდნენ. მაგალითად, ოთხწვერა ძაფის მაგივრად, ორწვერა ძაფით ქსოვდნენ ტანსაცმელს. ეს სახელმწიფო ქონების დატაცებად ითვლებოდა. გეგმას კი კარგად ასრულებდნენ, მაგრამ ეს ხომ პროდუქციის ხარისხის ხარჯზე ხდებოდა?! ზოგიერთის გვარიც კი მახსოვს: თალაკვაძე, შალოლაშვილი, გაგუა, ბოთერაშვილი... 15 კაცის მიმართ 15-წლიანი სასჯელი მოვითხოვე. ბოთერაშვილმა მითხრა: ბარემ, ტყვია გესროლა და მოგეკალიო. სიმართლე გითხრათ, არასოდეს მსიამოვნებდა ასეთი ნაბიჯების გადადგმა...

— მსხვილი გაფლანგვის რომელიმე ფაქტს ხომ არ გაიხსენებთ?

— ოთარ თენეიშვილი მახარაძის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა, ხოლო რაიკომის პირველი მდივანი დემურ დვალიშვილი იყო. რაიაღმასკომში 80.000 მანეთის გაფლანგვა მოხდა, რისთვისაც რაიონის პროკურორმა, დანელიამ აღმასკომის მთავარი ბუღალტერი — ჭეიშვილი დააპატიმრა. გამოძიების პროცესში გამოიკვეთა, რომ გაფლანგვაში გარკვეული ბრალი ოთარ თენეიშვილს მიუძღოდა. პროკურორი დანელია თბილისში ჩამოვიდა და ჩემთან მოვიდა: თენეიშვილს დანაშაული აქვს ჩადენილი და როგორ მოვიქცეო? აღმასკომის თავმჯდომარე, მეორე კაცი იყო რაიონში. მე ვუთხარი, რომ დეპუტატის პასუხისგებაში მიცემა არ შეიძლებოდა, თუ შესაბამისი თანხმობა არ იქნებოდა. დავარიგე — შეეტანა წარდგინება რაისაბჭოში, რათა თენეიშვილის პასუხისგებაში მიცემაზე მიეღო თანხმობა, აგრეთვე — ინფორმაცია მიეწოდებინა რაიკომის პირველი მდივნისთვის. მერე კი, მართლა სასწაული მოხდა: დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, ოთარ თენეიშვილი და დემურ დვალიშვილი ცეკაში დაიბარეს, დვალიშვილი ფინანსთა მინისტრად გადმოიყვანეს, ხოლო თენეიშვილი რაიკომის პირველ მდივნად დანიშნეს. იმის მაგივრად, რომ პასუხისგებაში მიეცათ, ორივე დააწინაურეს... 1985 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მახარაძის (ახლანდელი ოზურგეთის) ერთ-ერთ ჩაის ფაბრიკაში ნედლეულის დამზადების კანონიერება შეამოწმა. შემოწმებისას აღმოაჩინეს მიწერები — ყალბი დოკუმენტები ჩაის დამზადების შესახებ (მაშინ, ფაქტობრივად, მიწერები ყველა სფეროში იყო). დააპატიმრეს ჩაის ფაბრიკის დირექტორი, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებმაც ჩვენებებში აღიარეს, რომ ფულს რაიკომის პირველ მდივანს აძლევდნენ. ჰოდა, ამ ჩვენების საფუძველზე, თენეიშვილი დავაპატიმრეთ. ერთ-ერთი დაკითხვის დროს, მან ჩვენებმა მისცა შს სამინისტროს გამომძიებელს, ვაჟა შენგელიას და თქვა, რომ 100.000 მანეთი სოლიკო ხაბეიშვილს გადასცა. მე ეს ჩვენება ცოტა გადაჭარბებულად მომეჩვენა და ოთარ თენეიშვილს პირადად შევხვდი ციხეში. ვკითხე: რისთვის მიეცი ფული, რა გაგიკეთა-მეთქი? — კარგი ურთიერთობისთვის, თორემ ხაბეიშვილისთვის არავის უკითხავს, რაიკომის მდივნად ჩემი დანიშვნაო, — მიპასუხა. მერე, სოლიკო ხაბეიშვილის სასამართლო პროცესზე, თენეიშვილმა უარყო 100.000 მანეთის მიცემა და ხაბეიშვილს ეს ბრალდება მოეხსნა...

მეუღლესა და შვილიშვილებთან ერთად

დასასრული შემდეგ ნომერში.

შეამჩნიეთ, რომ სამყაროს ძლიერი სქესის წარმომადგენლები სულ უფრო და უფრო სუსტდებიან? ვინ არის ამაში დამნაშავე, ისევ ჩვენ, ქალები ხომ არა?

ჩვენ მიჩვეულები ვართ და მამაკაცებს ისე აღვიქვამთ, როგორც სამყაროს ძლიერი სქესის წარმომადგენლებს. გაჭირვებისა თუ დალხინების ჟამს, სწორედ მათგან ველით რჩევასა და მხარდაჭერას. თუმცა, ყველა ქალს როდი გაუმართლა და ყველამ როდი იპოვა ძლიერი მამაკაცი, რომელსაც გარკვეულ სიტუაციებში დაეყრდნობა. ზოგიერთ მამაკაცს თავისი გაუბედავი და უსუსური ხასიათის წყალობით, საკუთარი ცხოვრების თანამგზავრი ნერვულ სტრესამდეც კი მიჰყავს.

მაინც რატომ არიან მამაკაცები ასეთი უნებისყოფოები?

ნების სრული ატროფია

ქალს ხან უყვარს, ხან სევდიანია, ხანაც ეჭვიანი; იგი განიცდის სიახლოვეს, ტკივილს, სევდას, სურს, რომ საყვარელ ადამიანს გაჰყვეს ცოლად... რა ხდება ასეთ დროს მამაკაცის თავს? ამ გრძნობებისა და სურვილების მიმართ, ხშირ შემთხვევაში, იგი იმდენად ინდიფერენტულია, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით, საკუთარი აზრიც კი არ გააჩნია. დაქორწინდეს თუ არა? ჰყავდეს შთამომავლობა თუ არა? უინიციატივო მამაკაცების კატეგორია, ასეთი საკითხების გადაწყვეტას სრულიად მშვიდად უდგება. ბოლოს და ბოლოს, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. „ყავა თუ ჩაი?“ — „ოჰ, სულერთია! ოღონდაც, რაც შეიძლება სწრაფად!“ როცა საქმე პარტნიორის არჩევაზე, მამობასა თუ საერთოდ, ერთობლივ ცხოვრებაზე მიდგება, ასეთ მამაკაცებს რაღაც უცნაურობა — ნების სრული ატროფია ეუფლებათ. ისინი მოვლენებს თვითდინებაზე მიუშვებენ და ხშირად ისე ხდება, რომ მასში მონაწილეობასაც კი ვეღარ ახერხებენ ხოლმე. დიახ, როდესაც ქალს ასეთი „გაუბედავი“ ხასიათის, უნებისყოფო მამაკაცთან აქვს საქმე, მას ნებისმიერი რამის მიღწევა შეუძლია ასეთ პარტნიორთან, მაგრამ იქნება კი იგი ბედნიერი ასეთი მამაკაცის გვერდით? სამწუხაროდ, არა.

ტირანიის ამგვარი ფორმა

უნდა აღინიშნოს, რომ პასიური მამაკაცი ყოველთვის უწყინარი კრავივით როდი გამოიყურება, რომელიც მოთმინებით ელის, თუ როდის გამო-



| | | |

აწყობს სუფთა ტანსაცმელში ცოლი და როდის დააპურებს მას. არ გამოაწყობს, არ დააპურებს და თქვენ გგონიათ, ასე მშიერ-ტიტველი იჯდება? სულაც არა! მამაკაცის პასიურობამ შესაძლოა, უმკაცრესი ტირანიის ფორმა მიიღოს, რომლის დროსაც მამაკაცი დესპოტივით იქცევა და ირგვლივ მყოფებს ლამის ყმებად აღიქვამს. აი, ყმის ფუნქციის შესრულება კი, იმ უბედური ცოლების ხვედრი ხდება, რომლებმაც საკუთარი წინდაუხედაობით, ასეთი ტირანი ცხოვრების თანამგზავრები აირჩიეს. მის უდიდებულესობას არაჟანი მხოლოდ ბაზრიდან, ისიც ახალთახალი უნდა მიართვათ, კონიაკიც — საუკეთესო ხარისხის. ყოველ დილას ცოლი თავის მბრძანებელს ღიმილით უნდა შეეგებოს და ახალგამოწურული ხილის წვენი და გაქათქათებული პერანგი მიართვას. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ქვეყნად უამრავი ისეთი ქალი არსებობს, რომელიც სიამოვნებითაც კი უსრულებს ქმარს ამ ხუშტურებს. თუმცა ხშირ შემთხვევაში, ასეთი ურთიერთობის ერთი წლისთავზე, ყველაფერი იმით მთავრდება, რომ ქალი მმართველობის ფორმის შეცვლის გადაწყვეტილებას იღებს და მიდის. მეუღლეს კი, სულგრძელად უტოვებს წვენსაწურსა და უახლოესი სამრეცხაოს ტელეფონის ნომერს.

უნიათო მამაკაცის გარდასახვა

ჩვენი თანამედროვე ქალბატონები ენერგიულები და ინიციატივიანები არიან. მათ აღარ სურთ, მოთმინებით დაელოდონ აღარც ბუნების წყალობას და აღარც საწინააღმდეგო სქესის წყალობას. მამაკაცი თავს იკავებს ხელის თხოვისაგან? ეს დიდი უბედურება არაა — ჩვენ თავად შევთავაზებთ მას ხელსაც და გულსაც. მაგრამ როდესაც პირადი ცხოვრების მოწყობისადმი პასიურად განწყობილ მამაკაცს საკუთარ ნებას უმორჩილებს ქალი, მან შესაძლოა, ასეთი ქმედებით, „შენელებული მოქმედების ნაღმის“ ამუშავებას შეუწყოს ხელი. ადრე თუ გვიან, ეს „ნაღმი“ აუცილებლად „აფეთქდება“ და არავინ უწყის, რა მასშტაბის „ნგრევასა და მსხვერპლს“ გამოიწვევს იგი. ასე, 40 წლის ასაკისთვის, ასეთი უნიათო და უგერგილო მამაკაცები, ყველასათვის მოულოდნელად, უჩვეულო სიმკვირცხლეს ავლენენ და ახალგაზრდა გოგონებთან გარბიან. ახალი პარტნიორებისთვის ისინი უგერგილო და უნიათო კაცები კი არა, ნამდვილი გმირები არიან. აი, მაშინ წლების მანძილზე მათში ძალაუნებურად დაზოგილი ენერგია მოქმედებას იწყებს. ყველასათვის მოულოდნელად, ამ ტიპის მამაკაცები შოულობენ ფულს, აშენებენ სახლებს და ახალი შთამომავლობის აღზრდით ტკბებიან.

ასე რომ, ხშირად სწორედ ჩვენ, ქალები ვართ დამნაშავენი იმაში, რომ ჩვენთვის უმძიმეს ტვირთს სხვის მაგივრად ვეწევით. სულაც არ არის საჭირო მწარე ღიმილით იმის ხშირად გამეორება, რომ კაცებს კისეზე ჰალსტუხი უკეთიათ, ქალებს კი — მძივი, ბავშვები და მამაკაცი, სამივე, ჰალსტუხის ქვეშ ჰყავთ მოქცეული. უკეთესი ხომ არ იქნებოდა, გემოქმედათ?! როგორ? წაახალისეთ მამაკაცი, მიეცით მას ინიციატივის გამოვლენის საშუალება. ნუ დასცინებთ მას, როცა იგი დამოუკიდებლად რამის შეკეთებას ან რემონტის წამოწყებას დააპირებს. ნუ ეტყვით, რომ უამრავი ფული ქარს გაატანა, როცა იგი ვეებერთელა თაიგულს მოგიძღვნით. გახსოვდეთ, ჯერ კიდევ ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი წერდა: „ჩვენ გვიყვარს ის, ვისზეც ვზრუნავთ“. ე.ი. მამაკაცს უნდა მისცეთ თქვენზე ზრუნვის საშუალება. თუ მან ეს არ იცის, ან არ გამოსდის, უნდა ასწავლოთ!

ინფორმაცია:

მთავარია — გამძლეობა

აი, ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ დაძლია ორი შვილის დედამ ქმრის პასიურობა. მან უბრალოდ, ხელი აიღო ქმრის მოვლაზე: აღარც საჭმელს უმზადებდა, აღარც ურეცხავდა და აღარც ულაგებდა. უდიდესი მოთმინებისა და ძალისხმევის ფასად, იგი ყურადღებას არ აქცევდა ქმრის ქმედებების შედეგად ირგვლივ გამეფებულ შემზარავ არეულობას. ბოლოს და ბოლოს, მეუღლეც მიხვდა, რამხელა ტვირთის ზიდვა უწევთ თანამედროვე ქალებს და მან შეძლო, ეპოვა საკუთარ თავში ძალა, რათა თავისი უნიათობა დაეძლია.



დასახლებული აღგილი მდინარე ენგურის შესართავთან	პირის ნაცვალსახელი	ამერიკული თოჯინა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება	გ. გვახარიას საავტორო ტელეგადაცემა	„(...) ვშობილვარ, გავზრდილვარ, და მისროლია ისარი“	გ. გაჩეჩილაძის კლიპი „(...) მიქრის“
ნ ა ჯ ლ ი ა	ე ვ ა ხ ა ნ ჯ ი ა	ბ ი ბ ი ა	ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა	ბ ა ლ ე ტ ი	ს ა ბ ა ლ ი	ბ ა ბ ა ლ ი
...ბ-ბ	ზადი, ხინჯი	ერთუჯრედიანი ორგანიზმი „ცრუ ფეხით“	„თერგი (...), თერგი ღრიალებს“	სისხლის წნევის დაქვეითება, რასაც სდევს გონების დაკარგვა	ადამიანი, რომელსაც თმა არ ამოსდის	ჭადრაკში: სიცილიური (...)	იგივეა, რაც გონება

განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს ცოდვის თემაზე, რომლის სხვადასხვა ასპექტს განგვიმარტავს ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელი, მამა კონსტანტინე (გიორგაძე).

სად ვეძებოთ ცოდვებისგან განწმენდის გზა?

მორენა მერკვილაძე

— ეკლესიური სწავლებით, მიწიერ ცხოვრებაში ჩადენილი ცოდვები ადამიანს იმქვეყნიურ სამსჯავროზეც მოეკითხება. რა ელოდება ცოდვილ სულს ამქვეყნიდან გასვლის შემდეგ?

— იმისათვის, რომ ცოდვილი სულის იმქვეყნიური მისაგებელის შესახებ შევიტყოთ, აუცილებლად უნდა წავიკითხოთ წმინდა მამათა სწავლებანი, სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ, სადაც კარგად არის მინიშნებული მარადიული ტანჯვის შესახებ, რომელიც ცოდვილ სულს ამ ქვეყნიდან გასვლის შემდეგ ელოდება. არსებობს ეკლესიური სწავლება საზვერეების შესახებ, რომელიც ადამიანის სულმა მიწიერი ცხოვრებიდან გასვლის შემდეგ უნდა გაიაროს. წმინდა თეოდორას სწავლებით, არსებობს ოცი საზვერე, თითოეულ საზვერეზე ადამიანი, მის მიერ ჩადენილი საქმით განიკითხება. მაგალითად, პირველ საზვერეს ამაოდმეტყველებისა და უხამსი ლაპარაკის საზვერე ჰქვია; შემდეგი საზვერეა სიცრუის; მესამე — განკითხვისა და ცილისწამების და ა.შ. საზვერეებს დაუბრკოლებლად გადის უბიწო ადამიანის სული, ხოლო ცოდვილი ადამიანის სულს ბოროტი ძალები მიიტაცებენ და მას მარადიული სატანჯველი ელის. წმინდა მამების სწავლებით, ტანჯვა ჯოჯოხეთშიც მეტ-ნაკლებია. „სახარებაში“ წერია: „მონამან რომელმან იცის ნებაი უფლისაი თვისისაი და არა განემზადოს ნებისამებრ მისისა, იტანჯუოს ფრიად“. ე.ი. ვინც მეტი იცის, მეტი მოეკითხება. მართალია, ქრისტიანული თვალსაზრისით, ცოდვილ სულს პირად სამსჯავროზე ყველა ცოდვა მოეკითხება, რომელიც შესაძლოა, მისი მარადიული ტანჯვის მიზეზიც კი გახდეს, მაგრამ ასევე ეკლესიური სწავლებით, პირადი სამსჯავრო არ არის საბოლოო განაჩენი (საბოლოო განაჩენი იქნება საყოველთაო აღდგომის დროს). ამქვეყნად დარჩენილი ახლობლები, გარდაცვალებულ ადამიანს შეიძლება შეეწიონ ლოცვით, მის სახელზე გაცემული მოწყალებითა და სხვა მოქმედებებით, რომელიც ეკლესიაშია დადგენილი. მათთვის ასევე ლოცულობს ეკლესიაც, რითიც ცოდვილ სულს ტანჯვა უმსუბუქდება.

— ზოგჯერ ადამიანი შეუგნებლად ან გაუცნობიერებლად სცოდავს. არის თუ არა არცოდნა არცოდვა და მოეკითხება თუ არა ადამიანს ცოდვები, რომელიც არცოდნის გამო ჩაიდინა?

— არცოდნა არ შეიძლება ჩაითვალოს არცოდვად, რადგან ადამიანი ვალდებულია, იცოდეს უფლის მცნებების და სწავლების შესახებ, რომელთა დაუცველობაც ადამიანს ცოდვად ეთვლება. როდესაც ადამიანი არ ცდილობს ისწავლოს ეკლესიური სწავლებები, ამით ორმაგ ცოდვაში იგდებს თავს. ადამიანს არცოდნის გამო ჩადენილი ცოდვები მოეკითხება კიდეც.

— ზოგიერთი ადამიანი, რომელსაც განსაკუთრებით მძიმე ცოდვა არ ჩაუდენია, ფიქრობს, რომ ცოდვები არა აქვს და შესაბამისად არც საკუთარ ცოდვებზე დარდობს. რა უნდა იცოდნენ ასეთმა ადამიანებმა?

— წმინდა მამებიც, რომლებსაც მართლაც უმნიშვნელო ცოდვები ჰქონდათ, ისინიც კი უდიდეს ცოდვილებად მიიჩნევდნენ თავს და ტიროდნენ თავ-თავიანთი ცოდვების გამო. მით უმეტეს, ვერ მოახერხებს ცოდვების ჩადენის გარეშე ცხოვრებას ერში მცხოვრები ადამიანი. ის, ვინც ვერ ხედავს საკუთარ ცოდვებს და, მით უმეტეს, თავს უცოდველად მიიჩნევს, თავს ამპარტავნების უმძიმეს ცოდვაში იგდებს. შეიძლება, ადამიანს მართლაც არ ჩაუდენია მძიმე ცოდვები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უცოდველია. მცირე ცოდვებიც ისეთივე საშიშია, როგორიც მძიმე, მომაკვდინებელი ცოდვები, რადგან კლდე შეიძლება ლოდებისგანაც აიგოს და წვრილი კენჭებისგანაც.

— არსებობს აზრი, რომ წინაპართა მიერ ჩადენილი ცოდვა შვიდ თაობას გადაეცემა. რამდენად გამართლებულია ეს ეკლესიური სწავლებით?

— ცოდვები, როგორც უფლის წინაშე პირადი პასუხისმგებლობა, არ გადადის მემკვიდრეობით. ადამიანს მოეკითხება მხოლოდ ის ცოდვები, რომელსაც პირადად ჩაიდენს.

— როგორც საუბრისას ითქვა, პირველი ადამიანების ცოდვით დაცემის შემდეგ, ადამიანი გახდა დაცემული ქმნილება, მაგრამ ღმერთს ადამიანი არ დაუტოვებია დაცემულ მდგომარეობაში, არამედ გამოსყიდვისა და ხსნისთვის მისცა თავისი ძე, რომელმაც ადამიანებს სულის ცხონების საშუალებები დაუწესა, მათ შორის — ნათლობის და სინანულის საიდუმლო, რომელიც ადამიანს ცოდვებისგან განწმენდს. კიდევ რა საშუალებებით უნდა ვებრძოლოთ ცოდვებს?

— უპირველესად ადამიანმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ცოდვა არის წყლული სულზე, რომელიც ისევე აწუხებს და ამახინჯებს სულს, როგორც ხორცს კეთრი თუ სხვა დაავადებები. როგორც ხორციელ დაავადებებს ვერ უმკურნალებს ადამიანი სამედიცინო დაწესებულების გარეშე, ასევე დაუშვებელია სულის მკურნალობა ეკლესიაში მისვლის გარეშე, სადაც ადამიანი, ღვთისმსახურის დახმარებით და ღმერ-

თის შეწევნით, ნებისმიერ სულიერ პრობლემას დაძლევს.

— ყველანაირ ცოდვას მოგვიტევებს თუ არა უფალი?

— არ არსებობს ცოდვა, რომელიც ღმერთის კაცთმოყვარეობას აღემატება. ამიტომ, როგორი მომაკვდინებელი ცოდვაც არ უნდა გვქონდეს, თუ ჭეშმარიტი სინანული გვექნება, უფალი აუცილებლად შეგვინდობს. როგორც ცნობილია, მაცხოვრის ჯვარცმის დროს, ორი ავაზაკიც აცვეს ჯვარს, ერთი მისგან მარჯვნივ, მეორე — მარცხნივ. მარცხნივ გაკრული ავაზაკი გმობდა უფალს, მაგრამ მარჯვნივ ჯვარცმულმა ავაზაკმა შერისხა იგი ამ გმობისთვის და უდიდესი სინანულის გრძნობით სთხოვა იესო ქრისტეს, რომ მოეხსენიებინა იგი ცათა სასუფეველში, რადგან მან მაცხოვრის ჭეშმარიტება დამდაბლებულ მდგომარეობაშიც შეიცნო. უფალმა აღუთქვა მას ცხონება და მართლაც, პირველი, ვინც მაცხოვარმა ცათა სასუფეველში დაავანა, სწორედ ეს ავაზაკი იყო.

— ხშირია შემთხვევა, როდესაც ადამიანს ერიდება ცოდვების აღიარება. ეს უფრო ხომ არ ამძიმებს მის ცოდვას?

— სირცხვილი ადამიანის ცოდვით დაცემის შემდეგ შემოვიდა. პირველ ადამიანებს, თავიანთი დანაშაული რომ ეღიარებინათ — ე.ი. სინანული დაუფლებოდათ და თავის მართლება არ დაეწყოთ — ღმერთი მიუტევებდა, მაგრამ ადამმა, იმის მაგივრად, რომ ღმერთისგან შენდობა ეთხოვა, ღვთის მცნების დარღვევა ევას გადააბრალა, ევამ კი — გველს, რითიც კიდევ უფრო დაიმძიმეს საკუთარი მდგომარეობა... ადამიანი, რომელსაც რცხვენია ცოდვების აღიარება, ადამის უგუნურებას იმეორებს. „როდესაც სცოდავ, თქვი, მე ვცოდე. ასეთ გამართლებაზე სამართლიანი არაფერია, მხოლოდ ასე მოიპოვებ ღვთის წყალობას“, — გვასწავლის წმინდა იოანე ოქროპირი.

— როგორც უკვე აღვნიშნეთ, სინანულის საიდუმლოს დროს ადამიანი ჩადენილი ცოდვებისგან განიწმინდება, მაგრამ ყველა ადამიანს აქვს გადავიწყებული ცოდვები, რა უნდა ვიცოდეთ გადავიწყებულ ცოდვებთან დაკავშირებით?

— იმისათვის, რომ ცოდვებისგან სრულყოფილად განვიწმინდოთ, დიდი მარხვის დროს უნდა დავესწროთ ტაძარში შვიდგზის ზეთისცხებას, რომლის დროსაც ხდება დავიწყებული და გაუცნობიერებელი ცოდვების მიტევება.

■

მუქკანიანი მაცხოვარი



თუმცა რელიგიურ მოძღვრებათა დიდი ნაწილი საკმაოდ ჰგავს ერთიმეორეს, ყველა ერს საკუთარი ღმერთი და წმინდანები ჰყავს. აქედან გამომდინარე, თვით იესო ქრისტეს სახეც კი განსხვავებულია. მაგალითად, ჰონდურასში ის მუქკანიანად წარმოუდგენიათ: ამ ქვეყანაში მაცხოვარი ყველა ხატსა და სურათზე სწორედ ამგვარადაა გამოსახული და, ბუნებრივია, ადგილობრივ მცხოვრებთა ტიპაჟს ჰგავს. რაც მთავარია, ეს გარემოება ქრისტიანული რელიგიის ყველაზე ერთგულ მიმდევართა აღშფოთებასაც კი არ იწვევს. ჯერ კიდევ 1572 წელს, ესპანელმა მეფემ, ფილიპე მეორემ საჩუქრად გადასცა ჰონდურასს მუქკანიანი ქრისტეს რამდენიმე ქანდაკება. ■

როგორია მეხამე თვალი?

თვალები სულის სარკეაო, — ნათქვამია, მაგრამ დაძაბული ყოველდღიურობა ამაზე ხშირი ფიქრის საშუალებას არ გვაძლევს ხოლმე. სამაგიეროდ, კეთილი და ცუდი თვალის, ბევრ ჩვენგანს სჯერა. ალბათ სწორედ ამან უბიძგა ამერიკელ იუველირ ქალს, ევა კარტერს, მისტიკისა და რეალობის გასაერთიანებლად და მან უამრავი, ისედაც მშვენიერი ნაკეთობა, სხვადასხვაგვარი თვალით კიდევ უფრო დაამშვენა... ■

ნამცხვრის ქალაქი

გერმანიის ქალაქ როსტოკის მკვიდრმა, სვენ გრუმბახმა ერთ-ერთ მოედანზე ნამდვილი ნამცხვრის ქალაქი ააშენა. მოდელად მან ძველი როსტოკის პეიზაჟის ამსახველი, XVI საუკუნით დათარიღებული ფერწერული სურათი გამოიყენა. ნამცხვრის ზღაპრული ქალაქი შაქრის „თოვლითაა“ მოფენილი. მის დასამზადებლად, გრუმბახმა 800 კგ ფქვილი, 300 კგ თაფლი, 400 კგ ქიშმიში და 2400 კვერცხი გამოიყენა. ქალაქი 360 კვმ ფართობს იკავებს. მიუხედავად ყველა ამ მაჩვენებლისა, გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ჯერ არ შეუძლიათ დანამდვილებით თქვან, მოხვდება თუ არა ის წიგნში, როგორც რეკორდი, თუმცა გრუმბახს ამის შანსი ნამდვილად აქვს. თავად კონდიტერი კი ამბობს: მიხარია, რომ ჩემი ქმნილების წყალობით, ბევრი როსტოკელი ნახავს, თუ როგორ გამოიყურებოდა მისი ქალაქი ძველად: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხომ, ის ხელახლა აშენდა, რადგან პირწმინდად იყო დანგრეულ-განადგურებული... ბოლოს დავძენთ, რომ კონდიტერის ნაწარმოები აუქციონის წესით გაიყიდა, ამონაგები თანხა კი საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდა. ■

დიდი სპორტი «ცისფერ-ვარდისფერ» ფერებში

ალექსი რეხვიაშვილი

ჩვენ უკვე ვწერდით იმ სკანდალების შესახებ, რომელიც თავის დროზე, ფეხბურთის მეფეების — პელესა და მარადონას ჰომოსექსუალური წარსულის გამო აგორებულა. თუმცა, ეს ორი სუპერვარსკვლავი სულაც არ წარმოადგენს გამონაკლისს, არც საფეხბურთო და არც საერთოდ სპორტულ სამყაროში... იყო დრო, როდესაც ჰომოსექსუალურობისთვის ბევრ ქვეყანაში ადამიანებს მკაცრად სჯიდნენ. ამ ნიშნით ადამიანთა დევნა ზოგიერთ სახელმწიფოში (ძირითადად იქ, სადაც ფუნდამენტალისტურ-დიქტატორული რეჟიმია), დღესაც ხდება. ევროპასა და სამხრეთ თუ ჩრდილოეთ ამერიკაში კი, „ცისფერი“ და „ვარდისფერი“ სიყვარულით გატაცებული ადამიანები, ფაქტობრივად, აღარც იზღუდებიან. უფრო მეტიც, სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენლებს საკუთარი სპორტული გუნდებიც კი აქვთ და ისინი ალტერნატიულ ოლიმპიადებსაც კი ატარებენ. აქვე უნდა ითქვას, რომ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის არაერთმა ადამიანმა სპორტის ყველაზე მაღალი მწვერვალების დაპყრობაც კი მოახერხა.

თვით „რკინის მაიკიც“?!..

კრივის მოყვარულთ კარგად ემახსოვრებათ, ლუისსა და ტაისონს შორის შარშან გამართული შეხვედრა, რომელშიც ბრიტანელმა მოკრივემ გამარჯვების არავითარი შანსი არ დაუტოვა თავის ყურიჭამია ამერიკელ კოლეგას. სწორედ იმ პერიოდში გავრცელდა ხმა, რომელმაც სპორტის ისეთი მამაკაცური სახეობაც კი „ცისფრად გასვარა“, როგორიც პროფესიონალური კრივია. საქმე ის გახლავთ, რომ „რკინის მაიკი“ ლენოქს ლუისს სდებდა ბრალს ჰომოსექსუალიზმში, ხოლო ეს უკანასკნელი ამტკიცებდა: გეი, მე კი არა — თავად ტაისონია, თუ არ გჯერათ, მისი ლაპარაკის მანერას მაინც დააკვირდითო. მალე ეს ხმები თავად დამთხვეულმა მაიკმა გაამართლა, როდესაც მან მონაწილეობა მიიღო ჰომოსექსუალისტთა ერთ-ერთ საპროტესტო აქციაში.

ცნობილ ჰომოსექსუალისტ სპორტსმენთა რიგს მიეკუთვნება შესანიშნავი ინგლისელი მოციგურავე, ოლიმპიური ჩემპიონი, ჯონ კარი, რომელიც იმუნოდეფიციტისგან გარდაიცვალა. ამ სპორტში მისი „ცისფერი ფუნქცია“ კი, მექსიკური წარმოშობის ამერიკელმა მოციგურავემ, აშშ-ის ჩემპიონმა და 1996 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა, რუდი გალინდომ იტვირთა.



მაიკლ ტაისონი

კლაუდიო კანიჯა და დიეგო მარადონა

ლესბოსელ ჩოგბურთელთა ქვეყანა

დღეს უკვე გასაკვირი და მოულოდნელი არავისთვისაა, რომ პროფესიონალურ ჩოგბურთში ჯერ კიდევ ათწლეულების წინ გაიდგა ფეხი და დღემდე ბატონობს ლესბოსური სიყვარული. ამ მხრივ კი, პირველობას არასოდეს არავის უთმობდა (ისევე, როგორც კორტზე), ჩეხი წარმომავლობის ამერიკელი ვარსკვლავი, მარტინა ნავრატილოვა, რომელიც მამაკაცებთან გაბმულ სასიყვარულო კავშირებში პაპარაცებსა და ყვითელი პრესის წარმომადგენლებს ერთხელაც არ „გამოუჭერიათ“ (ან კი როგორ გამოიჭერდნენ, როდესაც ასეთი რამ არც არასოდეს მომხდარა?!.) გარდა იმისა, რომ მარტინამ კორტზე მთელი 21 წელი გაატარა, 1600-ზე მეტი ოფიციალური მატჩი ჩაატარა და 332 კვირის განმავლობაში ლიდერობდა მსოფლიოს უძლიერეს ქალ ჩოგბურთელთა რეიტინგს, მან სახელი გაითქვა, როგორც დაუფარავმა ლესბოსელმა და სექსუალურ უმცირესობათა მოძრაობის ერთ-ერთმა აქტივისტმა. უფრო მეტიც: ძალიან ხშირად, ნავრატილოვასაგან მისი ყოფილი მეგობარი გოგონები ალიმენტის გადახდასაც კი მოითხოვდნენ. ალბათ სწორედ ამიტომ, ჩოგბურთის ვარსკვლავის მიერ ერთ დროს გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ მას ბავშვის გაჩენა სურდა, ყველამ სენსაციად აღიქვა. მარტინამ მალე თავისი ნათქვამი განმარტა და ამით ყველაფერს ნათელი მოჰფინა: „თუ ბავშვის ყოლას გადავწყვეტ, ჩასახვას აუცილებლად სინჯარის მეშვეობით განვახორციელებ...“ ნავრატილოვამ სახელი იმითაც გაითქვა, რომ ოცამდე პროფესიონალი ჩოგბურთელი ქალი აცდუნა. „რკინის მარტინას“ პირველ მსხვერპლად, მისი ყოფილი თანამემამულეები — ხანა მანდლიკოვა და იანა ნოვოტნა — იქცნენ, რის გამოც მაშინ ჩეხეთს „ლესბოსელი ჩოგბურთელების ქვეყანა“ უწოდეს.

მარტინა ნავრატილოვაზე ადრე, თავისი არატრადიციული სექსუალური ორი-

ჯიჯი ფერნანდესი


კონჩიტა მარტინესი

მარტინა ნავრატილოვა

ენტაციით, ჩოგბურთის კიდევ ერთი ვარსკვლავი – ბილი ჯინ კინგი იყო ცნობილი, რომლის რომანიც თავისივე მდივანთან, მერილინ ბარნეტთან ტრაგიკულად დასრულდა: მას შემდეგ, რაც მერილინმა იმის შესახებ შეიტყო, რომ კინგს სხვა ქალთანაც ჰქონდა „ვარდისფერი რომანი“ გაბმული, თავი მოიკლა. თანაც, ეს იმგვარად ჩაიდინა, რომ ცნობილი ჩოგბურთელისთვის დაებრალებინათ „მისი მკვლელობა“. მართალია, კინგმა სასამართლო პროცესზე თავის გამართლება მოახერხა, მაგრამ ამ ფაქტმა მის რეპუტაციას საგრძნობი დარტყმა მიაყენა.

ოთხმოციანი წლების ბოლოს, საჩოგბურთო სამყაროში პირველი „ვარდისფერი“ წყვილებიც გამოჩნდნენ. ამ სფეროში პიონერებად მანდლიკოვა და სრულიად ახალგაზრდა ნოვოტნა იქცნენ. ხოლო იმისათვის, რომ მათზე ხალხს ნაკლები ელაპარაკა, მანდლიკოვამ მამაკაცთან ფიქტიური ქორწინებაც გააფორმა. მოგვიანებით კი, „ვარდისფერი სიყვარულის“ შენიღბვა საჭირო აღარ იყო. მაგალითად, მერი ჯო ფერნანდესმა ლინდსი დევენპორტთან გაბა რომანი, ხოლო ანკე ჰუბერმა – ბარბარა პაულიუსის სახით იპოვა გულის სწორი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩოგბურთელ ქალთა დიდმა ნაწილმა „ვარდისფერ სიყვარულს“, მამაკაცებთან ურთიერთობისას განცდილი ფიასკოს შემდეგ მიმართა.

მარტინა ნავრატილოვას დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ, საჩოგბურთო სამყაროს „მთავარი ლესბოსელის“ წოდება, 1994 წლის უიმბლდონის ტურნირის გამარჯვებულ, კონჩიტა მარტინესს „მიენიჭა“, რომელსაც არაერთხელ წაასწრეს გასახდელში სწორედ იმ მომენტში, როდესაც იგი რომელიმე ჩოგბურთელი გოგონას ცდუნებას ცდილობდა. ამასთან, უკვე დიდი ხანია, რაც კონჩიტა ოფიციალურად ცხოვრობს ჯიჯი ფერნანდესთან ერთად. ცნობილია ისიც, რომ როდესაც პუერტორიკოელ ჩოგბურთელს თავისი აქტიური „გელ-ფრენდისათვის“ იმავეს გაკეთება მოუსურვებია, რითიც ეს უკანასკნელი ანიჭებდა მას სიამოვნებას, კონჩიტას იგი გვარიანად უცემია.

რამდენიმე წლის წინ, ჟურნალმა „პარი მატჩმა“ გამოაქვეყნა ფოტო, რომელზეც ფრანგი ჩოგბურთელი მორესმო ამელი თავის შეყვარებულ გოგონასთან ერთად იყო დაფიქსირებული. გარდა ამისა, ავსტრალიის ერთ-ერთ ღია ჩემპიონატზე ჩოგბურთელმა დაუფარავად განაცხადა თავისი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის შესახებ.

მიუხედავად ასეთი ფაქტებისა, უკვე საუბრობენ იმაზე, რომ საჩოგბურთო სამყაროში „ვარდისფერი სიყვარულის“ ცეცხლი თანდათან ქრება, რის მიზეზადაც ვარსკვლავთა ახალი თაობა გვევლინება. მაგალითად, მარტინა ჰინგისი, რომელმაც უკვე გააკეთა განცხადება დიდი ჩოგბურთიდან წასვლის შესახებ, ცხენოსნობით უფროა დაინტერესებული, ვიდრე თავისი მომხიბვლელი და მაცდუნებელი კოლეგებით; ანა კურნიკოვამ დიდი ხანია, დაამტკიცა, რომ იგი ნამდვილი ჰეტეროსექსუალია; ხოლო დები უილიამსები მიიჩნევენ, რომ „ისეთებისგან, როგორებიც მარტინესი და ნოვოტნა არიან, საერთოდ შორს ყოფნაა საჭირო“.

ლინდსი დევენპორტი

ცისფერო, ცისფერო, არ გვინდა შენთან ერთად თამაში!

ფეხბურთი სპორტის ერთ-ერთი იმ სახეობათაგანია, რომელსაც ნამდვილი მამაკაცები თამაშობენ, მაგრამ ამ საერთოსახალხო პოპულარობის მქონე თამაშშიც არცთუ ისე მცირეა მათი რიცხვი, ვისაც ინტიმური ურთიერთობა არა მარტო საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან ჰქონია. ხშირად კი, ცნობილ გუნდებში „ასპროცენტიანი ცისფერებიც“ გამოჩენილან. რამდენიმე წლის წინ, ჩილეს საფეხბურთო წრეებში საკმაოდ ხმაურიანი სკანდალი აგორდა: ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფეხბურთო კლუბის – „უნივერსიდად დე ჩილეს“ მფლობელი, დოქტორი რენე ოროსკო, ჰომოსექსუალისტებმა თავიანთ მტრად იმის გამო გამოაცხადეს, რომ ამ უკანასკნელმა გუნდში არ მიიღო ფეხბურთელი როლანდო ხიმენესი, რომელიც თავისი „ცისფერი ორიენტაციის“ შესახებ საჯაროდ აცხადებდა. ჩილელი გეები პიკეტირებას უწყობდნენ ოროსკოს ოფისს და მას „ჰომოფობს“ უწოდებდნენ, თუმცა ეს ჯერ კიდევ არაფერი იყო. „უნივერსიდად დე ჩილეს“ მფლობელის მისამართით უფრო

დანიელ პასარელა


ფელიპე სქოლარი

კოლორიტული ეპითეტებიც გაისმოდა: მაგალითად, „უვიცი ტროგლოდიტი“. ჩილელი „ცისფერები“ ყველაზე მეტად, ოროსკოს მიერ გაზეთ „ლა კუარტა-სათვის“ მიცემული ინტერვიუს გამო იყვნენ აღშფოთებულნი. „ჩვენ ნამდვილი მამაკაცები გვჭირდება, — უთქვამს ინტერვიუში ოროსკოს, — თმიანები, სუნიანები, უხეშები. „ცისფერი მოთამაშეები“ კი, სულ სხვა სფეროს მიეკუთვნებიან. ალბათ მათთვის უფრო შესაფერისი იქნება ქალთა გუნდი, რომელიც ჩვენს კლუბს უკვე ჰყავს კიდეც. ხოლო ამაზე უკეთესი ის იქნებოდა, რომ „პედიკებს“, რომლებსაც პროფესიონალური ფეხბურთის თამაში სურთ, საკუთარი ლიგა შეექმნათ. ალბათ ასეთ ლიგაში ზოგიერთი სათამაშო წესის მოდიფიცირებაც გახდება საჭირო — განსაკუთრებით, იმ წესებისა, რომელიც მოთამაშეთა შორის მჭიდრო, პერსონალურ მეურვეობას ეხება. პირადად მე, ასეთ მოთამაშეებთან საქმის დაჭერა არ მსურს და უმჯობესია, მათ თავიანთი გზა მონახონ“.

„კარგით, აბა ვნახოთ, როგორი სიცილის ხასიათზე იქნება იგი, როდესაც რამდენიმე დღე-ღამეს მისი ოფისის ფანჯრებთან გავატარებთ და მთელი ძალით ვიყვირებთ“, — აღშფოთებას ვერ ფარავდა თავისი არშემდგარი ბოსის მიმართ როლანდო ხიმენესი...

ცნობილ მწვრთნელებსა და კლუბების პრეზიდენტებს ჟურნალისტები ხშირად ეკითხებიან, თუ რას იზამდნენ ისინი, ერთ მშვენიერ დღეს, მათ გუნდებში გეი რომ აღმოჩინათ? პასუხი, როგორც ყოველთვის, ერთი და იგივე ისმის ხოლმე: „მაშინვე დავითხოვდი გუნდიდან“. სწორედ ასე უპასუხა კორესპონდენტს პენტაკომპეონთა ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა, ლუიშ ფელიპე სქოლარიმ, ამერიკის თასის 2001 წლის გათამაშებაში თავისი გუნდის ფიასკოს შემდეგ, თუმცა მან თავს უფლება მისცა, ეს თემა კიდევ უფრო განევრცო, რის გამოც ბრაზილიელი „ცისფერების“ მთელი არმია გადაიკიდა. „მე ძალზედ ბევრი გეი მინახავს გუნდში“, — უთქვამს „დიდ ფილს“ ქუვეითში თავისი მუშაობის პერიოდის გახსენებისას. ბრაზილიელი ჰომოსექსუალისტები კი, ქუვეითის ამირას რეაქციას აღარ დალოდებიან და სქოლარის პოსტიდან გადადგომასა და მის პასუხისგებაში მიცემას მოითხოვდნენ. მიუხედავად ამისა, „დიდმა ფილმა“ გუნდში მაინც შეინარჩუნა ნახევარმცველი ვამპეტა, რომელიც ერთი წლის შემდეგ, კორეა-იაპონიაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ვამპეტას „ცისფერობა“ არავის დაუმტკიცებია, მაგრამ ბრაზილიის ნაკრების წევრი ძალიან უცნაურად კი იქცეოდა. მაგალითად, მან გეებისათვის განკუთვნილ ჟურნალში გამოაქვეყნა ფოტოსურათები, რომელზეც დედიშობილა იყო აღბეჭდილი. იმ პერიოდში, ყვითელმაისურიანთა გუნდს სათავეში ვანდერლეი ლუქსემბურგო ედგა, რომელსაც ამ ჟურნალის ნახვისას უთქვამს: „ეს ვამპეტას პირადი საქმეა. მაგრამ მე იგი გულისამრევად მეჩვენება! ცისფერი რომ ვყოფილიყავი, ასეთ ჯოჯოხეთან საქმეს მაინც არასოდეს დავიჭერდი...“

ოროსკოსა და სქოლარის ჰომოფობია, ცხადია, ახლოსაც ვერ მივა დანიელ პასარელას მიერ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ დაწყებულ „ცისფერებზე ნადირობასთან“. „ჩემს გუნდში „ცისფერები“ ვერ ითამაშებენ!“, — რიხიანად განაცხადა მაშინ 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონმა და „საეჭვო მოთამაშეთა“ სიაში შეიყვანა ყველა, ვინც გრძელ თმას, საყურეს ან სამაჯურს ატარებდა. მართლაც, პასარელამ არგენტინის ნაკრები „საეჭვო აღკაზმულობის“ მქონე ფეხბურთელებისგან წარმატებით გაათავისუფლა (ზოგიერთმა მოთამაშემ გარეგნობა და იმიჯი შეიცვალა, ზოგმა კი უბრალოდ, საკუთარ პრინციპებს არ უღალატა და ნაკრებში თამაშზე განაცხადა უარი), მაგრამ მის ბანაკში „ცისფერი აგენტურა“ მაინც დარჩა. ყოველ შემთხვევაში, იმ პერიოდში, ამის შესახებ ამაყად აცხადებდნენ არგენტინელი, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები.

სხვათა შორის, პასარელას მიერ დაწყებულმა „ანტიცისფერმა კამპანიამ“ არგენტინაში დიდი რეზონანსი გამოიწვია. „ცისფერებმა“ უმალ დაიმოკლეს თმა და ეს მაშინ, როდესაც ამ სამხრეთამერიკულ ქვეყანაში ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე მამაკაცთა დიდი ნაწილიც გრძელ თმას ატარებს. „ჩვენ, გეები, ყველგან ვართ!“ — ასეთი ლოზუნგით გამოდიოდნენ იმ პერიოდში არგენტინელი „ცისფერები“, რომლებიც ინტენსიურად აწყობდნენ შეკრებებსა და დისკუსიებს „ფეხბურთისა და ჰომოსექსუალიზმის“ თემაზე. ერთხელ კი, ტელევი-

ვამპეტა

გაბრიელ ბატისტუტა

ზიაში კლუბების მწვრთნელები და სექსოპათოლოგებიც მიიწვიეს და საჯარო სჯა-ბაასი გამართეს. სტუდიაში მიწვეული სამი მწვრთნელიდან, პასარელას მოსაზრებას არავინ იზიარებდა. „უკვე 8 წელია, რაც სხვადასხვა ქვეყანაში მწვრთნელად ვმუშაობ, მაგრამ ასეთ პრობლემას არსად შევხვედრივარ, თუმცა ის კი ვიცი, რომ მოთამაშის ჰომოსექსუალური ორიენტაცია კოლექტივში მის დამკვიდრებას ხელს არ შეუშლის“, – აღნიშნა „ესკუდიანტესის“ თავკაცმა, ედუარდო მანერამ. „ჩემს გუნდში „ცისფერი“ რომ აღმომეჩინა, პირველ რიგში, სპეციალისტს მივმართავდი და მის აზრს გავითვალისწინებდი, რათა მოთამაშისათვის დახმარება გამეწია, – განავრცო კოლეგის აზრი „დეპორტივო ესპანიოლას“ მწვრთნელმა, ოსკარ კაპალერომ. – თუ ის გუნდის მოთამაშეებს ზიანს არ მიაყენებდა და სხვათა პირად ცხოვრებაში არ ჩაერეოდა, დარჩენის უფლებას დავრთავდი. მე მათ რიგს არ მივეკუთვნები, ვინც ადამიანს მხოლოდ იმის გამო აითვალწუნებენ, რომ ის ჰომოსექსუალისტია. მე ჩემი ცხოვრებით ვცხოვრობ, „ცისფერი“ კი – თავისი ცხოვრებით. ხოლო გეის გვერდით ყოფნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მასთან სქესობრივ კონტაქტსაც ამყარებ“.

„ეს მხოლოდ მითია, თითქოს გეების ცნობა გარეგნობის მიხედვით შეიძლებოდეს, – დამაჯერებლად განაცხადა ერთ-ერთმა სექსოლოგმა, – არსებობს მაგალითები, როდესაც სრულიად ჩვეულებრივი გარეგნობის სპორტსმენი, რომელსაც დიდი წარმატებებისთვის მიულწევია, სინამდვილეში ჰომოსექსუალისტი ყოფილა. ასეთი რამ კი, თვით სპორტის ყველაზე ვაჟკაცურ სახეობაში – რაგბიშიც კი ხდება. სექსუალური ორიენტაცია სპორტსმენებს წარმატების მიღწევაში საერთოდ არ უშლის ხელს. ჰომოსექსუალიზმი – ეს ადამიანთა ისეთივე თვისებაა, როგორიც ქერა თმა ან ცისფერი თვალები. სტატისტიკის თანახმად, მოსახლეობის 5% სწორედ ალტერნატიული სექსუალური ორიენტაციისაა. თუ ამ მონაცემს მივიღებთ მხედველობაში, აღმოჩნდება, რომ ყოველ საფეხბურთო გუნდზე ერთი გეი მაინც მოდის...“

აი, პასარელას გუნდში კი, ეს ნორმა გადაჭარბებულიც აღმოჩნდა. არგენტინელი „ცისფერების“ უფლებებისათვის მებრძოლმა, კარლოს ხუარეგიმ იგი სიცრუეში ამხილა. „მას შემდეგ, რაც პასარელამ იმის მტკიცება დაიწყო, რომ არგენტინის ნაკრებში არც ერთი გეი არ თამაშობს, მან გუნდში უკვე მოასწრო ორი „ჩვენიანის“ გამოძახება“, – განაცხადა ხუარეგიმ, თუმცა ცხადია, არ დაუკონკრეტებია, თუ 22 ფეხბურთელს შორის საკუთრივ რომელი იყო პასარელასათვის ავადსახსენებელი, „ორი ცისფერი აგენტი“, რომელთა გამოაშკარავებაზეც შემდეგ, მთელი არგენტინა იმტვრევდა თავს. საეჭვო მოთამაშეთა რიგში, თვით არგენტინის ნაკრების სიმბოლო, გაბრიელ ბატისტუტაც კი მოხვდა, რომელიც ყოველთვის მეუღლისა და ოჯახის ერთგულ ფეხბურთელად ითვლებოდა. ისე კი, უნდა ითქვას, რომ ცოლი ჰომოსექსუალიზმის ნიადაგზე თვით ბატიგოლსაც უეჭვიანებია: რამდენიმე წლის წინ, იტალიური გაზეთები ხაზს უსვამდნენ ბატისტუტას საეჭვო ურთიერთობას „ფიორენტინელ“ თანაგუნდელთან, მასიმო ორლანდოსთან. იტალიურ პრესაში დანთებულ „ცისფერ ცეცხლს“ ნავთი აპენინის ნახევარკუნძულზე კარგად ცნობილმა გეიმ, ვინმე გრაფმა დაასხა. მან თავისი რეპლიკებით საზოგადოებას მიანიშნა, რომ ერთ დროს, თავადაც ჰქონია „ცისფერი კავშირი“ ბატიგოლთან. ამის შემდეგ, ორლანდომ დატოვა „ფიორენტინა“ და სკანდალიც დავიწყებას მიეცა.

როდესაც რამდენიმე წლის წინ, კლაუდიო კანიჯას ცოლმა, მარიანა ნანიესმა მთელ არგენტინას ტელეეკრანიდან განუცხადა – ეს მარადონა ქმარს მართმევს, მისი დაკუნთული სხეულისა და გრძელი კულულების ნიადაგზე იგი ჭკუიდან არის გადასულიო, – საზოგადოების დიდი ნაწილი აღშფოთდა, თუმცა, როგორც ყოველთვის, დონ დიეგოს მაინც გამოუჩნდნენ დამცველები. სწორედ იმ პერიოდში, „გლაზგო რეინჯერსში“ პოლ გასკოინმა და ალი მაკოისტმა თავიანთი „ტკბილი, ცისფერი წყვილი“ შექმნეს. თანაც, ბრიტანულ ფეხბურთში ალტერნატიული სექსუალური ურთიერთობებით მხოლოდ ისინი როდი ირთობდნენ თავს. წარსულში ლონდონის „არსენალის“ ფორვარდი, ალან სმიტი თავისი სამწვრთნელო კარიერის დასაწყისში, კლუბ „კრისტალ პელესში“ ერთი კურიოზული შემთხვევის მომსწრე გამხდარა. „გამოსაცდელად სამხრეთ აფრიკის ნაკრებიდან ერთი ფეხბურთელი ავიყვანეთ, – იხსენებს ის, – იგი ჩემთან შინ მოვიდა, გვესაუბრა მეც და ჩემს მეუღლესაც. ვიგრძენი, რომ გამოგვადგებოდა და მასთან კონტრაქტის გაფორმება გადავწყვიტე. საჭირო იყო მხოლოდ მოთამაშის სამედიცინო შემოწმება. უცაბედად, მას შიდსი აღმოაჩნდა. ამის შემდეგ, ბიჭი გამოტყდა, რომ იგი გეი იყო და ჩვენთან კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში, თავისი ქვეყნიდან ბოი-ფრენდის ჩამოყვანასაც აპირებდა. ცხადია, ამ ფაქტის გამო არავითარ ტრანსფერზე საუბარიც აღარ გვქონია... ხანდახან, საკუთარ თავს ვეკითხები: რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, ის რომ ჯანმრთელი ყოფილიყო და თანაც, მე მისი „ცისფერობის“ შესახებ მცოდნოდა? მივიღებდი გუნდში? ვფიქრობ, რომ მივიღებდი, მაგრამ თავიდან, სხვა მოთამაშეთა აზრს გავარკვევდი. თუ ის სულიერ ტრავმას არ მიაყენებდა მათ და გუნდში კვლავ შენარჩუნებული იქნებოდა საჭირო ფსიქოლოგიური ატმოსფერო, ალბათ მივიღებდი, თუმცა მას მაინც მრავალი სირთულის დაძლევაც მოუწევდა!“...

P.S. რამდენიმე წლის წინ, კლუბ „ბაფანა-ბაფანას“ მოთამაშე, სიზვე მოტაუნგი შიდსისგან გარდაიცვალა. საინტერესოა, ის ხომ არ ჰყავდა მხედველობაში ალან სმიტს?... ■

პოლ გასკოინი



რიზ უიზერსპუნი — ჰოლივუდის ყველაზე პოპულარული ქერათმიანი ქალბატონი

მომხიბლავი ქერათმიანი ლამაზმანი — ლაურა ჯენ რიზ უიზერსპუნი 1976 წლის 22 მარტს, ახალ ორლეანში დაიბადა. რიზის ოჯახს შოუბიზნესთან არანაირი შეხება არ ჰქონდა. მისი მშობლები ექიმები არიან. დედა — პედიატრია, მამა — სამხედრო ექიმი. ბავშვობაში რიზს მსახიობობა აზრადაც არ მოსვლია, იგი ოჯახური ტრადიციის გაგრძელებას აპირებდა და სტენფორდის უნივერსიტეტის, სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტიც გახდა, მაგრამ ბედმა სხვაგვარად განსაჯა... მშვენიერმა სამხრეთელმა გოგონამ თავისი პირველი როლი 14 წლის ასაკში მიიღო („ადამიანი მთვარეზე“).

უნდა აღინიშნოს, რომ რიზი საკმაოდ განსხვავდება ჰოლივუდის სხვა ვარსკვლავებისაგან. ამ ცხოვრებაში მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, ქმარი და ქალიშვილია. რიზი და მისი მეუღლე (მათი თაობის ვარსკვლავებისაგან განსხვავებით) ღამეული ცხოვრებისა და მაღალი საზოგადოების „ტუსოვკების“ მოყვარულნი არ გახლავან. გარდა ამისა, რიზი სტენფორდის უნივერსიტეტში დაბრუნებასაც აპირებს. „ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიყო კარგი დედა, ვიდრე კინოვარსკვლავი“, — ამბობს უიზერსპუნი. რიზმა თავისი მეუღლე რაიან ფილიპი, საკუთარ დაბადების დღეზე გაიცნო. არავის შეუძლია დანამდვილებით იმის თქმა, იყო თუ არა მიწვეული იგი ამ დაბადების დღეზე, მაგრამ, როგორც ჩანს, ღმერთმა ასე ინება და 300 სტუმარს შორის, მათ ერთმანეთის გამორჩევა შეძლეს... ამას მოჰყვა ორსულობა, ქორწილი 1999 წლის 9 ივნისს და სამი თვის თავზე ქვეყნიერებას მშვენიერი ევა ელიზაბეტი მოევლინა. რიზისა და რაიანის წყვილის ხილვა თქვენ შეგიძლიათ ფილმში — „სასტიკი თამაშები“ (პირველ ნაწილში).

ბავშვის გაჩენის შემდეგ, რიზმა ტაიმაუტის აღება გადაწყვიტა, მაგრამ მალე, 2000 წლის თებერვლისათვის, იგი კომედიური ხასიათის სერიალ — „მეგობრებში“ მიიწვიეს. ამას მოჰყვა ორი, შედარებით მცირე როლი „ამერიკელ ფსიქოპათსა“ და „პატარა ნიკში“. ნამდვილი წარმატება კი, მას „ქერათმიანმა“ მოუტანა.

რიზ უიზერსპუნს აქვს ყველაფერი, რათა ბედნიერი იყოს — წარმატებული კარიერა, ბედნიერი ქორწინება, არაჩვეულებრივი გოგონა. რიზმა ჩამოაყალიბა საკუთარი ფირმა — Type A Films, რომელიც ფილმებს აწარმოებს. უიზერსპუნი ფირმის მუშაობას თავად აკონტროლებს და თვალყურს ადევნებს ფილმების წარმოებისა თუ გამოსვლის პროცესს. დღესდღეობით, სამი პროექტი გამოსასვლელად უკვე მზადაა. ამას წინათ, ჟურნალმა Entertainment Weekly-მ ჩაატარა გამოკითხვა, რომლის შედეგების მიხედვითაც, უიზერსპუნი ჰოლივუდის ყველაზე პოპულარულ მსახიობად მოევლინა სამყაროს და ისეთი ფავორიტებიც კი დაჯაბნა, როგორებიც ჯულია რობერტსი, ნიკოლ კიდმანი და ჯენიფერ ლოპესი არიან. „ქერათმიანის“ სიქველში შესრულებული როლისათვის 26 წლის მსახიობს 22 მლნ დოლარი გადაუხადეს. ალბათ მალე, ჰოლივუდის გრანდებს იგი საკმაოდ შეავიწროებს.

ამჯერად გთავაზობთ, მსახიობთან დასავლეთის ჟურნალში გამოქვეყნებულ ინტერვიუს.

— ყოველთვის გსურდათ მსახიობობა?

— როგორც ყველა პატარა გოგონას, 12 წლის ასაკში, რადიოში გადაცემები მიმყავდა. სწორედ იმხანად, ჩემთვის აგენტს ვეძებდი. პირველი როლი 14 წლის ასაკში მივიღე. ეს გახლდათ ფილმი — „ადამიანი მთვარეზე“.

— გული ხომ არ გწყდებათ, ერთი წლის სწავლის შემდეგ, სტენფორდის

უნივერსიტეტისათვის თავის დანებება რომ მოგიხდათ?

— მე თითქმის არასოდეს არაფერს ვნანობ. ჩემს მშობლებს სურდათ, რომ სწავლა გამეგრძელებინა, მაგრამ მე ისე მოვიქეცი, როგორც სწორად მიმაჩნდა.

— თქვენ ძალზედ პოპულარული მსახიობი ხართ, უნდა ვივარაუდოთ, რომ უამრავი თაყვანისმცემელიც გეყოლებათ?

— ამას წინათ, საბაყლოში შესულმა ვიგრძენი, რომ ერთი პატარა გოგონა კუდში დამდევდა. თავი ვერ შევიკავე და ვკითხე: „უკაცრავად, მე თქვენ გიცნობთ?..“ „არა, მაგრამ მე გიცნობთ თქვენ“, — მიპასუხა მან. მსიამოვნებს, როცა ჩემთან ბავშვები მოდიან და რაღაცები აინტერესებთ ჩემ შესახებ. აი, ამ პატარა გოგონას, მაგალითად, აინტერესებდა, მყავდა თუ არა ძაღლი.

— კომედიური ჟანრის ფილმებში მონაწილეობა უფრო გხიბლავთ?

— მიყვარს კომედიები, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ მუშაობის პროცესი იქაც საკმაოდ დაძაბულია. გარდა ამისა, კომედიებში, როგორც წესი, მხიარული ადამიანები მონაწილეობენ. ადამ სენდლერი და სელმა ბლეირი ჩემთვის ყველაზე მხიარული ადამიანები არიან ამქვეყნად!

— თქვენ მიერ განსახიერებული პერსონაჟი ფილმისა „ალაბამა — ტკბილი, მშობლიური სახლი“, რამდენად მშობლიურია თქვენთვის?

— ამ ფილმის პერსონაჟი, ჩემთვის ძალზედ მშობლიურია, რადგან წარმოშობით ისიც სამხრეთელია. იგი ჩემსავით გაემგზავრა მშობლიური სახლიდან და წარმატებაც მოიპოვა. ფილმში ნაჩვენებია, თუ რაოდენ იცვლება ადამიანი, როცა იგი განსხვავებულ გარემოში ხვდება.

— როცა მშობლიურ ქალაქში ჩადიხართ, გაქვთ თუ არა თქვენს ყოფილ მეგობრებთან ურთიერთობა?

— რა თქმა უნდა, ჩემთვის ყოველთვის სასიამოვნოა სკოლის მეგობრებთან შეხვედრა. მას შემდეგ, ჩვენ ყველანი ძალზედ შევიცვალეთ, ჩემმა მეგობარმა გოგონებმა ყველამ რაღაცას მიაღწია ამ ცხოვრებაში.

— რამდენად დაგეხმარათ თქვენი სამხრეთული მომხიბლაობა ჰოლივუდში წარმატების მოპოვებაში?

— არ ვიცი. უბრალოდ ვფიქრობ, რომ სამხრეთული აღზრდის უპირატესობა ისაა, რომ კარგ მანერებს ბავშვობიდანვე გასწავლიან. მე პატარაობიდანვე მინერგავდნენ ზრდილობიან ქცევას და ჩემი აზრით, ყველაფერი ეს დიდობაში ძალიან გამომადგა.

— ჰოლივუდში ჩასვლისას თქვენზე ყველაზე წარუშლელი შთაბეჭდილება რამ მოახდინა?

— „პორშესა“ და BMW-ს ტიპის ძვირად ღირებული მოდელების ამ რაოდენობით ხილვისას, ნამდვილ შოკში ჩავვადი. მახსოვს, მამასაც დავურეკე და ვუთხარი: „მამა, აქ ისეთი მანქანები ვნახე, ალბათ არასოდეს დაიჯერებ!!!“

— ამას წინათ, თქვენ და რაიანმა ახალი სახლი შეიძინეთ. მისი მოწყობისას პრიორიტეტს რას ანიჭებთ?

— ისევე, როგორც ყველასათვის, ვისაც პატარა ჰყავს შინ, უმთავრესი ჩვენთვისაც მისი უსაფრთხოებაა. ყურადღებას გავამახვილებ იმაზეც, რომ სახლი იოლად დალაგდეს და ბავშვმა, რაც შეიძლება ცოტა რამის გატეხა მოახერხოს. ჩვენ ძალიან კომფორტული სახლი გვაქვს და უნდა აღვნიშნო, რომ რაიანს მისი მოწყობა საოცრად ახალისებს.

— რაიანი გათამამებთ?

— მე უკვე მივეჩვიე იმას, რომ საუზმე რაიანს ჩემთვის საწოლში მოაქვს.

— აძლევთ თქვენს გოგონას იმის უფლებას, რომ ბარბით ითამაშოს?

— თავდაპირველად, მე ამის კატეგორიულად წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ერთხელ რაიანმა მითხრა — მოდუნდი! და მეც მოვდუნდი. ამ თოჯინებით ხომ ბიჭებიც თამაშობენ: ამას წინათ, ამერიკის პრეზიდენტის თოჯინაც კი გვიჩვენეს.

— სადილებს ვინ ამზადებს — თქვენ თუ რაიანი?

— ჩვენ ერთად ვამზადებთ სადილებს. როცა მეგობრები გვსტუმრობენ, ისინი ჩვენი კულინარიული შედევრებით ყოველთვის მოხიბლულები რჩებიან.

— როგორი სტილის ჩაცმულობას ანიჭებთ უპირატესობას?

— ყოველდღიურად უბრალო, მოსახერხებელი სტილის ტანსაცმელს ვატარებ, ისეთს, რომელიც იოლად ირეცხება. მე ხომ სამი წლის გოგონა მყავს, რომელმაც ნებისმიერ დროს შეიძლება ჟელეთი ან კარაქით დამსვაროს. ვატარებ ჯინსს, სპორტულ მაისურებსა და დაბალქუსლიან ფეხსაცმელს.

— რომელია თქვენი საყვარელი კომპაქტ-დისკი?

— უი, მე ხომ ძირითადად იმას ვუსმენ, რაც რაიანს მოაქვს. მას უკეთესი გემოვნება აქვს. გამორჩეულად კი, ფიონა ეპლი მომწონს.

— რომელია თქვენი საყვარელი წიგნი?

— ამჟამად ელის სებოლდის The Lovely Bones-ს ვკითხულობ. ძალიან კარგი წიგნია. განსაკუთრებით მიყვარს უილიამ თეკერეის „ამაოების ბაზარი“, კიდევ „ანა ფრანკის დღიურები“. ამ ზაფხულს წავიკითხე The Catcher in the Rye,

რომელმაც იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ ჯერ კიდევ ვერ გამოვსულვარ მისი ტყვეობიდან.

— დამისახელეთ თქვენი საყვარელი ფილმი.

— უამრავი საყვარელი ფილმი მაქვს, მაგრამ როცა ცუდ ხასიათზე ვარ, ყველაზე ხშირად, მაინც „ადამიანი ბორტს მიღმას“ ვუყურებ, სადაც მთავარ როლებს გოლდი ჰოუნი და კურტ რასელი ასრულებენ. ძალიან მხიარული ფილმია! ■

რუსუდან ბერიძე

ქალური ინფუიცია

ანუ ყველაფერი ფრთიები

დასაწყისი იხ. „გზა“, №40-53, 1-7

ურეკიდან დაბრუნებულ ნინისა და ნიტას ლამისაა, ერთი წუთითაც გვერდიდან არ იშორებს ცოტნე, რომელიც თითქოს გრძნობს, დიტოს უცაბედი გამოჩენით აფორიაქებული ნინის სულიერ მდგომარეობას... ამასობაში, რეჟისორი გოგი გორგილაძე მარისთან დაახლოებას ცდილობს. საამისოდ, ის გოგონას თავის სასტუმროში იბარებს და ეუბნება — ჩემს ახალ ფილმში უნდა გადაგიღოო. სწორედ ამ დროს, გოგისთან ახალგაზრდა კაცი — გაგა მივა, რომელსაც გორგილაძე, მარის, როგორც მის მომავალ საეკრანო პარტნიორს, ისე გააცნობს. სინამდვილეში, გაგა ჩვეულებრივი, ნარკოტიკების „ბარიგაა“... ამის შესახებ მარის, მისი და — სასტუმრო „კინოს“ თანამშრომელი ანი აცნობებს და გააფრთხილებს: ამ კაცს ახლოს აღარ გაეკაროო. მაგრამ იმ საღამოსვე, გოგი ისევ ურეკავს მარის და კვლავ დაიბარებს, ვითომდა მომავალი ფილმის რამდენიმე ეპიზოდის სარეპეტიციოდ...

ვახშმის შემდეგ ნინიმ და მარიმ ნიტაც სასწრაფოდ დააწვინეს, თავად ტელევიზორთან მოკალათდნენ და წვენის წრუპვას შეუდგნენ.

— რა გადაწყვიტეთ, მოსკოვში როდის მიდიხართ? — ჰკითხა მარიმ ფიქრებში წასულ ნინის.

— ზეგ.

— ნიტა მიგყავთ თუ ტოვებთ?

— მე კი ძალიან მინდოდა წაყვანა, მაგრამ ცოტნემ მაინც გადამაფიქრებინა.

— სწორადაც მოიქცა. ბავშვი ტყუილად უნდა დაღალო და გააწვალო.

— მართალი ხარ, მაგრამ უაზრო შიში შემიჩნდა და ველარაფრით მოვრევივარ... სულ მეჩვენება, რომ უჩემოდ რაღაც ცუდი უნდა დაემართოს... ჰო, მართლა, დედაჩემს ველაპარაკე, ხვალ ჩამოვა და ცოტას ისიც შეგაშველებს ხელს.

,,ბოლომდე ბავშვი მაინც არ მანდო“, — გაიფიქრა მარიმ და გულში ცივად რაღაცამ გაჰკრა, მაგრამ ხმამაღლა სულ სხვა რამ თქვა:

— ძალიან მიხარია. მე და დედაშენი ერთმანეთსაც გავიცნობთ და ნიტასაც არაფერს გავუჭირვებთ.

— ეჭვიც არ მეპარება, ჩემო კარგო...

— დიტოს რაღას უპირებ? ბავშვს არ აჩვენებ?

— როგორ არა! უკვე შევუთანხმდი, ხვალ უნდა მივუყვანო. თუმცა, მეშინია, ცოტნემ დილაადრიან ისევ სადმე არ გაგვაქანოს: არ ვიცი, რა დაემართა, გვერდიდან აღარ გვიშორებს...

— ვითომ, რამეს ხვდება?

— არა მგონია. აბა, საიდან უნდა ხვდებოდეს?.. უბრალოდ, ეტყობა, რადგან ნიტას მოსკოვში წაყვანა გადამფიქრებინა, წასვლამდე ყველანაირად ცდილობს, დედა-შვილი ერთმანეთს წუთითაც აღარ დაგვაშოროს...

— აბა, ხვალ როგორღა დააღწევ თავს?

— ვნახოთ. შეიძლება, სახლში თავადვე დაგვტოვოს. თუ არა და, რამეს მოვიფიქრებ...

მეორე დილით ცოტნემ, ბავშვივით ტკბილად მძინარე ნინი, გასაღვიძებლად ველარ გაიმეტა და საქმეზე მარტო წავიდა. მოგვიანებით, სასადილო ოთახში ჩასულ ნინის, მაგიდაზე სანახევროდ გამოცლილი ყავის ფინჯანი და ცოტნეს ორსიტყვიანი წერილი დახვდა: ,,მალე დავბრუნდები“. გახარებულმა ნინიმ მაშინვე, დიტოსთან წასვლა გადაწყვიტა. ჯერაც სანახევროდ მძინარე ნიტას ტანსაცმელი ფაცხაფუცხით ჩააცვა, ქუჩაში გაარბენინა და ის იყო, კუთხეში დაბარებულივით გამოჩენილ ტაქსის მძღოლს ხელი დაუქნია, რომ ვიღაცამ მანქანა პირდაპირ ფეხებთან გაუჩერა და კარი შიგნიდან გამოუღო.

— ცოტნე-ე! ცოტნე-ე! — წამოიძახა გახარებულმა ნიტამ, ნინის ხელიდან გაუსხლტა, მანქანაში შეძვრა და ცოტნეს გვერდით მიუსკუპდა.

ნინის კი, ცოტნეს დანახვაზე, დანაშაულზე წასწრებულივით აუკანკალდა მუხლები და სალონში დამფრთხალმა შეიხედა.

— საინტერესოა, უჩემოდ, მაინც, საით გაგიწევიათ? ხომ დაგიბარეთ — მალე დავბრუნდები-მეთქი? თუ ჩემი სიტყვა თქვენთვის კანონი არ არის? — ღიმილით დატუქსა ცოტნემ დედა-შვილი. — კარგი, ამ ერთხელ გაპატიებთ, — მიუბრუნდა შემდეგ ნინის, — დაჯექი და მითხარი, სად წაგიყვანოთ?

— ჩვე-ენ? — გულუბრყვილოდ ჰკითხა ნინიმ.

— თქვენ, აბა, მე ჩემი საქმეები უკვე მოვითავე. ვერ გავიგე, ასე რამ დაგაბნია... სად მიდიოდით?

— არსადაც არ მივდიოდით... უბრალოდ, ისე, გასეირნებას ვაპირებდით... — თავის მართლებას მოჰყვა ნინი.

— მერე ტაქსის, ჩემი მანქანით სეირნობა არ გირჩევნიათ?

— გვირჩევნია! — თავი მკვირცხლად დაუქნია ნიტამ და შემდეგ ნინის მიუბრუნდა: დეე, დაჯექი, რა, ხომ თქვი, ძალიან მეჩქარებაო?..

იმის შიშით, ნიტამ კიდევ რამე არ წამოისროლოსო, ნინი მანქანაში სასწრაფოდ ჩაჯდა და შვილი კალთაში ჩაისვა.

— მადლობა ღმერთს, გვიკადრეთ! — გაეღიმა ცოტნეს და მანქანა ნელ-ნელა დაძრა. — რაკი უბრალოდ გასეირნებას აპირებდით, მე თქვენ ერთ საინტერესო იდეას შემოგთავაზებთ. ჰა, რას იტყვი? შემოგთავაზოთ? — მიუბრუნდა შემდეგ ის ნიტას.

— კი!

— ძალიანაც კარგი! მაშინ, იქნებ, ისიც მიბრძანოთ, პატარა ქალბატონო, შოკოლადიან-ქიშმიშიან და კიდევ ათას რამერუმიან

ნაყინზე რა აზრისა ხართ? ჩავიტკბარუნოთ პირი?

— კი! — სიხარულით ტაში შემოჰკრა ნიტამ და შემდეგ, ნინის მავედრებელი თვალებით შეხედა: — დე-ე, ჩავიტკბარუნოთ, რა, ძალიან გეხვეწები!..

— კარგი, კარგი, წავიდეთ... — ძლივსღა წაიჩურჩულა ნინიმ...

როცა ნიტამ ნაყინის ლოკვით ივჯერა გული, ცოტნემ დედა-შვილი ისევ მანქანაში ჩასხა:

— ახლა, ცოტა კიდეც უნდა დაგსაჯოთ და ერთ, ფრიად პროზაულ ღონისძიებაშიც უნდა მიგაღებინოთ მონაწილეობა...

— ცოტნე! — მოთმინების ძაფი საბოლოოდ გაუწყდა ნინის. — ხომ არ დაგავიწყდა, რომ საღამოს დედაჩემს დიდუბეში უნდა დავხვდე?

— დამშვიდდით, ქალბატონო, ყველაფერი შესანიშნავად მახსოვს, მაგრამ საღამომდე ჯერ შორსაა. ასე რომ, ბაზარში შერბენასაც ნამდვილად მოვასწრებთ.

— ბაზარში რაღა გვინდა?

— როგორ თუ რა?! დედაშენის თბილისში ჩამოსვლა და ჩვენი მოსკოვში წასვლა ერთდროულად გვაქვს აღსანიშნავი და ერთი გემრიელი სადილი აღარ გავაკეთოთ?!.

ცოტნემ მანქანა პირდაპირ ბაზრის შესასვლელს მიაყენა. ნინი და ნიტა მაშინვე მანქანიდან გადასასვლელად მომზადნენ, მაგრამ ცოტნემ შეაჩერა:

— არც იფიქროთ! ჩემთვის ისიც დიდი პატივია, რომ ჭიშკრამდე მომყევით. აქაურ ქორვაჭრებს კი, მე მარტო შევებრძოლები და თუ ზომაზე მეტად არ გამფცქვნეს, ცოტა ხანში, ხორაგით ხელდამშვენებულიც დაგიბრუნდებით.

ამის შემდეგ, ცოტნე მანქანიდან გადავიდა და ხალხის ტალღას ბაზრის სიღრმეში შეჰყვა.

როგორც კი ცოტნე თვალს მიეფარა, ნინი მაშინვე ჩანთას ეცა, მობილური ამოიღო და დიტოს ნომერი აკრიბა.

— გისმენ, საყვარელო, — მოისმა ყურმილში დიტოს დამტკბარი ხმა, — რას შვრებით, მოდიხართ?

— ვერა, ვერ მოვდივართ, — უპასუხა ნინიმ და ისე ამოიოხრა, თითქოს, სიტყვებს გულიც თან ამოაყოლაო.

— რატომ?.. რა მოხდა?.. — სასწრაფოდ ხმა შეეცვალა დიტოსაც.

— სხვა დროს გეტყვი...

— რას ჰქვია, სხვა დროს?! თქვენს ლოდინში თვალები ამომიღამდა... რამდენადაც ვიცი, ხვალ დილით უკვე მოსკოვში მიბრძანდებით და ბავშვი როდისღა უნდა მაჩვენო?

— კარგი, რა, დი... — ნინის კინაღამ დიტოს სახელი წამოსცდა, შვილს შიშით გახედა, მაგრამ როცა მიხვდა, რომ ცოტნეს სავარძელში მოკალათებული ნიტა გამვლელ-გამომვლელის თვალიერებით იყო გართული, შვებით ამოისუნთქა. — გეხვეწები, — განაგრძო მან შემდეგ, — ნერვები ისედაც დაწყვეტაზე მაქვს და შენ მაინც ნულა მიმატებ...

— ახლა სადა ხარ? — ნინის ხვეწნა-წუწუნი არად ჩააგდო დიტომ.

— მანქანაში.

— მარტო?

— არა.

— ბავშვიც მანდ არის?

— კი.

— დამალაპარაკე! — თითქმის უბრძანა დიტომ.

— არა! ახლა არა! გპირდები, რომ მოსკოვიდან როგორც კი ჩამოვალ...

— ნუ მატყუებ! — გააწყვეტინა დიტომ. — შენ მოსკოვიდან საერთოდ აღარ ჩამოხვალ!..

— რას ჰქვია, აღარ ჩამოვალ?! ეს საიდან მოიტანე?

— რისთვის უნდა ჩამოხვიდე? შვილი გვერდით გეყოლება და მილიონერი საყვარელი... ასე რომ, მოსკოვიდან, ალბათ, პირდაპირ პარიზისკენ გაუტევ...

— რა თქვი? — სახეზე ალმური მოედო ნინის.

— რაც გაიგონე! შენ არ მითხარი, ცოტნეს საფრანგეთიდან სერიოზული შემოთავაზება აქვსო?..

— მაგას არ გეკითხები! — გაიმეორე, ვინ მეყოლება გვერდით? როგორი საყვარელი?.. — ნერვიულობისგან ხმა თითქმის ჩაუწყდა ნინის.

— ჰო, კარგი, რა იყო? ხუმრობაც აღარ შეიძლება? — უკან დაიხია დიტომ.

— ხუმრობა?! — უცბად ხმაში ლითონი გაურია ნინიმ. — შენ მაგ სიტყვებს ხუმრობას ეძახი?! ძალიანაც კარგი, ვაუბატონო! იწექი მანდ შენთვის და რამდენიც გინდა, იმდენი იხუმრე!..

ყურმილში ცოტა ხანს უსიამოვნო სიჩუმე ჩამოწვა.

— ნინი, მოიცა! არ გათიშო! — მისმა შემდეგ დიტოს შეშფოთებული ხმა, — მაგრამ ნინიმ უცბად ბაზრიდან გამომავალი ცოტნე დაინახა და მობილური სასწრაფოდ გათიშა.

— ვინ იყო? — მოულოდნელად იკითხა ნიტამ და ცნობისმოყვარე თვალები შეანათა ნინის.

— არავინ! ყველაფერი კი არ უნდა იცოდე! — მკაცრად მიუგო ნინიმ შვილს და კალთაში თითქმის ძალით ჩაისვა.

ამასობაში ცოტნემ პროდუქტები საბარგულში ჩააწყო და მანქანაში მკვირცხლად ჩაჯდა.

— როგორაა საქმე?.. ხომ არ მოიწყინეთ?

— კი. მე მოვიწყინე, — სევდიანად მიუგო ნიტამ და გაბუტული ტუჩები სატირლად დაბრიცა.

— აბა, აბა, ეგეთები არ იყოს! — დაუყვავა მას ცოტნემ. — იცი რა გიყიდე?

— რა-ა? — მაშინვე გამოცოცხლდა ნიტა.

— ო-ო. აი, აქხელა საზამთრო, — ხელებით რაც შეიძლება, ფართო წრე შემოხაზა ცოტნემ.

— ნესვიც იყიდე?

— აბა რა?! ეგ როგორ დამავიწყდებოდა! ნესვი ხომ შენი დედიკოს საყვარელი სასუსნავია?

ნინის სიტყვა „საყვარლის“ ხსენებაზე უსიამოდ გააჟრჟოლა...

მარის უცნაურად დაღლილ-დაქანცულს გამოეღვიძა, ლოგინიდან წელი ძლივს აითრია, პირველ სართულზე სვენებ-სვენებით ჩავიდა და მაშინვე, კედელზე ჩამოკიდებულ საათს შეხედა. მაგრამ თვალებს არ დაუჯერა: საათზე ორის ნახევარი იყო.

სასადილო ოთახში აღარავინ დახვდა. მარიმ მაშინვე თითქმის ხელუხლებელი სუფრის ალაგება დაიწყო და ყავის ფინჯნის ქვეშ ამოდებული, ნინის წერილი იპოვა: „მე და ნიტა სასეირნოდ წავედით და მალე დავბრუნდებით“. „მაინც მოახერხა გაძრომა!“ — გაეღიმა მარის და სუფრის ალაგება განაგრძო. ამ დროს, ტელეფონი აწკრიალდა.

— კიდევ შინ ხარ, ქალბატონო? იცი, რომელი საათია? — გაისმა ყურმილში გოგი გორგილაძის უკმაყოფილო ხმა. — კარგად დაიმახსოვრე, რასაც ახლა გეტყვი: თუ ჩემთან მუშაობას მართლა აპირებ, რომ კვდებოდე, დათქმულ დროს მაინც ადგილზე უნდა იყო. მე და გაგა უკვე მთელი საათია, გელოდებით. აბა, სასწრაფოდ დაიძარი!

— მაპატიეთ, ბატონო გოგი, მაგრამ დღეს თქვენთან ნამდვილად ვერ მოვალ! — რამდენადაც შეეძლო, მშვიდად უპასუხა მარიმ რეჟისორს.

— ეი, გოგონი, იცი, რომ ასე ნამდვილად „ვერ გავფრინდებით“? აბა, როდის მოხვალ?

— ალბათ, ხვალ... უფრო სწორად, ხვალ დაგირეკავთ... ახლა კი, უნდა დაგემშვიდობოთ. ჭიშკართან მანქანა გაჩერდა. ეტყობა, ნინი და ცოტნე დაბრუნდნენ.

მარიმ ყურმილი სასწრაფოდ დადო და მაშინვე ისიც იგრძნო, გული ყელში როგორ მოებჯინა. ამიტომ, ისევ სამინებელში დაბრუნდა, საწოლთან მდგარი ტუმბოდან უკვე თითქმის მივიწყებული წამლების მოზრდილი ყუთი გამოიღო, დამამშვიდებელი აბები მოძებნა და ზედიზედ ორი ცალი გადაყლაპა, შემდეგ საწოლზე ბავშვივით მოიკუნტა და თვალები დახუჭა: „რა ვქნა, ეს კაცი როგორ მოვიშორო?..“

— მარი, მარი, აბა, გაიღვიძე და შემომხედე! — მოესმა მარის ძილში ვიღაცის შეშფოთებული ხმა.

მარიმ დამძიმებული ქუთუთოები ძლივსღა ასწია და თავს წამომდგარი ნინი დაინახა.

— ცუდად ხომ არა ხარ? — ჰკითხა მან.

— არა, ისე წამოვწექი...

— მერე არაფერი დაიფარე? — დატუქსა ნინიმ დაქალი.

— არ მეგონა, თუ ჩამეძინებოდა. ჩამოვიდა დედაშენი? — საუბრის თემა შეცვალა მარიმ.

— კი, ჩამოვიდა და ერთი სული აქვს, როდის გაგიცნობს...

ნინის დედა, ქალბატონი ნათელა უკვე სამზარეულოში ფუსფუსებდა. მას მარის დანახვაზე სახე გაუნათდა, ფქვილით მოსვრილი ხელები სასწრაფოდ ტილოზე შეიწმინდა და შვილის მეგობარი, ახლობელივით ჩაიკრა გულში. მარის ცრემლი მოერია: მას ხომ საკუთარი დედა თითქმის არც ახსოვდა...

— დანარჩენები სადღა არიან? — ცრემლი როგორც იქნა, შეიკავა მარიმ და ნინის მერელა შეხედა.

— ცოტნე ღვინის საყიდლად წავიდა და ნიტაც გაეკიდა, — უპასუხა ნინიმ, — მთელი დღე ერთმანეთს ვერაფრით მოვწყვიტე...

— მთელი დღე? მერე სადღაც რომ უნდა...

— ვერ წავედით, — სიტყვის დამთავრება აღარ აცალა ნინიმ.

ამასობაში ცოტნე და ნიტაც დაბრუნდნენ და ყველანი სუფრას შემოუსხდნენ.

ვახშამმა საერთო მხიარულებაში ჩაიარა. ცოტნე სუფრასთან მსხდარი „დიდი და პატარა ქალბატონების“ ქებით აღარ დაიღალა და ის იყო, მორიგი სადღეგრძელო უნდა ეთქვა, რომ ნიტამ დაასწრო:

— ცოტნე, ჩუმად, ვერ ხედავ, ბებოს უკვე სძინავს?

ნინის დედას მართლაც სუფრასთან ჩამოსძინებოდა.

— დედა, — მხარზე ხელი ფრთხილად შეახო მას ნინიმ, — წამოდი, მოისვენე, თორემ გატყობ, ძალიან დაიღალე.

— ჰო, შვილო, — დაიმორცხვა ნათელამ, მარის და ცოტნეს ბოდიში მოუხადა და ქალიშვილს პატარა ბავშვივით აედევნა.

— დე-ე, მეც ბებოსთან დავწვები, რა! — შეეხვეწა ნიტა.

— კარგი, საყვარელო, წამოდი, — დაეთანხმა ნინი.

ცოტა ხანში, ნინი დაბრუნდა. ოთახში შემოსვლისას სუფრასთან მჯდარი მარისა და ცოტნეს საუბარში თავის სახელს მოჰკრა ყური:

— ჩემზე ხომ არ ჭორაობთ? — სევდიანად იკითხა მან და სუფრას მიუჯდა.

— შენ წარმოიდგინე — კი, — დაუდასტურა ცოტნემ. — მარი შენი ქებით აღარ არის: რა ვაუკაცურად იქცევა, რომ ნიტას თბილისში ტოვებსო...

— რა ვიცი, რა ვიცი... — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ნინიმ და შემდეგ, მარის მიუბრუნდა:

— მარი, იცოდე, ნიტას, პირველ რიგში, შენ გიტოვებ. გვერდიდან წამითაც არ მოიცილო. დედაჩემი, რომ არ ველოდი, ისე მობრეუბულა და მოტეხილა. ხომ ნახე, წელან ბავშვივით როგორ ჩამოეძინა?..

— კარგი, რა, ნინი, მართლა ნუ ბავშვობ! — გააწყვეტინა ცოტნემ. — ქალმა ამხელა გზა გამოიარა და დაიღლებოდა, აბა რა?

— მაცალე, რა, ცოტნე, გული ისედაც გახეთქვაზე მაქვს. ასე მგონია, ჩემს შვილს უკანასკნელად ვხედავ... — თვალზე ცრემლი მოადგა ნინის.

— ისევ დაიწყე? — სასწრაფოდ ფეხზე წამოდგა ცოტნე, ნინის ზურგიდან მოუარა და მხრებზე ხელები ალერსით დააწყო: — მოდი, რა, დავიძინოთ. ხვალ ყველანი ადრე ვართ ასადგომები...

— ამაღამ მე ჩემს შვილთან ვიძინებ! — ცოტნეს ხელები უხეშად მოიშორა გაბრაზებულმა ნინიმ.

დაბნეულმა მარიმ თავი თეფშში ჩარგო. ცოტნემ კი, ხელი ჩაიქნია და საძინებლისკენ ამავალ კიბეს აუყვა.

— მობილურსაც შენ გიტოვებ, — მაშინვე ისევ მეგობარს მიუბრუნდა ნინი, — იცოდე, სულ თან ატარე. როგორც კი თავისუფალ დროს გამოვნახავ, მაშინვე დაგირეკავ.

მარის ხმა არ ამოუღია.

— ხომ ყველაფერი გაიგე? — ჩაეკითხა ნინი.

— გავიგე, — ფეხზე ძლივსღა წამოდგა მარი, — მოდი, ახლა სუფრა ავალაგოთ და მართლა დავიძინოთ, თორემ საცაა, მეც ზეზეულად ჩამომეძინება. ეტყობა, ზედმეტმა ემოციებმა ყველა საშინლად დაგვღალა...

მეორე დილით მძღოლი დანიშნულ დროს მოვიდა და ნინი და ცოტნე აეროპორტში წაიყვანა.

— აბა, თქვენ იცით! — მანქანიდან კიდევ ერთხელ გამოსძახა ნინიმ მარის და დედამისს. — ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა — ნიტას ბალიშქვეშ საჩუქარი ამოვუდე და რომ გაიღვიძებს, აუცილებლად აჩვენეთ...

მარი და ნათელა ჭიშკართან მანქანის წასვლის შემდეგაც კარგა ხანს უძრავად იდგნენ. შემდეგ შინ შებრუნდნენ და ტახტზე სევდიანად ჩამოსხდნენ. თუმცა, მალე ნიტამ გაიღვიძა და წუთის წინ დაცარიელებული სახლი მისმა მხიარულმა ჟღურტულმა ისევ აავსო...

შოთა აეროპორტიდან საკმაოდ გვიან მობრუნდა. მანქანიდან გაცოფებული გადმოვიდა და კარი გამეტებით მიაჯახუნა.

— რატომ დაგაგვიანდა, ფრენა ხომ არ გადაიდო? — ჰკითხა მარიმ სახლში შესულ მძღოლს.

— არა. თვითმფრინავი დროზე გაფრინდა, მაგრამ აი, ჩვენმა მანქანამ კი მაგრად აურია. კიდევ კარგი, ნინი და ცოტნე აეროპორტამდე მაინც მშვიდობიანად მიმაყვანინა... უკან რომ მოვდიოდი, გზაში სამჯერ მაინც „დაასტუკა“ მე მაგის... აქამდე ძლივს მოვაღწიე... — სკამზე მოწყვეტით დაეშვა შოთა.

— კარგი. დამშვიდდი, — დაუყვავა მას მარიმ. — ცოტა ხნით საქმეზე გავალ, პურსაც გამოვიყოლებ და მერე ყველამ ერთად ვისადილოთ.

— მაცა, მეც წამოგყვები! — ისევ ფეხზე წამოხტა შოთა. — ნინიმ დამიბარა — ქალები მარტო არსად გაუშვაო.

— კარგი ერთი, რა, შოთა, ნეტავ, ვინ შემჭამს?! თანაც, აქვე, ქუჩის კუთხეში რომ აფთიაქია, იქ უნდა შევირბინო, — დაამშვიდა მარიმ მძღოლი...

აფთიაქიდან გამოსულ მარის ვიღაცამ მანქანა ზედ ფეხებთან გაუჩერა.

— მაინც ხომ ჩამივარდი ხელში, ქალბატონო! — მანქანიდან თავი გამოყო გოგი გორგილაძემ.

ბატონი გოგის დანახვაზე ისედაც ფერმიხდილ მარის მთლად მიტკლისფერი დაედო.

— ერთი ეს მიბრძანე, უფროსების წამდაუწუმ მოტყუება მაინც ვინ გასწავლა? — განაგრძო ისევ ბატონმა გოგიმ. — ხომ მითხარი, დაგირეკავო?..

— დიახ, გითხარით, მაგრამ მერე... მერე ცუდად გავხდი... აი, ახლაც, აფთიაქში, წამლების საყიდლად ძლივს გამოვედი.. — მართლა ძლივსღა ამოილუღლუღა დამფრთხალმა მარიმ.

— რას მეუბნები? მაინც, ისეთი რა აგტკივდა? — სახეზე დამცინავი ღიმილი დაეფინა ბატონ გოგის.

— გული! უკვე ათი წელია, გულის მანკი მაქვს! — მიუგო მარიმ და მაშინვე ისიც იგრძნო, შვებით როგორ ამოისუნთქა.

— რას მეუბნები?! — მანქანიდან სასწრაფოდ გადმოვიდა დაბნეული გოგი. — მაპატიე, გოგონი, მე ეს ნამდვილად არ ვიცოდი...

— აბა, საიდან უნდა გცოდნოდათ? — მიუგო საბოლოოდ დამშვიდებულმა მარიმ.

— მოდი, ახლა, იცი, რა ვქნათ? სადმე ჩამოვსხდეთ და დაწვრილებით მომიყევი, ასე ახალგაზრდას გული რამ გატკინა...

— მეტი მოსაყოლი ნამდვილად არაფერი მაქვს... — სევდიანად მიუგო მარიმ.

— მოდი, რა, უარს ნუ მეტყვი, ჩაჯექი მანქანაში. აგერ, სულ ახლოს, ერთი საოცრად მყუდრო კაფე მეგულება. ნამცხვარზე გეპატიჟები, — შეეხვეწა მარის გოგი და ამ უკანასკნელმაც უარი ვეღარ უთხრა...

გოგი გორგილაძემ მართლაც, საკმაოდ მყუდრო კაფეში შეიყვანა მარი და ფანჯარასთან მდგარ პატარა მაგიდასთან დასვა. შემდეგ დახლთან მივიდა, გამყიდველს ფორთოხლის წვენი გამოართვა და მარის წინ დაუდგა.

— გმადლობთ. რატომ წუხდებოდით? — მორცხვად ჩაილაპარაკა მარიმ.

— რა შეწუხებაა?.. ცოტა ხანში ახალთახალ ვაშლის „პეროგსაც“ მოგვიტანენ. პირი ჩავიკოკლოზინოთ და ისე ვიჭუკჭუკოთ.

— მაპატიეთ, ბატონო გოგი, მაგრამ საჭუკჭუკოდ დღეს ნამდვილად არ მცალია.

— რა იყო? — ისევ აიმრიზა ბატონი გოგი. — შენმა დაქალმა ხომ არ გიბრძანა — უკან კისრისტეხით მოირბინეო?

— არა. ნინი აქედან უკვე იმდენად შორსაა, რომ ამას ნამდვილად ვეღარ მიბრძანებდა, — მშვიდად მიუგო მარიმ.

— რას მეუბნები? მაინც, სად წაბრძანდა?

— მოსკოვში, საერთაშორისო კინოფესტივალზე. დღეს დილით გაფრინდნენ ის და ცოტნე. თქვენ რა... მართლა არაფერი იცით? — გაუკვირდა მარის.

— ფესტივალზე ხომ მარტო ცოტნე იყო მიწვეული და ეგ ქალბატონი რატომღა აეკიდა?

— აეკიდა კი არა, ცოტნემ თითქმის ძალით წაიყვანა. საფრანგეთიდან მისი მეგობარი რეჟისორი ჩამოდის და რაღაც ძალიან სერიოზული კონტრაქტი უნდა დაუდოს. მგონი, ცოტნე ახალ ფილმს საფრანგეთში გადაიღებს და მთავარ როლში ისევ ნინი უნდა ათამაშოს...

— ბავშვიც ხომ არ წაიყვანეს? — ვითომ, სასხვათაშორისოდ ჰკითხა გოგიმ და, პასუხის მოლოდინში, გულმა ბაგბუგი დაუწყო...

— არა, ნიტა აქ დატოვეს, ჩვენთან. გუშინ ნინის დედაც ჩამოვიდა და ერთად მოვუვლით...

გოგი ისევ ნებიერად გადაწვა სკამზე და ფანჯარასთან ჩამწკრივებულ უცხოურ მანქანებს ცბიერი ღიმილით ჩააყოლა თვალი, მაგრამ უეცრად, ღიმილი სახეზე შეეყინა და დაფეთებული წამოხტა ფეხზე:

— აუ, სულ არ დამავიწყდა?! სასწრაფო შეხვედრაზე მაგვიანდება! მარი, ჩემო კარგო, მოდი ნამცხვრის ჭამა სხვა დროისთვის გადავდოთ, კარგი?

— კარგი, — მაშინვე დაეთანხმა მარი.

— ხომ არ გეწყინება, სახლშიც ფეხით რომ გაგიშვა?

— რა თქმა უნდა, არა. — უთხრა მარიმ და ის იყო, თავადაც ფეხზე უნდა წამომდგარიყო, რომ მათ მაგიდას ვიღაც ახმახი მიუახლოვდა და მისკენ ზურგით მდგარ გოგის მხარზე თავისი მძიმე ტორი დაადო:

— ჩვენ ძმა გოგიას ვახლავა-ართ! — რაღაც უსაშველოდ გაწელა მან ბოლო სიტყვა.

გოგი ამ ხმის გაგონებაზე თოფნაკრავივით შეხტა და ისე სწრაფად შეტრიალდა, რომ უცნობს კინაღამ ზედ შეასკდა.

— არ მელოდი, ხომ? — ცალყბად გაიღიმა ახმახმა.

— როგორ არა? შენი მანქანა ფანჯრიდანვე დავინახე. — ძლივსღა ამოილუღლუღა გოგიმ.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი! დაჯექი, სალაპარაკო მაქვს, — კბილებში გამოცრა უცნობმა, შემდეგ გოგი სკამზე თითქმის ძალით დასვა, თავადაც გვერდით მიუჯდა და თავისი მძიმე ტორები მაგიდაზე დააწყო: — ეს გოგო ვინღაა? — ახლაღა შენიშნა მან მაგიდასთან მჯდარი მარი. დაფეთებული მარი ფეხზე წამოხტა და წასასვლელად მოემზადა.

— ჩემი ახლობელია. მარი, არ წახვიდე, სახლამდე მანქანით მიგაცილებ! — წამოიკივლა უცბად შიშით გამტკნარებულმა გოგიმ.

უსაშველოდ დამფრთხალ-დაპატარავებული რეჟისორის დანახვაზე მარი, რატომღაც, სკამზე ისევ მოწყვეტით დაეშვა და უცნობს შიშით გაფრთოებული თვალები შეანათა.

— აბა, ახლა კარგად მისმინე! — მიუბრუნდა ახმახი გოგის. — ხომ იცი, ჩვენს ბიჭებს ხუმრობა რომ არ უყვართ?!

— ვიცი, — ისევ ამოიკივლა ბატონმა გოგიმ.

— ძალიან კარგი, რომ იცი! მაშინ, ისიც გეცოდინება, რომ მოსატანი დროზე უნდა მოიტანო!

— ვიცი, მაგრამ... — ამოილუღლუღა გოგიმ და თავი აკანკალებულ ხელებში ჩარგო.

— არავითარი „მაგრამ“! — გააწყვეტინა ახმახმა. — ხვალ, საღამოს რვაზე, ყველანი ჩემთან გელოდებით. იცოდე, მაშინდელივით არაფერი იმაიმუნო, თორემ ეშმაკიც ველარაფერს გიშველის!..

გოგი გორგილაძეს უცნობის წასვლის შემდეგაც კარგა ხანს არ აუწევია თავი მაღლა და უკვე საკმაოდ დაბერებულ-დაძარღვული ხელებიც ისევ ციებიანივით უკანკალებდა.

— ბატონო გოგი, ცუდად ხომ არა ხართ? — აშკარად თანაგრძნობით ჰკითხა მას მარიმ.

კაცმა, როგორც იქნა, თავი ასწია:

— მარი, ჩემო გოგონი, — დაიწყო მან შემდეგ, ენის ბორძიკით, — ეს ის სულაც არ არის, შენ რომ გგონია... თუ გაინტერესებს...

— დამშვიდდით, ბატონო გოგი, მე არც არაფერი მგონია და არც არაფერი მაინტერესებს, — მიუგო მარიმ და ფეხზე წამოდგა...

საღილის შემდეგ, მარიმ დიდი, ლოყაწითელი ვაშლი მისცა ნიტას და ეზოში სასეირნოდ გაიყვანა. ნათელაც მაშინვე მათ გაჰყვა და საქსოვით ხელში, გრძელ ხის სკამზე ჩამოჯდა. ნიტა ვაშლს ხრამაბრუმით შეექცეოდა, თან ენას წუთითაც არ აჩერებდა და მარის და ბებიას კითხვას კითხვაზე აყრიდა, დროგამოშვებით კი, ჭიშკართან მიირბენდა ხოლმე და იქვე მდგარი მანქანის ქვეშ შემძვრალ შოთასაც ეხმიანებოდა.

სასადილო ოთახიდან ტელეფონის ზარის ხმა მოისმა. ნათელამ საქსოვი მაშინვე გვერდზე მიაგდო და მის წინ მდგარი ნიტა სასწრაფოდ კალთაში ჩაისვა.

— ნუ ღელავთ, — დაამშვიდა ის მარიმ, — ნინის მობილურია, მე რომ დამიტოვა, ის... ტელეფონს ახლავე აქ გამოვიტან და ერთად დაველაპარაკოთ.

მარი სასწრაფოდ სახლში შევიდა და ტელეფონი აიღო:

— ნინი, დიტო ვარ... — მოისმა ყურმილში მამაკაცის სასიამოვნო ხმა.

— გამარჯობათ, დიტო, მაგრამ მე ნინი არა ვარ. მარი ვარ, ნინის მეგობარი.

— კი, მაგრამ თქვენთან რანაირად მოვხვდი? მე ნინის ვურეკავდი, უკვე მოსკოვში მეგონა... — მისალმება მაინც დაავიწყდა დაბნეულ დიტოს.

— დიახ, ნინი უკვე მოსკოვშია, მობილური კი მე დამიტოვა... თვითონ, ახალი იყიდა...

— ა-ა! გასაგებია... — გაისმა ყურმილში დიტოს გულდაწყვეტილი ხმა. — მაშინ იქნებ, ნინის ახალი ნომერი მითხრათ?

— სამწუხაროდ, არ ვიცი...

— როგორ თუ არ იცით? — აღელდა დიტო.

— უბრალოდ, ისე წავიდა, რომ არც თვითონ უთქვამს და არც მე გამხსენებია, რომ მეკითხა... მაგრამ ნუ ღელავთ — დღესვე დარეკავს და აუცილებლად ვკითხავ, — დაამშვიდა მარიმ დიტო, — რა თქმა უნდა, იმასაც აუცილებლად ვეტყვი, რომ დარეკეთ.

— არა, მარი, ძალიან გთხოვთ, ჩემზე არაფერი უთხრათ... თუ არ შეწუხდებით, მხოლოდ ნომერი გამიგეთ.

— რა შეწუხებაა? როგორც კი გავიგებ, მაშინვე დაგირეკავთ.

ამის შემდეგ, დიტო თავაზიანად დაემშვიდობა მარის. მარიმაც ტელეფონი გათიშა, კაბის ჯიბეში ჩაიდო და მაშინვე ეზოში გავიდა და ელდანაცემივით გაშეშდა: ნათელა ისევ სკამზე იჯდა, შოთაც ისევ მანქანის ქვეშ იყო შემძვრალი, ნიტა კი აღარსად ჩანდა. დაფეთებულმა მარიმ მთელ ეზოს თვალით წამში შემოურბინა და კი არ იკითხა — იკივლა:

— ნიტა!.. ნიტა სად არის?!

მარის კივილზე, სკამზე მჯდარ, მთვლემარე ნათელას საქსოვი ხელიდან გაუვარდა და ფეხზე დამფრთხალი წამოხტა:

— რა მოხდა, მარი?

— ნიტა სად არის-მეთქი, ნიტა?! — ისევ უკივლა მარიმ.

— წეღან იქ იყო... აგერ, ჩემ წინ თამაშობდა... — წამოიძახა ნათელამ და სასოწარკვეთილი მზერა მიაჭერო მარის: „მარი, შვილო, ხომ არ დავიღუპეთ?!“

გაგრძელება იქნება

ციხე ტერნერის

წარმატების საიღუმლო

ვარსკვლავი ირწმუნება, რომ უჭკნობი ახალგაზრდული გარეგნობა მის მიერ გადატანილი ტანჯვა-წამების კომპენსაციას წარმოადგენს

ბავშვობაში თანატოლები მას მაიმუნს ეძახდნენ. ტინა, რომელსაც სინამდვილეში ანა მეი ბალოკი ერქვა, ამაზე არ ბრაზდებოდა და ფიქრობდა: „სულელებო, თქვენ უბრალოდ არ იცით, რომ თქვენ წინაშე დედოფალი იმყოფება!“ ანა ოცნებობდა იმ დროზე, როცა საწყალი ობოლი გოგონას იმიჯს მოიშორებდა და სამყაროს ჭეშმარიტ ვარსკვლავად მოევლინებოდა. პატარა ანას ხომ ნათელ მომავალზე ოცნების გარდა, სხვა აღარაფერი დარჩენოდა: როცა იგი ათი წლის იყო, დედამ ოჯახი მიატოვა და სხვა ქალაქში გადასახლდა. ერთი წლის შემდეგ, შინიდან მამაც წავიდა. ანა დეიდამ შეიკედლა. ასე დაიწყო მომავალი ვარსკვლავის ცხოვრება, რომელმაც საკუთარ ტყავზე უამრავი გაჭირვება გამოსცადა. მის ცხოვრებაში იყო ყველაფერი: დეიდის სახლიდან გაქცევა, პირველი სიყვარული, რომელიც ორსულობით დამთავრდა, პირველი წარმატება, როცა მას ყოვლისშემძლე აიკ ტერნერმა მიაქცია ყურადღება. სწორედ რიტმების ამ შავკანიანმა მეფემ ითამაშა გადამწყვეტი როლი მის კარიერასა და პირად ცხოვრებაში. აიკი მას პატარა ენს ეძახდა, მისთვის სამკაულებს, ვერცხლისფერ კაბებსა და უამრავ საჩუქარს ყიდულობდა. სასცენო სახელიც – ტინა, სწორედ მან შეურჩია და ოქროს კბილის ჩასასმელი ფულიც მანვე გადაუხადა. ჯერ კიდევ ქორწინებამდე ტინა აიკის კუთვნილებად იქცა.

ახდენილი ამერიკული ოცნების მაგალითი

აიკმა მხოლოდ ტინას ხმის პრივატიზება როდი მოახდინა (იგი მომღერალს შინ და საბაზანო ოთახში სიმღერასაც კი უკრძალავდა), მთელ მის საკონცერტო შემოსავლებსაც სწორედ ის აკონტროლებდა. ამასთან ქმარი სისტემატურად სცემდა ცოლს, რომელიც კონცერტებზე გამოსვლის წინ, მაკიაჟს საგულდაგულოდ იკეთებდა, რათა აიკის მიერ მიყენებული სილურჯეები დაეფარა. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, უდიდესი წარმატების მიუხედავად, მომღერალი თავის მბრძანებელთან გაყრაზე ფიქრს გულშიც კი არ ივლებდა, მაგრამ ოდესმე ყველაფერი მთავრდება. ბოლოს და ბოლოს, ტინასაც აევსო მოთმინების ფიალა, როცა აიკმა გაოგნებული პუბლიკის თვალწინ, მომღერალს სახეში შოკოლადის ფილა ესროლა. იმავე საღამოს ტინამ ჩემოდნები ჩაალაგა და აიკის უჩუმრად შინიდან წავიდა, მიუხედავად იმისა, რომ ჯიბეში მხოლოდ 36 ცენტი ედო.

მას შემდეგ 30 წელზე მეტი გავიდა, როკ-ენ-როლის ვარსკვლავი კი, სულ უფრო და უფრო მშვენდება და... ახალგაზრდავდება. ალბათ აიკთან გატარებული ჯოჯოხეთური წლების შემდეგ, მომღერალს ცხოვრების მიერ შეთავაზებული ნებისმიერი უსიამოვნება, არაფრად უღირს. ტინა ტერნერი ახდენილი ამერიკული ოცნების ტიპური განსახიერებაა. მან მსოფლიო მასშტაბის დიდებაც მოიპოვა და ჭეშმარიტი სიყვარულიც. „უამრავი ადამიანისთვის მე სამაგალითოდ ვიქეცი. მათთვის მე ვარ პიროვნება, რომელმაც საკუთარი ცხოვრების უკეთესობისაკენ შეცვლა შეძლო. ამასთან, მე მამაკაცებისაგან დამოუკიდებლად, ბედნიერების მოპოვებაც შევძელი. ყოველივე კი, ჩემმა წარმატებულმა კარიერამ განაპირობა,“ – ამბობს მომღერალი. იგი მართლაც, ძალზედ ბედნიერია, რასაც ვერ ვიტყვით აიკ ტერნერზე: მის მიერ ბოლოს გამოშვებული ორი სოლო დისკი სამარცხვინოდ ჩავარდა, მისი ხმის ჩამწერი სტუდია დაიწვა, თავად აიკი კი, ნარკოტიკების გამო, ხუთი წლით ციხეში აღმოჩნდა. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ყველას საკადრისად მიეზღო.

ათი წლის წინ, ტინა ტერნერი ბუდიზმით დაინტერესდა: „ეს რელიგია დამეხმარა, რომ ცხოვრებისა და გარშემო მყოფებისადმი დამოკიდებულება შემეცვალა. ახლა სეისმოგრაფივითა ვარ – როცა ჩემ გვერდით ვიღაც ცუდი ან ბოროტი ადამიანი გამოჩნდება ხოლმე, ამას მაშინვე ვგრძნობ“. ერთ-ერთ უკანასკნელ ინტერვიუში მომღერალმა განაცხადა, რომ იგი სცენის დასატოვებლად ხელსაყრელ შემთხვევას ეძებს. „წინასწარ ვტკბები იმის შეგრძნებით, როცა ერთ მშვენიერ დღეს გავიღვიძებ და მნიშვნელოვან შეხვედრაზე წასასვლელი არ ვიქნები, არც იმ გრძელ სიაში შემავალი გადაუდებელი საქმეების გაკეთება იქნება აუცილებელი, რომელიც კონტრაქტის თანახმად მევალება. ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლება, რომ უკანასკნელი 20 წელი მაინც მშვიდად გავატარო?“ ■

მელ გიბსონი იღებს ფილმს იესო ქრისტეზე

ეს იქნება ეპიკური საგა, რომელიც იესო ქრისტეს ცხოვრების უკანასკნელ წლებს გააცოცხლებს ეკრანზე. მის შემქმნელთა თქმით, განსაკუთრებული ყურადღება ისტორიული ფაქტებისა და დეტალების სიზუსტეს დაეთმობა. სურათის სახელწოდებაა „ვნება". მისი ბიუჯეტი 27 მლნ დოლარს შეადგენს.

„აქედანვე შემიძლია ვთქვა, რომ ეს იოლად აღსაქმელი ფილმი იქნება, – განაცხადა მელ გიბსონმა. – მაგალითად, ხომ შეუძლებელია, ჯვარცმის სცენის შელამაზება ან შემსუბუქება..."

საინტერესოა, რომ ავტორთა ჩანაფიქრის მიხედვით, ყველა დიალოგი ორ მკვდარ ენაზე – არამეულსა და ლათინურზე აჟღერდება, თანაც – უტიტრებოდ. ამრიგად, მაყურებელს ვიზუალურ მხარეზე კონცენტრირება მოუწევს.

მაცხოვარს მსახიობი ჯეიმს კეივიზელი განასახიერებს, რომელიც იმდენადაა შესული ამ როლში, რომ ვერც კი უგრძნია, როცა გადაღებისას მხარი იღრძო. მისი თქმით, „ეს სიუჟეტი უსასრულო ტკივილს და სევდას იტევს, მაგრამ ყველაფერში ღმერთი გვეხმარება..."

მარიამ მაგდალინელის როლს იტალიელი კინოვარსკვლავი მონიკა ბელუჩი შეასრულებს, ხოლო მარიამ ღვთისმშობლისას – რუმინელი მსახიობი მაია მორგენშტერნი.

მელ გიბსონმა არაერთგზის განაცხადა პრესაში, რომ დიდ ზეწოლას განიცდის იმ უკმაყოფილო ადამიანების მხრიდან, რომლებსაც დაუშვებლად მიაჩნიათ ამ თემაზე ფილმის გადაღების თვით იდეაც კი. მსახიობი განსაკუთრებით აღაშფოთა მუქარებმა მისი ოჯახის წევრების მიმართ. „საკმარისად დიდი ბიჭი ვარ, – მიმართა გიბსონმა ანონიმური მუქარების ავტორებს, – და მსგავსი თავდასხმები ნაკლებად მაშინებს. მაგრამ თუ ჩემს, 85 წლის მამას აკადრებთ რაიმეს – მაშინ მიფრთხილდით!.." ფილმის მიზანზე საუბრისას, რეჟისორმა დასძინა, რომ ეს იქნება სურათი „სიყვარულზე, რწმენაზე, იმედსა და მიმტევებლობაზე... მაცხოვარი თითოეული ჩვენგანისთვის ეწამა. დროა, მივუბრუნდეთ უმაღლეს ჭეშმარიტებას, სანამ სამყარო საბოლოოდ არ შეშლილა ჭკუიდან..." ■

რისკის მოყვარული ჰარისონ ფორდი კინაღამ გადაღომას ემსხვერპლა

ცნობილია, რომ ჰარისონ ფორდი არა მარტო თავად ამბობს უარს დუბლიორთა დახმარებაზე სარისკო ეპიზოდების გადაღებისას, არამედ თავის პარტნიორებსაც უკრძალავს ამას. ტრილერის – „მკვლელობა ჰოლივუდში" – გადასაღებ მოედანზე მსახიობს ეს ახირება კინაღამ ძვირად დაუჯდა: ერთ-ერთი ცენტრალური ეპიზოდის გადაღებისას, ფორდი ძლივს გადაურჩა სიკვდილს, როდესაც დიდი სისწრაფით მიმავალი ავტომანქანით, შეეჯახა კედელს. ამ დროს, ფორდთან ერთად იმყოფებოდა მისი პარტნიორი – დეტექტივის როლის შემსრულებელი ჯოშ ჰარტნეტი.

არადა, ტრიუკის დამდგმელებმა გააფრთხილეს მსახიობი, რომ დიდი სისწრაფით მოძრავი მანქანის გადასაღები ეპიზოდი საკმაოდ დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, ამიტომ პროფესიონალი კასკადიორების მიწვევას ურჩევდნენ. მაგრამ ჰარისონი ამჯერადაც გაჯიუტდა და მტკიცედ განაცხადა, რომ უპრობლემოდ გაართმევდა თავს ყველა ტრიუკს.



აღნიშნული ეპიზოდის გადაღებისას, ფორდმა საჭე ვერ დაიმორჩილა, მოსახვევში შესვლა ვერ მოახერხა და კედელს შეეჯახა. საბედნიეროდ, ინციდენტი ორივე მსახიობს მხოლოდ მსუბუქ დაზიანებად დაუჯდა.

60 წლის ჰარისონ ფორდმა ყველა სახეობის იარაღით სარგებლობა და ყველანაირი ტრანსპორტის მართვა იცის, აქვს შვეულმფრენისა და თვითმფრინავის მართვის მოწმობა. მას მიაჩნია, რომ მსახიობმა თავად უნდა შეძლოს რთული და სახიფათო ამოცანების შესრულება და ამ პრინციპს არასდროს ღალატობს. ■

ჟაინონა რაიდერს კომედიაში გადაიღებენ

სკანდალური სასამართლო პროცესის შემდეგ, ვარსკვლავს პირველ როლს, ე.წ. „შავ კომედიაში" სთავაზობენ. მისი პარტნიორი იქნება ამერიკაში პოპულარული ტელესერიალის – „ყველას უყვარს რაიმონდი" – მთავარი როლის შემსრულებელი, 45 წლის რეი რომანო. სურათის სამუშაო (და შესაძლოა, საბოლოოც) სახელწოდებაა Evlogy („ხოტბა") და მასში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე მსახიობები: ჰენკ აზარია, დებრა უინგერი, მონიკა ჰიტერი და რიპ ტორნი.

„ხოტბა" ერთი უცნაური ოჯახის ცხოვრებას ასახავს, რომლის წევრებიც უხუცესი ნათესავის დაკრძალვის დღეს შეიკრიბებიან და ამ დროს, მათი საგვარეულოს ზოგიერთ საიდუმლოს აეხდება ფარდა.

ტელევარსკვლავ რეი რომანოსთვის ეს რიგით მეორე კინოფილმი იქნება. მისი სადებიუტო ნამუშევარი დიდ ეკრანზე ანიმაციურ ფილმში – „გამყინვარების ხანაში" შედგა, სადაც მსახიობმა... მამონტი გაახმოვანა. ■

Ford — სისწრაფე და ეკოლოგია

2003 წელი საიუბილეოა კორპორაცია „ფორდისთვის“: ეს სავაჭრო ნიშანი 100 წლის წინ გაჩნდა. ამიტომაც ბუნებრივია, რომ დეტროიტელმა ავტომწარმოებელმა, უკვე იანვარში, ამავე ქალაქში მოწყობილი ავტოსალონის მონაწილეთა სამსჯავროზე თავისი უახლესი მოდელები წარმოადგინა. მათ შორის მთავარია Mustang-ი, რომელიც 1964 წელს გამოშვებული მანქანის თავისებური რიმეიქია. ეს მოდელი გამოირჩევა გრძელი ცხვირით, რომლის კაპოტქვეშ 8-ცილინდრიანი, 4,6 ლ სამუშაო მოცულობისა და 400 ცხ.ძ. სიმძლავრის, V ტიპის აგრეგატია მოთავსებული. „მუსტანგი“ 5-საფეხურიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი. მისი ხელსაწყოები რეტროს სტილშია შესრულებული. მასში გამოყენებულია ისეთივე პლატფორმა, როგორიც წარმომადგენლობით Linkoln LS-ში. ამ ავტომობილის სერიული წარმოება გაისად დაიწყება. მუსტანგს ორი ვარიანტი – კუპე და კაბრიოლეტი ექნება.

Ford Mustang GT

Ford U

Ford Freestyle FX

კორპორაციის სხვა მოდელებიდან აღსანიშნავია 7-ადგილიანი ვენი – Freestyle FX. მისი სახურავი ელექტროამძრავითაა აღჭურვილი და ამგვარად, პიკაპად ან სედანად, უნივერსალის ტრანსფორმირება ადვილად ხდება. საამისოდ ყველა საჭირო ოპერაცია ღილაკზე თითის დაჭერით ხორციელდება. მისი სერიული წარმოებაც 2004 წლისთვისაა დაგეგმილი.

„ფორდის“ კიდევ ერთი ექსპერიმენტული მოდელია Ford U, რომელიც XXI საუკუნის ბევრ ეკოლოგიურ პრობლემას გადაჭრის. ამ მანქანის ძრავა (2,3 ლ მოცულობა) წყალბადზე მუშაობს, მისი კარტერი, მზესუმზირისგან დამზადებული ზეთით ივსება, ხოლო სახურავისა და საბურავების დასამზადებლად სიმინდს იყენებენ!..

ძალზედ საინტერესოდ მიაჩნიათ სპეციალისტებს მოდელი Ford 427, რომლის ძარა 60-იანი წლების Galaxy-ს მოგვაგონებს. მანქანა აღჭურვილია 10-ცილინდრიანი, 7-ლიტრიანი,598 ცხ.ძ. სიმძლავრის V ტიპის ძრავათი. აი, მისი სერიული წარმოების საკითხი კი, ჯერ გაურკვეველი რჩება.

როგორც კორპორაციის მესვეურები იტყობინებიან, უახლოეს წლებში, „ფორდი“ სპორტული ყველგანმავლების ახალი მოდელების შექმნაზე იქნება ორიენტირებული. „ჩვენ ახალ საავტომობილო სამყაროს ვქმნით“, – ამაყად განაცხადა კორპორაციის თავკაცმა, ბილ ფორდმა.

■

VW Multivan

დეტროიტის შემდგომ დაგეგმილი, მსოფლიოში უმსხვილესი ავტოსალონი ჟენევაში მოეწყობა. „მულტივენი“, რომელსაც ამ დათვალიერებაზე „ფოლკსვაგენი“ წარმოადგენს, იმ ცნობილი მიკროავტობუსის – VW Minibus-ის ტრადიციას განაგრძობს, რომელმაც 50-იან, 60-იან წლებში ყველა კონტინენტი დაიპყრო. ახალი მოდელი, სრულყოფილ ვენსა და მიკროავტობუსს შორის არსებულ, გარკვეულ შუალედს წარმოადგენს: მისი სიგრძე – 4,89 მ, სიგანე – 1,91 მ, სიმაღლე – 1,94 მ-ა. მისთვის შემუშავებულია 5 ძრავა: 2 – ბენზინის (115-დან 230 ცხ.ძ-მდე დიაპაზონში) და 3 – დიზელის (104-დან 174ცხ.ძ-მდე). 5-6-ცილინდრიანი აგრეგატები 6-

General Motors-ის ახალი იერიში

Chevrolet Cheyenne


Chevy SS

„ფორდის“ მსგავსად, კორპორაცია „ჯენერალ მოტორსმაც“ ამ ცოტა ხნის წინ, რამდენიმე ახალი მოდელი გამოიტანა ავტოსაზოგადოებრიობის სამსჯავროზე. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ მხოლოდ წლეულს, GM 16 ახალ სერიულ მოდელს გამოუშვებს. „მსუბუქი ავტომანქანების ბაზარზე დიდი იერიშის დაწყებას ვიწყებთ“, – განაცხადა კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტმა ბობ ლუტცმა. 16-ცილინდრიანი Cadillac Sixteen-ის გარდა (ამ მოდელის შესახებ ცოტა ხნის წინ ვწერდით „გზის“ ფურცლებზე), საიუბილეო უიცკ ჩენტიემე წარმოადგინა, რომელიც ამ მარკის მე-100 წლისთავს მიეძღვნა. ბიზნეს-კლასის კომფორტული მსუბუქი მანქანისა და ყველგანმავლის ამ ნაერთის დიზაინი, ამ საქმის ცნობილმა იტალიელმა ოსტატმა, ბერტონემ შექმნა. 4-კარიან მანქანას სავარძლების სამი რიგი აქვს და მძღოლიანად, ექვს კაცზეა გათვალისწინებული. ახალი „ბიუიკი“ აღჭურვილია 6-ცილინდრიანი, 3,6 ლ მოცულობის, V ტიპის ძრავათი, რომელიც 400 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს, 4-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფით და 20-დუიმიანი საბორბლე დისკებით.

GM განაგრძობს „შევროლეს“ პიკაპების ტრადიციას, რომელიც აგერ უკვე ნახევარი საუკუნეა, ამერიკის საავტომობილო ლანდშაფტის განუყოფელი ნაწილია. ახალი კონცეპტუალური მოდელია Chevrolet Cheyenne, რომლის ძარა დამონტაჟებულია მსუბუქ, ალუმინის ჩარჩოზე. მანქანას დამოუკიდებელი უკანა საკიდარი აქვს, რაც აიოლებს საბარგო დანაყოფის დატვირთვას. Cheyenne 8-ცილინდრიანი, 500 ცხ.ძ-იანი, V ტიპის აგრეგატითაა აღჭურვილი.

„ჯენერალ მოტორსის“ კიდევ ერთი კონცეპტუალური მოდელია Pontiac G6, რომელიც განსაკუთრებით მოეწონებათ სპორტული ავტომობილების მოყვარულთ. გარეგნული ფორმის დინამიკურობის მიუხედავად, მანქანა ძალზედ მოსახერხებელია და კომფორტული სალონით გამოირჩევა. მანქანა 6-ცილინდრიანი, 3,5 ლიანი, 285 ცხ.ძ-იანი V ტიპის ძრავათია აღჭურვილი.

სპორტული ტრადიციების შესაბამისადაა შესრულებული აგრეთვე ექსპერიმენტული მოდელი Chevy SS – სპორტული სედანი, რომელიც 6 ლ მოცულობის, 8-ცილინდრიანი, V ტიპის აგრეგატით იქნება აღჭურვილი და 430 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. ■

— ბოიბლებზე შემგეგარი ოფისი

საფეხურიანი, მექანიკურ ან ავტომატურ გადაცემათა კოლოფებით დაკომპლექტდება. კონსტრუქტორებმა მთლიანად გადაამუშავეს საკიდარი, რის შედეგადაც Multiven ძალზედ მდგრადი გახდა. სტანდარტულ კომპლექტაციაში შედის: მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა და კონდიციონერიც კი. სხვა ტექნიკურ სიახლეებს შორის აღსანიშნავია სისტემა DVE (Digital Voice Enhancement). სალონის ჭერში დამონტაჟებულია 6-6 მიკროფონი და დინამიკი და აღნიშნული სისტემა საშუალებას აძლევს მძღოლს, მოძრაობისას ელაპარაკოს მგზავრებს. ამის წყალობით, მანქანა მოძრავ ოფისად შეიძლება იქნეს გამოყენებული – მით უმეტეს, რომ სავარძლების განთავსების იმდენნაირი კომბინაცია არსებობს, რომ მათ შორის მაგიდის დადგმაცაა შესაძლებელი.

„ფოლკსვაგენის“ მესვეურებს ჯერ არ გამოუცხადებიათ ახალი „მულტივენის“ ფასი, თუმცა აღნიშნეს, რომ ის ბევრად არ აღემატება წინამორბედი მოდელებისას. ერთ-ერთი ბოლო მიკროავტობუსის საბაზო ვერსია 31.000 ევრო იყო. „მულტივენის“ სერიული წარმოება უახლოეს თვეებში დაიწყება. ■

43 წლის ინჟინერმა ბერნდ იურგენ ბრანდესმა თავისი ავტომანქანა და სტერეოსისტემა გაყიდა, შეფს რამდენიმე დღით დაეთხოვა, მეგობარს დაემშვიდობა – მივლინებაში მივდივარო, – უთხრა და უკვალოდ გაქრა... წელიწადნახევრის შემდეგ, ჯრიმინალურმა პოლიციამ ბრანდესის სხეულის ნაწილები, ერთი ბინის მაცივარში ცელოფანის პარკებში დახარისხებული აღმოაჩინა.

მკვლელობა თუ თვითმკვლელობა, რომელმაც ევროპა შეძრა

აქამდე გაუგონარი კრიმინალური ამბავი კი ასე დაიწყო.

„გთავაზობთ ჩემს ცოცხალ სხეულს საუზმედ. არა მხოლოდ ჩემს მოკვლას, არამედ ჩემი ხორცით დანაყრებას!!!“ – ასეთი განცხადება გაავრცელა ბრანდესმა ინტერნეტის საშუალებით. მაშ, ვინ იყო ბრანდესი და რამ გაუღვივა ესოდენ საშინელი განზრახვა?

ერთი უბირი, არაფრით გამორჩეული ადამიანი იყო, ინჟინერი. „სიმენსის“ ფირმაში დღის განმავლობაში ბეჯითად შრომის შემდეგ, საღამოს ჰომოსექსუალთა შეკრებაზე მიიჩქაროდა. მეგობარ ქალს 1994 წელს დაშორდა და საცხოვრებლად მეგობარ მამაკაცთან გადავიდა. გულმოდგინედ ვარჯიშობდა – აღნაგობაზე ზრუნავდა, მაგრამ ჩია კაცი სუპერმენად მაინც ვერ იქცა. კაცს საკუთარი თავი და სქესი ეზიზღებოდა. მხოლოდ ის სიამოვნებდა, რომ ამცირებდნენ და მასზე ძალას ხმარობდნენ. ძალადობის უკიდურესი ფორმა კი – მკვლელობაა. ბრანდესის ზიზღი საკუთარი არსებისადმი უფრო შორს მიდიოდა: მას მარტო ის კი არ უნდოდა, რომ მოეკლათ, არამედ სურდა მისი სხეული საერთოდ გამქრალიყო, სხვის სხეულში ჩანთქმულიყო...

ბერნდ იურგენ ბრანდესი ერთი უბირი, არაფრით გამორჩეული ადამიანი იყო

სულ მალე, ამ საშინელი ოცნების აღმსრულებელიც გამოჩნდა. ბერნდი ინტერნეტში ასეთ განცხადებას წააწყდა: „ვეძებ კარგი აღნაგობის ახალგაზრდა მამაკაცებს, ვისაც აქვს სურვილი, რომ შევჭამო. სასურველია სხეულის ფოტო – არმინ მ.“

არმინ მ-იც ერთი ჩვეულებრივი, შეუხედავი კაცია, იგი თავის ორ ნახევარძმასთან ერთად, ესენში იზრდებოდა. თოთხმეტი წლის იყო, როცა მისი მშობლები ერთმანეთს გაეყარნენ.

არმინმა რეალური სასწავლებელი დაამთავრა, მერე 12 წელი ბუნდესვერში, სატანკო ბატალიონში იმსახურა. ყაზარმიდან ბიჭები გოგოებს ურეკავდნენ ხოლმე, არმინი კი – დედას...

სამხედრო სამსახურის შემდეგ შინ, უკვე ქალაქ როტენბურგში დაბრუნებული, მთელ დროს დედასთან ატარებდა. ნაცნობი ბიჭები გასართობად ეპატიჟებოდნენ ხოლმე, მაგრამ არმინი მათ აბეზარი ბუზებივით თავიდან იშორებდა: დედას მარტო ვერ დავტოვებო, – ეუბნებოდა. სახლიდან იშვიათად გადიოდა. ხანდახან ბორდელშიც შეივლიდა ხოლმე, მაგრამ არა ქალთან დასაწოლად, არამედ იქვე, ბარში ერთი ჭიქა სპირტიანი სასმლის დასალევად...

სამხედრო სამსახურიდან ფელდფებელის ჩინით გამოსულმა არმინმა კომპიუტერი შეისწავლა და ბანკში, აპარატურის შემკეთებლად დაი-

წყო მუშაობა.

დედის გარდაცვალების შემდეგ, დედის სახლი და კარ-მიდამო მას მემკვიდრეობად დარჩა. კომპიუტერი ის ერთადერთი ფანჯარა აღმოჩნდა, რომლის მეშვეობითაც სამყაროსთან ჰქონდა კავშირი. სამყარო, რომელსაც იგი ყოველთვის გაურბოდა... კომპიუტერთან ბევრ დროს ატარებდა, ინტერნეტში საათობით „იქექებოდა“ და ამ ქსელში ყველანაირი საზიზღრობის გაშვება შეეძლო: იქ, უფრო მნიშვნელოვან ადამიანად გრძნობდა თავს, ვიდრე რეალურ ცხოვრებაში. „არმინი ხმას მხოლოდ მაშინ იღებდა, როცა რაიმეს შეეკითხებოდი. თავისი პოზიცია არ ჰქონდა. ის ერთ-ერთი იმ არსებათაგანი იყო, რომელთაც თითქოს გამოკვეთილი კონტურები არა აქვთ და მოუხელთებელნი არიან... — იხსენებს არმინის მეზობელი ქალი. სამსახურში კი, მას ბეჯითი, კეთილსინდისიერი და დისციპლინირებული მუშაკის სახელი ჰქონდა.

არმინ მ.-ის ცხოვრების ერთადერთი აზრი დედაზე ზრუნვა იყო

მისი ცხოვრების ერთადერთი აზრი დედაზე ზრუნვა იყო. დედის გარდაცვალების შემდეგ კი, თითქოს ნიადაგი გამოეცალა, აღარ იცოდა, რა ეკეთებინა. მერე ძველი სახლი ძირფესვიანად გადააკეთა, ქვემოთ სარდაფი და სამრეცხაო მოაწყო. „ასეთ სამრეცხაოში ღორის დაკვლაც შეიძლება“, — სიხარულით ეუბნებოდა იგი მშენებლებს და მოგვიანებით, იქ ვიდეოაპარატურა დაამონტაჟა.

2001 წლის მარტის ერთ საღამოს, არმინს ბერლინიდან ბერნდ იურგენ ბრანდესი ეწვია და მათ ზემოთ, მისაღებ ოთახში, ინტერნეტში რომ მოილაპარაკეს, იმ რიტუალის ჩატარების დეტალებზე ისაუბრეს. მერე სარდაფში ჩავიდნენ და მასპინძელმა ვიდეოკამერა აამუშავა. ამ ეპიზოდის ფირზე აღბეჭდვით ბრანდესს საკუთარი სახელის უკვდავყოფა უნდოდა. უნდოდა, ყველას ენახა მისი სიცოცხლის უკანასკნელი წუთები და ისიც, თუ როგორ განუტევებდა სულს.

...ბრანდესი იხდის. არმინი დანას იღებს, სტუმარს პენისს აჭრის და მერე ჭრილობას უხვევს... ეს ის მომენტია, რომელზეც უბირი ბერნდი თითქმის მთელი სიცოცხლე ოცნებობდა. შესაძლოა, ამის წყალობითაც გაუძლო ტკივილს ან შეიძლება, ნარკოტიკებითაც კი იყო გაბრუებული. ყოველ შემთხვევაში, იგი გონებაზე იყო, სანამ მასპინძელთან ერთად, თავისი მამაკაცური ღირსების დასტურს, შემწვარს და სანელებლებით შეზავებულს მიირთმევდა...

მერე კი, ცხვარივით დაკლეს. არმინმა ყელი გამოჰღადრა და მისი სისხლიანი სხეული ფეხებით დაკიდა, ფრთხილად, ამ საქმის მცოდნე კაცის მოხერხებულობით დაანაწევრა სხეული, ხორცის ნაჭრები ცელოფანის პარკებში ჩააწყო და მაცივარში შეინახა. ეს შემზარავი რიტუალი 6 საათი გრძელდებოდა. „ხორცს შიგადაშიგ, სიამოვნებით მივირთმევდი“, — ამბობს არმინი, რომლის დაპატიმრებისას მაცივარში 20 კგ ხორცი აღმოჩნდა.

ამ მომენტზე მარტო ბერნდი როდი ოცნებობდა — ის არმინსაც ხშირად ეზმანებოდა. კაცს სექსუალური კმაყოფილება მაშინ დაეუფლა, როცა თავი ყოვლისშემძლედ იგრძნო. სრულ

ნდობის ტელეფონი
კონსულტაცია
ინტიმი (18 წლიდან)
☎822 009 005
„ჭაგთი“, „ჯეოსელი“,
„ჭეგაკომი“ — 0,70 ლ.
თბილისი — 0,45 ლ.
რაიონები — 0,65 ლ.

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. სადაურია წარმოშობით ცნობილი ფსიქიატრის, ავლიპ ზურაბაშვილის მეუღლე ჰელენა ლუნდი?

ა) შვედი;
ბ) გერმანელი;
გ) ავსტრიელი.

2. „მარყუჟი“, „კასრი“, „ფლიგელი“, „შტოპორი“, „ვირაჟი“ — ამ ჩამონათვალში რომელი არ არის უმაღლესი პილოტაჟის ფიგურის სახელწოდება?

ა) „კასრი“;
ბ) „ფლიგელი“;
გ) „შტოპორი“.

3. რომელმა კონტინენტმა შეაგიჯა XXI საუკუნეში პირველად?

ა) ჩრდილოეთ ამერიკამ;
ბ) ევრაზიამ;
გ) ავსტრალიამ.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

„იცით, ახალგაზრდა კაცების დანახვისას კბილები მიკაწკაწებს, ისე მინდა მათი შეჭმა...“

ექსტაზს ადამიანს დაკვლის პროცესში ჩატარებული კანიბალური აქტის დროს მიაღწია. შენახული ხორცის ნაჭრები და ვიდეოფირი კი, შემდგომ, ამ ექსტაზს ახსენებდა და თავიდან განაცდევინებდა...

„მსგავსი შემთხვევა კრიმინალისტიკის ისტორიაში არ ყოფილა. ადამიანები, რომლებიც ნებაყოფლობით იკლავენ თავს, ადრეც არსებობდნენ და კვლავაც იარსებებენ. ისეთებიც, თავიანთ მოდგმას რომ ჭამენ – რამდენიც გნებავთ. მაგრამ ორივე ერთად?! არა, მსგავს შემთხვევას კრიმინალისტიკის ისტორია არ იცნობს“ – ამბობს გერმანიის სახელმწიფო პროკურორი. არმინ მ. პოლიციამ ასეთი ბრალდებით – „მკვლელობა მკვლელობის სურვილით“ – დააპატიმრა, რაც უმაღლეს სასჯელს – მუდმივ პატიმრობას ითვალისწინებს. არმინის ადვოკატი ამ ფორმულირებას აპროტესტებს. „ეს არის მკვლელობა თხოვნით, რომელიც 5 წლით პატიმრობას ითვალისწინებს“ – ამბობს იგი.

სისხლის სამართლის კოდექსში, კანიბალიზმისთვის განკუთვნილი მუხლი არ არსებობს. კაციჭამიები დღემდე, სერიული მკვლელობის მუხლით სამართლდებიან. მაგალითად, რუსმა ანდრეი ჩიკატილომ (1990 წელს დაიჭირეს) იმპოტენტმა, „როსტოველი სიკვდილის ანგელოზმა“ სკოლის ყოფილმა მასწავლებელმა, რომელიც სქელჩარჩოიანი სათვალითა და ყავისფერი საქაღალდით დადიოდა, 53 ადამიანი მოკლა: ნაცნობები, კახპები, უცნობი ახალგაზრდები. მსხვერპლს თვალებს სჩიჩქნიდა, კბილებით ენას ჭგლეჯდა, სასქესო ორგანოებს აჭრიდა და ჭამდა. 1994 წელს ჩიკატილოს, როგორც სერიულ მკვლელს, დახვრეტა მიუსაჯეს. ბავშვობაში, მას საკუთარი თვალით უნახავს, როგორ დაკლეს და შეჭამეს შიმშილობის დროს მისი პატარა ძმა...

1991 წლის 22 ივლისს დაპატიმრებული ამერიკელი ჯეფრი დეიმერიც სერიული მკვლელის მუხლით გაასამართლეს. პოლიციელებმა მის მაცივარში ზანგის მოჭრილი თავი, ცელოფანის პარკებში ჩაწყობილი ადამიანის გულები და შინაგანი ორგანოები იპოვეს. დეიმერმა ოთხი წლის განმავლობაში 15 ახალგაზრდა კაცი მოკლა.

ბრიტანელი პუბლიცისტი ბრაიან მასტერსი თავის წიგნში – „სიკვდილის კულტი ჯეფრი დეიმერის შემთხვევა“ – კანიბალიზმის შესახებ წერს: „არსებობს პირველყოფილი ლტოლვა, რომელიც ადამიანების გულებშია განაბული და არაცნობიერი ექო, მას აამოძრავებს ხოლმე... როცა მშობლები თავიანთი შვილების ირგვლივ ოთხზე ფორთხავენ, ეს პატარას არ აცინებს. როცა ბავშვს ვეუბნებით – შეგჭამ-შეგახრამუნებ, – ამით ინსტინქტურად ვამეღავნებთ იმას, რომ ჭამა და სიყვარული ჩვენთვის განუყოფელია. ეს ინფანტილური ფაზა უფრო მძაფრდება ორ სქესს შორის სასიყვარულო ურთიერთობაში: „ისე მინდიხარ, ლამის შეგჭამო“. ნორმალური სექსუალური კავშირის შემთხვევაში, მსგავსი სიტყვები მხოლოდ სიტყვებად რჩება, ხოლო გაუკუღმართებული სექსუალური ორიენტაციის, არამდგრადი ფსიქიკის ადამიანებში, მინავლებული ბავშვობის მოგონებები აღზევდება და რეალურ ქმედებაში გადადის“.

კრიმინალისტიკის ისტორიაში ყველაზე ცნობილი კანიბალი-მკვლელი ამერიკელი ედ გაინი იყო. 1957 წელს, მისი სახლის ჩხრეკისას პოლიციამ, ჭერზე თავდაყირა დაკიდებული შიშველი უთავო სხეული აღმოაჩინა. ედ გაინი ამ დროს მეზობლებთან იჯდა და ვახშამს შეექცეოდა. მის სახლში აღმოჩნდა აგრეთვე ადამიანის კანისგან გაკეთებული სამაჯურები, ჰალსტუხები და სხვა ნივთები.

ედ გაინის დედა მორწმუნე, მაგრამ ძალაუფლების მოყვარული ქალი იყო. ავგუსტა გაინი შვილს ბიბლიურ წამებულთა ცხოვრებას აცნობდა და მამის სიძულვილს უნერგავდა. უკვე ზრდასრულ ვაჟს, ქალებთან ურთიერთობას უკრძალავდა და მათ ეშმაკის მოციქულებად რაცხდა. ბავშვობაში ედიმ საკუთარი თვალით ნახა, როგორ დაკლა დედამისმა ღორი და ისიც შენიშნა, თუ როგორი ველური სიხარულით უბრწყინავდა ქალს თვალები, როცა ცხოველს მუცელზე ჭრიდა...

გაინი 1984 წელს საგიჟეთში გარდაიცვალა. მისი ცხოვრება მწერალმა რობერტ ბლოხმა თავის რომანში „ფსიქო“ აღწერა. წიგნის ეკრანიზაციის შემდეგ, ბლოხმა თქვა: „ედ გაინის მსგავსი ადამიანები მთელ მსოფლიოში არიან – უჩინარი, პატარა კაცუნები, თავიანთი უფერული ცხოვრებით, მშვიდი, მორცხვი ღიმილით და ურცხვი ოცნებებით...“ არმინ მ-ის – როტენბურგელი კაციჭამიას ურცხვი ოცნებები კი უკვე ყველასთვის ცნობილია. იგი სინდისის ქენჯნისა და სინანულის გარეშე უამბობდა გამომძიებლებს, თუ როგორ გააბრუა იურგენ ბრანდესი, მერე მოკლა, დაანაწევრა და შეჭამა. ამ შემთხვევის შემდეგ, იგი ისევ ეძებდა ახალ მსხვერპლს ინტერნეტით, თანაც – მხოლოდ 18-25 წლის ბიჭებს იწვევდა... 43 წლის ბრანდესმა, ეტყობა, თავის პარტნიორთან თავი უფრო ახალგაზრდად გაასაღა. „ეს ტყავის გაძრობის დროს შევამჩნიე, ხორცი კი ძალიან ნაზი ჰქონდა...“ – თქვა არმინ მ-იმ და საგამომძიებლო განყოფილების მოხელეები მუშტრის თვალით შეათვალიერა: „იცით, ახალგაზრდა კაცების დანახვისას კბილები მიკაწკაწებს, ისე მინდა მათი შეჭმა...“

პოლიციის ფსიქიატრის აზრით, არმინ მ ფსიქიკურად ჯანმრთელია... ■

კლუბის პრეზიდენტი ალბათ ვეღარ დაიძვრენს თავს...

„ატლეტიკოს“ პრეზიდენტს, ხესუს ხილს ფინანსური მაქინაციებისათვის სამნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. გარდა ამისა, ის ჯარიმის სახით 16 მლნ ევროს გადაიხდის და კლუბის 95%-იანი აქციების პაკეტსაც დათმობს.

ხილი გუნდის თანხების მითვისებაში ამხილეს. „ატლეტიკოს“ პრეზიდენტის გარდა, წლინახევრით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა აგრეთვე მის ვაჟიშვილს – მიხელ ანხელ ხილს, ხოლო კლუბის დირექტორი, ენრიკე სერეზო ციხეში ერთ წელიწადს დაყოფს. „ცხადია, რომ ჩემი განადგურება სურთ. ეს ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი. ჯერჯერობით, კლუბს არ ვტოვებ...“ – განაცხადა ხესუს ხილმა, რომლისთვისაც ამ სიტუაციაში მოხვედრა ახალი და უჩვეულო სულაც არ ყოფილა: იმავე ბრალდებით, მან გარკვეული ხანი შარშანაც დაყო ციხეში. შემდეგ გამოუშვეს, მაგრამ გამოძიება არ შეწყვეტილა. ამჯერად კი, ხილს თავის დაძვრენა ალბათ ძალიან გაუჭირდება. ■

ექსჰიმიციონისტი თანი დააჯარიმეს

შარშან, 17 ოქტომბერს, „კალიარისა“ და „ბოსტონის“ შეხვედრისას, ყინულზე შიშველი გულშემატკივარი გადახტა, რომელსაც ამ დღეებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე დაუშვებელი საქციელის ბრალდების შესაბამისი სასჯელი გამოუტანეს. 21 წლის ტიმ ჰარლბატი 1.650 დოლარით დაჯარიმდა (თანხა საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდება) და 35-საათიანი იძულებითი საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებაც დაეკისრა. გარდა ამისა, ექსჰიბიციონისტ გულშემატკივარს იძულებით ანტიალკოჰოლურ სამედიცინო კურსსაც ჩაუტარებენ, რადგან წესრიგის დარღვევისას ის საკმაოდ შეზარხოშებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მატჩის არბიტრმა, ჩერილ დენიელმა ჰოკეის მოედანზე გადამხტარი, მხოლოდ წითელ წინდებში „გამოწყობილი“ ჰარლბატის საქციელს „ექვსი წუთის განმავლობაში მიმდინარე, პათეტიკური სპექტაკლი“ უწოდა. თუმცა, ამ ეპიზოდმა საკმაოდ გაამხიარულა მაყურებელი, მით უმეტეს, რომ ჰარლბატს ყინულზე თავი ვერ შეუკავებია და საბოლოოდ, მოედნიდან საკაციოთაც კი გაუყვანიათ. თავდაპირველად, ექსჰიბიციონისტს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მუხლი მიუყენეს, მაგრამ შემდგომ, ლოთობის პროპაგანდაშიც დასდეს ბრალი... ■

ბერნდ შტანგე ერაყიდან გამოიქცა და თავისი შეგირდემისთვის ლოცულობს

ერაყის ეროვნული ნაკრების გერმანელმა მწვრნელმა, ბერნდ შტანგემ დატოვა ქვეყანა, რომელიც უახლოეს დღეებში, აშშ-ის დარტყმის ობიექტად შეიძლება იქცეს. შტანგე ყოფილ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ცნობილი, ფეხბურთის სპეციალისტი იყო, 1990 წლის დასაწყისში, უკრაინაში, კერძოდ – დნეპროპეტროვსკის „დნეპრში“ მუშაობდა, გასული წლის მიწურულს კი, ერაყის ფეხბურთის ფედერაციასთან გააფორმა კონტრაქტი, რომლის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, ომის შემთხვევაში, ამ კონტრაქტის გაწყვეტის უფლება ჰქონდა. „იქ, სადაც ომი მძვინვარებს, ფეხბურთის ადგილი არ არის“, – განაცხადა ბერლინური გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში შტანგემ, რომელსაც წასვლამდე, ერაყის ნაკრების თითოეული მოთამაშისათვის წერილობითაც მიუმართავს. „ღმერთს შევთხოვ, რომ თქვენც და თქვენს ოჯახებსაც შეეწიოს“, – ნათქვამია ფეხბურთელებისადმი გაგზავნილ მიმართვაში. აქვე იმასაც დავძენთ, რომ თავის დროზე, ერაყის ნაკრებში მუშაობის დაწყების გამო, შტანგე გერმანიაში უმალვე კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა და მას გაკილვით, „სადამის მწვრთნელსაც“ კი უწოდებდნენ.

■

მწვრთნელმა მოქჰემს მუცი ესროლა

„მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „არსენალს“ შორის სათასო მატჩის შემდეგ, რომელიც „არსენალის“ გამარჯვებით – 2:0 დამთავრდა, მანჩესტერელთა გასახდელში სერიოზული შეხლა-შემოხლა მომხდარა. გაცხარებულმა მწვრთნელმა, სერ ალექს ფერგიუსონმა ფეხი დაარტყა იატაკზე დაგდებულ ბუცს, რომელიც შემთხვევით დევიდს თავში მოხვდა. ჭრილობა იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ ექიმებს ბექჰემისთვის რამდენიმე ნაკერის დადებაც კი დასჭირდათ. ■



ორი წლის შემდეგ მადონას სკანდალური წიგნი გამოვა

თანამედროვეობის უდიდესი პოპ-ვარსკვლავი სულ მალე ალაპარაკდება: 2004 წლისათვის დაგეგმილია მადონას სკანდალური ბიოგრაფიული წიგნის გამოსვლა, რომლის სათაურიც იქნება „მადონა ლაპარაკობს“. „ჯერჯერობით არავინ იცის, რა იქნება ამ წიგნში, – ამბობს Secber and Warburg-ის გამომცემლობის აგენტი, რომელიც მომღერლის ბიოგრაფიის დასტამბვას აპირებს, – ცნობილია მხოლოდ გამოსვლის თარიღი და ის, რომ წიგნი ბიოგრაფიული ხასიათის იქნება“. ამ მწირი მონაცემების უკან, შესაძლოა, მკითხველი მსოფლიო მასშტაბის სკანდალსაც ელოდოს, რომელიც აგრერიგად იტაცებდა მადონას ახალგაზრდობის წლებში.

შეგახსენებთ, რომ წარსულში „მატერიალურმა გოგონამ“, ამჟამად კი ოჯახის ღირსეულმა დედამ, 90-იანი წლების დასაწყისში გამომცემლობასთან ხელი მოაწერა კონტრაქტს ორი წიგნის გამოშვების თაობაზე. პირველი წიგნი – ჭეშმარიტად სკანდალური თხზულება, მომღერალმა უკვე გამოუშვა, რომლის სათაურია – „სექსი“. საზოგადოება მოუთმენლად ელის XX საუკუნის ლეგენდად ქცეული პოპ-ვარსკვლავის ავტობიოგრაფიული ხასიათის მეორე წიგნს. ■

ენტონი ჰოპკინსი დაქორწინებას კვლავ აპირებს



ერთი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც სერ ენტონი ჰოპკინსი მეორე ცოლს ოფიციალურად გაეყარა და 65 წლის მსახიობი უკვე დაქორწინებას აპირებს. მისი ამჟამინდელი რჩეული, წარსულში ანტიკვარიატით მოვაჭრე, 46 წლის ლათინურამერიკელი სტელა არაიავეა. ვიდრე ჰოპკინსი სტელას ცოლად თხოვას გადაწყვეტდა, იგი წელიწადნახევრის განმავლობაში ხვდებოდა მას. ამ ხნის მანძილზე ენტონი დარწმუნდა, რომ არაიავეას მხოლოდ მისი პიროვნება ხიბლავდა და არა მსახიობის ურიცხვი სიმდიდრე. როგორც ამბობენ, წინა ორი ქორწინების გამოცდილებიდან გამომდინარე, ენტონი ირგვლივ მყოფ ქალბატონებს ნდობით არ უცქერს, რადგან მათ ანგარებიან დამოკიდებულებაში ეპარება ეჭვი. მაგალითად, მეორე ცოლთან 29-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ გაყრა, ჰოპკინსს 11 მლნ დაუჯდა. მეგობრები აღნიშნავენ, რომ ენტონი ასეთი ბედნიერი არასოდეს უნახავთ. სტელა უგონოდაა მსახიობზე შეყვარებული და ნებისმიერ მის კაპრიზს უსიტყვოდ ასრულებს. ქორწილი კალიფორნიაში პირველი მარტისთვისაა დანიშნული. ■

მსოფლიოს ყველაზე რომანტიკული წყვილები

ბრიტანეთში, შეყვარებულების დღესთან დაკავშირებულმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ მსოფლიოს ყველაზე რომანტიკული წყვილი ოზი და შარონ ოსბორნების წყვილი ყოფილა. მეორე ადგილი ბექჰემების წყვილმა დაიკავა, მესამეზე კი, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, უფლისწული ჩარლზი და მისი მეგობარი – კამილა პარკერ ბოულზი გავიდნენ. რომანტიკული წყვილების ჰიტ-აღლუმის მეოთხე ადგილზე მაიკლ დუგლასი და კეტრინ ზეტა-ჯონსი აღმოჩნდნენ, მეხუთეზე კი – მადონა და გაი რიჩი.

ოსბორნების ოჯახს გამოკითხულთა 57%-მა დაუჭირა მხარი. ზემოთ დასახელებულთა გარდა, ყველაზე რომანტიკულ წყვილთა ათეულში შევიდნენ: ანდრე აგასი და შტეფი გრაფი, მსახიობი უილ სმიტი და მისი ცოლი ჯონანა პინკეტ-სმიტი, უმა თურმანი და იტან ჰოუკი, პირს ბროსნანი და კილი შაია სმიტი. ათეულის უკანასკნელი ადგილი კი, ჰომერ და მეჯ სიმფსონების მულტიპლიკაციურმა წყვილმა დაიკავა, რომლებიც იმით არიან განთქმულნი, რომ ოჯახურ პრობლემებს არ უშინდებიან და ყველა სიძნელეს ერთად უმკლავდებიან. ■

ჯეი ლოს კვლავ მარტოხელა დედის როლი ელის

რეჟისორმა ლას ხალსტრომმა თავის ახალ ფილმში (An Unfished Life) სათამაშოდ ჯენიფერ ლოპესი მიიწვია. როგორც ჩანს, მარტოხელა დედის ამპლუას მსახიობი საკმაოდ კარგად მოერგო, რადგან სწორედ ასეთი როლი შესთავაზეს მას ამ პროექტშიც. ფილმში ლოპესს პარტნიორობას გაუწევს სახელგანთქმული რობერტ რედფორდი, რომელიც ჯეი ლოს მამამთილის როლს შეასრულებს. სტუდია Miramax-ის ამ მცირებიუჯეტიან პროექტში მონაწილეობაზე, ვარსკვლავები საკმაოდ მცირე ჰონორარის საფასურად დათანხმდნენ. ■

მერილ სტრიპი და ჯეკ ნიკოლსონი „ოსკარისანი“ რეკორდსმენები

ამ დღეებში მერილ სტრიპმა „ოსკარით“ დაჯილდოების ცერემონია, პოლიტიკური არჩევნების წინ ატეხილ აჟიოტაჟს შეადარა, მიუხედავად ამისა, მსახიობი კინოაკადემიამ მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისთვის ფილმში – „ადაპტაცია“ – ნომინაციაზე წარადგინა. ამ წარდგინების მეშვეობით, მერილ სტრიპმა მოხსნა რეკორდი, რომელიც კარგა ხნის მანძილზე კეტრინ ჰეპბერნს ეკუთვნოდა. ის თორმეტგზის გახლდათ „ოსკარზე“ ნომინირებული. სტრიპი ამ საპატიო ჯილდოზე უკვე მეცამეტედ წარადგინეს, მისი მფლობელი კი ორჯერ გახლდათ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჰეპბერნი „ოსკარს“ ოთხგზის ფლობდა. სამაგიეროდ, ჯეკ ნიკოლსონმა საკუთარი რეკორდი მოხსნა. მამაკაც მსახიობებს შორის იგი 11 ნომინაციით ისედაც ლიდერობდა. ამჟამად ფილმში „შმიდტზე“ ნათამაშები როლისთვის მან მე-12 ნომინაცია მიიღო და დიდი შანსიც აქვს, რომ მეოთხედ გახდეს კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოს მფლობელი. ■

მუშის წინააღმდეგ მადონამაც გაილაშქრა

ამჟამად მადონას იღებენ ვიდეოკლიპში, სადაც მომღერალი ამერიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ სრულიად შოკის მომგვრელი ანტისაომარი ლოზუნგებით გამოდის. თვითმხილველების თქმით, მადონას ახალი ალბომი „ამერიკული ცხოვრება“, ამერიკული ოცნების მკვეთრ კრიტიკას წარმოადგენს, რომელიც საბოლოო ჯამში უკვალოდ გაქრა. მომღერალი სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ასრულებს სიმღერას, ელექტრონული მუსიკის გამოყენებით კი, ისეთ ეფექტს აღწევს, თითქოს ყუმბარები ფეთქდებაო. როგორც ამბობენ, „ამერიკული ცხოვრება“ სიტყვის თავისუფლებასაც ეხება. მასში ლაპარაკია არა მარტო ომზე, სიხარბესა და ეგოიზმზე, არამედ თვითშემეცნებაზეც. ასე რომ, მადონამ „მატერიალური გოგონას“ ხატება უარყო და თავის ძველ ცხოვრებას სამუდამოდ გაემიჯნა. ■

ჰუსეინის გადამკიდე შონ პენმა როლი დაკარგა

შონ პენმა განაცხადა, რომ ანტისაომარი განწყობის გამო, მან ახალ ფილმში – „რატომ არ უნდა იქორწინონ მამაკაცებმა“, ხელსაყრელი როლი დაკარგა. დეკემბერში მსახიობმა ბაღდადი მოინახულა, სადაც ამერიკის პრეზიდენტის კურსი მძაფრად გააკრიტიკა.

ახალი სურათის პროდიუსერი სტივ ბინგი კი თავის მხრივ აცხადებს, რომ შონ პენი სულ ტყუილად სთხოვს მას 10 მლნ დოლარის გადახდას, რადგან მას კონტრაქტი არ დაურღვევია: პროდიუსერს მსახიობთან მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება ჰქონდა.

მას შემდეგ, რაც შონ პენს დანაპირებ როლზე უარი უთხრეს, მან პროდიუსერი ჰოლივუდის შავი სიების ეპოქის აღორძინებაში დაადანაშაულა. მაგრამ ბინგმა, რომელიც ფილმის რეჟისორობასაც აპირებს, პენის განცხადებას „მსახიობის მხრიდან გამოძალვის მცდელობა უწოდა“. შესაძლოა, ვუდი ალენმა უკვე ყბადაღებული ფილმისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაამძაფროს. თუმცა, შონ პენისგან განსხვავებით, მას დაპირებულ როლს არავინ ართმევს. ■

ელვის პრესლის ქალიშვილი სადემიუტო დისკს უშვებს

როკ-ენ-როლის მეფის, ელვის პრესლის ქალიშვილმა – ლიზა მარია პრესლიმ გამბედაობა მოიკრიბა და მამის კვალზე შედგა. იგი თავისი პირველი დისკის გამოშვებას აპირებს. ალბომის სათაურია – „მათთვის, ვისაც ეს ეხება“ და იგი 8 აპრილიდან გაიყიდება. 34 წლის ლიზა მარიას საკმაოდ ხანგრძლივი დრო დასჭირდა ამ გადაწყვეტილების მისაღებად. დისკის გამოშვების ხელშეკრულებას ხმის ჩამწერ სტუდიასთან, მან ჯერ კიდევ 1998 წელს მოაწერა ხელი. ლიზა მარია ირწმუნება, რომ ეს ალბომი მისი პირშოა. „ეს მე ვარ. მთელი ეს სიმღერები – მე ვარ. თქვენ მე დამინახავთ ისეთს, როგორიც სინამდვილეში ვარ და არა ისეთს, როგორადაც ტაბლოიდები ან ჩემი მოშურნენი წარმომაჩენენ“, – ამბობს მომღერალი.

ლიზა მარია პრესლის ორი შვილი ჰყავს: 13 წლის დანიელი და 9 წლის ბენჟამინი. ორივე მათგანი მომღერალს პირველი ქმრისგან – კიუსგან ჰყავს. ისინი ექვსწლიანი თანაცხოვრების შემდეგ, 1994 წელს გაიყარნენ. 1994-96 წლებში პრესლი მაიკლ ჯექსონის ცოლი გახლდათ, გასულ წელს კი, ლიზა მარია ნიკოლას კეიჯს გაჰყვა ცოლად. ■

რუბრიკა მოამზადა ნანა ცომაიამ

ნუ ეხუმრებით გრიპს

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ჩვენი მოსახლეობის გაცხოველებული ინტერესი დაავადებებისადმი და მათი მკურნალობისადმი, სამწუხაროდ, მხოლოდ თეორიულ ხასიათს ატარებს. პრაქტიკულად კი, ჩვენ ზედმეტად არასერიოზულად ვეკიდებით ხოლმე საკუთარ ჯანმრთელობას, როცა გრიპს „უბრალო გაცივებად" მივიჩნევთ, რომელსაც ზამთარში გვერდს ვერ ავუვლით. სხვათა შორის, ეს „უბრალო გაცივება" ყოველწლიურად, ასეულობით და ზოგჯერ ათასობით ადამიანის სიკვდილის მიზეზი ხდება მსოფლიოში. მათ რიცხვში არ ხვდებიან ვაქცინირებულები, მაგრამ განა ბევრმა გათვალისწინა ორიოდე თვის წინ ჩვენს რუბრიკაში მოცემული რჩევები და ბევრმა გაიკეთა აცრა გრიპის საწინააღმდეგოდ?

გრიპის ეპიდემიის დროს, დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარსფეროზე 100 მლნ-მდე ადამიანი ხდება ხოლმე ავად. სინამდვილეში ეს ციფრი გაცილებით დიდია, რადგან ყველა არ მიმართავს ექიმს და სტატისტიკურ ანგარიშებში არ ხვდება.

შემაშფოთებელია მონაცემები გრიპის გავრცელების შესახებ ჩვენს ქვეყანაშიც. ჯანდაცვის სფეროს მესვეურთა აზრით, ოფიციალური ციფრები განგაშის საფუძველს არ იძლევა, მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სამედიცინო დაწესებულებებს ფაქტობრივად, მხოლოდ გართულებული ინფექციის შემთხვევაში მიმართავენ სოციალურად დაუძლურებული მოსახლეობის წარმომადგენლები (ხშირად კი, არც ამ შემთხვევაში მიმართავენ), მაშინ აღმოვაჩენთ, რომ რეალობა გაცილებით სერიოზულია.

როგორ დავიცვათ თავი

გრიპის თავიდან აცილების შანსი ყველა ადამიანს აქვს. ეპიდემიის დროს, დაჯექით სახლში. თუ გარეთ გასვლა გიწევთ, ცხვირში გამოისვით ოქსოლინის მალამო.

უფრო საიმედო თავდაცვისთვის უნდა მიიღოთ პროფილაქტიკური წამლები – ე.წ. მეორე რიგის პროფილაქტიკა (პირველი რიგი აცრაა). ასეთი პროფილაქტიკა ესაჭიროება მათ, ვინც აცრა არ გაიკეთა და მათაც, ვინც აცრა გაიკეთა, მაგრამ ჯერ არ გასულა ორი-სამი კვირა, ანუ სისხლში ჯერ კიდევ არ გამომუშავებულა გრიპის ვირუსის ანტისხეულები.

გრიპის პროფილაქტიკისთვის ჩვენს განკარგულებაშია შემდეგი პრეპარატები: რემანტადინი, არბიდოლი, ამიქსინი, იმუნალი, ანტიგრიპინი, ვირატონი. თუ შინ არც ერთი მათგანი არ გაქვთ, გირჩევთ შეიძინოთ რემანტადინი ან არბიდოლი, რადგან ისინი გამოგადგებათ არა მხოლოდ პროფილაქტიკისთვის, არამედ გრიპის სამკურნალოდაც. დანარჩენი პრეპარატები ზემოქმედებს არა უშუალოდ ვირუსზე, არამედ იმუნიტეტზე ახდენს – ზრდის ორგანიზმის მდგრადობას და ინფექციებისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარს. ამიტომ მათი მიღების შემდეგ, ყალიბდება ე.წ. არასპეციფიკური იმუნიტეტი.

პროფილაქტიკური პრეპარატები

არბიდოლი – თუ ავადმყოფთან კონტაქტი გქონდათ, მიიღეთ თითო აბი სამჯერ დღეში, 10 დღის განმავლობაში. ეპიდემიის დროს, პროფილაქტიკის მიზნით უნდა მიიღოთ თითო აბი სამ დღეში ერთხელ, სამი კვირის განმავლობაში. წამლის მიღება საჭიროა ჭამამდე.

ამიქსინი – თითო აბი კვირაში ერთხელ, 6 კვირის განმავლობაში, ჭამის შემდეგ.

რემანტადინი – თითო აბი (50 მგ-იანი) დღეში ერთხელ, 10-15 დღის განმავლობაში, ჭამის შემდეგ. მისი მიღება არ შეიძლება ორსულებისათვის, 7 წლამდე ბავშვებისთვის, ღვიძლისა და თირკმლების ქრონიკული დაავადების მქონე ადამიანებისთვის. ასე რომ, ამ პრეპარატს სიფრთხილით მოეკიდეთ.

ალგირემი – სპეციალური, პოლიმერული რემანტადინი ბავშვებისთვის 1 წლის ასაკიდან. თითო ჩაის კოვზი დღეში ერთხელ (გამოდის ვაჟინის სახით).

იმუნალი – 20 წვეთი მცირე რაოდენობის წყალთან ერთად, სამჯერ დღეში. მკურნალობის მაქსიმალური კურსი 8 კვირაა. არ არის რეკომენდებული მათთვის, ვისაც პოლინოზი (ალერგია მცენარეებისადმი) აწუხებს, რადგან მის შემადგენლობაში შედის ექინაცეა.

ვირატონი – ასევე მცენარეული პრეპარატია, შეიცავს ნივრის ექსტრაქტს. პროფილაქტიკის მიზნით მიიღეთ თითო აბი სამჯერ დღეში, ხოლო ინფექციის პირველი ნიშნებისთანავე – 2-2 აბი 3-ჯერ დღეში.

თუ გრიპი უკვე გაქვთ

თუმცა გრიპი ვირუსული დაავადებაა, მისი განვითარება პირდაპირ კავშირშია ორგანიზმის გადაცივებასთან, რადგან გაყინულ ორგანიზმში მცირდება ვირუსის საწინააღმდეგო ბუნებრივი წამლის – ინტერფერონის გამომუშავება.

ინტერფერონის დონის ზრდას ხელს უწყობს არბიდოლი. რემანტადინი და ალგირემი სხვაგვარად მოქმედებს – ეს წამლები უშუალოდ ვირუსის ცილაზე ზემოქმედებს და არ აძლევს მას გამრავლების საშუალებას. ამ პრეპარატების მიღება დაავადების პირველივე საათებიდანაა რეკომენდებული. არბიდოლი – ორი აბი ოთხჯერ დღეში, 3 დღის განმავლობაში. რემანტადინი – პირველ დღეს 2 აბი სამჯერ დღეში, მეორე და მესამე დღეს – 2 აბი 2-ჯერ დღეში. მეოთხე-მეხუთე დღეს 2 აბი, ერთხელ დღეში. ალგირემის დოზირება ბავშვების ასაკის მიხედვით სხვადასხვაა. იგი მითითებულია ანოტაციაში.

რატომ რთულდება გრიპი

გართულებათა უმრავლესობის მიზეზი, არასწორი პრეპარატებით მკურნალობაა. ჩვენში ფართოდაა გავრცელებული სიცხის დამწევი და ტკივილგამაყუჩებელი წამლების ბოროტად გამოყენება. რეკლამებში მათ ხშირად, გრიპის საწინააღმდეგო საშუალებად გვაცნობენ ხოლმე. სინამდვილეში ეს პრეპარატები „სამკურნალო კოსმეტიკას" უფრო წარმოადგენს: მათი მიღების შემდეგ გვეჩვენება, რომ ყველაფერი კარგადაა, სინამდვილეში კი, ინფექციური პროცესი ვითარდება. განსაკუთრებით საშიშია მსგავსი პრეპარატების იმედად ბავშვების დატოვება, რადგან მათი ორგანიზმი მაღალი რეაქტიულობით გამოირჩევა და მეტად მნიშვნელოვანია ვირუსის დროულად დათრგუნვა, ვიდრე იგი ზედა სასუნთქ გზებში მრავლდება და ჯერ არ მოუცავს მთელი ორგანიზმი.

თუ მხოლოდ სიმპტომური მკურნალო-

ბით შემოვიფარგლებით (ასპირინი, ანალგინი, პარაცეტამოლი და ა.შ.) და თავს როგორღაც უკეთ ვიგრძნობთ, შესაძლოა, წინ დაავადების მეორე სერია გვედოს, რომელიც მეტ უსიამოვნებას მოგვიტანს. ორგანიზმში არის განსაკუთრებული უჯრედები – მაკროფაგები. ჯანმრთელობისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ისინი ფუნქციურად აქტიური იყოს, რადგან ეს უჯრედები იმუნიტეტის ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენს; მათ ორგანიზმის სანიტრებსაც კი უწოდებენ. მაკროფაგები გამუდმებით ეძებენ და ანადგურებენ ორგანიზმში ბაქტერიებს, ტოქსიკურ ნაწილაკებს და უცხო უჯრედების ნარჩენებს, შთანთქავენ მათ და ამგვარად გვიცავენ ბაქტერიული ინფექციებისგან. თუ გრიპი ცხვირ-ხახიდან სისხლში გადადის, მაკროფაგები ვირუსებით ივსება (როგორც მტვრით) და ბაქტერიები უყურადღებოდ რჩება. ამიტომაა, რომ ზოგჯერ ვითარდება ფილტვების ანთება, მენინგეალური ან სხვა სახის გართულებები.

ანტიბიოტიკებით ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგაც კი, ვირუსებით „დაკავებული“ მაკროფაგები დიდხანს ცირკულირებენ ორგანიზმში და ხანგრძლივ იმუნურ უკმარისობას იწვევენ. ადამიანი მოდუნებული ხდება. ასთენიური სინდრომი თვეების განმავლობაში გრძელდება. ეს ახალგაზრდებშიც კი იჩენს ხოლმე თავს.

როცა ანტიბიოტიკები მიზანს სცდება

გრიპი რომ არ გართულდეს, თავიდანვე უნდა მიიღოთ ეტიოტროპული (ვირუსების დამხოცავი) პრეპარატები. თუ დრო დაკარგეთ და გართულებები დაიწყო, საქმეში ანტიბიოტიკი უნდა ჩაერთოს.

მაგრამ პირველ დღეებში მათი გამოყენება ნაადრევია. ანტიბაქტერიული პრეპარატები ვირუსებზე არ მოქმედებს. მათი სამიზნე, მიკრობები და ბაქტერიებია: სტაფილოკოკები, სტრეპტოკოკები და ა.შ. ყოველი მიკრობის სამკურნალოდ, შესაბამის ანტიბიოტიკს არჩევენ.

ბაქტერიისაგან განსხვავებით, გამრავლებისთვის ვირუსს ცოცხალი ორგანიზმი ესაჭიროება. ცოცხალი უჯრედის გარეშე ვირუსი იღუპება. ბაქტერიებს „ცოცხალი სხეული“ არ სჭირდება. ისინი ყველგან მრავლდება: მაგიდაზე, სახელურზე, ფანჯრის რაფებზე. ზოგიერთი მათგანი წლობით შეიძლება ინახებოდეს ადამიანის ორგანიზმის გარეშე. როცა ქუჩიდან შემოსვლისას, ხელებს ვიბანთ, თავს ბაქტერიებისგან ვიცავთ, ხოლო როცა გარეთ არ გავდივართ – მაშინ თავს ვიცავთ ვირუსებისგან. თუ ყველა შინ დარჩება სამი კვირის განმავლობაში და სათანადო პროფილაქტიკურ მკურნალობასაც ჩაიტარებს, მაშინ გრიპის ეპიდემია დამთავრდება ისე, რომ განვითარებას ვერც მოასწრებს.

მასმედიით გავრცელებული ინფორმაციით, ევროპასა და ამერიკაში მიმდინარე გრიპის ეპიდემიამ დიდი მსხვერპლი გამოიწვია. მაგრამ ეს არ უნდა გახდეს პანიკის საფუძველი. უმჯობესია, გონივრულად შევხედოთ რეალურ სიტუაციას, გავითვალისწინოთ ყველა, ზემოთ მოყვანილი კომპეტენტური რჩევა-დარიგება და ყოველგვარი მოსალოდნელი მძიმე შედეგი თავიდან იქნება აცილებული. ■

უძილობა

უძილობა საფრთხეს უქმნის თქვენს ჯანმრთელობას

ადამიანი სიცოცხლის ერთ მესამედს ძილში ატარებს. კვლევის შედეგად მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ძილის ბუნებრივი დღეღამური მოთხოვნილება 10 საათია. სხვათა შორის, ადამიანის მსგავს მაიმუნსაც 10 საათი სძინავს. თანამედროვე ადამიანს კი, რომელსაც 7-7,5 საათი სძინავს, ყოველდღიურად 2,5-3 საათი ძილი აკლდება. ამის მიზეზი, დღევანდელი ცხოვრების აქტიური ტემპი და „ყველაფრის მოსწრების“ დაუოკებელი სურვილია.

ახლა კი იმის შესახებ, თუ რა მოსდევს ბუნების წინააღმდეგ ჩვენს შეუპოვარ ბრძოლას.

დეპრესია

კვირაში სულ მცირე 7-8-საათიან ძილის უკმარისობას შეუძლია გამოიწვიოს: შიშის გრძნობა, დეპრესია, თვალების ქავილი და წვა, მხედველობის დაბინდვა, ციებ-ცხელების მსგავსი ჟრჟოლა, მადის გაძლიერება, გადაღლილობა, იუმორის გრძნობის დაკარგვა, მარტოობის სურვილი, გაღიზიანებულობა.

დაავადებები

ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტებით დადგინდა, რომ თუ გამოუძინებელ ორგანიზმში შევიყვანთ ინფექციის სულ მცირე დოზას, მას იმდენად აქვს დაქვეითებული თავდაცვის უნარი, რომ გადარჩენა მხოლოდ სასწრაფო ღონისძიებებს შეუძლია. ანალოგიურად მოქმედებს ქრონიკური უძილობა ადამიანზე და ბევრი დაავადების მიზეზიც ხდება.

ბიოლოგიური საათების მსხვრევა

კვირის განმავლობაში გამოუძინებელი ადამიანი შეიძლება დილით თავს კარგად გრძნობდეს, მაგრამ დღის 2 საათისთვის გრძნობს სისუსტეს, ეცვლება გუნება-განწყობილება, 4 საათისთვის კი რული ერევა. ეს იმიტომ ხდება, რომ ყველა ადამიანს ძილისა და ღვიძილის თავისი ბიოლოგიური საათები აქვს და ორგანიზმი ითხოვს ამ საათების დაცვას.

ორგანიზმის დაღუპვა

ჩიკაგოს უნივერსიტეტის ძილის ლაბორატორიაში სამი კვირის მანძილზე არ აძინებდნენ თაგვებს. ექსპერიმენტის ბოლოს, უძილობისგან გადაღლილი თაგვების ბეწვმა მოყვითალო ფერი მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ მღრღნელებმა 2,5-ჯერ მოუმატეს ჭამას, 20 პროცენტით დაიკლეს წონაში, 21 დღის შემდეგ კი დაიღუპნენ. აღმოჩნდა, რომ უძილობის პერიოდში, თაგვების სხეულის ტემპერატურა დაეცა და იმისათვის, რომ სითბო აღედგინათ, მოუმატეს ჭამას, რაც დროებით დაეხმარათ, თუმცა ორგანიზმში მაინც სწრაფად მიმდინარეობდა ნივთიერებათა ცვლა და როცა მათ დაკარგეს სითბოს გამომუშავების უნარი, დაიღუპნენ. მსგავსი სიმპტომები აღენიშნებოდათ ადამიანებს, რომელთაც არ ეძინათ. ისინიც ჩვეულებრივზე ბევრს ჭამდნენ, თავდაპირველად წონაშიც მოიმატეს, შემდეგ კი დაიკლეს და უძილობიდან 2-3 დღის შემდეგ დაეწყოთ სხეულის ტემპერატურის დაწევა, დღე-ღამეში დაახლოებით 0,5 პროცენტით.

ასე რომ, უძილობამ შესაძლოა, ბევრი უსიამოვნება მოგვაყენოს, რაც მთავარია – გვიმოკლებს სიცოცხლის ხანგრძლივობას, ამიტომ საჭიროა, დავიცვათ დღის რეჟიმი და ვეცადოთ, კარგად გამოვიძინოთ. ■

წნევიანზე ნუ დაქორწინდებით!

კარდიოლოგები თანამედროვეობის ყველაზე დიდ მტრად არტერიულ ჰიპერტონიას მიიჩნევენ, ხოლო აშშ-ის სადაზღვევო კომპანიები სამედიცინო დაზღვევისას ჰიპერტონიით დაავადებულს რამდენიმეჯერ მეტს ახდევინებენ, ვიდრე, მაგალითად, ოსტეოქონდროზით დაავადებულს. როგორ დავამარცხოთ უხილავი მტერი?

რეგულარულად იზომეთ წნევა

სხვადასხვა მონაცემით, 30-დან 45 წლამდე ასაკის ადამიანთა 10-25 პროცენტს აქვს მომატებული წნევა. მრავალი მათგანი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ გრძნობს წნევას და არაფერი იცის მოსალოდნელი საშიშროების შესახებ: მათ ემუქრება სისხლძარღვის გახეთქვა და სისხლჩაქცევის განვითარება ტვინში ან გულის კუნთში. კატასტროფის თავიდან აცილება შესაძლებელია, თუ წნევას ნორმის ფარგლებში შევინარჩუნებთ და არ მივცემთ მომატების საშუალებას 140/90 მმ ვწყ. სვ-ზე მეტად. მათ, ვისაც 5 წლის განმავლობაში სისტოლური (ზედა) წნევის მაჩვენებელი 180 მმ. ვწყ. სვ-ზე აქვთ, 3,5-ჯერ უფრო ხშირად ემართებათ ინფარქტი, ვიდრე მათ, ვისაც ნორმალური წნევა აქვთ.

წნევის დამწევი პრეპარატები ეფექტური უნდა იყოს

ფრანგმა ექიმებმა გამოაქვეყნეს 16-წლიანი დაკვირვების შედეგები იმ 5 ათას პაციენტზე, რომელიც ყოველდღიურად იღებდა ჰიპოტენზიურ (წნევის დამწევ) პრეპარატებს. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ექსპერიმენტში მონაწილეთა მხოლოდ 14,5 პროცენტს უწესრიგდებოდა არტერიული წნევა. დანარჩენებში კი მკურნალობა პრაქტიკულად შედეგს არ იძლეოდა. ამასთან, ამ პაციენტებში, რომელთა სისტოლური წნევა თუნდაც ხანდახან მატულობდა 160 მმ. ვწყ. სვ-ზე მაღლა, ინფარქტისა და ინსულტისგან უეცარი სიკვდილის რისკი 2,2-ჯერ მეტი იყო, ვიდრე წნევის სტაბილური მაჩვენებლის (140 მმ. ვწყ. სვ-ზე ნაკლები) მქონე ავადმყოფთა საკონტროლო ჯგუფში. ამ მონაცემთა კომენტირებისას ექსპერტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ჰიპერტონიის ეფექტური კონტროლისთვის საჭიროა დაინიშნოს არა ერთი, არამედ 2-3 ჰიპოტენზიური პრეპარატი ან მედიკამენტური მკურნალობა ფიტოთერაპიასთან ერთად ჩატარდეს.

აკონტროლეთ წონა და შაქრის დონე სისხლში

აშშ-ის სტენფორდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ არსებობს გარკვეული კავშირი შაქრიანი დიაბეტისა და ჰიპერტონიის განვითარების მექანიზმებს შორის. ამ დაავადებების დროს სისხლში მატულობს განსაკუთრებული ცილოვანი ნივთიერების – ასიმეტრიული დიმეთილარგინინის შემცველობა. ეს ნაერთი ბოლო დროს მეცნიერთა ყურადღებას იპყრობს. სწორედ მას მიაწერენ ე.წ. მეტაბოლური სინდრომის განვითარებას, რომელიც ვლინდება ჰიპერტონიით, ნახშირწყლოვანი ცვლის დარღვევით, სიმსუქნით და ათეროსკლეროზით. ამერიკაში აღნიშნული სინდრომი №1 მტრადაა აღიარებული და მასთან საბრძოლველად შემუშავებულია ქოლესტერინისა და წნევის კონტროლირების ეროვნული პროგრამა.

ფიზიკურ ვარჯიშებს კვირაში 3 საათი მაინც დაუთმეთ

ჰელსინკის უნივერსიტეტის მეცნიერები 4 წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ 42-60 წლის ასაკის 612 ჯანმრთელ მამაკაცს. ამ პერიოდის ბოლოს, 107 მათგანს მოემატა წნევა. მათ შორის, ვინც კვირაში 3 საათზე მეტს ატარებდა სატრენაჟორო დარბაზში, წნევიანები 2-ჯერ უფრო ნაკლები იყო და წნევის მატების შემთხვევაშიც, მკურნალობის ფონზე იგი ადვილად ნორმალიზდებოდა.

მეუღლეებმა წნევას ერთად უნდა უმკურნალონ

ნოტინგემის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯულია ჰიპსლი-კოქსმა პოლიკლინიკების ანგარიშების დათავლიერებისას აღმოაჩინა, რომ მეუღლეებს ხშირად აღენიშნებათ ერთნაირი დაავადებები, მათ შორის ჰიპერტონიაც. არტერიული ჰიპერტონიისა და ქოლესტერინის დონის დინამიკას იგი 30-დან 47 წლამდე 8 ათას ოჯახურ წყვილში აკვირდებოდა. აღმოჩნდა, რომ თუ ერთ-ერთ მეუღლეს აქვს ჰიპერტონია ან არამემკვიდრული ჰიპერქოლესტერინემია (ქოლესტერინის მატება სისხლში), მაშინ გარკვეული დროის შემდეგ, მას მეუღლეც „შეუერთდება“. ამის მთავარი მიზეზი ცხოვრების ერთნაირი პირობებია, რომელშიც ცოლი და ქმარი იმყოფებიან. მაგალითად, ხშირი სტრესები წნევას მაღლა სწევს, ხოლო არასწორი კვება – ზრდის ქოლესტერინის შემცველობას სისხლში, რადგანაც ეს ფაქტორები ოჯახში ცოლ-ქმარზე ერთნაირად ზემოქმედებს. მათ ერთი და იგივე დაავადება უვითარდებათ. ამიტომ ამერიკელი მეცნიერი გირჩევთ: „თუ გაქვთ მიდრეკილება არტერიული წნევის მატებისკენ, ნუ დაუკავშირებთ თქვენს ბედს ჰიპერტონიით დაავადებულს. ეცადეთ, დაბალწნევიანთან ერთად შექმნათ ოჯახი. გამორიცხული არ არის, რომ ასეთ შემთხვევაში, ორივე გამოჯანმრთელდეთ“.

■

კითხვა + პასუხი

კითხვა: დედაჩემს აქვს შაქრიანი დიაბეტი. იკეთებს ინსულინს. ექიმმა მას აუხსნა, რომ დროთა განმავლობაში დიაბეტიანებს მხედველობა უქვეითდებათ და ეს პროცესი გარდაუვალია. ნუთუ, მართლაც არ არსებობს ამ პროცესის შეჩერების გზები?

პასუხი: შაქრიანი დიაბეტის დროს, დაავადების ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს მართლაც წარმოადგენს მხედველობის ორგანო, უფრო სწორად – მისი სისხლძარღვები. არაკომპენსირებული შაქრიანი დიაბეტის დროს, ადგილი აქვს თვალის ბადურის სისხლძარღვთა დაზიანებას სისხლში შაქრის მომატებული რაოდენობის გამო. დაზიანებული სისხლძარღვები დატვირთვას ვეღარ უძლებს. ორგანიზმი ებრძვის ჟანგბადის უკმარისობას ქსოვილებში და წარმოქმნას იწყებს ახალი სისხლძარღვები, მაგრამ ისინი ძალიან ნაზი და წვრილია. ასეთი სისხლძარღვები ხშირად სკდება და ვითარდება სისხლჩაქცევები მინისებრ სხეულში, ბადურაში და ავადმყოფს მკვეთრად უქვეითდება მხედველობა, ზოგჯერ სიბრმავეც ვითარდება. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა დროული დიაგნოსტიკა და მკურნალობა თანამედროვე მეთოდებით. დღეს ერთ-ერთ ასეთ მეთოდს წარმოადგენს ბადურას ლაზეროკოაგულაცია ანუ არასრულფასოვანი, წვრილი სისხლძარღვების მოწვა ლაზერით. შაქრიანი დიაბეტით დაავადებული საკონსულტაციოდ უნდა დადიოდეს არა მხოლოდ ენდოკრინოლოგთან, არამედ ოკულისტთანაც.

გარდა ამისა, დიაბეტიანი უნდა ღებულობდეს სისხლძარღვთა კედლის გამამაგრებელ და პერიფერიული სისხლის მიმოქცევის გამაუმჯობესებელ პრეპარატებს. ასეთ წამლებს, რაღა თქმა უნდა, ექიმი გამოგიწერთ.

კითხვა: ცოტა ხნის წინათ, ჩემს ბიჭუნას ყბაყურა ჰქონდა. მეუბნებიან, რომ ეს ინფექცია უარყოფითად მოქმედებს სათესლე ჯირკვლებზე და უნაყოფობას იწვევს. ძალიან გთხოვთ ამიხსნათ, მართალია თუ არა ეს?

პასუხი: ყბაყურა ეპიდემიური პაროტიტის ხალხში გავრცელებული სახელწოდებაა. დაავადება მძიმე ინფექციებს არ განეკუთვნება, მაგრამ სამწუხაროდ, შეიძლება ჰქონდეს გართულებები, რადგანაც დაავადების გამომწვევს შეუძლია, დაზიანოს თავის ტვინი, კუჭქვეშა ჯირკვალი, ხოლო ბიჭებში – რეპროდუქციული სისტემის ძირითადი ნაწილი – სათესლე ჯირკვლები. საქმე ისაა, რომ ანთებითი პროცესი ეპიდემიური პაროტიტის დროს აუტოიმუნური ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმი ანადგურებს საკუთარი სათესლე ჯირკვლების ქსოვილს, რადგან მას უცხო სხეულად მიიჩნევს. ამის შედეგად ვითარდება ერთი ან ორივე ჯირკვლის ანთება – ორქიტი. ასეთი გართულების განვითარების ალბათობა ყველაზე მეტია 9-10 წლის ასაკის ბიჭუნებში, რადგან ამ დროს ხდება სათესლის ქსოვილების ჰორმონული მომწიფება. უფრო ადრეულ ასაკში კი ბიჭებში დაავადება პრაქტიკულად გართულებების გარეშე მიმდინარეობს.

თუ ორქიტს არ ვუმკურნალებთ, იგი შეიძლება გაქრონიკულდეს, ეს კი სათესლის სეკრეტორული ფუნქციის დაქვეითებას გამოიწვევს და შესაძლოა უნაყოფობაც განვითარდეს. ამიტომაა, რომ ყოველდღიური გასინჯვისას ექიმმა ყურადღება უნდა მიაქციოს სათესლე ჯირკვლებს – ხომ არ არის მომატებული ზომაში ერთი ან ორივე ჯირკვალი, ხომ არ არის მტკივნეული. ანთების ნიშნების აღმოჩენისთანავე სათანადო მკურნალობის ჩატარებით შესაძლებელია ამ დაავადების შორეული არასასურველი შედეგების თავიდან აცილება.

კითხვა: დიდი ხანია, ვატარებ სათვალეს. ამას წინათ წავიკითხე რეკლამა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ არსებობს კონტაქტური ლინზები, რომლის მეშვეობითაც სამუდამოდ დავაღწევთ თავს თვალის დაავადებებს. გარდა ამისა, თურმე არსებობს თვალის ფერის შემცვლელი ლინზები. მაინტერესებს, კარგია თუ არა ასეთი ლინზებით სათვალის შეცვლა?

პასუხი: კონტაქტური ლინზებით თავს კი არ დააღწევთ დაავადებას, არამედ იგი გაგიუმჯობესებთ მხედველობას, ანუ შეგიძლიათ გამოიყენოთ, როგორც სათვალის ალტერნატივა. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კოსმეტიკური თვალსაზრისით, არამედ აუცილებელიცაა ზოგიერთი პროფესიის (მაგალითად, მოცეკვავე, მეხანძრე და სხვა) ადამიანებისთვის. ამჟამად ფართოდაა გავრცელებული ფერადი ლინზები. ისინი მხოლოდ კოსმეტიკურია (დიოპტრიის გარეშე). მათი დანიშნულება მხოლოდ კოსმეტიკურია – ცვლის თვალის ფერს და ადამიანის იმიჯს.

კითხვა: სულ ახლახან დავოჯახდი. ძალიან მინდა, მყავდეს ტყუპი. მაინტერესებს, რა უნდა გავაკეთო ამისთვის?

პასუხი: ბუნებრივი გზით ტყუპის გაჩენის დაგეგმვა პრაქტიკულად შეუძლებელია. ყველა ოჯახს აქვს 100-დან ერთი შანსი, რადგან ყოველი ათასი მშობიარობიდან 9-15 შემთხვევაში ჩნდება ტყუპი. თუმცა ასეთი შემთხვევის ალბათობა მეტია იმ წყვილებში, რომელთაც გვარში უკვე ჰყოლიათ ტყუპი. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დედის ხაზს. თუ ქალს ჰყავს ტყუპი ნათესავები, ერთდროულად ორი ბავშვის გაჩენის შანსი მისთვის 3-5-ჯერ მეტია სხვებთან შედარებით.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ქალის ასაკი (30 წლის შემდეგ ქალი ხშირად აჩენს ტყუპს) და მშობიარობების რაოდენობას – რაც მეტი შვილი ჰყავს ქალს, მით მეტია ალბათობა, რომ მომდევნო ორსულობა ტყუპის გაჩენით დამთავრდება. ■

ითვისეთ ახალი ტიპის გიმნასტიკა

ბოლო დროს, სხვადასხვა ქვეყანაში დიდი პოპულარობა მოიპოვა სავარჯიშო სისტემამ – კალანეტიკამ, რომელსაც ჯადოსნურ გიმნასტიკასაც კი უწოდებენ, რადგან მისი მიმდევრების მტკიცებით, ამ ვარჯიშთა კომპლექსის მეშვეობით შესაძლებელია, ძალზედ მოკლე ხანში დაიყენოთ თუ იდეალური არა, თითქმის უნაკლო ფიგურა. სხვაგვარად, კალანეტიკას კიდევ სტატიკურ გიმნასტიკას ეძახიან: ის არ მოითხოვს ხტუნვას, სწრაფ მოძრაობებს, ადგილზე სირბილსაც კი. ამ გიმნასტიკისთვის საკმარისია, გარკვეული პოზის მიღების შემდეგ, მხოლოდ კუნთების ესა თუ ის ჯგუფი დაჭიმოთ და ეს მდგომარეობა შეინარჩუნოთ 1-1,5 წთ. ვარჯიშის ხანგრძლივობა შეიძლება განხვავებული იყოს – ასაკის, თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სხეულის ფიზიკური კონდიციის მიხედვით.

ჯალანეტიკის უპირატესობები

დღეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, ამ სავარჯიშო სისტემის ავტორი, ამერიკელი ქალი, კალან პინკეია, რომლის სახელიც საფუძვლად დაედო გიმნასტიკის სახელწოდებას. ამ სისტემის მიმდევრები ირწმუნებიან, რომ კალანეტიკით ერთსაათიანი ვარჯიში იმავე შედეგის მომტანია, როგორსაც იძლევა კლასიკური გიმნასტიკის 7-საათიანი ვარჯიში ან 24-საათიანი აერობიკა. 10 ვარჯიშის შემდეგ კი, ამტკიცებენ ისინი, თქვენ 10 წლით გაახალგაზრდავებულად იგრძნობთ თავს.

სხვა სავარჯიშო სისტემებთან შედარებით, კალანეტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის სრულიად გამორიცხავს ტრავმატიზმს. გარდა ამისა, კუნთების ხანგრძლივი დაჭიმვისას, ორგანიზმში გაცილებით მეტი კალორიის „დაწვა“ ხდება, ვიდრე სხვადასხვაგვარი ფიზიკური ვარჯიშის დროს. თუ კალანეტიკას სისტემატურად მიმართავთ, ადვილად ისწავლით არა მარტო მსხვილი, არამედ მცირე ზომის კუნთებით მანიპულირებას, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია კოსმეტიკური ეფექტის მისაღწევად – ე.ი. სრულყოფილი ფიგურის დასაყენებლად. მაგრამ ამ სავარჯიშო სისტემას არა მარტო სილამაზის, არამედ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაც ძალუძს: ის ხელს უწყობს არტერიული წნევის მოწესრიგებას, გაგათავისუფლებთ წელისა და კისრის არეში გაჩენილი ტკივილებისაგან, ცუდი გუნება-განწყობისა და უძილობისგან.

ვარჯიშის ოპტიმალური რეჟიმი

უნდა აღინიშნოს, რომ სასურველი შედეგის მისაღწევად ბევრი შრომის გაწევა მოგიწევთ. კალანეტიკის ათვისების საწყის ეტაპზე, ვარჯიშს კვირაში სამჯერ, 30-30 წუთი უნდა დაუთმოთ და მხოლოდ გარკვეული ხნის შემდეგ, თანდათან გაზარდოთ მისი ხანგრძლივობა ერთ საათამდე. როგორც კი დაინახავთ პირველ შედეგს – ე.ი. თქვენს ფიგურას დაეტყობა სასურველი ფორმის მიღების პირველი ნიშნები, – შეგიძლიათ, კვირაში ორამდე შეამციროთ ვარჯიშების რაოდენობა. ამ ეტაპზე დასაშვებია, კიდევ ერთი შედავათი მისცეთ საკუთარ თავს: ვინაიდან ხშირად, დრო არ გვყოფნის საიმისოდ, რომ მთელი საათი დავუთმოთ ვარჯიშს, შეიძლება, მთელი კვირისთვის გათვალისწინებული, ჯამური სავარჯიშო დრო გადავანაწილოთ და გიმნასტიკისთვის ყოველდღე, 15-15 წთ გამოვყოთ.

და კიდევ ერთი გარემოება: პირველ ხანებში, შესაძლოა, ცოტა წონაში მოიმატოთ, რაც იმითაა განპირობებული, რომ თქვენს კუნთებს მოემატება ტონუსი და ამიტომ, თქვენი კუნთოვანი მასაც რამდენადმე გაიზრდება, რამაც არ უნდა შეგაშფოთოთ.

რჩევა მათთვის, ვინც გადაწყვიტა, ხელი მოჰკიდოს ჯალანეტიკას

სასურველია, რომ თავიდან, საქმეში ჩახედული ადამიანის ხელმძღვანელობით დაიწყოთ ვარჯიში: ის არა მარტო სავარჯიშოების ჩატარებაში, არამედ სწორად სუნთქვის დაყენებაში დაგეხმარებათ. გარკვეული ხნის შემდეგ, სავსებით ბუნებრივი იქნება ამ საქმის შინ გაგრძელება. ოღონდ გაითვალისწინეთ: არ უნდა გადატვირთოთ კუნთები, ამდენად, თუ უსიამოვნო შეგრძნება გაგიჩნდათ – ზედმეტი დაღლილობა ან ტკივილი იგრძენით, – ვარჯიში უნდა შეწყვიტოთ. ყურადღება მიაქციეთ სუნთქვას – ის აუცილებლად რიტმული და მშვიდი უნდა იყოს.

თუ სუნთქვა გერღვევათ, აუცილებლად უნდა შეისვენოთ.

დაბოლოს, კიდევ ერთი რჩევა: კალანეტიკის ვარჯიშის დროს რეკომენდებული არ არის მუსიკის ჩართვა: შეიძლება მან აგიყოლიოთ და უნებლიეთ, ვარჯიშისთვის შეუსაბამო ტემპორიტმში ამოძრავდეთ, რაც სასურველი არ არის. ■





51-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-ბ.

კვირის (24 თებერვალი - 2 მარტი) ასტროლოგიური პროგნოზი

თევზები – 20/II-20/III

თუ ამ კვირას თვალცრემლიანი შეხვდებით, ე.ი. თქვენთვის სამსახურისა თუ ცხოვრების მეგზურის გამოცვლის დრო დამდგარა. არ ღირს, პირადი ანგარიშების გასასწორებლად დროისა და ნერვების ხარჯვა. ეცადეთ, მშვიდად, ყოველგვარი დავა-კამათის გარეშე გაეცალოთ მათ. სულ რამდენიმე კვირაში, საინტერესო და სასიამოვნო მოგზაურობა გელით.

ვერძი – 21/III-20/IV



ძალა მოიკრიბეთ და მეტი მოთმინება გამოიჩინეთ. ბედი უსიამოვნო სიურპრიზებს შემოგთავაზებთ: პრობლემები შეგექმნებათ სამსახურშიც და ოჯახშიც. ყველაფერს მშვიდად, ფილოსოფიურად მიუდექით – ამით გაიადვილებთ ცხოვრებას. კვირის ბოლოსთვის, ურთიერთობები მოგვარდება და უთანხმოება კარგი ქეიფითაც დაგვირგვინდება.

კურო – 21/IV-21/V

ძალზედ სასიამოვნო ცვლილებებია მოსალოდნელი. საქმიანი და შემოქმედებითი წარმატებები ერთმანეთს შეენაცვლება. შესაძლოა, კვირის ბოლოსთვის, სოლიდური მატერიალური შემოსავალიც გქონდეთ. კვირას ქალაქგარეთ გაისეირნეთ – ეს კარგ განწყობას შეგიქმნით.

მარგალიტი – 22/V-21/VI



ჩანაფიქრის განხორციელების დრო დადგა. რისკს ნუ მოერიდებით და დასახული გეგმის მიხედვით იმოქმედეთ. ახლო მეგობრები იმედს არ გაგიცრუებენ და საჭირო მომენტში, მხარში ამოგიდგებიან. საქმიანი მოლაპარაკებების დროს, მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინეთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

კონტრასტული პერიოდია ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულთათვის. ზოგიერთ კირჩხიბს ფორტუნა გაუღიმებს, ზოგს კი, შესაძლოა, დიდი გარჯა დასჭირდეს საკუთარი პოზიციების შესანარჩუნებლად. გუნება-განწყობის მკვეთრი ცვლის მიზეზი თქვენივე, ურთიერთსაწინააღმდეგო მისწრაფებებია. ეცადეთ, არ აჰყვეთ მათ და ნელ-ნელა ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში ჩადგება.

ლომი – 23/VII-23/VIII



თუ კვირას ღამით არ მოგასვენებთ კითხვა – რა არის ჩვენი ცხოვრების აზრი? – თავიდან მოიშორეთ იგი, დაწექით და მშვიდად დაიძინეთ. ოთხშაბათს ყურადღება მიაქცეთ თქვენი ორგანიზმის მდგომარეობას, თუკი მოთენთილობას იგრძნობთ. შაბათს საუნას ეწვიეთ და მსუბუქი მასაჟი გაიკეთეთ.

ქალწული – 24/VIII-23/IX



ძალზედ დატვირთული კვირა გელით. მხოლოდ კვირას გათავისუფლდებით საქმეებისგან და დასვენების საშუალება მოგეცემათ. მრავალი გადაუდებელი საქმე, რომელიც თქვენს ჩარევას მოითხოვს, კიდევ ერთხელ დაადასტურებს, რომ ძალზედ კომპეტენტური ადამიანი ბრძანდებით. უქმე დღეებში, ალკოჰოლს ნუ მიეძალებით.

სასწორი – 24/IX-23/X

ეცადეთ, რომ მატერიალურმა დაინტერესებამ და სამუშაოზე ზრუნვამ ხელი არ შეგიშალოთ პირად ცხოვრებაში. თქვენთვის სასიამოვნო ადამიანს, გაცნობისთანავე ნუ მოახვევთ თავზე თქვენს სამსახურებრივ პრობლემებს. შესაძლოა, ხუთშაბათს ან პარასკევს თქვენთვის ძალზედ საჭირო ადამიანს შეხვდეთ.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

შემოქმედებითი ენერგიის მოზღვავება და საკუთარი ძალების რწმენა მოწინავე პოზიციებზე გაგიყვანთ. ამ კვირაში შეძლებთ, ყველა დაარწმუნოთ თქვენს სიმართლეში. მთავარია, თავად არ შეგეპაროთ ეჭვი საკუთარი იდეების სისწორესა და ჭეშმარიტებაში.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ძალები მოიკრიბეთ და ძველი დოკუმენტების მოწესრიგებას მოჰკიდეთ ხელი. ამ პროცესში ძალზედ მნიშვნელოვან საბუთს წააწყდებით. ხუთშაბათს გაგიჩნდებათ იდეა, რომელიც დიდი ხნის წინ უარყავით. კვირის ბოლო დღეებს სასიამოვნო სიტუაციაში გაატარებთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ბოლოს და ბოლოს, გადაწყვეტთ გაერკვეთ, თუ ვინ არის თქვენი ჭეშმარიტი მეგობარი და ვინ – მტერი. ოღონდ, პირადი ურთიერთობების გარჩევას ნუ მიჰყოფთ ხელს. კვირის ბოლოსთვის, ყველაფერი თავ-თავის ადგილზე დადგება. ნუ შეუშინდებით ცრუ მეგობრების დაკარგვას. მათი წყალობით ხომ, მრავალ უსიამოვნებას გადაჰყრიხართ.

მერწყული – 21/I-19/II

ნუ გაგიკვირდებათ, თუ უფროსი გულს გადაგიშლით – თქვენ ხომ გამოცდილი სპეციალისტი ხართ და რაც მთავარია, კარგი ადამიანი. ზედმეტ მოკრძალებასა და თავმდაბლობას ნუ გამოიჩენთ და ხელფასის მომატება ან შემოთავაზებული დაწინაურება მიიღეთ. თქვენ მეტსაც იმსახურებთ.

ხართ თუ არა დარწმუნებული საკუთარ თავში?

ალბათ ყველა ადამიანს გამოუცდია შიშისა და სიმორცხვის გრძნობა. ადამიანთა უმეტესობა ნერვიულობს პირველი პაემნის წინ, გამოცდაზე წასვლისას თუ საშინელებათა ფილმის ყურებისას... თუ გსურთ დაადგინოთ, ხართ თუ არა დარწმუნებული საკუთარ თავში, ადვილია თუ არა თქვენი შეშინება ან დაბნევა, უპასუხეთ წინამდებარე ტესტის შეკითხვებს.

1. როგორ მოიქცევით, თუ დილით, მნიშვნელოვან საქმეზე შინიდან გასვლისას, შავი კატა გადაგირბენთ წინ?

ა) თამამად განაგრძობთ გზას, რადგან ცრურწმენით შეპყრობილი არ ხართ – 5;

ბ) მხარს უკან გადააფურთხებთ და გზას განაგრძობთ – 3;

გ) შინ დაბრუნდებით – 0.

2. წარმოიდგინეთ, რომ ქუჩაში, ხალხმრავალ ადგილას იმყოფებით და თქვენ გვერდით რამდენიმე მამაკაცი ჩხუბს იწყებს. როგორ მოიქცევით?

ა) მიუბრუნდებით და ეტყვით, რომ ქუჩაში ჩხუბი და საქმის გარჩევა დაუშვებელია – 5;

ბ) ჩუმად ჩაილაპარაკებთ: „რა უმსგავსობაა!“ – და იმ ადგილს მოშორდებით – 3;

გ) მაშინვე გაიქცევით – 0.

3. როგორ მოიქცევით, თუ ძალზედ მოგეწონებათ სამარშრუტო ტაქსში მყოფი, საწინააღმდეგო სქესის ადამიანი და მისი გაცნობა მოგინდებათ?

ა) წარუდგენთ საკუთარ თავს და გაცნობას შესთავაზებთ – 5;

ბ) ჰკითხავთ: რომელი საათია? – და კეკლუცად გაუღიმებთ – 3;

გ) არაფერს ეტყვით და გულდაწყვეტილი განაგრძობთ გზას – 0.

4. როგორ მოიქცევით, თუ დაინახავთ, რომ თქვენ თვალწინ ორი ჯიბგირი ქალს ჩანთიდან საფულეს აცლის?

ა) მაშინვე ყვირილს მორთავთ და ეცდებით, ჯიბგირებს საფულე დააბრუნებინოთ – 5;

ბ) დაიწყებთ ყვირილს: „სად არის პოლიცია?!“ – 3;

გ) არ ჩაერევით და ჩუმად ჩაუვლით გვერდით – 0.

5. როგორ მოიქცევით, თუ ტრანსპორტში ასვლისას, ვილაც უხეშად გაგკრავთ მხარს და თქვენზე წინ წასვლას ეცდება?

ა) მოაბრუნებთ და ეტყვით, რომ ეს უზრდელობაა – 5;

ბ) მკაცრად შეხედავთ და თვალებით აგრძნობინებთ, რომ სწორად არ მოიქცა – 3;

გ) უთქმელად გაატარებთ – 0.

6. როგორ მოიქცევით, თუ საპარიკმახეროდან მოსულს, ახლო მეგობარი ვარცხნილობას დაგიწუნებთ და მის სასწრაფოდ შეცვლას გირჩევთ?

ა) უმალვე საპარიკმახეროში გაეშურებით – 5;

ბ) სხვა მეგობრებსაც დაეკითხებით – 3;

გ) ყურადღებას არ მიაქცევთ მეგობრის კრიტიკას – 0.

7. როგორ იგრძნობთ თავს, თუ სრულიად უცხო ადამიანებთან მოგიწევთ საღამოს გატარება?

ა) ბევრს იხუმრებთ და ილაპარაკებთ, რათა ყველას ყურადღება მიიპყროთ – 5;

ბ) ვინმეს ამოარჩევთ, მის გვერდით დაჯდებით და მთელ საღამოს მასთან საუბარში გაატარებთ – 3;

გ) სკამის კიდეზე ჩამოჯდებით და მთელ საღამოს, ხმას არ ამოიღებთ – 0.

8. როგორ მოიქცევით, თუ თქვენს ახლო მეგობრებს, თქვენი საყვარელი ადამიანი გაცნობისთანავე არ მოეწონებათ?

ა) იფიქრებთ: „მე ხომ ვიცი, ის როგორია...“ – 5;

ბ) იფიქრებთ, რომ მეგობრები ტყუილად არაფერს იტყოდნენ და თქვენს რჩეულს მეტი ყურადღებით დააკვირდებით – 3;

გ) მეგობრების აზრის გათვალისწინებით, რჩეულთან ურთიერთობას მალე გაწყვეტთ – 0.

დაანჯამეთ ქულები

27-45 ქულა: თამამი და საკუთარ თავში უზომოდ დარწმუნებული ადამიანი ხართ. ყველა გადაწყვეტილებას სწრაფად და ადვილად იღებთ. ადვილად არ გიპყრობთ შიში, პირიქით — გიყვართ კიდეც რისკის გაწევა და ხშირად ეთამაშებით ბედს. ურიგო არ იქნებოდა, თუ საკუთარ მოქმედებებში მეტ სიდინჯეს გამოიჩენდით.

13-26 ქულა: მშვენიერი ხასიათის ადამიანი ხართ. ლომს ხახაში პირდაპირ არ უვარდებით, მაგრამ არც უკან დახევა და სიმხდალე გახასიათებთ. მეგობრები გენდობიან და იციან, რომ თქვენზე დაყრდნობა შეიძლება. თუმცა იმასაც ამბობენ, რომ თქვენ მეტისმეტად აწონილ-დაწონილად მოქმედებთ ხოლმე და არასოდეს ჩაგიდენიათ გაუაზრებელი საქციელი. ზოგს ამის გამო, ცოტა არ იყოს, მოსაწყენ ადამიანადაც კი ეჩვენებით.

0-12 ქულა: სასწრაფოდ უნდა შეიცვალოთ! მეტისმეტად მხდალი და მორცხვი ხართ, ძალზედ გიჭირთ გადაწყვეტილების მიღება. მუდამ ცდილობთ, ჩრდილში მოექცეთ, ამიტომ ცხოვრებაში ვერაფრის მიღწევას ვერ ახერხებთ. სცადეთ, იყოთ უფრო გაბედული და ნუ ფიქრობთ, რომ თქვენს გასაკეთებელს სხვა გააკეთებს. ცხოვრება გაცილებით მარტივი მოგეჩვენებათ.

მამალმა ჯვეცხის დება დაიწყო

ინდოეთში აღმოაჩინეს მამალი, რომელმაც სრულიად მოულოდნელად კვერცხის დება დაიწყო. უჩვეულო ფრინველი სოფელ ტიკანაპურაში მცხოვრებ ფერმერს – დიბაკარ ჯენას ეკუთვნის. „მამალი-ტრანსსექსუალი“ ოთხი დღის განმავლობაში დებდა კვერცხს, რამაც ადგილობრივ მცხოვრებთა დიდი გაკვირვება და ცნობისმოყვარეობა გამოიწვია. ბუნების ამ საოცრების საკუთარი თვალით სანახავად, ფერმერს მეზობელი რაიონის ვეტერინარული სამსახურის უფროსი, ექიმი ლაქსმან ბეხერა ეწვია, თუმცა ამ მოვლენის ახსნა მან ვერ შეძლო. ■

უჩვეულო აგრესიით შეპყრობილი შევარდენი

არაბეთის გაერთიანებული საემიროების თავდაცვის მინისტრის სანადიროდ გაწვრთნილმა შევარდენმა სასიკვდილოდ დაკორტნა ქურციკი. უცნობია, თუ რის გამო დაესხა თავს ფრინველი მასზე რამდენჯერმე უფრო დიდ ცხოველს, საერთოდ ამგვარი რამ შევრადნებისთვის დამახასიათებელი არ არის. საინტერესოა, რომ ამ უჩვეულო ფაქტის ამსახველი ვიდეომასალაც არსებობს და ქურციკზე თავდასხმის ჩანაწერი ქვეყნის ტელევიზიითაც კი უჩვენეს. ფირზე აღბეჭდილია, რამდენიმე თავდასხმა, რომელიც შევარდენმა განახორციელა და ისიც, როგორ მოკლა ქურციკი. ■

გადასმულმა პოლიციელებმა ხენუარი და მონე დაიბრუნეს

მაიამის პოლიციამ მორიგი წარმატებული ოპერაცია ჩაატარა, რომლის შედეგადაც სახელმწიფოს დაუბრუნდა ორი ძვირფასი ტილო – კლოდ მონეს „ვეტეის პეიზაჟი“ და ოგიუსტ რენუარის „სამების მოედანი“. ნამუშევრები ნეაპოლის ერთ-ერთი კერძო სახლიდან იყო მოპარული. სადაზღვევო კომპანიების შეფასებით, მათი ღირებულება დაახლოებით შვიდი მილიონია. პოლიციელებმა ნამუშევრების დასაბრუნებლად „კოსტიუმირებული ოპერაცია“ ჩაატარეს. კლასიკური ჯაშუშური რომანის პერსონაჟების მსგავსად, პოტენციურ კლიენტებად გადაცმული პოლიციელები ქურდებს მოპარული შედევრების ერთ მილიონ დოლარად მათთვის მიყიდვის შესახებ უთანხმდებოდნენ. ■

აუჩზაური ძიებათა ფედერალური ბიუროს ოფისში

ქალაქ ოკლაჰომის ძიებათა ფედერალური ბიუროს შენობაში აურზაური ატყდა: უცნობი მამაკაცი მისაღებში შევიდა და „კოკა-კოლის“ ბოთლიდან იატაკზე ცოტა სითხე დააქცია. მაგრამ სანამ გაირკვეოდა, თუ რა მოხდა სინამდვილეში, შემთხვევის ადგილას მეხანძრეებმა, მომწამვლელ და სახიფათო ნივთიერებათა წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური ქვედანაყოფის წევრებმა და ადგილობრივი ტელეარხის გადამღებმა ჯგუფმა მოიყარეს თავი. ძფბ-ში იფიქრეს, რომ მათ წინააღმდეგ ტოქსიკური სითხის გამოყენებით ტერაქტის მოწყობას აპირებდნენ.

მოგვიანებით გაირკვა, რომ უცნობი, მისი აზრით, რაღაც მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადასაცემად მივიდა ბიუროში. სპეცსამსახურის ერთ-ერთი აგენტის თქმით, „კაცი ცოტა უცნაური მომეჩვენა. შესაძლოა, მას თავის ტრავმა ჰქონდა მიღებული ან რაიმე მსგავსი პრობლემა აწუხებდა...“ მას შემდეგ, რაც სპეცსამსახურის აგენტებმა უცნობის პიროვნება დაადგინეს, მის ოჯახს დაუკავშირდნენ და საავადმყოფოში გადაიყვანეს. ■

„ნორდ-ოსტში“ გადაღებული ფოტო World Press Photo-ს ხონჯისზე

ჟურნალისტური ფოტოს ყოველწლიური პრესტიულ კონკურსზე – World Press Photo, ნომინაციაში „ერთეულთა სურათები“ მესამე ადგილი „ნორდ-ოსტის“ დრამის ერთ-ერთი მძევალი ქალის პორტრეტს მიენიჭა. ფოტო ბრიტანელმა ჯასტინ სიუტკლიფმა გადაიღო გაზეთ Sunday Telegraph-ისთვის. ამავე ნომინაციაში პირველ ადგილზე იაპონელი ფოტოგრაფის, ტომოიშია კატოს ნამუშევარი გავიდა. მის ფოტოზე აღბეჭდილია სამხრეთკორეელი მამაკაცი, რომელიც ჩინეთში იაპონიის საელჩოს კართან პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს. World Press Photo ფოტოჟურნალისტიკის ჟანრში ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო პრემიაა. წლევანდელ კონკურსში 118 ქვეყნის თითქმის 4000 პროფესიონალი ფოტოგრაფი მონაწილეობდა. წლის მთავარი ჯილდო და ფულადი პრემია – 10.000 ევრო ამერიკელ ერიკ გრიგორიანს გადაეცა ერაყის მიწისძვრის ამსახველი ფოტოსთვის, რომელმაც 2002 წლის 23 ივნისს 500-ზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა. ■

ფოტოკუთხეები

განახლებული

59/6

თქვენი და

თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის